DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library (AWDL) hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library at New York University.

- Creator: Ramishvili, R. / რამიშვილი, რ. / Рамишвили, Р. М.
- Title: ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები ტომი VI / Археологические памятники Феодалной Грузии том VI
- Publication Date: 1998
- Publisher: Georgian National Academy of Sciences, GNM Archaeological Center
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc_a72ae0fae1

About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum and the Institute of Archaeology and Ethnography in the National Academy of Sciences of the Republic of Armenia. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.

Rights

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes, in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world to the widest possible audience. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from The Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: http://dcaa.hosting.nyu.edu/dscc/takedown-notice.

IVE
2667(6)

ფოლკლორი

საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები

VI

„მეცნიერება“

IVE
2667

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები

2456

VI

ეძღვნება

გიორგი ლომთათიძის ხსოვნას, მისი დაბადებიდან 80 წლისთავზე

თბილისი
„მეცნიერება“
1998

63.(21)
ფ 426

კრებულში განხილულია ქართული ფეოდალური ქალაქის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, ისტორიული და არქეოლოგიური წყარო-მასალების მიხედვით. გარდა ამისა, პირველად ქვეყნდება ჟინვალის, გოგიასსათიბის, აბანოსხევის, წყნეთის, გლდანის სამაროვანთა მასალები და ანანურის თეთრიგზის ნამოსახლარის 1988 წლის თხრის შედეგები. სტატიები აგრეთვე ეხება ტყობდა-ღერდის წარწერას და მოჭიქული კერამიკის გავრცელების საკითხს. კრებული დასურათებულია. იგი შედგენილია 90-იანი წლების დასაწყისში და განკუთვნილია სპეციალისტების და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები: ისტ. მეცნ. დოქტ. რ. რამიშვილი
ისტ. მეცნ კანდ. ბ. ჯორბენაძე

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდ. ც. ჩიკოიძე
ისტ. მეცნ. კანდ. მ. ჩხატარაშვილი

13/98

0504000000
ფ M 607(06)—98

© „მეცნიერება“, 1998



გიორგი ლომთათიძე

1994 წელს შესრულდა 80 წელი გიორგი ალექსანდრეს ძე ლომთათიძის დაბადებიდან. იგი ქართულ მეცნიერებას და საზოგადოებრიობას გამოაკლდა თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაში 57 წელს მიღწეულ-, სწორედ მაშინ, როდესაც დგებოდა მისი მეცნიერული საქმიანობის „ოქროს შემოდგომა“.

გ. ლომთათიძეს ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს როგორც მრავალმხრივი სამეცნიერო ინტერესების მქონე მკვლევარს და უანგარო საზოგადო მოღვაწეს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული მეცნიერების განვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გ. ლომთათიძის მეცნიერული მემკვიდრეობისადმი დიდი ინტერესის გამომხატველია თუნდაც ის ფაქტი, რომ ბატონი გოგის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა მისი არაერთი ნაშრომი, მათ შორის 5 — მონოგრაფია. ესენია: „ქართული კულტურა და ყოფა IV—V და VI—X საუკუნეებში“, საქართველოს ისტორიის ნარკვევების II ტომში (1973 წ); „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში“ (1974 წ); „ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი“, რუსულ ენაზე (1976 წ); „საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს“. (1977 წ), „არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1949 წლის გაზაფხულზე“, კრებულში „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, IV (1982 წ); „ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“, კრებულში „რუსთავი“ (1988 წ); „არქეოლოგიური კვლევა-ძიება ალგეთისა და ივრის ხეობებში“ (1989 წ); „ქართული კულტურის მემატიანე ექვთიმე თაყაიშვილი“ (1990 წ) და სხვა.

მიუხედავად სიცოცხლის ბოლო წლებში ჯანმრთელობის გაუარესებისა, მას დასახული ჰქონდა ფართო სამუშაო გეგმები, ოცნებობდა ციხე-ქალაქი თმოგვის გათხრაზე და სხვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ჩანაფიქრის განხორციელება მას აღარ დასცალდა.

გიორგი ლომთათიძე დაიბადა 1914 წლის 26 ნოემბერს, მყუდრო ქართულ ქალაქ ცხინვალში, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის პედაგოგ ალექსანდრე ლომთათიძის ოჯახში. ალექსანდრე ლომთათიძე იყო ძველი ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც გამოირჩეოდა ფართო განათლებითა და ერუდიციით, დახვეწილი კულტურითა და მისაბაძი ადამიანური თვისებებით. იგი იყო დამოუკიდებელი საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი.

საშუალო განათლება გ. ლომთათიძემ მიიღო თბილისის პირველ საცდელ-საჩვენებელ სკოლაში, სადაც იმხანად მოღვაწეობდნენ ძველი თაობის გამოჩენილი პედაგოგები და სადაც ჯერ კიდევ სუფევდა XIX საუკუნის ქართულ მოღვაწეთა მიერ ნასაზრდოები ეროვნული სულისკვეთება. ოჯახურმა გარემომ და სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა გ. ლომთათიძის სულიერ და გონებრივ სამყაროზე, მის ჩამოყალიბებაზე და არსებითად განსაზღვრა კიდეც მთელი მისი შემდგომი საქმიანობა.

1931—36 წლებში გ. ლომთათიძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე და არც თუ ურიგო პერსპექტივები ჰქონდა სამეცნიერო ასპარეზზე გამოსასვლელად, მაგრამ საბოლოოდ მაინც მშობლიური ქვეყნის ისტორიით დაინტერესებამ გადასძლია და 1938 წელს გამოცდები ჩააბარა ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით.

იმხანად ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომლის ასპირანტი გახდა გ. ლომთათიძე, წარმოადგენ. და ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარების ერთ-ერთ მთავარ კერას.

გ. ლომთათიძის ასპირანტურაში სწავლის წლები დაემთხვა საქართველოში არქეოლოგიური კვლევის განვითარების ახალ საფეხურს, როდესაც ჩამოყალიბდა და საქმიანობდა მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ჯერ აკად. ივ. ჯავახიშვილის, ხოლო 1941 წლიდან კი აკად. ს. ჯანაშიას ხელმძღვანელობით.

გ. ლომთათიძე იყო პირველი მკვლევარი, რომელმაც 1944 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მცხეთაში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალებზე. ბრინჯაოს სატევრებისა და მახვილების შესწავლისადმი მიძღვნილმა მისმა ნაშრომმა „ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში“ (1974) დღემდე შეინარჩუნა ცხოველმყოფელობა და მიუხედავად იმისა, რომ იგი ცალკე წიგნის სახით გამოიცა 30 წლის დაგვიანებით, მონოგრაფია ამ დარგის ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევაა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის დაარსების შემდეგ, გ. ლომთათიძის მეცნიერული და საზოგადოებრივ-ორგანიზატორული საქმიანობა მთლიანად უკავშირდება ამ სამეცნიერო დაწესებულებას. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში იყო ისტორიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ამავე ინსტიტუტის წიაღში მოგვიანებით მისი ხელმძღვანელობით დაარსდა შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილება, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. სწორედ ამ განყოფილებაში შემოიკრიბა მან თანამოაზრეთა და მოწაფეთა ძლიერი ჯგუფი, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც ნაყოფიერად განაგრძობს საქმიანობას მედიევისტურ არქეოლოგიაში.

გ. ლომთათიძის სამეცნიერო მოღვაწეობაში გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მიმართულება:

1. საველე-არქეოლოგიური საქმიანობა. ამ მხრივ მკვლევარს მართლაც ტიტანური შრომა აქვს ჩატარებული. მეცნიერული დიაპაზონის სიფართოვის გამო მას შეეძლო და უხდებოდა კიდევაც სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე თხრა (აბელია, კლდეეთი და სხვა), მაგრამ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის საქართველოს შუა საუკუნეთა ხანის ძეგლების კვლევაში. მისი მონაწილეობით ან ხელმძღვანელობით, როგორც ცნობილია, საველე სამუშაოები ჩატარდა ხვამლში, რუსთავში, თბილისში, უჯარმაში, თელავში, კვეტერაში, ურბნისში, ნადარბაზევში, ქვემო ქართლის სხვადასხვა პუნქტებში, ვარდციხეში, ვარძიაში, ახალქალაქში, ალვანში და სხვაგან, სადაც გამოვლენილია საქართველოს ისტორიის ვაღრმავებული კვლევისათვის საჭირო პირველხარისხოვანი მასალა. ამ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მისი საველე ჩანაწერები და დღიურები, რომლებიც არა მარტო დიდი სიზუსტით და სისრულით გადმოგვცემს ველზე მიმდინარე სამუშაოების თითქმის ყველა წვრილმანს, რასაც ბევრი არქეოლოგი, სამწუხაროდ, ვერ ახერხებს, არამედ ეს პირველი საველე ჩანაწერები უკვე შეიცავს არაერთ განზოგადებას. ამასთანავე, მის დღიურებში ასახულია მრავალი ისეთი მოვლენა და ცნო-

ბა, რაც არქეოლოგებთან ერთად დიდ სამსახურს გაუწევს ეთნოგრაფებს, ენათმეცნიერებს, ფოლკლორისტებსა და სხვებს. ნაწილი ამ დღიურებისა უკვე გამოქვეყნებულია (მაგ., ქვემო ქართლის, უჯარმის), მაგრამ ბევრი ჩანაწერი კვლავაც მოელის გამომზეურებას. მისი საველე ანგარიშები ყოველთვის გამოირჩეოდა სისრულით და მრავალფეროვნებით.

2. სამეცნიერო კვლევითი სფერო. ამ საქმიანობაში იგი თავისი ფართო ერუდიციისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნის გამო, არა მარტო იმით გამოირჩეოდა, რომ წარმატებით აქვეყნებდა ცალკეულ ძეგლებს, არამედ იმითაც, რომ იგი მკითხველს სთავაზობდა გაბედულ განზოგადებებს.

გ. ლომთათიძის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანია სწრაფვა ისტორიზმისაკენ. ამავე დროს სამეცნიერო ძიების პროცესში ყოველთვის გამოყოფდა ხოლმე ძირითად პრობლემებს, ზუსტად განსაზღვრავდა მეცნიერული საქმიანობის მთავარ მიმართულებებს და ამ საკითხების გადასაწყვეტად მარჯვედ წარმართავდა მის გარშემო მომუშავე სამეცნიერო ძალებს. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული იმათ პრობლემებთან დაკავშირებით, როგორიცაა ქალაქები და საქალაქო ცხოვრება, ნასოფლარები, წარმოების კერები და ხელოსნური ნაწარმი. გ. ლომთათიძის დაუღალავი მცდელობით ქართულ მედიევისტურ არქეოლოგიას საგულისხმო წარმატებები აქვს მოპოვებული ხელოსნობის ისეთი დარგების კვლევაში, როგორიცაა მინა და მინის წარმოება, მეთუნეობა, მათ შორის მოჭიქული ჭურჭლის წარმოების საკითხები, ფაიანსი, სამშენებლო კერამიკა და სხვა.

3. კიდევ ერთი სფერო, სადაც გ. ლომთათიძემ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, არის **სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურა.** მოგეხსენებათ, ქართველი მკითხველი ამ რიგის ნაწარმოებებით განებივრებული არც დღეს არის. გ. ლომთათიძე იყო პირველი მეცნიერი-არქეოლოგი, რომელმაც ხელი მოჰკიდა არქეოლოგიური ძეგლებისა და განათხარი მასალების პოპულარიზაციას, თუმცა 1944 წელს გამოცემული წიგნი „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“ შეიცავს მრავალ ღრმა მეცნიერულ განზოგადებებსაც. საყურადღებოა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მისი წერილების სერიალი, რომლის საერთო სათაურია „ეპიზოდები საქართველოს ისტორიიდან“. პოპულარული ლიტერატურის ჟანრში ყველაზე კარგად გამოვლინდა გ. ლომთათიძის უნარი წიგნში „წინაპართა ნაკვალევი“, სადაც მხატვრულადაა გადმოცემული არა მარტო არქეოლოგიური კვლევის ისტორია საქართველოში, არამედ ცალკეულ მკვლევართა პორტრეტები. განსაკუთრებით დიდია გ. ლომთათიძის ღვაწლი ე. წ. მემორიალური ლიტერატურის სფეროში. იგი იყო წინამორბედთა ღვაწლის პირუთვნელი და მადლიერი დამფასებელი. ქართული პრესისა და სამეცნიერო ჟურნალების ფურცლებზე არაერთხელ დაბეჭდილა მისი მოგონებები ექ. თაყაიშვილზე, ივ. ჯავახიშვილზე, ს. ჯანაშიაზე, ირ. სონღულაშვილზე, ლ. მუსხელიშვილზე, გ. ნიორაძეზე, ი. გძელიშვილზე და სხვა. რუსულ ენაზე გამოცემულ მონოგრაფიაში „ივანე ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი“ კი, გარდა ბიოგრაფიული ცნობებისა, მოცემულია ამ დიდი მეცნიერის მრავალმხრივი შემოქმედების ღრმა ანალიზი.

4. საზოგადოებრივი მოღვაწეობა. ამ სფეროშიც გ. ლომთათიძე ახალგაზრდობიდანვე იყო ჩაბმული. იგი ლექცია-მოხსენებებით დაუზარებლად გამოდიოდა მოსახლეობის ფართო ფენების წინაშე და აღვივებდა მშობლიური ქვეყნის წარსულისადმი სიყვარულს. მას დიდი დამსახურება მიუძღვის ქარ-

თული ენის სიწმინდისათვის ბრძოლაში. იგი იყო მრავალი გაზეთის საგანგებო კომისიების წევრი და შეუნელებლად ებრძოდა ენობრივი ნორმების დამახინჯების შემთხვევებს. შეურიგებელი იყო უცხო სიტყვების მოუზომავად ჭარბი ხმარების მიმართ. გ. ლომთათიძეს დიდი მუშაობა აქვს გაწეული არქეოლოგიური ტერმინოლოგიის შესაქმნელად. მაგრამ მის საზოგადოებრივ საქმიანობაში გამორჩევით დგას მისი დამოკიდებულება ემიგრაციიდან 1945 წელს დაბრუნებული ექვთიმე თაყაიშვილის მიმართ. იგი უანგაროდ დაეხმარა ხანდაზმულ მეცნიერს თავისი მემკვიდრეობის მოწესრიგებაში და დაგვიტოვა დიდ მამულიშვილთან ურთიერთობის ამსახველი საინტერესო დღიურები. ყოველივე ეს კი საფუძვლად დაედო მის ნაშრომებს ექვთიმე თაყაიშვილის შემოქმედებასთან დაკავშირებით, სადაც მოცემულია ფასდაუდებელი ცნობები არა მარტო ამ მეცნიერის შესახებ, არამედ მის თანამედროვეობასა და თანამედროვეებზეც.

ა. სამეცნიერო კადრების მომზადება. გ. ლომთათიძეს დიდი შრომა აქვს გაწეული ამ მიმართულებითაც. იგი განუზომელი პასუხისმგებლობით და სიყვარულით ეკიდებოდა ახალგაზრდა კადრების შერჩევასა და აღზრდას. შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილება ფაქტიურად ჩამოყალიბდა მის მიერ შემოკრებილი და აღზრდილი მოწაფეების ბაზაზე. საკვლევი თემატიკის შერჩევისას იგი ხელმძღვანელობდა არა მარტო დასახული პრობლემით, არამედ ითვალისწინებდა ცალკეულ მკვლევართა შესაძლებლობებს, მიდრეკილებასა და ინტერესებსაც. იგი დროისა და ენერგიის დაუზოგავად ასწორებდა თანამშრომელთა ხელნაწერებს და მხოლოდ ამის შემდეგ რთავდა ნებას მათ გამოსაქვეყნებლად. ამავე დროს, სასურველი კადრების შერჩევაზე იგი სტუდენტობის ხანიდანვე ზრუნავდა. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიცია, სადაც არქეოლოგიური მეცნიერების ანბანს სტუდენტები საველე მუშაობის დროს ითვისებდნენ. ამიტომაც, გ. ლომთათიძე ახალგაზრდებს შორის სარგებლობდა დიდი სიყვარულითა და პატივისცემით. ასევე ღრმა პატივისცემით იყო გარემოსილი იგი მეგობრებისა და თანამშრომლების წრეში.

ამ მცირე წერილში შეუძლებელია აისახოს ყველა ის დამსახურება, რაც განსვენებულ მეცნიერს მიუძღვის მშობლიური ქვეყნის წინაშე, მაგრამ საგანგებოდ ის მაინც უნდა აღინიშნოს, რომ გ. ლომთათიძე იყო წინამდებარე კრებულის დამაარსებელი, რომლის პირველი წიგნი მისი რედაქტორობით გამოიცა 1969 წელს.

გ. ლომთათიძე ბუნებით იყო დაჯილდოებული კაცთმოყვარეობით, სათნოებით. მასში ზომიერად იყო შეხამებული უკომპრომისო მეცნიერის, ჭეშმარიტი პატრიოტისა და მოქალაქის, მზრუნველი მასწავლებლისა და მეოჯახის თვისებები.

დასანანია, რომ იგი ნაადრევად წავიდა ჩვენგან. წარმოსადგენია რამდენი სასარგებლო საქმის გაკეთებას მოასწრებდა იგი იმ 22 წლის განმავლობაში, რაც ამაგდარი მკვლევარი ჩვენს რიგებს გამოაკლდა.

ღმერთმა აცხონოს მისი სპეტაკი და მშფოთვარე სული.

რ. რამიშვილი

ბ. ჯორბენაძე

ჯ. ფირფილაშვილი

სიტყვა ამაგდარ არქეოლოგზე

სტუდენტობისას გიორგი ლომთათიძის რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი მქონდა წაკითხული და მათ ჟანრობრივად, რატომღაც, საბავშვო ლიტერატურის საუკეთესო შენაძენად ვთვლიდი. როცა შემდგომში სპეციალისტების ანალოგიური აზრიც მოვისმინე, ერთგვარი კმაყოფილება დამეუფლა.

არქეოლოგია-ეთნოგრაფიის განყოფილებაში თითქმის ყოველდღე მესმოდა მისი ნაცნობ-მეგობრებისაგან გ. ლომთათიძის შესამკობი ეპითეტები: ბრწყინვალე მოქართულე, შესანიშნავი სტილისტი, უზადო ლექსიკოლოგი-კორექტორი, ჩაუქი მთამსვლელი, დაკვირვებული გეოლოგი, კირკიტა (ქარგაგებით) არქეოლოგი, დიდებული ადამიანი, უწყინარი, პრინციპული და გულალალი ქართველი.

მე მას ამ დროისათვის მხოლოდ შორიდან ვიცნობდი. ფიზიკურად წარმოსადეგი — ზორბა ტანის, სასიამოვნო შესახედაობის, ხუჭუჭთმიანი, ღია მოყავისფროთვალება ვაჟკაცი იყო.

და აი, ერთ დღეს ბატონ ალ. კალანდაძესთან სტატია მივიტანე სარეცენზიოდ. არსაიდან ჩამი-ჩუმი არ ისმოდა; გამიკვირდა, რადგან სამსახური ჯერ არ დამთავრებულიყო. თურმე განყოფილება, ჩვეულებრივად, თავის მორიგ სხდომას ატარებდა და რადგან ისიც შევიტყვე, რომ სხდომა მალე დამთავრდებოდა, დარჩენა ვარჩიე. სხდომა დამთავრდა. თანამშრომლები აქეთ-იქით დაიფანტნენ, მხოლოდ ოთხი კაცი დარჩა მაგიდასთან. ისინი არ ჩქარობდნენ. მეგონა, რაღაც პირადულზე ლაპარაკობდნენ და შორიახლო დავდექი. როგორც შემდეგ ცხადი გახდა, ისინი სხდომის ირგვლივ განაგრძობდნენ სჯაბაასს! ერთი რამ ჩემთვის ცხადი გახდა: თითოეული მათგანი გამოსთქვამდა რა საკუთარ მოსაზრებას, იქვე სათანადო ფაქტების, ლიტერატურის მოშველიებით თითქოს მყარსა და შეუვალს ხდიდა მას, ანალოგიურად იქცეოდა მოპირდაპირე მხარე, იმ, რომ მათ შორის პირადულს არავითარი ჩრდილი არ ადგებოდა. მე, რა თქმა უნდა, გაოგნებული დავრჩი, რადგან პირველად ვისმენდი ამგვარ ნამდვილ მეცნიერულ პაექრობას და თანაც, ჩემდა უნებურად ისე ნელ-ნელა თითქოს მაგნიტური ძალით მივიწევდი მათკენ, რომ მათთან ახლოს მისულს მისალმებაც კი დამავიწყდა. ბოლოს თავად ბატონმა სანდრომ შემნიშნა და წარმადგინა თავის მეგობრებთან და გამაცნო ისინი: ანდრია აფაქიძე, გერმანე გობეჯიშვილი და გოგი ლომთათიძე. ვიდრე ახლადგაცნობილებმა ამხედ-დამხედეს, მე ბატონ სანდროს ბოდიში მოვუხადე და ვუთხარი, რომ შორიდან ყველა მათგანს კარგად ვიცნობდი. როცა მისვლის მიზეზი მკითხა, პასუხად ბატონ სანდროს სტატია გავუწოდე, თან ვთხოვე, თუ მოეწონებოდა, რეცენზია დაეწერა აკადემიის „მოამბეში“ დასაბეჭდად.

ბატონი გიორგი ლომთათიძე ჩემი ვინაობით დაინტერესდა, მკითხა სადაურობა და როცა გაიგო, რომ ჯავახეთიდან იმერეთში ლტოლვილი ქართ-

ველი ვარ, ჩემს სარწმუნოებაზეც გაამახვილა ყურადღება: ქართველი კათოლიკე ხომ არა ხარო. მე მას დადებითად ვუპასუხე, მაგრამ ვერ გავიგე, რა შუაში იყო აქ ჩემი კათოლიკობა, ჩანს, ბატონმა გოგიმ ეს შემნიშნა და ბატონ სანდროს უთხრა: ჩვენი კათოლიკე ქართველები ნიჭიერი ხალხია, მე ამ ახალგაზრდის რამდენიმე სტატია წაკითხული მაქვს აკადემიის „მოამბეში“ და საკმაოდ საინტერესო საკითხებს ეხებაო... ბატონ სანდროს გაეცინა და უთხრა: მაშ, რადგან ეგრეა, ამ ახალგაზრდის თანხმობით მის ხელნაწერს თქვენ გაეცანით და თუ მოგეწონოთ, რეცენზიაც დაუწერეთ; სამაგიეროდ „მოამბეში“ მისი წაკითხვა აღარ დაგჭირდებაო...

ბატონმა გოგიმ როცა სტატიის სათაური წაიკითხა, ერთხელ კიდევ შემომხედა და იქვე დაიწყო კითხვა, ორ-სამ ალაგას, არშიაზე, ფანქრით გზადაგზა რაღაც შენიშვნები გააკეთა... მე ვღელავდი... ბოლოს ბატონმა გოგიმ რამდენიმე შეკითხვა მომცა, რომლებზეც შეძლებისდაგვარად გავეცი პასუხი. მან არშიაზე მიწერილი შენიშვნები საშლელით წაშალა.

შემდეგ ამ შესანიშნავი ოთხეულის ირგვლივ თავი მოიყარეს განყოფილების სხვა თანამშრომლებმაც. ბატონი გოგი, რომელმაც მოაწყო, ასე რომ ვთქვათ, ჩემი სტატიის „საჯარო განხილვა“, ჩანს, კმაყოფილი დარჩა; თხუთმეტ-ოც წუთში ჩემი სტატიის რეცენზია მზად იყო. ყველას დიდი მადლობა მოვახსენე... ასეთად დარჩა ის დღე თავისი განცდებით ჩემს მახსოვრობაში.

სხვათა შორის, ბატონმა გოგიმ იმ დღეს ისიც მითხრა, რომ მას ჩემი დაბეჭდილი სტატიების მიმართ რამდენიმე შენიშვნაც აქვს, მაგრამ ახლა ამის დრო არა მაქვსო და დამპირდა, რომ მათ შესახებ შემდეგშიც ვისაუბრებდით. ეს დღეც დადგა. მე ჩვეულებრივ სამთავროს ოთახში ვმუშაობდი, ბატონმა გოგიმ შემოიარა. ყველა სათითაოდ მოგვიკითხა და ბოლოს მკითხა, რაზე ვმუშაობდი. პასუხის შემდეგ შევახსენე ჩემს სტატიებზე დაპირებული „შენიშვნების“ შესახებ... აი, რა მითხრა: ჩვენი პირადი გაცნობის შემდეგ მე ერთხელ კიდევ გადავათვალიერე ექიმთათვის განკუთვნილი ალ. ნათიშვილის ადამიანის ნორმალური ანატომიის სახელმძღვანელო და დავრწმუნდი, რომ ჩემი შენიშვნები მარტო თქვენ კი არა, თქვენს მასწავლებელსაც ეკუთვნის, ძირითადად ეს ეხება ანატომიურ ტერმინოლოგიას, რომლებიც უფრო მეტ დახვეწას და სიზუსტეს საჭიროებს, მით უმეტეს, ქართულ მეტყველებაში ზუსტი შესატყვისები გვაქვს. მაგალითად, ანატომიურად რა ქვია თავის... ძვლებს? აღარ დაამთავრა სიტყვა ბატონმა გოგიმ, ისე მომცა კითხვა...

მე, არც კი დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე — თავის ქალას ძვლებიმეთქი... მას გაეღიმა: — ნორმალური ანატომიის სახელმძღვანელოში სწორედ ეგრე სწერია, მაგრამ „ქიალა“ ხომ თათრული, თურქული სიტყვაა... ნუთუ მას ქართული სიტყვა „კეჩხო“ ან „კეჩხა“ არა სჯობიაო და იქვე მიაყოლა ვაჟას ნათქვამი: „მაღლა დამიცდა ბეჩავო, კენჩხას არა სჭრის ძვლისასა“. ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში განსაკუთრებით ზღაპრებსა და თქმულებებში თავის ქალას მაგიერ ყველგან „კენჩხა“ ან „კეჩხოა“ ნახმარიო. ამასთან, ქართლში არსებობს გვარი „კეჩხუაშვილი“, რომლის მიბაძვით, ჩვენს ფიქრით, შემდგომში გვარი „თავაძე“, „აბაშიძე“ და წოდება „თავადი“ წარმოიშვა. ჩვენი ვალია, აღვადგინოთ უკიდურესად მივიწყებული სიტყვებიც კიო... ბატონი გოგი განაგრძობდა: თქვენ ნაწილობრივ სწორი ხართ, მაგრამ მე მინდა უფრო გაბედული და ბოლომდე მართალი იყოთ; ანატომიის სახელმძღვანელოში „კანჭის“ ძვლებს „წვივის ძვლები“ ეწოდება. ეს ერთი შეცდომა. მეორე ის გახლავთ, რომ თითქოს ერთი და იგივე კიდურზე ორი ერთე-

ული არსებობდეს „დიდი წვივი“ და „მცირე წვივი“. სინამდვილეში, ვგონებ, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ კანჭს („წვივს“) აქვს ორი ძვალი — დიდი და მცირე ძვალი და დაგვეწერა ასე: „მარჯვენა კანჭის დიდი ძვალი“. „მარჯვენა კანჭის მცირე ძვალი“. აქ აზრიც და შინაარსიც სწორია. თორემ რა გამოდის, როცა ვამბობთ მარჯვენა წვივის „დიდი წვივის ძვალი, მარჯვენა წვივის „მცირე წვივის ძვალი“. ე. ი. გამოდის, რომ ერთი და იგივე კიდურს, ერთსა და იმავე დროს აქვს ორი შემადგენელი ნაწილი: „დიდი წვივი“... და „მცირე წვივი“... რაც, ვიმეორებ, აზრობრივად ბუნდოვანია და შინაარსობრივად გაუმართავი. თქვენ თქვენს სტატიაში, მართალია, სწორად წერთ „წვივის დიდი ძვალი, წვივის მცირე ძვალი“, მაგრამ ცამდე მართალი მაშინ იქნებოდით, რომ „წვივის“ ნაცვლად „კანჭი“ გეხმარათ...

როცა ბატონ გოგის ავუხსენი საქმის ვითარება, რომ ჩემზე არ იყო დამოკიდებული ყველაფერი და რომ რაც გავაკეთე, იმაზეც დავა დამჭირდა, გაოცებული დარჩა: გამჭვირვალე, ნათელ მეცნიერულ აზრს ყველა ერთნაირად უნდა ვემორჩილებოდეთ, როგორც მაღალი წოდების მეცნიერი, ისე ახალბედა, მით უმეტეს, დამწყები შემოქმედი, რადგან ჭეშმარიტება ერთია.

1958 წ. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (რომლის შემადგენლობაში მეც ვმონაწილეობდი) ერთ-ერთ სამარხში მიაკვლია ახ. წ. II საუკუნის ქალის სამარხს, რომელსაც ჩატანებული ჰქონდა ოქროს თვალ-ბაგის საფარი ფირფიტები და „სამგლოვიარო გვირგვინის“ ფურცლები. ამგვარი შემთხვევა „ჩემს არქეოლოგიურ პრაქტიკაში“ პირველი იყო. ბუნებრივია, საკითხმა ძალიან დამაინტერესა და როცა ამის შესახებ ვიკითხე, ბატონმა გოგიმ (იმ წელს ბატონი გოგი ბატონ სანდროსთან ერთად მცხეთის არქ. ექსპედიციაში მუშაობდა) მიპასუხა: მეცნიერული ლიტერატურის მიხედვით დადგენილია, რომ ანტიკური დროისა და უფრო ადრინდელ კრეტა-მიკენის კულტურის არქეოლოგიური მასალის მიხედვით, ლითონის თვალ-ბაგის საფარებით მიცვალებულის დასაფლავება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში (კიპროსზე, თელ-ჰალაფში, ხერსონესში და სხვაგან) საკმაოდ გავრცელებული წესი ყოფილაო. იგი დამოწმებულია ჩვენშიაც, მცხეთაში, ბატონი სანდროს მიერ; ხოლო ჩემს მიერ — კლდეეთის სამაროვანზეო და მირჩია უფრო ვრცლად ამ საკითხის იმგვლივ წამეკითხა ბორის კუფტინის ცნობილი ნაშრომი. ცხადია, მე წავიკითხე როგორც კუფტინის, ისე ბატონი გოგის მონოგრაფია, მაგრამ ვერც ერთში ვერ ამოვიკითხე, თუ რა მიზეზი დაედო საფუძვლად მიცვალებულის ნიღაბით, ხოლო შემდგომში ამ წესის თანდათან გადაგვარებასთან დაკავშირებით, თვალ-ბაგის საფარი ფირფიტებით დაკრძალვის ჩვეულებას? ამიტომ, ახლა, სწორედ ამ კითხვით მივმართე ბატონ გოგის. მან ბრძანა, რომ როგორც მსოფლიო, ისე ქართულ არქეოლოგიურ ლიტერატურაში და მით უმეტეს, არქეოლოგიურ პრაქტიკაში იმდენი თავსატეხი საკითხებია გასარკვევი და პასუხგასაცემი, რომ მათი ნაუცბათევად ახსნა ძნელია... და იქვე დასძინა: სწორი გითხრა, ამ კუთხით ეს თემა არც მე გამიაზრებია. რადგან თქვენ, — მითხრა ბატონმა გოგიმ, — ჩემი არ იყოს, „კირკიტა“ კაცი ყოფილხართ, იქნებ სცადოთ თქვენს კითხვაზე პასუხი თქვენ თავად გასცეთო...

ბატონ გოგის მითითებით ამ საკითხთან დაკავშირებით, ჩვენ ქართულ ეთნოგრაფიულ და ფოლკლორულ მასალებში მოვიძიეთ და ყურადღება გავამახვილეთ იმ წარმოდგენაზე, რომ გველი, ადამიანთან, როგორც მძინარე მდგომარეობაში, ისე გარდაცვალების შემდეგ, გარკვეულ დამოკიდებულებაშია წარმოდგენილი. ამ წარმოდგენის მიხედვით, გველი ცოცხალ ადამიანს (ველად და-

ძინებისას, წყლის დალევისას ან სხვა მდგომარეობაში მყოფს) პირში უძვრება, მის ორგანიზმში საზრდოობს, იზრდება და აავადებს, ხოლო მიცვალებულს, ართმევს „ცით ნაბოძვარ სიმდიდრეს“: მხედველობას, თმას და ულვაშს, რომელიც მას იმავე დროს ფიზიკურად ალამაზებს. ამასთან დაკავშირებით გავიხსენოთ ისიც, რომ სიკვდილი როგორც ქართველთა, ისე მსოფლიოს სხვა ძველ ხალხთა წარმოდგენით აღიქმოდა როგორც ძილის მდგომარეობა. ამის გამო გაგვიჩნდა მოსაზრება, რომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადგენილი მიცვალებულის დაკრძალვის ერთ-ერთი წესი, რომლის დროსაც მიცვალებულს თვალებსა და ბაგეებზე აფარებდნენ ლითონის (ბრინჯაოს, ოქროს, ვერცხლის) თხელ ფირფიტებს, ხოლო თავზე ადგამდნენ ოქროსავე ფირფიტებით დამშვენებულ „სამგლოვიარო გვირგვინს“, ამ ეტაპზე ხომ არ არის გველის წინააღმდეგ მიმართული დამცველი საშუალება, იქვე ისიც დავძინეთ, რომ შესაძლოა მათ მაგიური დანიშნულებაც ჰქონდა.

ყოველივე ზემოთქმული მე სტატიაში „მიცვალებულისათვის ჩატანებულ თვალ-ბაგის საფარებისა და „სამგლოვიარო გვირგვინის“ საკითხისათვის“, გავაფორმე და ბატონ სანდროს ვთხოვე, ვიდრე გოგის მივუტანდი, წაეკითხა და თავისი აზრი ეთქვა. ბატონმა სანდრომ სტატია წაიკითხა და თქვა: მომწონს საკითხისადმი მახვილგონივრული წვდომა, საინტერესოა ამგვარი ახსნაც. ვნახოთ, რას იტყვის თავად ბატონი გოგი. ჩემი სტატია მან თავის პორთფელში ჩადო და მითხრა: ბატონი გოგი ხვალ ჩვენთან იქნება, მე თვითონ ვთხოვ, რომ შენი სტატია წაიკითხოსო.

მეორე დღეს მე ექსპედიციას გავყევი; როცა საღამოს მცხეთაში დავბრუნდი, ბატონი გოგი თურმე წასვლას აპირებდა და მე მელოდა. მას სტატია წაეკითხა, ეს მოსვლისთანავე შევიტყვე. იგი ღიმილით შემხვდა, ხელი ჩამომართვა და მოკითხვის შემდეგ მითხრა, ყოჩაღ, ჩინებული სტატია დაგიწერია, ამგვარი კრიტიკაც მისაღებია და მეც კარგი რეცენზია ამიტომ დაგიწერეო. ეს სტატიაც აკადემიის „მოამბეში“ გამოქვეყნდა.

იმ საღამოს სიხარულისაგან აღარ ვიცოდი, რა მექნა, რადგან ბატონ სანდროს შემდეგ ჩემს მეცნიერულ, პრაქტიკულ ცხოვრებაში, მეორე შემთხვევა იყო, როცა აღიარებული საკითხის ირგვლივ საპირისპირო მოსაზრება წავაყენე და „მოწინააღმდეგე აზრის“ პატრონი მას დადებითად მოეკიდა. საკითხისადმი ამგვარმა მიდგომამ თუ დამოკიდებულებამ, სიხარულთან ერთად ერთხელ კიდევ დამაფიქრა იმაზე, თუ რა იყო ეს, რა მოვლენასთან გვქონდა საქმე: პიროვნულთან თუ რომელიმე სკოლის მიმდინარეობა-მიმართულებასთან? ერთიც და მეორეც. ჩემი აზრით, არა მარტო დიდად საგულისხმო და დასაფასებელი მოვლენაა, არამედ საყოველთაოდ გასავრცელებელი თვისებაც, რადგან იგი გვასწავლის, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს მეცნიერმა სულიერ-მორალური წონასწორობა, როგორი უნდა იყოს მისი ტაქტი, ეთიკა, მაშინ, როცა მის წინაშე დამწყები მეცნიერი დგას... აი ის ფაქტორები, რომელთა გამო გოგი ლომთათიძე და ალექსანდრე კალანდაძე ჩემთვის მისაბაძი მეცნიერები და სათაყვანებელი ადამიანები არიან დღესაც...

I. ნაქალაქარები

რ. რამიშვილი

ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ფეოდალური ქალაქის გენეზისთან დაკავშირებით არქეოლოგიური მასალების მიხედვით*

ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის საქართველოს არქეოლოგიის საკითხებზე მრავალწლიანი მუშაობის დროს, რომელიც „საქართველოს არქეოლოგიის“ მრავალტომეულის პროგრამით დაიგეგმა, ჯერ კიდევ ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის არქეოლოგიის პრობლემურ ლაბორატორიაში, ჩვენს წინაშე სხვა მნიშვნელოვან პრობლემებთან ერთად კვლავ წამოიჭრა ქართული ფეოდალური ქალაქის გენეზისისა და ისტორიის შემდგომი კვლევის საკითხი [1].

შუა საუკუნეთა ხანის ქალაქები უკვე კარგა ხანია იქცევს მკვლევართა ყურადღებას (ვახუშტი ბატონიშვილი, დიუბუა დე მონპერე, პლატონ იოსელიანი, მ. ბარათაევი, კ. კეხი, ა. მურავიოვ-აპოსტოლი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე და სხვები). მაგრამ მათი ინტენსიური შესწავლა იწყება მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლებიდან (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ა. შნაიდერი, ს. ყაუხჩიშვილი, გ. გოზალიშვილი, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, ა. კალანდაძე, გ. გობეჯიშვილი, ვ. ჯაფარიძე და სხვ.), რასაც კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი ეძლევა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (შ. მესხია, ა. ბოლტუნოვა, პ. ზაქარაია, ა. აფაქიძე, გ. ლომთათიძე, გ. მელიქიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, კ. მელითაური, ლ. ჭილაშვილი, დ. მუსხელიშვილი, თ. გამსახურდია და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის კვლევაში ასეთი დიდი შრომაა გაწეული, აშკარაა, რომ მრავალი კარდინალური პრობლემა კვლავ ღიად რჩება. ერთ-ერთი მათგანია ფეოდალური ქალაქის გენეზისის საკითხი, რომლის გარკვევას ხელს უშლიდა ის მცდარი მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ჩვენში გაბატონდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში, და რომელსაც საფუძვლად ედო ფრიად საეჭვო თეორია ფორმაციათა შესახებ.

ამ თეორიით ყველა საზოგადოებამ, და მათ შორის ქართულმაც, აუცილებლად გაიარა მონათმფლობელური განვითარების საფეხური და, შესაბამისად, ჩვენში არსებობდა ამ ფორმაციის შესატყვისი ქალაქები და საქალაქო ყოფა [47; 38; 39; 37; 46; 18; 19; 25; 73; 74 და სხვ.].

თბილისის 1959 წლის დისკუსიის შემდეგ, რომლის ორგანიზატორი იყო აკად. გ. მელიქიშვილი, უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში საბოლოოდ გაიმარჯვა თეზამ იმის შესახებ, რომ საქართველოს (და კავკასიას) არ გაუვლია მონათმფლობელური განვითარების საფეხური. ამ ახალი თვალსაზრისის მიხედვით, რომელიც გამოთქმული ჰქონდა ჯერ კიდევ აკად. ს. ჯანაშიას, საქარ-

* ნაშრომი შესრულებულია 1979—80 წლებში, წაკითხულია მოხსენების სახით ნესებრის (ბულგარეთი) საერთაშორისო კონფერენციაზე 1988 წელს.

თველოში (განსაკუთრებით ქართლის სამეფოში) თემური წყობილების რღვევის შედეგად სოციალური განვითარების მაგისტრალური ხაზი მიემართებოდა ფეოდალიზმის სასარგებლოდ. თემური წყობილების ნგრევის შედეგად ძვ. წ. დასასრულისათვის ქართლის სამეფოში ჩამოყალიბდა საზოგადოება, რომელიც ტიპოლოგიურად „წინაფეოდალური“ იყო, ხოლო სტადიურად — ადრეკლასობრივი [2]. ამ „წინაფეოდალურმა“ თუ „პროტოფეოდალურმა“ საზოგადოებამ, რა თქმა უნდა, გაიარა თავისი განვითარების გარკვეული გზა და საფეხურები და მთელი მისი წინსვლა, მიუხედავად გარედან მძლავრი ზემოქმედებისა, ემყარებოდა საზოგადოების შინაგან ევოლუციას.

გ. მელიქიშვილის თვალსაზრისით, ქართლის სამეფოში, ისევე როგორც სომხეთში, არისტოკრატიული ზედა ფენა ძირითადად ფორმდებოდა არა სახელმწიფო აპარატის მეშვეობით, არამედ ცალკეულ რეგიონებში ძველადვე დაწინაურებულ დიდი ეკონომიკური შეძლების მქონე საგვარეულოთა ხარჯზე [3; 4]. ეს ძლიერი გვარები, სამეფო ახლის ჩათვლით, ექსპლოატაციას უწევდნენ თანამეტომეებს — თავისუფალ მწარმოებლებს და ამავე დროს ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ „გვაროვნული ერთიანობა“ ანუ საგვარეულო საკუთრება. ტერმინი „გლეხი“ მიჩნეულია ამ დროის ნაყოფად [6, გვ. 166 — 177; 5, გვ. 416—418; 7, გვ. 483—499 და სხვა]. გლეხებად გ. მელიქიშვილი მიიჩნევს დამმორჩილებელი თემის წევრებს, რომლებიც სამეფო მიწაზე ისხდნენ და ასრულებდნენ მძიმე ვალდებულებებს, იხდიდნენ ხარკს (გადასახადს) და ისინი საზოგადოების გაბატონებულ წრეს „ცხოვრებისათვის საჭირო ყოველივეს მიართმევდნენ“. ექსპლოატაციის ხასიათის მიხედვით ეს ხალხი, უეჭველია, უფრო ახლო იდგა ყმებთან, ვიდრე მონებთან, თუმც სტრაბონი მათ „სამეფო მონებს“ უწოდებს, რაც ტერმინოლოგიური უზუსტობა უნდა იყოს მხოლოდ. გლეხებად იქცეოდნენ, ალბათ, მიწაზე გადმოსახლებულებიც. ყველა ისინი ასრულებდნენ საერთო ვალდებულებას „უფლის“ მიმართ [7, გვ. 612]. ეს თვალსაზრისი, ე. ი. ქართული საზოგადოების არამონათმფლობელური განვითარების თეზა, ფართოდ გაიზიარა მკვლევართა დიდმა წრემ [8; 9; 10, გვ. 44—55; 11, გვ. 57—67; 12, გვ. 68—77; 13, გვ. 79—94 და სხვა], რითაც სრულად გამოეცალა ნიადაგი თვალსაზრისს მონათმფლობელური საზოგადოებისათვის შესაფერისი ინსტიტუტის არსებობის შესახებ ჩვენში. ბუნებრივია, ქართული ისტორიოგრაფიის ასეთი შემობრუნების შემდეგ, აღარავითარი საფუძველი არ გააჩნია ჩვენში მონათმფლობელური საზოგადოებისათვის შესაფერისი ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების არსებობის თეორიასაც. ამიტომაც, ქართულ ისტორიოგრაფიაში უკვე გარდუვალად დგას საკითხი, რომ ქართული ქალაქების ისტორიისა და საქალაქო ცხოვრების თავისებურებათა შესწავლა განხორციელდეს ამ ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებით, რაც, ალბათ, არსებითად შეცვლის ჩვენს დამოკიდებულებას ამ პრობლემებისადმი.

ნაშრომში აღარ შევეხები საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლის ისტორიას, რადგანაც ეს საკითხი დამუშავებულია და წარმოდგენილია არა ერთ ადრინდელ ნაშრომში [15, 16, 18, 19 და სხვ.].

იმისათვის, რომ ჩვენი ძირეულად განსხვავებული თვალსაზრისი ადრეულ შუა საუკუნეთა ქალაქების შესახებ უფრო გასაგები იყოს, ჯერ აღვწერო რამდენიმე უფრო უკეთ შესწავლილ ნაქალაქარს და იქ მოპოვებულ შედარებით უახლეს არქეოლოგიურ მასალას, ხოლო შემდეგ კი შევეცდებით მთელი ეს მასალა გამოვიყენოთ განმაზოგადებელი დასკვნისათვის.

რუსთავი. ძველი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, რუსთავი, რომელიც თითქოს დაუარსებია ქართლელთა ეთნარქის ქართლოსის ცოლს, წარმოადგენდა ქართლოსის ძის კუხოსის წილხვდომილი ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრს [77]. რუსთავი, როგორც ერთ-ერთი უძველესი ქალაქი და პოლიტიკური ცენტრი, მოხსენიებულია ქართლის ცხოვრებაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის აღწერასთან დაკავშირებითაც.

უკვე 1944 წლიდან რუსთავში მიმდინარე (გარკვეული წყვეტილებით) არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ შეგვძინა პირველხარისხოვანი ნივთიერი მასალა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ ერთი პუნქტის, არამედ, ზოგადად, ქართული ქალაქების ისტორიის კვლევისათვის, თუმც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ ნაქალაქარის ტერიტორია რუსთავში ნაკლებადაა შესწავლილი და უპირატესად გამოვლენილია მისი ციტადელი ანუ შიდაციხე, რაც საერთო სურათის დასადგენად არასაკმარის მასალას იძლევა, მაგრამ ის, რაც უკვე დღეისათვის გამოცემულია და ის, რაც რუსთავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაუნჯებული, მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქალაქის ისტორიისათვის, მითუმეტეს, რომ ციტადელში, ალბათ, ყველაზე სრულად უნდა იყოს ასახული ქალაქის წარსულის თითქმის ყველა საფეხური [15; 16; 17; 19; 21].

არქეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ხანგრძლივი კვლევა-ძიებისა, რუსთავის ტერიტორიაზე ელინისტური ანუ ადრეარმაზული ხანის ფენები აღმოჩენილი არ არის. რა თქმა უნდა, მომავალში, არქეოლოგიური ძიების გაფართოების შესაბამისად, შეიძლება აღმოჩნდეს რუსთავის ადრეულ ისტორიასთან დაკავშირებული კულტურული ფენები, მაგრამ, ჯერჯერობით, თუ შიდაციხის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, ადრეული ფენები იქ არ ჩანს. სადღეისოდ, რუსთავის ციხის ტერიტორიაზე გამოვლენილია სხვადასხვა დროის სამი ზღუდე. ამ სამ ზღუდეში ორი ადრეული შუა საუკუნეებისაა — მათ შორის ყველაზე ძველი პილონებიანი გალავანი, რომელიც კარგად გათლილი ქვებით ყოფილა ნაგები, თარიღდება ახ. წ. IV—V საუკუნეებით [20]. გამორიცხული არ არის, ამ გალავნის აგება დავუკავშიროთ რუსთავის არხის პირველ გამტანს — თრდატ მეფეს. ამჟამად ეს გალავანი გამოვლენილია ციხის თითქმის მთელ პერიმეტრზე და მიუთითებს სამშენებლო საქმიანობის არა მარტო დიდ მასშტაბებზე, არამედ მაღალ ხელოვნებაზეც. სწორედ გალავნის ამ კედლის მიხედვით, ყველაზე ძვირად ღირებული და გრანდიოზული სამუშაოები რუსთავის ციხეზე ადრექრისტიანულ ხანაში ჩაუტარებიათ [22]. როგორც 1945—61 — 1965 და 1972—85 წლების საველე ანგარიშებით ჩანს [იხ. სათანადო ПАИ-ს კრებულები], IV—V საუკუნეებით დათარიღებული ზღუდე, როგორც სამშენებლო ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში, გამორჩევით დგას დანარჩენ ზღუდეებს შორის და მიუთითებს, რომ რუსთავმა სწორედ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ შეიძინა განსაკუთრებული მნიშვნელობა და იქცა მეტად მნიშვნელოვანი პროვინციის აღმავალ ცენტრად. მართალია, ამ ზღუდის შესატყვისი კულტურული ფენები როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ასევე საკუთრივ ციხის შიგნით არ არის სათანადოდ გამოვლენილი, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ამ მხრივაც ბევრი რამ გაკეთდება. არქეოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რუსთავის ქალაქის ნეკროპოლი, რომელსაც ამჟამად

ქალაქის საავადმყოფოს კომპლექსი ფარავს, და სადაც აუცილებლად უნდა განახლდეს ძიება.

საკმაოდ შთამბეჭდავია რუსთავის ციხის მეორე გალავანი. იგი ნაგებია ქვიშაქვის დიდრონი კვადრებით და ამ ქვების მწკრივებს შორის დატანებული აგურის ფენებით. ასეთი წყობა, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი იყო ბიზანტიური ხუროთმოძღვრებისათვის და იგი საქართველოში გავრცელებული ჩანს ადრეული შუა საუკუნეებისათვის (პირველად დასავლეთ საქართველოში, ხოლო შემდეგ კი აღმოსავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებაში). რუსთავის ციხის მეორე გალავანი, როგორც განათხარი ფართობის სტრატიგრაფიიდან ჩანს, აუგიათ პირველი ზღუდის დანგრევისა და გაუქმების შემდეგ და ამიტომაც უმეტესწილად გასდევს პირველის კონტურებს. გარდა მძლავრი კედლებისა ამ სამშენებლო დონისათვის დამახასიათებელია კედელში თანაბარზომიერად ჩატანებული მომრგვალებული კოშკები. მოპოვებული არქეოლოგიური მასალებითა და სტრატიგრაფიული მონაცემებით, მეორე გალავანი თავისი კოშკებითურთ თარიღდება IX—X საუკუნეებით. სწორედ ამ კედლების გამოვლენის შემდეგ გაირკვა, რომ IV—V საუკუნეებით დათარიღებული მძლავრი გალავანი დანგრეულია VIII საუკუნის შუა ხანებში — ალბათ, მურვან ყრუს მიერ მოწყობილი დამსჯელი ლაშქრობის დროს. ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის მასალები ადრეც იყო ცნობილი რუსთავის განათხარში როგორც ციხის, ასევე ნაქალაქარის ტერიტორიაზე [15; 16; 19; 17; გვ. 53—55]. ჯერ კიდევ 1946 წელს წარმოებული გათხრების დროს თანამედროვე საავადმყოფოს მიდამოებში (მკვლევრებს აქ ეგულებათ ნაქალაქარის ერთი უბანი), აღმოჩნდა ბეჭედი-ინტალიო, რომლის ფრცხილის თვალზე მოცემულია ზეზე მდგომი მამაკაცის სქემატური გამოსახულება. ინტალიო თარიღდება III—IV საუკუნეებით და მიჩნეულია ირანული წრის ნაკეთობად [15], რაც მიუთითებს რუსთავის სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე ირანთან ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე რუსთავის ციხეს აუშენებდნენ პილონებიან გალავანს. ადრეულ შუა საუკუნეთა ხანით დათარიღებულ მასალებს შორის არანაკლებ საყურადღებოა შიდა ციხის ტერიტორიაზე ნაპოვნი ტუფისაგან გამოთლილი მოზრდილი მრგვალი საბეჭდავი — შუაში ტოლმკლავება ჯვრით და ორენოვანი წარწერით. ბერძნულ წარწერაში იკითხება ორი სიტყვა — „მფარველი მწვერვალისა“, ხოლო ქართულად კი გამოსახულია სამი ასონიშანი — თემ. პალეოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ბერძნული წარწერა და მასთან ერთად საბეჭდავიც თარიღდება VI—IX საუკუნეებით. ჩვენი აზრით, შესაძლებელია ამ თარიღის ჩარჩოების უფრო დავიწროებაც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საბეჭდავზე გამოსახული ტოლმკლავება ჯვარი საკმაოდ ახლო დგას ბოლნური ტიპის იმ ჯვრებთან, რომლებიც უფრო V—VII საუკუნეებში იყო გავრცელებული. რაც შეეხება ქართული წარწერის ნაშთს, იგი გ. ლომთათიძის ვარაუდით, უფრო გვიანდელია და თარიღდება X—XI საუკუნეებით [15; გვ. 175]. აღსანიშნავია, რომ მსგავსი საბეჭდავის კიდევ რამდენიმე სხვა ნატეხია ცნობილი რუსთავის ტერიტორიიდან. აშკარაა, რომ ასეთი საგნები რუსთავში საკმაოდ ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რაც მიუთითებს სათანადო ინსტიტუტის არსებობაზე, ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარებასა და ქალაქის სოციალურ თავისებურებებზე. ასეთი საბეჭდავები ქალაქური ყოფის ერთერთი დამადასტურებელი საბუთია და, როგორც გ. ლომთათიძე ფიქრობდა, იგი სამეურნეო დანიშნულების ნაგებობის ან რაიმე დიდი ჭურჭლის ხელშეუხებლად დაცვის მიზნით დასაბეჭდავად იხმარებოდა [15; გვ. 175]. საბეჭდავთა

სიმრავლის მიხედვით გამოდის, რომ V—VIII საუკუნეებში რუსთავი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო სახელოსნო ცენტრს. ეს კი, თავის მხრივ, საქალაქო ცხოვრების აღმავლობის საბუთია, რაზედაც აშკარად მიუთითებს სხვა რიგის არქეოლოგიური მასალებიც. ეს მასალები 1944—46. 1949 და 1959 წლებში მოპოვებული იყო რუსთავის იმ ნეკროპოლებზე, რომლებიც განლაგებულია როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა სანაპიროებზე [21]. ჩვენი მსჯელობისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის მასალები, რომლებიც 1949 წელს იქნა მოპოვებული მ. ივაშჩენკოს უშუალო ხელმძღვანელობით და 1959 წელს გ. ლომთათიძის თავკაცობით.

1944—1946 წლებში ჩატარებული მუშაობის შედეგად, ე. ი. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ახალი ინდუსტრიული ქალაქი არ არსებობდა და ნაქალაქარის მთელი ტერიტორია ხელმისაწვდომი იყო მკვლევრისათვის, ივაშჩენკოს სცადა დაედგინა რუსთავის უმთავრესი ნეკროპოლის საზღვრები. მისი დაკვირვებით, ამ სამაროვანს ეკავა დაახლოებით 17 ჰექტარი. საყურადღებოა, რომ სამთავროს სამაროვნის (ფართობი დაახლოებით 14 ჰექტარი) და მის მიერ გათხრილი ოცოდე სამარხის მიხედვით, ნეკროპოლი თარიღდება VI—VII საუკუნეებით. მართალია, სამარხეული ინვენტარით ეს სამარხები ღარიბი იყო, მაგრამ დაკრძალვის წესის კოლექტიურ სამარხებში განსვენებულთა რიცხვის (4-დან 16-მდე თავის ქალა, ხოლო ერთში 42-ც კი იყო) და სამაროვნის ფართობის მიხედვით მ. ივაშჩენკომ გამოთვალა, რომ რუსთავის ციხის გარშემო მცხოვრები მოსახლეობის რიცხვი VI—VII საუკუნეებისათვის 20 ათასი უნდა ყოფილიყო [იხ. 21]. ამას თუ დავუმატებთ იმასაც, რომ რუსთავს იმავე დროისათვის გააჩნდა სხვა ნეკროპოლიც, კერძოდ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, აწინდელი ხიდის ყურის სიახლოვეს, სადაც გაითხარა 30-მდე სამარხი (რაზმის ხელმძღვანელი რ. რამიშვილი), უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსთავის მოსახლეობა კიდევ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, რუსთავის მარჯვენა სანაპიროზე ჩატარებულმა ძიებამ ცხადად გვიჩვენა, რომ სამარხების ორივე ჯგუფში (IV—V და VI—VIII საუკუნეებისა) გაცილებით მეტი იყო ქალაქურ ყოფასთან დაკავშირებული ნივთები (ოქროს საყურეები, ოქროს, ბრინჯაოს და ვერცხლის ბეჭდები, მინის სანელსაცხებლეები და მძივები და სხვა), ვიდრე მარცხენა სანაპიროს ნეკროპოლზე. გამორიცხული არ არის, რომ სათანადო კვლევის პირობებში ასეთივე მასალები გამოჩნდეს მარცხენა სანაპიროს მთავარ ნეკროპოლზედაც. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში მინის ჭურჭლების სიმრავლე თითქოს მხარს უჭერს გ. ლომთათიძის ვარაუდს იმის თაობაზე, რომ რუსთავი ადრეულ შუა საუკუნეებში წარმოადგენდა მინის წარმოების ერთ-ერთ ცენტრს [15, გვ. 181]. თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, უნდა დავასკვნათ, რომ რუსთავის განსაკუთრებული აღმავლობა იწყება სწორედ ახ. წ. IV საუკუნიდან (1 ზღუდე) და რომ ეს აღმავლობა გრძელდებოდა V—VII საუკუნეებშიც. რუსთავის ეს ზრდა უნდა შეეფერხებინა არაბების შემოსევას, ხოლო VIII საუკუნეში მურვან ყრუს ლაშქრობისას კი იგი საფუძვლიანად ჩანს აოხრებული[19].

უჯარმა. უჯარმის არქეოლოგიურმა გამოკვლევამ 1950—1952 წწ. და სარესტავრაციო სამუშაოებმა და თხრამ 1980—1982 წწ. გამოავლინა მეტად საყურადღებო მასალები, რაც აშკარად მიუთითებს, რომ ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის ეს ქალაქიც თავისი აღმავლობის ზენიტში იმყოფებოდა სწორედ V—VII საუკუნეებში [14; 25; 23; 24 და სხვა].

საერთოდ, არქეოლოგიური ძიებით, უჯარმის ტერიტორიაზე გამოვლენილია სამი უმთავრესი სამშენებლო პერიოდი (IV—V სს; XII—XIII სს. და XVII—XVIII სს.), რომელთა შორის ყველაზე შთამბეჭდავია ვახტანგ გორგასლის დროინდელი ფენა. ციხის ციტადელში შემონახული სასახლის ნანგრევები და გალავან-კოშკები, რომლებიც დღეისათვის ითვლება ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სამშენებლო ხელოვნების საუცხოო ნიმუშებად [24], მიუთითებს არა მარტო დიდ ეკონომიკურ შესაძლებლობებზე, რაც მაშინდელი ქართლის სამეფოს გააჩნდა, არამედ ქალაქთმშენებლობის დიდ გამოცდილებაზეც. უჯარმის მიდამოებში ძლიერ განვითარებული ყოფილა სამშენებლო კერამიკის, კერძოდ, კრამიტის წარმოებაც. ხოლო ამ ქალაქის სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებს ქვედა ციხის № 5 კოშკში აღმოჩენილი სასანური მონეტა (ფეროზ მეფისა). ქართული წყაროების მიხედვით, უჯარმა, მცხეთასა და თბილისთან ერთად, ითვლებოდა ადრექრისტიანული ხანის უდიდეს და ხალხმრავალ ქალაქად, რომელიც სათავეში ედგა ვახტანგ გორგასლის აღმოსავლურ პოლიტიკას. უჯარმის დაცემა იწყება არაბების შემოსევის შემდეგ.

ჰერემი მდებარეობს უჯარმის აღმოსავლეთით, ცივ გომბორსა და მდ. იორს შორის მოქცეულ ვრცელ ზეგანზე, რომელსაც შუაში ჩაუდის ალაზნის ხეობისაკენ მიმართული ჰერემის ხევი. ამ ხევზე, უფრო სწორად მის სათავეებში, ჯერ კიდევ ახ. წ. III—IV საუკუნეებში, აღმოცენდა საკმაოდ მოზრდილი სამოსახლო, რომლის ნეკროპოლი უკვე იძლევა ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელ სამარხეულ ინვენტარს [26]. ამ ადრეული სამოსახლოს ბაზაზე კი V საუკუნეში განვითარდა მსხვილი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი ქალაქი ჰერემი, რომლის მშენებლობას ქართული საისტორიო მწერლობა მიაწერს თბილისისა და უჯარმის აღმშენებელს ვახტანგ გორგასალს. ჰერემის არქეოლოგიურმა შესწავლამ 1984—86 წწ., რომელსაც აწარმოებს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია ნ. მამაიაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით, ცხადყო, რომ ქართლის ცხოვრების ცნობები გორგასლის მიერ ჰერემში ჩატარებული მშენებლობის შესახებ შეესაბამება სინამდვილეს და რომ არქეოლოგიური გზით მიღებული ინფორმაცია გაცილებით უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე წყაროების ჩვენება. როგორც ცნობილია, ჰერემი წარმოადგენდა საუფლისწულო დომენის ცენტრს და რეზიდენციას, მაგრამ ვახტანგ გორგასლის აღმოსავლურ პოლიტიკაში მის მიერ აღზევებულ ამ ქალაქს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ვიდრე ეს წყაროებშია მითითებული. ჰერემს ეჭირა მეტად ხელსაყრელი ადგილი იმ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალზე, რომელიც ალაზნის აუზს უმოკლესი გზით აკავშირებდა ივრის ხეობასა და უჯარმასთან. ჰერემი იყო ამასთანავე უმთავრესი შემაერთებელი რგოლი სამეფო ქალაქებსა (მცხეთა, თბილისი და უჯარმა) და შიდა კახეთის ისეთ ცენტრებს შორის, როგორიც იყო ნეკრესი და ხორნაბუჯი.

არქეოლოგიური ძიების დროს მოპოვებული მასალა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ძალზე მცირეა (თიხის ჭურჭლის ნატეხები, კრამიტი, ლითონის თითო-ოროლა ნივთი, მინის ჭურჭლის ნატეხები და სხვა), თვით ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა მასშტაბები და მეტად ორიგინალური გეგმარება გვაწვდის განუმეორებელ ინფორმაციას. მიუხედავად უჯარმაში მიღებული შედეგებისა, ჰერემის ნაქალაქარის ციტადელში ჩატარებულმა სამუშაოებმა სრულიად ახალი კუთხით დაგვანახა ქართული სამშენებლო ხელოვნება, განსაკუთრებით საერო ხუროთმოძღვრების დონე და შესაძლებლობები. ჰერემში ჯერჯერობით აღმოჩენილია და ითხრება ორი დიდი სასახლის ნაშთი, რომელ-

თაგანაც ერთი, ციტადელის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მდებარე, სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენაა დამხრობილი და სამხრეთ ნაწილში დაფუძნებულია საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრუქციაზე. შენობას აქვს ხუთი დიდი სათავსო, რომელიც, გამთხრელების ვარაუდით, სულ მცირე ორსართულიანი უნდა ყოფილიყო. შენობას ჰქონია სოლენებითა და კალიპტერებით შედგენილი სახურავი. კრამიტებს აშკარად ეტყობა გვიანარმაზული ხანის მეკრამიტეობის გავლენის კვალი, თუმც კეხიანი კრამიტი უკვე ქობუნაზე გადაფენითაა ნაკეთები. აღსანიშნავია, რომ ამ დიდძალ კრამიტს შორის, რომელიც შენობასთან ერთად თარიღდება V საუკუნის მეორე ნახევრით, აღმოჩენილია ღარისებრი კრამიტის რამდენიმე ნატეხი, რომლებიც თავისი ფაქტურით საბჭენიანი შვერილებით და დამზადების მიხედვით აშკარად გვიანარმაზული ხანისაა. ეს კი იმის აშკარა საბუთია, რომ ამ ადგილებში ჯერ კიდევ წინაქრისტიანულ ხანაში მდგარა რაღაც მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომელიც კრამიტით ყოფილა დახურული. როგორც ჩანს, ჭერემის დაწინაურება ადრევეა სავარაუდებელი და გამორიცხული არ არის, რომ ეს უჯარმის პარალელურად მომხდარიყო. ჭერემის ნეკროპოლის ქვედა ფენის მასალები სწორედ ამ ჭიმიანი კრამიტების სინქრონულია. თვით ქალაქის განსაკუთრებული აღმავლობა კი მოდის V საუკუნის მეორე ნახევარზე და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ ამ პუნქტს დიდხანს არ უარსებია. როგორც ირკვევა, იგი განადგურებულია ვახტანგ გორგასლის უკანასკნელი ბრძოლის დროს. გამორიცხული არ არის, რომ ქალაქ ჭერემს თავისი ციტადელითურთ შემდგომაც რომ განეგრძო არსებობა, ყოველ შემთხვევაში მისი ფუნქცია ჯერ კიდევ არ უნდა მოშლილიყო, თუმც VI საუკუნიდან აღმოსავლური პოლიტიკის მესვეურობა ხორნაბუჯში უნდა გადანაცვლებულიყო. რაც შეეხება მთისა და ბარის ურთიერთობის მომწესრიგებელ ქალაქებს ალაზნის ხეობაში, ასეთი როლი უნდა ეკისრა ნეკრესსა და კვეტერას, ხოლო ივრის აუზში — ჟალეთსა და თიანეთს. ასეთი მცირე მიმოხილვიდან ჩვენ ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ჭერემი არის გვიანარმაზულ ხანაში აღმოცენებული სამოსახლო პუნქტი, რომელმაც თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია V საუკუნეში და, რომ ამ დროის ქართულ ქალაქებს შორის იგი ერთ-ერთი მოწინავე იყო და, რომ იგი, ფაქტიურად, ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვების პარალელურადაა წარმოქმნილი და მისი ინტერესების შესაბამისად განვითარებულ ქალაქთა რიცხვშია შესატანი. ჭერემის, როგორც ერთ-ერთი საქალაქო ცენტრის, მნიშვნელობას ზრდის ის, რომ ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილია V—VII საუკუნეებით დათარიღებული რამდენიმე ეკლესია, რომელთაგან წვეროდაბალი და კათედრალური ტაძარი, თანამედროვე სოფლის ტერიტორიაზე არა მარტო ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენს, არამედ მიუთითებს იმაზედაც, რომ ისტორიულ წყაროებში მოხსენიებული ჭერემის ეპარქია იყო რეალური წარმონაქმნი, რომელიც კონტროლს უწევდა საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას უჯარმასა და ნეკრესს შორის. ამ ქრისტიანული სამწყსოს მიხედვით სრულიად ნათელია, რომ ჭერემმა, როგორც მნიშვნელოვანმა ცენტრმა, თავისი სახე შეინარჩუნა V საუკუნის შემდეგაც [26].

ჟალეთი — ჩელეთი ანუ ბერ ძველქართული წყაროებისა — მდებარეობს ივრის ხეობაში იმ ტერიტორიაზე, სადაც ახლა სიონის ცნობილი წყალსაცავია მოთავსებული [27]. სამწუხაროდ, ამ ნაქალაქარის თხრა მთლიანად არ მოხერხდა, გაითხარა მხოლოდ სიონის ბაზილიკა (1950 და 1962 წწ). ვრცელი სამაროვანი ამ ეკლესიის გარშემო, სადაც თავისი მასშტაბურობით გამოირ-

22456

ჩევა ბაზილიკის სინქრონული დიდი მიწისქვეშა აკლდამა, ჩუქურთმით შემკული ორგანყოფილებიანი სამარხი და იქვე მდებარე სამაროვნის ნაშთი, რომელზედაც მხოლოდ ადრექრისტიანული ხანის სამარხები ჩნდებოდა. თვით ბაზილიკა სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარადაა დათარიღებული. გ. ჩუბინაშვილი მას VIII—IX საუკუნით ათარიღებს. ი. ციციშვილის მიხედვით, ეს კათედრალური ტაძარი V—VII საუკუნეების ძეგლია [29], ხოლო ჩვენ კი არქეოლოგიური მონაცემებით და მხატვრულ-სტილისტური ნიშნებით მას V საუკუნის მეორე ნახევარს მივაკუთვნებთ [27]. ასეთ თარიღს მხარს უჭერს სიონის ბაზილიკის დიდი სიახლოვე ბოლნისის სიონთან.

ადრეულ შუა საუკუნეთა ხანაში ჟალეთი უნდა ყოფილიყო ისტორიული კახეთის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი და დიდი სამოსახლო, რადგანაც იგი ვახტანგ გორგასალმა აირჩია ქრისტიანული ეპარქიის ცენტრადაც. თვით სოფ. სიონი, სადაც გაითხარა ბაზილიკა, ალბათ, ქალაქ ჟალეთის ყველაზე მნიშვნელოვანი უბანი იყო. ქალაქი კი განფენილი უნდა ყოფილიყო იქვე მდებარე ციხის შემოგარენში და იმ ტაფობში, სადაც თვით გვიანდელი სოფელი მდებარეობდა. როდესაც ჩვენ გვსურს დავახასიათოთ ადრეულ შუა საუკუნეთა ხანაში აღზევებული ამ ქალაქის მატერიალური კულტურა, პირველ რიგში ხელთ გვრჩება ის ხუროთმოძღვრული ძეგლები (ბაზილიკა, აკლდამა და ცალკეული სამარხები), რომლებიც ძირითადად ახ. წ. V—VI საუკუნეებით თარიღდება, და კრამიტის ის ფრაგმენტები, რომლებიც უპირატესად ახ. წ. IV—VI საუკუნეებისათვის იყო დამახასიათებელი. ჟალეთი, თუ იგი ქართული წყაროების ბერ-ის ადგილზეა აღმოცენებული და ამდენად ერთ-ერთი უძველესი ცენტრია, თავის ყველაზე დიდ აღმავლობას განიცდის V—VI საუკუნეებში და იგი ამ თავის უპირატესობას განვითარებულ შუა საუკუნეებშიაც ინარჩუნებს, თუმც იგი ამ დროისათვის დიდი პოლიტიკური მესვეურის როლს ჯერ თიანეთს უთმობს (X ს.), ხოლო შემდეგ კი თელავს (XI საუკუნიდან).

ნეკრესი მდებარეობს ყვარლის რაიონში, სოფ. შილდის სიახლოვეს და წარმოადგენს კახეთის ერთ-ერთ უძველეს ქალაქს, რომელმაც განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა სწორედ ადრექრისტიანულ ხანაში. აღნიშნული ძეგლი კარგა ხანია იქცევს ხელოვნებათმცოდნეთა ყურადღებას [28]. სწორედ მათი ხელმძღვანელობით (სამწუხაროდ არქეოლოგის გარეშე) გაითხარა ნეკრესის ციტადელი (1959—61 წლებში) და ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები. ციტადელით ხელოვნებათმცოდნეები დაინტერესდნენ იმის გამო, რომ სწორედ იქ იყო შემონახული ადრექრისტიანული ხანის უაღრესად საყურადღებო ძეგლები, ეკლესია და სასახლის ნაშთები. როგორც ქართული საისტორიო წყაროებიდან ჩანს, ნეკრესი მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ კერას წარმოადგენდა წინაქრისტიანული ხანიდანვე. მისი აღმოცენება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ალაზნის ბარისა და მისი შესაბამისი მთის ურთიერთობის რეგულაციასთან. მაგრამ ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ მისი როლი და მნიშვნელობა საგრძნობლად გაიზარდა. იგი იქცა ეპარქიულ ცენტრადაც და მისი უშუალო მოვალეობა იყო ალაზნის სათავეებსა და შესაბამის მთაში ქრისტიანობის მეთოდური გავრცელება. როგორც სადაზვერვო სამუშაოებმა გამოავლინა, ნეკრესის ციტადელში გარშემო შემონახულია უზარმაზარი ნაქალაქარი, რომლის ერთი ნაწილი ტყის გაშენებისას განადგურებულა. 1985 წელს ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით წამოწყებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გა-

მოავლინა ნაქალაქარის მძლავრი ნაშთები, სადაც ყველაზე უხვად IV—VII საუკუნეებით დათარიღებული მასალებია წარმოდგენილი. ამ მასალების წინასწარი ანალიზი და მათი შეპირისპირება ციტადელში შესწავლილ ძეგლებთან ნათლად გვიჩვენებს, რომ ნეკრესი, როგორც ქალაქი, განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის სწორედ ადრეულ შუა საუკუნეებში. ამდენად, იგი მისაჩნევია IV—VIII საუკუნეთა ხანის ერთ-ერთ ძლიერ ქალაქად, რომელმაც თავისი პოზიციები დასთმო მხოლოდ მურვან ყრუს გამანადგურებელი შემოსევების შემდეგ. თავისი მატერიალური კულტურით (თიხის სასუფრე და სამზარეულო ჭურჭელი, შრომისა და ბრძოლის იარაღები, სამშენებლო კერამიკა, მონეტები და სხვ.) ნეკრესის ნაქალაქარი მსგავსია რუსთავის, უჯარმის, ჭერმის, თბილისის, მცხეთის და სხვა ძველი ქალაქებისა. ამჟამად ნეკრესს არქეოლოგიურად იკვლევს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია ლ. ჭილაშვილის ხელმძღვანელობით.

ბოლნისი ჩვენ გვაინტერესებს როგორც ტიპიური პროვინციული ცენტრი და ქვემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მცირე ქალაქი, სადაც ადრექრისტიანულ ხანაშივე აღმოცენდა მეტად ცნობილი ეპარქიული ცენტრი. ბოლნისის სიონი [29: 30 და სხვ.] მდებარეობს ფოლადაურის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე. კვლევა-ძიება დაიწყო 1939 წელს ივ. ჯავახიშვილის საერთო ხელმძღვანელობით, გ. ჩუბინაშვილის კონსულტაციებით და ლ. მუსხელიშვილის უშუალო თავკაცობით [29]. არქეოლოგიური კვლევა-ძიება ბოლნისში გამეორდა 1959—60 წლებშიაც (ექსპედიციის ხელმძღვანელი ი. გძელიშვილი. ძეგლი გამოაქვეყნა ჯ. ამირანაშვილმა).

ბოლნისის ნაქალაქარის ცალკეულ უბნებს შორის შედარებით უკეთაა შესწავლილი სიონის ბაზილიკა [30] და ლამაზგორის კომპლექსი [33], გარკვეული მასალები შეგროვილია ნაქალაქარის სხვა უბნებშიაც. ამ მასალების მიხედვით იქ ჯერჯერობით V საუკუნეზე უფრო ადრეული ფენები არ ჩანს. ეს კი ცხადად მიუთითებს, რომ მისი, როგორც პროვინციული ცენტრისა და მცირე ქალაქის, აღზევება იწყება ამავე ხანებიდან (ან. უკიდურეს შემთხვევაში. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან). ეს ემჩნევა არა მარტო ეპარქიული ცენტრის ადგილას აღმოცენებულ ტაძრის კომპლექსს, არამედ თვით ნაქალაქარსაც, რომელიც განფენილია ბაზილიკის ქვემოთ, სოფ. ქაფანაქჩის მოპირდაპირე ტერიტორიაზე. ამ მიდამოებში არქეოლოგებს შემჩნეული აქვთ საკმაოდ ადრეული მასალებიც.

შედარებით უფრო მდიდრული მასალები ქ. ბოლნისის მატერიალური კულტურის შესასწავლად მოიპოვა ქვემო ქართლის ექსპედიციამ 1959—60 წლებში. აქ გათხრილი მცირე ბაზილიკა, გარშემო მდებარე 13 სათავსო, დიდძალი ჩუქურთმიანი ქვები და სტელების ნატეხები, წარწერიანი ჯვრები, თიხის ჭურჭლის სხვადასხვაგვარი ნატეხები, რომლებსაც მრავალი პარალელი მოეძებნებათ ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის ნაქალაქარზე, თარიღდება ძირითადად V—VII საუკუნეებით. როგორც ლ. მუსხელიშვილი ვარაუდობს, ქალაქი ბოლნისი აღმოცენებული იყო დიდი სავაჭრო არტერიის მიღმა, საკმაოდ ძლიერ სასოფლო-სამეურნეო გარემოში. ბოლნისის გაქალაქებას ხელი შეუწყო იქ კათედრალური ტაძრის დაარსებამ. ამ ტიპის ქალაქთა ბედ-იღბალი ყოველთვის დამოკიდებული იყო მშვიდობიანი ცხოვრების განვითარებაზე. მტრების შემოსევა და ხეობის ეკონომიკური დაქვეითება სწრაფად ეტყობოდა ამ პროვინციულ ქალაქებსაც. ადრეულ შუა საუკუნეებში ბოლნისი ყოველთვის ინარჩუნებდა თავის დიდ მნიშვნელობას, თვით არაბების დროსაც კი, რაზე-

დაც მეტყველებს ლამაზგორაზე აღმოჩენილი მონეტა, რომელიც ხალიფა მურვან II-ის (754—770) სახელითაა მოჭრილი [29].

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, სწორედ IV—VIII საუკუნეებში ეტყობათ აღმავლობა სხვა პროვინციულ ქალაქებსაც: ატენს [34, 35], ჟინვალს [36], ცხინვალსა და სხვა. მაგრამ ქალაქური ცხოვრების შემდგომი დაწინაურება ახასიათებთ ისეთ დიდ ქალაქებს, როგორიც იყვნენ: თბილისი, მცხეთა, ნოქალაქევი, ქუთაისი და სხვა.

მცხეთა. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით მცხეთა ითვლება უძველეს ქართულ ქალაქად, თუმც საკუთრივ მცხეთის ბაგინეთის და არმაზისხევის ტერიტორიაზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ ჯერჯერობით ვერ გამოავლინა ქალაქობის საწყისთან დაკავშირებული ფენები. ყოველ შემთხვევაში, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ისტორიის დაწყება თავისუფლად შეიძლება ძვ. წ. I საუკუნიდან [37; 38; 39]. აქედან მოყოლებული, მცხეთის მატერიალურ კულტურაში დაცულია უწყვეტი ცხოვრების კვალი ვიდრე VIII საუკუნის ბოლომდე.

უკანასკნელი წლების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საკუთრივ მცხეთისა და ე. წ. დიდი მცხეთის ტერიტორიაზე გამოავლინა დამატებითი მასალები, რომელთა მიხედვითაც კარგად ჩანს თუ როგორ ვითარდებოდა ქართლის უძველესი დედაქალაქი ადრეულ საუკუნეებში [39; 40; 41; 42, 43; 44, 45 და სხვა]. ქართული წერილობითი ცნობების მიხედვით, მას შემდეგ რაც სამეფო ტახტი ამ ქალაქიდან თბილისში გადაიტანეს, მცხეთამ სწრაფი დაცემა დაიწყო და თბილისის განდიდების ხარჯზე „მცხეთა ათხელდებოდა“. სინამდვილეში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში წარმოებულმა ძიებამ გამოარკვია, რომ თუ მცხეთის შემცირებაზეა საუბარი, ეს მხოლოდ ბაგინეთს და საერთოდ არმაზციხე-არმაზისხევს უნდა შეხებოდა, საიდანაც მეფესთან ერთად თბილისში მთელი მმართველი კლასი უნდა გადასულიყო (ბუნებრივია, თავისი მსახურეულით). რაც შეეხება საკუთრივ მცხეთას, რომელიც მდებარეობს მტკვრისა და არაგვის ხერთვისში და რომლის განსაკუთრებული აღმავლობა დაიწყო ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, ახ. წელთაღრიცხვის V—VI საუკუნეებში კი არ დაცემულა და შემცირებულა, არამედ არაჩვეულებრივი სისწრაფით დაუწყია ზრდა-განვითარება. თანამედროვე ბანკის, ფოსტის, უნივერმაღის, სვეტიცხოვლის, კინოთეატრისა და სხვა ტერიტორიებზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ თვალნათლივ გამოავლინა უმჭიდროესად დასახლებული კვარტალები მრავალფენოვანი სტატიგრაფიული ჭრილებით. სადაც ყველაზე მძლავრად სწორედ IV—VII საუკუნეთა კუთვნილი მასალებია წარმოდგენილი [45 და სხვა].

ამ ფენებში მოპოვებული მასალების მიხედვით, მცხეთა საგანგებოდ ჩანს გამაგრებული ალიზით ნაგები მძლავრი გალავნით. მოსახლეობის სწრაფი ზრდის მანიშნებელია არა მარტო მთაქართლის, სვეტიცხოვლისა და მთელი აწინდელი მცხეთის ტერიტორიაზე აღმოცენებული უმჭიდროესი სამოსახლო უბნები და სიმაგრეები, არამედ უზარმაზარი სამაროვნებიც, რომელთა შორის სამთავროსას 14 ჰექტარი ფართობი უჭირავს. ასევე მძლავრი სამაროვნებია მიკვლეული ფიქრისგორაზე, არმაზისხევში, კარსნისხევში და სხვა ადგილებში. სწორედ ამ სამაროვნების მიხედვით ჩანს, რომ თვით ბაგინეთის მიდამოებში და არმაზისხევში V—VII საუკუნეებისათვის კვლავ საკმაოდ სწრაფად აღდგენილია მოსახლეობა და თითქმის პირწმინდად აუთვისებიათ ვარგისი მიწები. რაც შეეხება საკუთრივ მცხეთას, აქ დიდი ქალაქის წარმოქმნაში, პირ-

ველ რიგში უმთავრესი როლი უნდა ეთამაშა მის მეტად ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას, სავაჭრო გზებზე ყოფნას, იქ ქრისტიანული ეკლესიის უმთავრესი ცენტრის აღმოცენებას და იმ მდიდარ სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონს, რომელიც მცხეთას უძველესი დროიდანვე გააჩნდა. მიკვლეული მასალების მიხედვით შესანიშნავად ჩანს მცხეთის მატერიალური კულტურის ის თავისებურებანი, რაც დამახასიათებელი იყო საქალაქო ყოფისათვის: მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი და სამშენებლო კერამიკა, რომელიც ადგილობრივ ნედლეულ ბაზაზე იყო დაფუძნებული; მინის მრავალფეროვანი ნაწარმი, რომლის წარმოებაც ადგილობრივაცაა ნაგულისხმევი; კალიური თიხისაგან ნაკეთები მწვანედ მოჭიქული ჭურჭლები, ვერცხლის, ოქროს, ბრინჯაოს, რკინისა და ძვლისაგან დამზადებული ნივთ-სამკაულები, გემიანი ბეჭდები, მონეტები და სხვ. ამასთანავე მცხეთა უკვე IV საუკუნიდანვე იქცა ქრისტიანული ხუროთმოძღვრების განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ცენტრად. IV—VII საუკუნეებში ზედიზედ აშენდა ქართული ხუროთმოძღვრების იმ ეთი შედევრები, როგორიც იყო სვეტიცხოველის ბაზილიკა, სამთავროს ეკლესია, ანტიოქია, ჯვრის ბრწყინვალე ტაძარი და სხვა. მცხეთის უდიდეს ეკონომიკურ შესაძლებლობებზე მეტყველებს ალიზით ნაგები გრანდიოზული გალავანი, რომელიც სწორედ ადრეულ შუა საუკუნეებში იქნა აგებული და რომლის ნაშთებიც კიდევაა შემორჩენილი მცხეთის ჩრდილო-დასავლეთ ზოლზე.

მცხეთის უახლოესმა აღმოჩენებმა ცხადყო საისტორიო წყაროთა ჩვენება. ევსტატ მცხეთელის დროს აქ მძლავრად იყო განვითარებული ხელოსნობა. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში უკვე არსებობდნენ ხელოსანთა დარგობრივი ორგანიზაციები და გაერთიანებები; რომ ფეოდალური საზოგადოების წიაღში აღზევებულ ამ ძველ ქალაქში ყველა დარგის ხელოსნებს საკუთარი გაერთიანება ჰქონია; რომ ქალაქი სოფლის მეურნეობასთან შერწყმულ პუნქტად კი არ იქცა, არამედ მისგან მკვეთრად გამიჯნულ და თვითმყოფად ერთეულად. არქეოლოგიური მასალების მიხედვით ყველაზე დიდი ხალხმრავლობა მცხეთაში უნდა ყოფილიყო სწორედ V—VIII საუკუნეებში.

მცხეთის დაცემა-განადგურება უკავშირდება იმავე მტრვან ყრუს ლაშქრობას, თუმც რელიგიური მესვეურის როლი მცხეთას არასდროს დაუთმია.

თბილისი. თბილისის აღმოცენება ძლიერ ციხე-სიმაგრედ და ქალაქად დაკავშირებული იყო იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში ადრეფეოდალური ხანის დასაწყისიდანვე. მესამე საუკუნის ბოლოს და მეოთხე საუკუნისათვის იგი წარმოადგენდა უკვე ცნობილ პუნქტს, საიდანაც სასანური იმპერიის მესვეურები ახორციელებდნენ ზეგავლენას მცხეთაზეც და ქართლის სამეფოზე. ქართლის მეფეების და განსაკუთრებით ვახტანგ გორგასლის დროს, როდესაც ქართლის სამეფოსათვის „აღმოსავლურმა პოლიტიკამ“ ერთგვარი სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა და როდესაც წარმოებდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გარეშე ძალების წინააღმდეგ, გარდაუვალი შეიქნა თბილისის დაუფლება, რადგანაც ეს მეტად მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი წარმოადგენდა მთავარ გასაღებს აღმოსავლეთისაკენ. აქვე წყდებოდა ქართლის შიდა რაიონის უშიშროების საკითხიც. V საუკუნეში ვახტანგმა შეძლო ამ რთული ამოცანის გადაჭრა და თბილისი გამოაცხადა თავისი სამეფოს სატახტო ქალაქად, რამაც გამოიწვია მისი სწრაფი აღმავლობა. თბილისი ამ თვალსაზრისით ფეოდალურ ურთიერთობათა წიაღში აღმოცენებულ ქალაქს წარმოადგენდა და ადრეული შუა

საუკუნეების ურბანისტული პროცესების შესწავლისათვის მის სათანადო გამოკვლევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება [46; 47; 48; 49; 25 და სხვა].

დღეისათვის არსებული არქეოლოგიური მასალების უმთავრესი ნაწილი, რომელიც შესაძლოა გამოდგეს ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის თბილისის დასახასიათებლად, მოპოვებულია, ერთი მხრივ, ქალაქის ცენტრში, ანჩისხატის და სიონის ეკლესიას შორის, ერეკლე მეორის მოედანზე [50; 25; 52] და დედაციხეზე [53], ხოლო მეორე მხრივ, დღევანდელი თბილისის გარეუბნებში [50; 51; 54 და სხვა].

ქ. თბილისის ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის მატერიალური კულტურის შესწავლისათვის განსაკუთრებით ძვირფასია ერეკლეს მოედანზე აღმოჩენილი მასალები, სადაც გამთხრელებმა გამოყვეს რამდენიმე ფენა, რომელთა შორის ყველაზე ქვედა ორი შრე განეკუთვნება შესაბამისად III—IV და V—VI საუკუნეებს. ამ ფენაში მოქცეულ ნამოსახლარებს შორის ნაპოვნი მასალებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა საბეჭდავი, რომლის თვალზეც ამოკვეთილია მამაკაცის (შესაძლოა დიდებულის) სახე, რომლის გარშემოც რტო და ფოთლებია ამოკვეთილი. ყოველივე ამან მკვლევრებს, მათ შორის გ. ლომთათიძეს, საშუალება მისცა ევარაუდა, რომ ერეკლეს მოედანზე უკვე V—VI საუკუნეებისათვის არსებობდა არისტოკრატიული უბანი [52].

გარკვეული შედეგებით დასრულდა ნარიყალას არქეოლოგიური გათხრები, თუმცა აქ ადრეულ შუა საუკუნეთა ფენებისათვის ჯერ არ მიუღწევიათ. მაგრამ ზედა ფენებში შემთხვევით აღმოჩენილი ცალკეული საგნების მიხედვით ჩანს, რომ აქაც საკმაოდ ინტენსიური ცხოვრება ყოფილა ამ პერიოდში [53]. საყურადღებოა, რომ V—VII საუკუნეებისათვის მჭიდროდ ყოფილა დასახლებული თბილისის სასოფლო-სამეურნეო რაიონი, მისი მკვებავი ზონა; დიღომში, ვაკეში, გლდანში და სხვა [54; 18; 19; 50 და სხვა].

ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის თბილისის მატერიალური კულტურის დახასიათებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი პერიოდის ქრისტიანული, საფორტიფიკაციო და საერო ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლას. მათ შორის განსაკუთრებით გამოიყოფა ანჩისხატის ბაზილიკა, სადაც სარესტავრაციო სამუშაოების დროს საკმაო საყურადღებო მასალებია მოძიებული [46; 47; 48; 49 50 და სხვა]. როგორც ვარაუდობენ, თბილისს VI საუკუნეში უნდა ჰქონოდა ორი მთავარი უბანი: ციხისა და ქალაქისა, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევს ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სოღდებილის ანუ საგოდებლის აღმოჩენა და შესწავლა, რაც ამჟამად თითქმის შეუძლებელია ქალაქის მჭიდროდ დასახლების გამო.

წერილობითი წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თბილისის განსაკუთრებული აღმავლობა იწყება VI საუკუნიდან, რასაც მხარს უჭერს არქეოლოგიური მასალებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების ანალიზი. წერილობით წყაროებში, (კერძოდ ქართლის ცხოვრება, აღწერს რა ჰერაკლ კეისრისა და ხაზარების ლაშქრობას კავკასიაში) თბილისი წარმოდგენილია როგორც უმდიდრესი და ხალხმრავალი ქალაქი, ხოლო მოსე კალანკატუელის ცნობით კი ხაზარებმა დიდი ბრძოლით აიღეს „ნებიერი მოვაჭრე და სახელგანთქმული დიდი ქალაქი თბილისი. გაოცებული დარჩენილან ნაალაფევის სიმრავლეთა და სიმდიდრით.

არაბების კავკასიაში შემოჭრის შემდეგ თბილისი გადაიქცა არაბი ამირას რეზიდენციად და, ბუნებრივია, იგი კიდევ უფრო შლის ფრთებს და მისი პო-

ლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობაც იზრდება. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე სრულიად აშკარაა, რომ საქართველოს ახალი დედაქალაქი აღმოცენდა ფეოდალური ურთიერთობების განმტკიცებისა და გამარჯვების პერიოდში, მის ადრეულ საფეხურზე და მისი შინაგანი განვითარება სავსებით შეესაბამებოდა ახალ სოციალურ ვითარებას [18; 19; 47; 49; 48 და სხვ].

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის ქალაქებს, მათ შორის მაგალითისათვის მხოლოდ ორს შევეხებით: ნოქალაქევსა და ქუთაისს. თუმცა, როგორც არქეოლოგიური მასალები გვიჩვენებს, ადრეულ შუა საუკუნეებში განიცადეს აღმავლობა: ვარდციხემ [55, 56], ბიჭვინთამ [56; 57; 58; 59; 63], სებასტოპოლისმა ანუ ცხუმმა [60 და სხვა], ვაშნარმა[62], ანაკოფიამ და სხვა მრავალმა.

ნოქალაქევი ანუ არქეოპოლისი. მდებარეობს სენაკის რაიონში, მდინარე ტეხურის მარცხენა ნაპირზე და შეფენილია ქედზე, იმგვარად, რომ ჩვედაციხე მდინარის ნაპირზე, ხოლო ციტადელი საკმაო მიუვალ ქედობზეა, რომელიც ჩრდილოეთიდან გადმოჰყურებს ჩვედა ციხეს [64; 67]. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოავლინა, რომ მასალები ქალაქის უძველესი ისტორიისათვის ჯერჯერობით საკუთრივ ქალაქის ტერიტორიაზე არ გამოვლენილა, რაც წყაროების ჩვენებასთან წინააღმდეგობაშია. ძველი უცხოური წყაროები ამ ქალაქს არქეოპოლისს ანუ ძველ ქალაქს უწოდებს. ძვ. წ. III—I საუკუნეების სამაროვნის აღმოჩენა გალავნის გარეთ თითქოს იმის იმედს გვიტოვებს, რომ ადრეარმაზული ხანის (ანუ ელინისტური პერიოდის) მასალები შეიძლება ციხის შიგნითაც აღმოჩნდეს. ჯერჯერობით ყველაზე ძველ ნაგებობათა ნაშთები ამ გრანდიოზულ ციხეში თარიღდება ახ. წ. IV საუკუნით. აღსანიშნავია, რომ ნოქალაქევს აღმოსავლეთიდან ანუ კარიბჭის მხარეს შემორჩენილი აქვს სამმაგი გალავანი, რომელიც ნაგებია გრანდიოზული კვადრებით და დიდი სამშენებლო ხელოვნებით. ამ სამი ზღუდიდან პირველი თარიღდება IV საუკუნით, მეორე — IV—V საუკუნეებით და მესამე კი — V საუკუნის დასასრულითა და VI საუკუნის პირველი ნახევრით [64, გვ. 117—118]. ნოქალაქევის რთულ სასიმაგრო კომპლექსში ყველაზე მნიშვნელოვანი შენობები მდგარა ტეხურის ნაპირას. მათ შორის აღსანიშნავია: ორი ეკლესია, რომელთაგან ბაზილიკა და მის ქვეშ მოქცეული ეკლესია დათარიღებულია IV—V საუკუნეებით, სასახლის დიდრონი ფრაგმენტები და სხვა. აქვეა შემონახული ტეხურაზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბი. ამ ნაგებობათა თხრისას გამოვლენილია საკმაოდ საყურადღებო და მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მასალები, რომლებიც ქრონოლოგიურად სავსებით შეესატყვისება სათანადო სამშენებლო საფეხურებს. მთელი ამ მასალის ერთობლივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეგრისის დედაქალაქი არქეოპოლისი ანუ ქუჯის ციხე, დღეს რომ მოსახლეობა ნოქალაქევს უწოდებს, თავისი განვითარების ზენიტში იმყოფებოდა V—VI საუკუნეებში. შემდეგ არქეოპოლისი, როგორც ჩანს, თანდათანობით ეცემა და ეს უნდა მომხდარიყო არა იმიტომ, რომ ახლად დამკვიდრებულ ფეოდალურ საზოგადოებაში მას გამოეცალა ეკონომიკური საფუძველი, არამედ იმიტომ, რომ ნოქალაქევმა დაკარგა მნიშვნელობა, როგორც პოლიტიკურმა ცენტრმა ქუთაისის აღორძინება-გაძლიერებასთან დაკავშირებით [65].

ქუთაისი — დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, უძველესი დროიდანაა სავარაუდებელი, რაზედაც მიუთითებს იქ აღმოჩენილი ადრეული კულტურული ფენები [66; 68], რომელთა შესწავლა ახლაც დიდი

ინტენსივობით გრძელდება. უკანასკნელი წლების ყველაზე მნიშვნელოვანი შენაძენია უზარმაზარი გათხრითი სამუშაოების ჩატარება ქუთაისის ძველ ციხეზე უქიმერიონზე, იმ ტერიტორიაზე, სადაც აღმართულია დიდებული ბავრატის ნანგრევები. ახალმა საველე სამუშაოებმა უქიმერიონის ციხეზე (ხელმძღვანელი ო. ლანჩავა) გამოავლინა ქალაქის გრანდიოზული გალავნის ნაშთები, რომლებიც ამ ციხის ტერიტორიის თითქმის მთელ პერიმეტრზეა შემონახული. ქალაქის შიდა ტერიტორიაზე გადახსნილია საკმაოდ დიდი ფართობი, სადაც გამოვლენილია, ერთი მხრივ, გალავნის თითოეული ფენის შესატყვისი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ მდიდრული არქეოლოგიური მასალა, რომელთა შორის სიუხვით გამოირჩევა თიხის ნაწარმი. ამ კერამიკულ მასალაში, ერთი მხრივ, გვაქვს ადგილობრივ ტრადიციებზე დამზადებული სასუფრე და სამეურნეო ჭურჭელი, ხოლო მეორე მხრივ კი, შავიზღვისპირეთის ქალაქებისა და საწარმოო კერებში დამზადებული წითელკეციანი და ვიწროწელიანი ამფორების ნიმუშები, რომლებიც ქუთაისში ვაჭრობის გზით უნდა იყოს შემოსული. გათხრები გრძელდება, მაგრამ უკვე აღმოჩენილი მასალების მიხედვით, იქ გამოიყოფა ოთხი სამშენებლო დონე. რომელთაგან სულ ქვედა — ორი ადრეული შუა საუკუნეების ჩარჩოებში ექცევა. ამ ქვედა ორი სამშენებლო დონიდან ყველაზე ძველი თარიღდება IV—V საუკუნეებით. როგორც ჩანს, სწორედ IV საუკუნიდან იწყება ქუთაისის გაძლიერება. თავისი სტრატეგიული მდებარეობით და უმდიდრესი სასოფლო ხორით ქუთაისმა შეძლო იმთავითვე მეტოქეობა გაეწია ნოქალაქევისათვის. IV—V საუკუნეებში იგი ყალიბდება ერთ-ერთ უდიდეს ციხე-ქალაქად, რომლის წიაღიც უხვად იძლევა გვიანარმაზული ტრადიციებიდან მომდინარე თიხის ნაწარმს. ეს ქვედა დონე საფუძვლიანად ჩანს დანგრეული, შესაძლოა, VI საუკუნის დასაწყისში, რის შემდეგაც საფორტიფიკაციო ნაგებობები აღუდგენიათ კიდევ მეტი ბრწყინვალებით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქუთაისმა ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია მეორე სამშენებლო დონეზე, რაც არქეოლოგიური მასალებისა და სტრატიგრაფიით თარიღდება (VI—VIII საუკუნეები). გამორიცხული არ არის, რომ ქუთაისის ციხე იმსხვერპლა მურვან ყრუს მსახვრალმა ხელმა. განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში წარმოიშვა ახალი ციხესიმაგრე, რომელიც რამდენჯერმე გადაკეთებულა[69].

ჩვენ მიერ აქ მოკლედ აღწერილი ქართული ნაქალაქარები, ძირითადად, ადრეულ შუა საუკუნეებში ჩანს აღმოცენებული, იმ ახალი სოციალურ-ეკონომიკური ძვრების წიაღში, რასაც ადგილი ჰქონდა ჩვენში ახალი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის პირველ ნახევარში. მაგრამ თუ თვალს გადავავლებთ სხვა ქალაქების ისტორიასაც, რომლებიც წინაქრისტიანულ ხანაში უკვე დიდი ხანია არსებობდნენ (მაგ., უფლისციხე, ურბნისი, კასპი, საირხე, ფაზისი, სებასტოპოლისი — ცხუმი და სხვ.), ვნახავთ, რომ მათმა უმრავლესობამ ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვების საწყისიდანვე განიცადა საკმაოდ თვალსაჩინო აღმავლობა, რაც იმის ამკარა მანიშნებელია, რომ არსებული ეკონომიკური ვითარება და სოციალური გარემო სრულიად ხელშემწყობ პირობებს ქმნიდა ურბანიზაციის პროცესის შემდგომ წინსვლისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ურბნისის მაგალითი, რომელიც, არქეოლოგიური მასალების მიხედვით, საქართველოს ერთ-ერთი უძველესი საქალაქო ცენტრი იყო. მაგრამ ადრექრისტიანული ხანიდან დაიწყო არა თუ მისი დაქვეითება, არამედ სწორედ ადრეულ შუა საუკუნეებში მიაღწია მან

თავისი განვითარების მწვერვალს და სწორედ ამ ხანაში განხორციელდა ურბანისში ყველაზე უფრო დიდი სამშენებლო სამუშაოები [70; 71, 72 და სხვ.].

ასევე საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცენტრს და ძლიერ ქალაქს წარმოადგენდა უფლისციხეც [75], რომელიც ჯერ კიდევ ე. წ. ადრეანტიკური ანუ გვიანბერიული ხანიდან ასრულებდა მნიშვნელოვან როლს, მაგრამ ახალ სოციალურ გარდატეხათა ხანაში ამ ქალაქს არა თუ არსებობა არ შეუწყვეტია, არამედ, პირიქით, იგი ადრეულ შუა საუკუნეებში იქცა ერთ-ერთ ძლიერ და გამორჩეულ პოლიტიკურ ცენტრად ქართლის სამეფოში [73; 74[.

აღსანიშნავია, რომ საქალაქო ცხოვრების შემდგომი აღმავლობა დამახასიათებელია როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოსათვის.

ჩვენ ქვემოთ კიდევ შეგვეძლო მოგვეყვანა ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სხვა ქალაქების აღწერაც, როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოდან, მაგრამ, ვფიქრობთ, ზოგიერთი დასკვნის გამოსატანად აქ მოყვანილი მასალაც საკმარისია.

უპირველეს ყოვლისა, როდესაც ვცდილობთ განვაზოგადოთ ჩვენი მსჯელობა, ყურადღებას იქცევს თვით არქეოლოგიური ობიექტებისა და განათხარი მასალების ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის თითქოს არც ერთი ნაქალაქარი გათხრილი არ არის სრულყოფილად, მაინც აშკარად შეიმჩნევა, რომ ახალი წელთაღრიცხვის III—V საუკუნეებში საქართველოში საქალაქო ცხოვრება განიცდის საგრძნობ, ზოგ შემთხვევაში ძლიერ აღმავლობას. ჯერ ერთი, სრულიად ცხადია, რომ არსებობას განაგრძობს ძველ ქალაქთა საგრძნობი ნაწილი [79] და მათ შორის ისეთები, რომლებიც ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ გარემოში არსებობდნენ. კიდევ უფრო ძლიერდება და ვითარდება მცხეთა, ურბნისი, ნოქალაქევი და სხვ. იმავე ახალი არქეოლოგიური მასალებით (მცხეთა, არაგვის ხეობა, ერწო-თიანეთი, ლიახვის აუზი, ზემო იმერეთი და სხვ.) ისიც კარგად ჩანს, რომ თავის ძველ ადგილას განაგრძობს არსებობას გვიანარმაზული ხანის სოფელთა უმრავლესობაც.

არქეოლოგიური მასალებით სრულიად უეჭველადაა დადგენილი, რომ ახ. წ. III—V საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებული ჩანს არაერთი ახალი ქალაქი (თბილისი, უჯარმა, ნეკრესი, ჭერემი, ხორნაბუჯი, ვარდციხე, პეტრა, ქუთაისი — უქიმერიონი და სხვა), რომლებმაც იმთავითვე დაიკავეს საპატიო, ხოლო ზოგ შემთხვევაში წამყვანი ადგილი საქართველოს ეკონომიკაში, პოლიტიკასა თუ კულტურულ ცხოვრებაში, თბილისი კი საბოლოოდ იქცა სრულიად საქართველოს დედაქალაქად. ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მასალები ნათლად გვიჩვენებს საქალაქო მეურნეობისა და სამშენებლო ხელოვნების დაწინაურების შთამბეჭდავ სურათს. სწორედ ამ პერიოდში, განსაკუთრებით კი 337 წლის აქტის შემდეგ, იწყება ქართული ხუროთმოძღვრების — ქვითხუროობის განვითარების ახალი საფეხური. ქრისტიანული ცივილიზაცია იძენს თავის სრულყოფილ სახეს და ამ საინტერესო პროცესში განუზომელი იყო ქალაქთა როლი.

საქრისტიანო ხუროთმოძღვრების დანერგვამ და განვითარებამ საქართველოში დიდად შეუწყო ხელი ურბანიზაციის შემდგომ წინსვლას. ქრისტიანულ ეპარქიათა უმთავრესმა ცენტრებმა თავი მოიყარა დიდ ქალაქებში. ამავე დროს განვითარება იწყო სამონასტრო მოძრაობამ, რაც დიდად უწყობდა ხელს ქრისტიანული სულიერი და მატერიალური კულტურის შემდგომ სრულყოფას. იმავე არქეოლოგიურ მასალებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საქარ-

თველოში ურბანიზაციის ეს პროცესი, მიუხედავად არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარებისა, V—VIII საუკუნეებშიაც საკმაოდ ძლიერი იყო. ამ პერიოდისათვის ნოქალაქევის მაგალითი გამონაკლისია და ლაზიკის ყოფილი დედაქალაქის დაქვეითებას თავისი მიზეზები ჰქონდა. ეს მოვლენა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან და ეკონომიკაში მომხდარ დიდ ძვრებთან. ნოქალაქევის დაცემა ძირითადად გამოწვეული იყო იმითაც, რომ VI საუკუნიდან იგი პირველობას უთმობს აღმავალ ქუთაისს, რომელიც თავისი სტრატეგიული მდებარეობით, ძლიერი სასოფლო რაიონით და დიდ გზებთან სიახლოვით დასავლეთ საქართველოს უცილობელი პოლიტიკური მესვეური გახდა.

სწორედ VI—VIII საუკუნეებში ხალხმრავალი და ძლიერი ქალაქებია: მცხეთა, რომლის ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სამაროვნების საერთო ფართობი 20 ჰექტარს აჭარბებს; თბილისი, რომელიც ჰერაკლე კეისრის დროს აღმოსავლეთის ერთ-ერთ უმდიდრეს ქალაქად იყო აღიარებული; რუსთავი, ნეკრესი, ხორნაბუჯი, ჟინვალი, ურბნისი, ვარდციხე და სხვა. ქალაქთა ერთი ნაწილის დაცემა (უჯარმა, ჭერემი, ბიჭვინთა და სხვ.) მჭიდროდ იყო დაკავშირებული სრულიად კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებასთან და აგრეთვე სავაჭრო გზების გადაადგილებასთან, რის გამოც მათ მოეშალათ ეკონომიკური ძლიერების მთავარი საფუძველი. თუ შავიზღვისპირეთის ქალაქები — ბიჭვინთა, სებასტოპოლისი და სხვ. ნაწილობრივ დაეცა ან დაქვეითდა, ეს ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ნიადაგზე გამოწვეული მოვლენა კი არ იყო, არამედ გართულებულ საგარეო ურთიერთობათა ნაყოფი. კერძოდ, ჰუნების დამანგრეველმა ტალღებმა სრულიად მოშალა ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეკონომიკა და მინიმუმამდე დაეცა საზღვაო ვაჭრობა. შედეგმაც არ დააყოვნა. ქალაქებისა და მსხვილი სახელოსნო ცენტრების დასუსტება-დაქვეითებაზე, გარდა რთული პოლიტიკური მოვლენებისა, დიდ გავლენას ახდენდა დიდი და საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზების სიცოცხლისუნარიანობაც.

მაგალითად, სასანური ირანის გაძლიერებამ და მის მიერ ფართო დაპყრობითმა ომებმა, რის გამოც იგი შეეჯახა ბიზანტიის იმპერიას, მოშალა ადრევე არსებული სავაჭრო გზების თითქმის მთელი სისტემა. სწორედ ამ ხანებში კარგავს თავის მნიშვნელობას ე. წ. შემოვლითი გზა, რომელიც წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებს აკავშირებდა კავკასიასთან და კავკასიის მეშვეობით ჩრდილოეთის ქვეყნებთან. **პევტინგერის** ტაბულაზე შემონახული ეს გზა, რომელიც ამავე დროს იყო ამიერკავკასიის სახელმწიფოთა დედაქალაქების შემაერთებელი მთავარი მაგისტრალი, დიდ გავლენას ახდენდა კავკასიის ეკონომიკურ განვითარებაზე და მისმა მოშლამ ბევრ რეგიონსა და ქალაქს მიაყენა მომაკვდინებელი დარტყმა.

სწორედ არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარების გამო, რაც ბიზანტია-ირანის გაუთავებელმა ომებმა გამოიწვია, გეზი შეუცვალა აბრეშუმის დიდ გზასაც და მან გადაინაცვლა ჩრდილოეთისაკენ. კერძოდ, ჩინეთ-ინდოეთიდან მომდინარე ქარავნები ხაზარეთ-ოსეთის გავლით გადალახავდნენ რა კავკასიონის ქედს, მდ. კოდორის ხეობით ეშვებოდნენ შავიზღვისპირეთში. სწორედ ამ დროიდან იქცა კოდორის გზა აფხაზეთის დიდ გზად. ამ გზის ძალუმად ამოქმედებამ გამოიწვია ქართულ-აფხაზური ტომთა საგრძნობი დაწინაურება და იმ ზომამდე გაძლიერება, რომ (ამაზე მეტყველებდნენ წებელდისა და სებასტოპოლისის არქეოლოგიური მასალები) სულ მალე ეს რეგიონი აქტიურად ჩაება ჯერ

დასავლეთ საქართველოს, ხოლო მოგვიანებით, სრულიად საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ზემოხსენებული შემოვლითი გზის მოშლამ კი, როგორც არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები გვიჩვენებენ, გამოიწვია კახეთის ბევრი ქალაქის დაცემა (უჯარმა, ჭერემი), თუმც ხორნაბუჯი და რუსთავი თავის დიდ მნიშვნელობას მაინც არ კარგავს VI—VIII საუკუნეებშიც. თბილისი და მტკვრისპირა სხვა ქალაქები სასანურ ხანაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული ირანულ სამყაროსთან ბარდავ-თბილისის გზით.

არქეოლოგიური მასალების ერთობლივი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოში ახ. წ. IV—VIII საუკუნეები ქალაქური ცხოვრების აღმავლობისა და ურბანისტული პროცესების გაღრმავების და დაწინაურების ხანადაა მისაჩნევი და არა პირიქით. ჩვენი ღრმა რწმენით, იდენტური ვითარებაა ზოგადად საძებნი სომხეთსა და ალბანეთში, თუმც ამ ორ სახელმწიფოში მოქმედებდა მრავალი ადგილობრივი ხასიათის მოვლენა, რაც თავისებურად წარმართავდა ამ ქვეყნების ქალაქური ცხოვრების პროცესს. კერძოდ, სომხეთი იყო კონტინენტური ქვეყანა, რომელიც უფრო არსებითად იყო დამოკიდებული ე. წ. შემოვლით გზაზე. ამ მაგისტრალის მოშლას შესაძლოა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევაც სომხური ქალაქების დაქვეითება, მაშინ როდესაც ქართლის სამეფოს გარესამყაროსთან დამაკავშირებელი სხვა გზებიც გააჩნდა, მათ შორის შავ ზღვაზე გამავალი.

ურბანიზაციის საკითხებთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებოა მცირე აზიის, ბალკანეთისა და ბიზანტიის ვრცელი იმპერიის სხვა დანარჩენი კუთხეების მასალებიც. როგორც სპეციალური გამოკვლევებით ირკვევა, IV—V საუკუნეების ბიზანტიის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება ის იყო, რომ ამ პერიოდში, როგორც მეტროპოლიაში, ასევე მის პერიფერიებშიც ქალაქები და საქალაქო ცხოვრება უდიდეს როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ ყოფაში [87; გვ. 101 და შემდეგი]. რომის იმპერიის დასავლეთი ნაწილისაგან განსხვავებით, სადაც ხსენებულ პერიოდში ქალაქები და საქალაქო ცხოვრება თითქმის ჩამქრალი იყო, ბიზანტიაში მონათმფლობელური სისტემის რღვევის ეს პროცესი რამდენადმე განსხვავებული გზით წარიმართა, არა და საბერძნეთიც ხომ კლასიკური მონათმფლობელური ქვეყანა იყო თავის დროზე.

ზოგიერთ მკვლევართა გამოანგარიშებით, ბიზანტიაში V—VI საუკუნეებში 1000-მდე ქალაქი იყო. ადრექრისტიანული ხანის ბიზანტია, რომელიც ფაქტიურად აღმოცენებული იყო მონათმფლობელური წყობილების ნანგრევებზე, ითვლებოდა „ქალაქთა ქვეყნად“. ამასთანავე, საშუალო და მცირე ქალაქების გვერდით არსებობდა მსხვილი ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 100 ათასს აჭარბებდა. მაგალითად, IV საუკუნის ბოლოს კონსტანტინოპოლის მოსახლეობა 100 ათასი, ხოლო V საუკუნეში 150 ათასი იყო. ანტიოქია IV—V საუკუნეებში ითვლიდა 250 ათას სულს, ხოლო ალექსანდრიის მოსახლეობამ კი ამავე ხანაში 300 ათასს მიაღწია. იმპერიაში ასევე დიდ ქალაქებად ითვლებოდა: თესალონიკა, იერუსალიმი, ედესა, ტირი, ბეირუთი, ფილიპოპოლი, დამასკო, ნიკეა, ეფესი, ნიკომიდია და სხვა [87, გვ. 101—128].

გ. კურბატოვი, რომელიც წლების განმავლობაში იკვლევდა ბიზანტიური ქალაქების ისტორიას და მათ სოციალურ არსს (მიუხედავად იმისა, რომ საკითხს განიხილავდა დოგმატური მარქსიზმის პოზიციებიდან), მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღმოსავლეთ რომის იმპერია ანუ მერმინდელი ბიზან-

ტიის სახელმწიფო განვითარდა რომისაგან რამდენადმე განსხვავებული გზით, სადაც მონობის ინსტიტუტის დაცემის პარალელურად უკვე ახ. წ. II—III საუკუნეებში გავრცელება იწყო კოლონატმა [80, 81; 82, 83], რაც, ჩვენი რწმენით, გამოწვეული იყო მახლობელ აღმოსავლეთთან სიახლოვით და ამ უკანასკნელის ეკონომიკასთან დიდი სიმჭიდროვით და მისი ზეგავლენით. ადრეულ შუასაუკუნეთა ბიზანტიის ისტორიის საბჭოთა მკვლევრებს მიაჩნდათ, რომ მონათმფლობელური ქალაქის დაცემა ბიზანტიაში განხორციელდა VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე [84; 85 და სხვ.]. თუმცა, როგორც ირკვევა [86], ბიზანტიური ქალაქების რიცხვის შემცირება მომხდარა წვრილი და საშუალო ქალაქების გაჩრობის და დიდ სავაჭრო გზებზე მარჯვედ მდებარე ქალაქის გამსხვილების ხარჯზე (ასეთები იყო: კონსტანტინოპოლი, ანტიოქია, ალექსანდრია და სხვა).

ეს იყო ბუნებრივი პროცესი და ყველა ნიშნით ურბანიზაციის ისტორიაში ახალი თვისობრივი ნახტომი და არა ის, რომ IV—V საუკუნეთა ბიზანტიური ქალაქები, როგორც მონათმფლობელური შინაარსით გაჟღენთილი ერთეულები, ინერციით განაგრძობდა არსებობას. ამავე დროს არ უნდა დავივიწყდეს, რომ სწორედ IV—V საუკუნეებში ბარბაროსული ტომების შემოტევების წყალობით განადგურდა და ჩაკვდა არაერთი ათეული ქალაქი ისეთ მონაპირე ქვეყნებში, როგორიც იყო ბალკანეთი, სამხრეთ ევროპა, მცირე აზია და სხვა. მცირე ქალაქების მოსახლეობა გარბოდა უფრო ძლიერ და სამხედრო თვალსაზრისით კარგად დაცულ მსხვილ ქალაქებში, რაც იწვევდა ქალაქთა საერთო რიცხვის შემცირებას. მიუხედავად ამისა, ბიზანტია IV—V საუკუნეებში მაინც რჩებოდა „ქალაქთა ქვეყნად“. მკვლევრები არ უარყოფდნენ, რომ IV—V საუკუნეებში ბიზანტიის იმპერიაში წარმოიქმნებოდა ახალი ქალაქებიც, თუმცა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ესენი თავისი სტატუსით უკვე აღარ იყვნენ პოლისები, არამედ წარმოადგენდნენ სავაჭრო-სახელოსნო და ადმინისტრაციულ ცენტრებს [87, გვ. 105].

აქ მოყვანილი მოკლე მსჯელობიდან, ვფიქრობთ, კარგად ჩანს, რომ ქალაქები და საქალაქო ცხოვრება თვით ბიზანტიის იმპერიაშიც კი, რომელიც მონათმფლობელური სისტემის ერთ-ერთ ციტადელს წარმოადგენდა ანტიკურ ხანაში, არ ჩამკვდარა. მონათმფლობელური წყობილების წიაღში აღმოცენებული ბევრი ქალაქი სწრაფად შეეგუა ახალ ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს და ადრეფეოდალურ ურთიერთობათა ვითარებაშიც განაგრძობდა განვითარებას. თუ ასეთი სურათი გამოიკვეთა მონათმფლობელური სისტემის წიაღში აღმოცენებული ადრეფეოდალური ბიზანტიის მიმართ, ბუნებრივია, სულ სხვაგვარ განმარტებას თხოულობს ურბანიზაციის ისტორიასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოსა და კავკასიაში, სადაც სოციალური განვითარება სრულიად დამოუკიდებელი გზით წარიმართა. მას შემდეგ, რაც ქართულმა ისტორიოგრაფიამ უარყო საქართველოს მონათმფლობელური გზით განვითარების თვალსაზრისი, გარდაუვალი შეიქმნა ურბანიზაციის ისტორიისადმი ახლებური მიდგომა, მით უმეტეს, რომ ამის საფუძველს უკვე კარგა ხანია ჰქმნის არქეოლოგიური მეცნიერება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში სადღეისოდ გაბატონებულია თვალსაზრისი, რომ ფეოდალური ქალაქი თავისი გენეზისით აღმოცენებულია ანტიკური ქალაქისაგან, მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში [88; 18; 19, 73, 74 და სხვა] და რომ ახ. წ. IV—V საუკუნე არის ძველი ქართული ქალაქების დაცემის დასაწყისი [19, გვ. 15], ხოლო VI—VIII საუკუნეები კი ქალაქებს

დაცემის ხანა [19, გვ. 60 და შემდეგი], ჩვენი ღრმა რწმენით, უკვე კარგა ხანია მოძველდა. რა თქმა უნდა. ჩვენი წინამორბედი კოლეგები, როდესაც სპეციალურად იკვლევდნენ ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებას, იძულებული იყვნენ დამორჩილებოდნენ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში იმ დროს ხელოვნურად დანერგილ თეზას, მონათმფლობელური სტადიის აუცილებელ არსებობის შესახებ, მაგრამ არქეოლოგიური ფაქტები იმდენად დიდ წინააღმდეგობაშია ამ თვალსაზრისთან, რომ ეჭვი ქართული ფეოდალური ქალაქის განვითარების თავისებურებათა შესახებ კარგა ხანია უნდა წარმოქმნილიყო. მოხდა კი პირიქით: ამ თვალსაზრისმა დღემდე შეინარჩუნა გაბატონებული მდგომარეობა და კონცენტრირებული სახით იგი აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II წიგნში [76, გვ. 118—138].

როგორც უახლესი გამოკვლევები გვიჩვენებს [2; 3. 4; 6, 7; 8; 9; 10; 11; 12; 13 და სხვა], ახალი სოციალური სისტემა, რომელსაც მეცნიერები ფეოდალიზმს უწოდებენ, საქართველოში ჩაისახა და განვითარდა თემური წყობილების წიაღში, სასოფლო თემის თანდათანობითი რღვევის პარალელურად და ქართული ქალაქების ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები ძირეულად განსხვავდებოდა ბერძნულ-რომაული ქალაქებისაგან, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თავისი ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე უმჭიდროესად იყო დაკავშირებული ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან. ქართული ფეოდალიზმი თავისი საწყისებით და შინაარსით ასევე სრულიად განსხვავებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური სისტემებისაგან.

არქეოლოგიური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ქართული ქალაქები ახ. წ. IV—VI საუკუნეებში, მიუხედავად რთული პოლიტიკური ვითარებისა, ერთობ დინამიურად ვითარდებოდა. VI საუკუნის შემდეგ ზოგიერთი საქალაქო ცენტრის შესუსტება გამოწვეული იყო კავკასიაში მიმდინარე იმ რთული ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებით, რასაც ადგილი ჰქონდა მახლობელ აღმოსავლეთში, ბიზანტიურ სამყაროსა და კავკასიაში, და არა იმით, რომ თითქოს მონათმფლობელური სისტემის წიაღში აღმოცენებულმა ქართულმა ქალაქებმა ადრეფეოდალურ ხანაში ვერ იგუა ახალი სოციალური სისტემა — ფეოდალიზმი და თანდათანობით მოიშალა.

ჩვენი ღრმა რწმენით, უძველესი ქართული საქალაქო ცენტრები მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში კი არ აღმოცენდა, არამედ პროტო — თუ წინაფეოდალურ ურთიერთობათა გარემოში და ამ ახალი ფორმაციის გამარჯვების შემდეგ არ შეიძლებოდა წარმოქმნილიყო კონფლიქტი ქალაქსა და საზოგადოებრივ ყოფას შორის. ქრისტიანობის ოფიციალური აღიარების შედეგად (რაც უკვე მაუწყებელი იყო ახალი სოციალური სისტემის გამარჯვებისა) ქართული ქალაქების ეკონომიკურ-პოლიტიკურ და სოციალურ სისტემაში ახალი და უცნობი არაფერი არ შექმნილა. პირიქით, ქართული ქალაქები აღმოცენებული იყო იმ სოციალურ და ეკონომიკურ გარემოში, რომელიც საბოლოოდ ფეოდალიზმის გამარჯვებით დაგვირგვინდა და რამაც კიდევ უფრო გაამაგრა ის საფუძველი, რაც ასაზრდოებდა ამ ურთიერთობათა წიაღში აღმოცენებულ საქალაქო ცენტრებს.

ამიტომ დავასკვნით, რომ ახ. წ. IV—VIII საუკუნეები საქართველოში ზოგადად ქალაქური ცხოვრებისა და ქალაქების დაცემის ხანად კი არ არის მისაჩნევი, არამედ, პირიქით, ურბანისტული პროცესების გაღრმავებისა და დაწინაურების პერიოდად.

Р. М. РАМИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ РАЗВИТИЯ СРЕДНЕВЕКОВЫХ ГОРОДОВ ГРУЗИИ

Резюме

Города средневековой Грузии издавна привлекают внимание исследователей (царевич Вахушти Багратиони, П. Иоселиани, Д. Мегвинетухуцеси, Д. Бакрадзе и др.), но их фундаментальное изучение начинается с 30-х годов текущего столетия, когда в республике были развернуты планомерные археологические исследования важнейших экономических, политических и культурных центров Грузии (И. А. Джавахишвили, С. Н. Джанашия, Н. А. Бердзенишвили, Л. Д. Мусхелишвили, С. Г. Каухчишвили, Г. К. Гозалишвили, А. М. Шнайдер, А. Н. Каландадзе, Г. Ф. Гобеджишвили, Г. А. Ломтатидзе, А. М. Апакидзе, В. В. Джапаридзе и др.). После второй мировой войны изучение городов Грузии получает новый размах, темпы его заметно ускоряются в связи с множеством новостроек.

Проведенные археологические раскопки в городах Мцхета, Дманиси, Рустави, Уджарма, Тбилиси, Вашнари, Бичвинта, Урбниси, Сухуми, Уплисцихе, Ахалкалаки, Греми, Кветера, Вардцихе, Петра, Цихе-Годжи, Настакиси, Жинвали, Черени, Кутаиси, Некреси, Хорнабуджи и др.) показали, что многие из них основаны или же достигли апогея своего развития в раннем средневековье.

В монографических исследованиях и обобщающих работах послевоенного периода, посвященных вопросам урбанизации средневековой Грузии, особое внимание всегда уделяется проблеме генезиса и формирования средневекового города (Ш. А. Месхия, Г. А. Ломтатидзе, В. Н. Габашвили, Л. А. Чилашвили, Т. К. Гамсахурдия и др.). В специальных исследованиях 50—60-х годов все отчетливее стала вырисовываться концепция, по которой одним из основных результатов победы феодального строя (особенно после провозглашения христианства в качестве официальной религии) следует считать понижение и упадок уровня городской жизни. По этой концепции победа в Грузии феодальных отношений и переход от одной формации (античности) к другой не могли способствовать развитию городов и городской жизни. Данное соображение разделено многими исследователями и полностью отражено в многотомнике «Вопросы истории Грузии» (т. II, 1973, с. 118—138).

После Тбилисской дискуссии 1959 года, когда совершенно справедливо была отброшена теза о существовании в Грузии рабовладельческого (античного) общества и когда схема социального развития грузинских государств была представлена совершенно в другом свете, концепция о существовании в Грузии античных (в социальном, экономическом и политическом смысле) городов утратила под собой почву. После распространения новой концепции о нерабовладельческом развитии грузинского общества историю раннесредневековых городов Грузии следует рассматривать совершенно в другом плане, тем более, что новейшие археологические факты отчетливо указывают на наличие в этих городах высокого уровня жизни и большого опыта градостроительства.

По нашему мнению, в III—VI веках на территории Грузии прослеживается новый мощный подъем городской жизни. Наряду со старыми городами Грузии (Мцхета, Уплисцихе, Каспи, Дзалиса, Гори, Поти, Диоскурия—Цхуми, Урбниси, Бичвинта, Цихе-Годжи и др.),

большинство из которых продолжает свое существование в раннехристианскую эпоху, возникают новые города (Тбилиси, Уджарма, Череми, Некреси, Хорнабуджи, Вардцихе, Кутаиси, Петра и др.), игравшие все возрастающую роль в экономической, политической и культурной жизни Грузии. Важное значение в дальнейшем развитии раннесредневековых городов, кроме больших экономических и социальных сдвигов, происходящих на Кавказе, получают пролегающие по территории Грузии и Кавказа международные торговые магистрали, среди которых следует выделить т. н. круговую (обходную) дорогу согласно таблице Певтингера.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის საქართველოს ქალაქების გენეზისის, მატერიალური კულტურის და ყოფის შესახებ ჩვენი მუშაობის შედეგები ასახულია 1978—90 წლებში შესრულებულ წლიურ თემებში, რომლებიც ინახება დუშეთის არქეოლოგიური ბაზის ბიბლიოთეკაში.

2. გ. მელიქიშვილი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და უძველესი კლასობრივი საზოგადოების საკითხი. — მაცნე. ისტორიის.., სერია, 1971, № 3

3. გ. ბელიქიშვილი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი კლასობრივი საზოგადოების ბუნების გაგებისათვის. აკად. ი. ჯავახიშვილის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976.

4. გ. მელიქიშვილი, ძველი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური წყობილების საკითხი. — მაცნე, 1966, № 1.

5. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, თბ., 1975.

6. ს. ჯანაშია, ადრეული ფეოდალიზმი. შრომები, II, თბ., 1952.

7. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970.

8. ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961.

9. ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლება ფეოდალურ საქართველოში, IV—X საუკუნეებში, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1973.

10. გ. ყორანაშვილი, ფეოდალიზმის ცნების საკითხისათვის — სფხის, III, 1980, გვ. 44—55.

11. გ. ძიძიგური, ფეოდალური რენტის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში, — სფხის, III, 1980, გვ 57—67.

12. ა. ბოგვერაძე, მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმათა განვითარება ადრეფეოდალურ ხანაში. — სფხის, III, 1980, გვ. 68—77.

13. თ. პაპუაშვილი, ფეოდალური სენიორების წარმოქმნა-განვითარების ისტორიიდან საქართველოში (IV—IX სს). — სფხის, III, 1980, გვ. 79—94.

14. გ. ლომთათიძე, უჯარმის არქეოლოგიური თხრის შედეგები. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1952 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თბ., 1953.

15. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. — მსკა, I, თბ., 1955.

16. საქართველოს არქეოლოგია, ავტორთა კოლექტივი, თბ., 1959.

17. ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი. ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი, თბ., 1958.

18. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, თბ,. 1968.

19. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში. II, თბ., 1970.

20. ნ. უგრელიძე, კუხეთის რუსთავის ციხე-ქალაქი. — ძმ, № 74.

21. მ. ივაშჩენკო, რუსთავის სამაროვანი. — რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები. 1946—1965, თბ., 1988, (რუსულ ენაზე).

22. კ. მელითაური, ადრეფეოდალური რუსთავის ციხის კონსტრუქციები. — ძმ, № 51, 1979.

23. დ. მუსხელიშვილი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.

24. ირ. ციციშვილი, უჯარმა, თბ., 1982,

25. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII საუკუნეებში. თბ., 1977.
26. ნ. მამაიაშვილი, ჭერემის არქეოლოგიური ძეგლები. — ძმ, № 66, 1988.
27. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. I, სიონი, თბ., 1970.
28. ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955.
29. ლ. მუსხელიშვილი, ბოლნისი, — ენიმკის მოამბე, III, თბ., 1938.
30. გ. ჩუბინაშვილი, ბოლნისის სიონი. — ენიმკის მოამბე, IX, თბ., 1940. (რუსულ ენაზე).
31. გ. ჩუბინაშვილი, კახეთის ხუროთმოძღვრება, თბ. 1959 (რუსულ ენაზე).
32. გ. ჩუბინაშვილი, უფლისციხე, თბ., 1961 (რუსულ ენაზე).
33. ჯ. ამირანაშვილი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968.
34. თ. ტატიშვილი, მასალები ტანას ხეობის ისტორიულ გეოგრაფიისათვის, II, თბ, 1964, გვ. 51—59.
35. გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის ორი სამშენებლო პერიოდი, — მაცნე, ისტორიის ...სერია, 1979, № 1 (რუსულ ენაზე).
36. რ. რამიშვილი, ნაქალაქარი ჟინვანი. — ფსაძ, IV, 1972, გვ. 66—75.
37. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში. თბ., 1945.
38. ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963.
39. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955.
40. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978.
41. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ტ. III, თბ., 1980.
42. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ტ. V, თბ., 1981.
43. მცხეთა არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VI, თბ., 1982.
44. მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. VII, თბ., 1985.
45. ალ. ბოხოჩაძე, ალ. კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1968 წ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. — XVIII სამეცნიერო საანგარიშო სესია მიძღვნილი საქართველოში 1968 წ. წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1969.
46. შ. მესხია, საქართველოს ქალაქების სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. — მიმომხილველი, თბ., 1951.
47. შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1958.
48. შ. მესხია, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, თბ., 1962.
49. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, თბ., 1958.
50. გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა. — შრომები, V, ნაკვ. I, 1960.
51. გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრები თბილისში 1948 წ. ზამთარში. — მსკა, I, 1956.
52. ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.
53. გ. ლომთათიძე, ო. ტყეშელაშვილი, ი. გძელიშვილი. პირველი არქეოლოგიური კამპანია თბილისის დედაციხეზე. — XVI სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები. თბ., 1967.
54. რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ნ. ოქროპირიძე, ა. რამიშვილი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია, — საკ. 1973 (1974).
55. ვ. მ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური კვლევა. — ფსაძ. II, 1974.
56. ა. აფაქიძე, „დიდი პიტიუნტი“, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. — წიგნში: დიდი პიტიუნტი. 1, თბ., 1975, გვ. 13—123.
57. რ. რამიშვილი, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში. — მსკა, ტ. IV, გვ. 101—122, 965.
58. რ. ფუთურიძე, ბიჭვინტის შიდაციხის ცენტრალური ნაწილის არქეოლოგიური გათხრების შედეგები. — წიგნში: დიდი პიტიუნტი. 1, გვ. 127—161.

59. ოთ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის შიდაციხის XIII ნაკვეთის არქეოლოგიური გათხრები და იქ აღმოჩენილი არქიტექტურული კომპლექსი. — წიგნში: დიდი პიტიუნტი, 1, გვ. 183—198.

60. ა. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის. — მაცნე 1965, № 3.

61. გ. ლომთათიძე, წინაპართა ნაკვალევი. თბილისი, 1952.

62. გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბ., 1952.

63. რ. რამიშვილი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ბიჭვინტაში. — მსკა IV, თბ., 1975.

64. ნოქალაქევი არქეოპოლისი. I. არქეოლოგიური გათხრები 1973—1977 წწ., თბ., 1931.

65. ნ. ლომოური, ნოქალაქევი არქეოპოლისი ციხეგოჯი. — წიგნში: ნოქალაქევი არქეოპოლისი, I, 1981, გვ. 18—47.

66. ო. ლორთქიფანიძე, ჭუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1969 წელს ჩატარებული მუშაობის ძირითადი შედეგები.. — XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წ. საველე არქეოლოგიური კვლევის შედეგებისადმი. თბ., 1965.

67. ნოქალაქევი — არქეოპოლისი. II. არქეოლოგიური გათხრები 1978—1982 წწ., თბ., 1987.

68. ოთ. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური, მ. მიწიშვილი, ლ. სახაროვა, ჭუთაისის არქეოლოგიური ექსპედიციის 1965 წ. მუშაობის ძირითადი შედეგები. — XV სამეცნიერო სესიის ანოტაციები მიძღვნილი 1965 წ. საველე მუშაობისადმი, თბ., 1965, გვ. 19—20.

69. ო. ლანჩავა, არქეოლოგიური გათხრები ჭუთაისში, — ძმ, 1986, № 4, გვ. 36—41. აგრეთვე იხ. ოთ. ლორთქიფანიძე, ო. ლანჩავა, ჭუთაისის ისტორიის პრობლემები ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შუქზე. — კრებ: დავით აღმაშენებელი, თბ., 1990, გვ. 45—54.

70. გ. ლომთათიძე, ურბნისის ნაქალაქარის არქეოლოგიური კვლევის დასაწყისი. — მაცნე, 1964, № 2 და 4.

71. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.

72. პ. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბ., 1965.

73. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე. I, თბ., 1964.

74. დ. ხახუტაიშვილი, უფლისციხე, II, თბ., 1970.

75. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.

76. თ. გამსახურდია, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება. — წიგნში: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973 (გვ. 118—138).

77. „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, I, თბ., 1955.

78. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. — ქც. IV, თბ., 1973.

79. პ. იოსელიანი, ქალაქები რომლებიც არსებობენ და არსებობდნენ საქართველოში. თბ., 1844 (რუსულ ენაზე).

80. გ. ლ. კურბატოვი, ადრებიზანტიური ქალაქი (ანტიოქია IV საუკუნეში). ლენინგრადი, 1962 (რუსულ ენაზე).

81. ე. მ. შტაერმანი, მონათმფლობელური წყობილების კრიზისი რომის იმპერიის დასავლეთ პროვინციებში, მოსკოვი. 1957 (რუსულ ენაზე).

82. ო. ვ. კუდრიავცევი, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ელინური პროვინციები ახ. წ. II საუკუნეში, მოსკოვი, 1954 (რუსულ ენაზე).

83, ი. ს. სვენციცკაია, დასავლეთ მცირე აზიის ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი თავისებურებები რომის იმპერიის სისტემაში. — ვესტნიკ დრევნეი ისტორიი, № 2, 1956 (რუს. ენ.).

84. გ. ლ. კურბატოვი, ანტიკური წყობის საქალაქო რღვევის ზოგიერთი პრობლემა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში IV საუკუნეში. — ლენინგრადის სახ. უნ-ტის მოამბე, 1960, № 2, ისტორიის სერია, I, გვ. 47—61 (რუსულ ენაზე).

85. ე. ე. ლიპშიცი, ფეოდალური საკუთრების ჩამოყალიბების გზები ბალკანეთისა და მცირე აზიის ბიზანტიურ პროვინციებში. — ჟურნალში: ვიზანტიისკი ვრემენიკ (33), XIII, 1958, გვ. 28—54 (რუსულ ენაზე).

86. მ. ი. სიუზუმოვი, ქალაქ ემპორიების როლი ბიზანტიის ისტორიაში (33) VIII. 1956 (რუსულ ენაზე).

87. ბიზანტიის ისტორია, ტ. I, მოსკოვი, 1967, თავი IV, გვ. 101—128 (რუსულ ენაზე).

88. შ. მესხია, შენიშვნები მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის შესახებ. — საქ. მეც. აკად. საზ. მეც. განყ. მოამბე, 1960, გვ. 255—276.

II. ნასოფლარები

დ. მინდორაშვილი

თეთრიგზის ნასოფლარი ანანურთან

(1988 წ. განათხარი მასალების მიხედვით)

თეთრიგზის ნასოფლარი მდებარეობს სოფ. ანანურის ჩრდილო-დასავლეთით, საქართველოს სამხედრო გზის მახლობლად მაღალი, ტყიანი მთის თხემზე. ამ მიდამოებში მშენებლების მიერ გაყვანილმა გაზის ტრასამ მნიშვნელოვნად დააზიანა რამდენიმე ნაგებობა და მისგან ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანი [1, გვ. 86—87]. 1985 წ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმძ. რ. რამიშვილი) ანანურის რაზმის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა ნასოფლარის ტერიტორიაზე სხვა მასალებთან ერთად გამოავლინა განვითარებული შუა საუკუნეების დანგრეული ქურის (?) ნაშთი [1, გვ. 87]. ნასოფლართან ახლოს შესწავლილ იქნა აგრეთვე ადრეული შუა საუკუნეების რამდენიმე სამარხი [1. იქვე].

1988 წ. ექსპედიციამ განაახლა სამუშაოები ნასოფლარსა და სამაროვანზე. ნასოფლარზე გათხრები შეეხო ერთ საცხოვრებელ კომპლექსს, რომელიც ქვით ნაშენი ზღუდით იყო შემოვლებული, ნაგებობა შედგება ოთხი სათავსოსგან (ტაბ. IV, სურ. I), რომელთაგან ორი საცხოვრებელია, ორი კი — სამეურნეო დანიშნულებისა. კომპლექსი წაგრძელებულია ჩრდილო-დასავლეთ-სამხრეთ-აღმოსავლეთ ხაზზე. კომპლექსის სამ სათავსოს (I—II—III) ერთმანეთთან საერთო კედლები აკავშირებთ. განცალკევებით დგას IV სათავსო.

I სათავსო, როგორც აღვნიშნეთ, საცხოვრებელი დანიშნულებისაა (ტაბ. IV, სურ. 2). იგი გეგმაში სწორკუთხაა, რამდენადმე დაგრძელებული. სათავსოს ზომებია: სიგრძე — 6 მ, სიგანე — 3,7 მ, კედლების სისქე —70—80 სმ.

კედლები ნაგებია ქვიშაქვის ქვებით. წყობა მშრალია. სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის ცენტრში, იატაკიდან 1,4 მ სიმაღლეზე გაკეთებულია თაღჩა. მისგან დასავლეთით, ოდნავ ქვემოთ გაიწმინდა მეორე, მცირე ზომის თაღჩა. კედელს თითქმის მთელ სიგრძეზე გაუყვება ბრტყელი ქვების სამი რიგისაგან შედგენილი შემაღლება—ტახტი. მსგავსი ტახტი სათავსოს სამხრეთ-დასავლეთ კედელთანაც დადასტურდა (ტაბ. IV, სურ. 2). ტახტები ოთახის დასავლეთ კუთხესთან წყდება და ერთმანეთს არ ებმის. ამ ადგილას, კუთხეში გამართულია თონე, რომლის ძირიც უშუალოდ იატაკზე მდგარა. თონის ზომებია: დიამეტრი — 80 სმ, შემორჩენილი სიმაღლე 25 სმ, კედლის სისქე — 7 სმ. I სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთი კედელი I და II სათავსოს გამყოფი ტიხარია (ტაბ. V, სურ. 1). I სათავსოს კარი, რომლის სიგანე 80 სმ-ია, დატანებულია სამხრეთ-აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში. სათავსოს იატაკი თიხატკეპნილია. ცენტრში გამართულ, ქვებისგან შედგენილ კვადრატული გევ-

მის მჭონე კერაში აღმოჩნდა წითლად გამომწვარი და თოკისებური სარტყლებით შემკული ქვევრის პირ-გვერდის ნატეხი, რომელიც თავის დროზე კერის სანაცრედ გამოიყენებოდა. ქვევრისა და დერგის ნატეხების გამოყენება თონეებისა და კერების სანაცრეებად აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების სხვა ძეგლებზეც გვხვდება [2, გვ. 185]. კერაში აღმოჩნდა ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამის ფრაგმენტები.

II სათავსოც საცხოვრებელი დანიშნულებისაა (ტაბ. V, სურ. 2). იგი გეგმაში სწორკუთხაა, რამდენადმე დაგრძელებული. სათავსოს ზომებია: სიგრძე — 6 მ, სიგანე — 1,9 მ. კედლების სისქე — 70—80 სმ. სათავსოს სამხრეთ-დასავლეთი კედელი წარმოადგენს I სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელს, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში დატანებულია 1 მ სიგანის კარი. ისე, რომ II სათავსოში შესვლა უშუალოდ ეზოდან კი არ ხდებოდა, არამედ I სათავსოდან. II სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედელი წარმოადგენს I სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის გაგრძელებას. კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს ქვების ორი-სამი რიგისაგან შედგენილი ტახტი. დაახლოებით კედლის ცენტრში, იატაკიდან 90 სმ სიმაღლეზე გაკეთებულია თახჩა. კედლები ნაგებია მშრალი წყობით. იატაკი მოგებულია ქვის მოზრდილი ფილებით (ტაბ. V, სურ. 1). ნაგებობის იატაკის ფილებით მოგება აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების სხვა ძეგლებზეც ხშირად გვხვდება [3, გვ. 69]. სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის ტახტიდან 40 სმ დაშორებით აღმოჩნდა ქვის ფილებისაგან შედგენილი წრიული მოყვანილობის კერა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ I და II სათავსო თავდაპირველად ერთ მოზრდილ სათავსოს წარმოადგენდა და შემდეგ იგი გაუტიხრავთ. საქმე ისაა, რომ I—II სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის ძირას გამართული ტახტი ერთიანია, უწყვეტი და სათავსოების გამყოფი კედელი მასზეა დაშენებული. თავდაპირველად ერთიანი სათავსოს იატაკი II სათავსოს ტერიტორიაზეც თიხატკეპნილი უნდა ყოფილიყო (თიხატკეპნილი II სათავსოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში კარგად შეინიშნება). მხოლოდ ტიხრით გაყოფის შემდეგ დაუფარავთ II სათავსოს იატაკი ქვაფენილით, რის გამოც II სათავსოს იატაკის დონე რამდენიმე სანტიმეტრით მაღლა აწეულა. იატაკზე აიკრიფა კერამიკული ნაწარმის მცირერიცხოვანი ფრაგმენტი.

III სათავსო სამეურნეო დანიშნულებისაა (ტაბ. VI, სურ. 1). მის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა საწნახელი. სათავსო უშუალოდ ეკვრის II სათავსოს და მისგან საერთო კედლითაა გამოყოფილი. სათავსო გეგმაში კვადრატს უახლოვდება. სათავსოს ზომებია: სიგრძე — 3,6 მ, სიგანე — 3,3 მ, კედლების სისქე — 70 სმ. მისი ჩრდილო-დასავლეთი კედელი არ წარმოადგენს I სათავსოს ჩრდილო-დასავლეთი კედლის გაგრძელებას. III სათავსოს აღნიშნული კედელი ოდნავ შიგნითაა შემოწეული. კედლის წყობა მშრალია. სათავსოს სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელიც მშრალი წყობითაა ნაშენი. მასში დატანებულია 1,2 მ სიგანის კარი. იატაკი მოგებულია ქვიშაქვის მოზრდილი, ბრტყელი ქვებით. სათავსოს გათხრებისას ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მასში საწნახლის აღმოჩენა (ტაბ. VI, სურ. 1). საწნახელი მიშენებულია სათავსოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე. საწნახლის ორივე განყოფილება, ნავი და თაღარი ქვიშაქვის ქვებითაა ნაშენი კირხსნარზე და შიგნიდან გულდასმითაა ნალესი. ნავის გარე კედლები შვეულია, შიდა კედლები კი დამრეცი. აქვს ბრტყელი ფსკერი, რომელსაც შუა ნაწილში მთელ სიგრძეზე დაუყვება ღარი. ამ გრძივ ღარს სამ ადგილას აქეთ-იქიდან უერთდება მოკლე ღარები (ტაბ. VI,

სურ. 2). საწნახლის ზომებია: ნავის ზედა ნაწილის სიგრძე — 2,6 მ, სიგანე — 1,1 მ, ფსკერის სიგრძე — 2,3 მ, სიგანე — 50 სმ; თაღარის სიგრძე — 65 სმ, სიგანე — 60 სმ, სიღრმე — 45 სმ. საწნახლის ნავი ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შედარებით ფართოა და ფსკერიც შემაღლებული აქვს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილისაკენ, ე. ი. თაღარისაკენ რამდენადმე ვიწროვდება და ფსკერიც დაქანებულია. ნავი კედელში დატანებული 40 სმ სიგრძისა და 5—6 სმ დიამეტრის მქონე ხვრელით უკავშირდება თაღარს. ხვრელი საწნახლის შვეული კედლიდან თაღარის მხარეს სამი სანტიმეტრითაა გამოწეული, რაც მიღწეულია კედლის საერთო წყობიდან ხვრელის ირგვლივ არსებული რამდენიმე ქვის გარეთ გამოწევით. თაღარი გეგმაში კვადრატს უახლოვდება (ტაბ. VII, სურ. 1). მისი ფსკერი ჰორიზონტალურია. თაღარი შიგნიდან შელესილია კირხსნარით. თაღარს სამხრეთ-დასავლეთი მხრიდან ქვებით შედგენილი ორი საფეხური აქვს.

არაგვის ხეობაში აღმოჩენილი საწნახლები მშენებლობის ტექნიკისა და მოყვანილობის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის საწნახლების კედლების შიდაპირი ამოყვანილია დახრილად „წოლით“ დალაგებული ქვის ფილებით ისე, რომ მისი შიდა სივრცე ფსკერისაკენ ვიწროვდება. ფსკერი ხშირ შემთხვევაში დაღარულია [4, გვ. 192]. მეორე ჯგუფის საწნახლები ნაგებია რიყის ქვით. კედლები შვეულადაა ამოყვანილი, ფსკერი გლუვია [4, გვ. 103]. როგორც აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალები მიუთითებს, პირველი ჯგუფის საწნახლები განვითარებული შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს, რაც შეეხება მეორე ჯგუფს, ისინი უფრო გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება [4, იქვე].

III სათავსოში აღმოჩენილი საწნახელი მშენებლობის ტექნიკითა და აღნაგობით I ჯგუფში ერთიანდება და შესაბამისად განვითარებული შუა საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

III სათავსოს შესასვლელის წინ ქვაფენილიანი ბაქანია, რომელიც სათავსოს მთელ სიგრძეზე გასდევს. ბაქანის ფართობია 4,5×2 მ. მას სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვრის IV სათავსო (ტაბ. VII, სურ. 2), რომელიც ასევე სამეურნეო დანიშნულების უნდა ყოფილიყო. იქ არ აღმოჩენილა კერა, თონე ან სხვა ისეთი მასალა, რომელიც მის საცხოვრებელ დანიშნულებაზე მიუთითებდა. ამასთან, იგი საცხოვრებელი ნაგებობებიდან განცალკევებით დგას. სათავსოს იატაკი, რომელიც მიწატკეპნილია, თითქმის 1,6 მ-ით დაბლაა III სათავსოს იატაკის დონესთან შედარებით. IV სათავსოს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა ისე, რომ სათავსოს ბანი III სათავსოს წინ გამართულ ბაქანს უსწორდებოდა. ასეთ შემთხვევაში IV სათავსოს საერთო სიმაღლე 1,6—1,7მ-ზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. იგი ფაქტიურად მიწურს წარმოადგენდა. სათავსო გეგმაში კვადრატს უახლოვდება. სათავსოს ზომებია: სიგრძე — 3 მ, სიგანე— 2,7 მ. კედლების სისქე 40—50 სმ. კედლები ნაშენია ქვიშაქვის ბრტყელი ქვების ერთი რიგით. წყობა მშრალია. სათავსოს ჩასასვლელი უნდა ჰქონოდა ჩრდილო-აღმოსავლეთი კედლის აღმოსავლეთ კუთხეში. სათავსოს იატაკის დონეზე აღმოჩნდა ქვევრის რამდენიმე ნატეხი. არაა გამორიცხული, რომ IV სათავსო თავის დროზე მარანს წარმოადგენდა.

კომპლექსის ყველა სათავსო ერთსართულიანია. თუ შემორჩენილი კედლების ზომებს გავითვალისწინებთ, მათი თავდაპირველი სიმაღლე 2—2,2 მ-ზე მეტი არ იქნებოდა. კომპლექსს ბანური გადახურვა უნდა ჰქონოდა. კედლები ნაგებია ქვიშაქვის ბრტყელი, ნაწილობრივ დამუშავებული ან დასამუშავებე-

ლი ქვებით. ქვიშაქვით ეს ადგილები საკმაოდ მდიდარია. ამდენად, სახლის მშენებლებს მასალის შორიდან მოზიდვა არ დასჭირდებოდათ. კედლები ამოყვანილია ქვების ორი რიგით, რომელთა შუა დარჩენილი არე „ხურდა“ ქვებითაა შევსებული. წყობა ყველგან მშრალია. კედლების საძირკველი მიწაში ღრმად არაა გაჭრილი. მისი სიღრმე 20—25 სმ-ია. კომპლექსის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე ფართობი წარმოადგენს შემაღლებულ მასივს, რომელსაც, მართალია, გათხრები არ შეხებია, მაგრამ ყველა ნიშნის მიხედვით იქაც საგულვებელია ნასახლარი, რომლის იატაკის სავარაუდო დონე უკვე გათხრილი კომპლექსის სახურავის დონეზე უნდა მოდიოდეს. ამრიგად, თეთრიგზის ნასახლარი წარმოგვიდგება მთის ტიპურ ტერასულ დასახლებად.

კომპლექსის გათხრებისას აღმოჩენილი მასალა შედარებით მცირერიცხოვანია. ქვის ნივთებიდან გვხვდება ორი სანაყი და ერთიც ქვევრის სარქვლის ნატეხი. ოსტეოლოგიური მასალა ცხვრის ძვლების რამდენიმე ფრაგმენტით ამოიწურება.

მცირეა თიხის ნაწარმიც. გვხვდება როგორც მოუჭიქავი, ისე მოჭიქული კერამიკა, მოუჭიქავი კერამიკა ფუნქციონალური თვალსაზრისით შეიძლება დაიყოს სამეურნეო, სამზარეულო და სუფრის ჭურჭლად.

სამეურნეო კერამიკიდან აღსანიშნავია მოზრდილი და მცირე ზომის ქვევრის ფრაგმენტები. ზოგიერთ მათგანს პირზე შემოუყვება კონცენტრული ტალღოვანი ხაზები. ტანი შემკული აქვთ რელიეფური სარტყლებით (ტაბ. VIII. №№ 10, 18, 20, 26). ერთ-ერთი ქვევრის პირზე გამოყვანილია ორი ურთიერთგადამკვეთი ამოღარული მოკლე ხაზი და ტვიფრით შესრულებული ვარდული (ტაბ. VIII, № 29). ნაწილი ქვევრებისა სადაა (ტაბ. VIII, №№ 19, 33, 39). შემორჩენილი ფრაგმენტებით ირკვევა, რომ ქვევრებს ბრტყელი, უქუსლო ძირები ჰქონდათ (ტაბ. VIII, №№ 16, 40). ქვევრები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი უხეში თიხისაგან. მათზე ჩაკირვის კვალი არ შეიმჩნევა. ნასახლარზე აღმოჩენილ ქვევრებს მრავლად მოეპოვებათ ანალოგები ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული შუა საუკუნეების ქვევრების სახით [5, გვ. 48].

სამეურნეო ჭურჭლების ჯგუფს მიეკუთვნება დერგის ფრაგმენტები (ტაბ VIII, №№ 4, 15, 17). გვხვდება როგორც პირმოყრილი [№ 4], ისე პირგაშლილი მომაღლოყელიანი დერგები [№ 17]. ზოგიერთი მათგანის ყური შემკულია დაკეჭნილი მოკლე ხაზებით [№ 15].

სამზარეულო კერამიკა წარმოდგენილია ბადიისა (ტაბ. VIII, № 41) და ქოთნების სახით (ტაბ. IX, №№ 5, 11, 12, 13, 27, 30, 31, 32, 42). ქოთნები ხასიათდება გაშლილი პირითა და დაბალი ყელით. ყველა თხელკეციანია. ერთი მათგანი შემკულია ამოღარული ტალღოვანი ორნამენტით. ქოთნების ნაწილს მორგვისეული ხაზები ამკობთ. მსგავსი ფორმა-მოყვანილობის ქოთნები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი არაგვის ხეობის განვითარებული შუა საუკუნეების ნასახლარებზე [5, გვ. 42]. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება ისინი ჟინვალის ნაქალაქარზე [5, იქვე].

სუფრის ჭურჭლებიდან აღსანიშნავია ხელადები (ტაბ. IX, №№ 6, 8, 14, 22, 28, 36, 37, 38), რომლებიც ხასიათდებიან შედარებით კარგად განლექილი თიხით, თხელი კეცით, გამომწვარია ღია მოწითალოდ და მოჩალისფროდ, ოდნავ გაშლილი პირი და ცილინდრული მოყვანილობის მომაღლო ყელით (№№ 36, 37). ბრტყელგანივკვეთიანი ყურები მიერთებული აქვთ პირსა და მხარზე

(№№ 14, 35). გვხვდება ერთი მრგვალგანივკვეთიანი გრეხილი ყურის ფრაგმენტიც (№ 6). ხელადები ბრტყელძირაა (№№ 8, 38). ჟინვალის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ანალოგიური ხელადები თარიღდება XII—XIII საუკუნეებით [5, გვ. 35].

მოჭიქული კერამიკა ცოტაა (7 ერთეული), ყველა მათგანი ჯამების სახითაა წარმოდგენილი. მოჭიქვის ხერხების მიხედვით მათ შორის რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა.

1. შიშველ კეცზე უფერული ჭიქურით მოჭიქული ჯამი, რომელიც ხასიათდება წმინდად განლექილი კეცით (ტაბ. IX, № 1).

2. შიშველ კეცზე ანგობით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ჯამები (ტაბ. IX, №№ 9, 24). მსგავსი ჯამები გვხვდება: რუსთავის ნაციხარზე და ნაქალაქარზე, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში, თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, მცხეთაში და სხვ. [6, გვ. 29]. მათ XI—XII საუკუნეებით ათარიღებენ [6, გვ. 30], უფრო ზუსტად კი — XI საუკუნით [6, იქვე].

3. ანგობირებულ ზედაპირზე მკრთალი ნაკაწრებით მოხატული, მწვანე და სოსნისფერი ლაქებით შემკული ჯამი (ტაბ. IX, № 34), რომელიც მომალო ვიწრო ქუსლითა და ამობურცული ძირით უფრო XI—XII საუკუნეებით დათარიღებულ ჯამებს ემსგავსება.

4. განათხარ კერამიკაში გვხვდება ამოკაწვრით მოხატული და ცისფრად მოჭიქული ორი ჯამი (ტაბ. IX, №№ 3, 25). მსგავსი ხერხით შემკული ჯამები აღმოჩენილია რუსთავის ნაციხარზე და ნაქალაქარზე, თბილისის კერამიკულ სახელოსნოში, დმანისში, უჯარმაში, გუდარეხში [6, გვ. 25]. როგორც ფიქრობენ, ამოკაწვრით მოხატული და ერთფერად მოჭიქული ჯამები აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებულია XI—XII საუკუნეებში, თუმცა არსებობას XIII საუკუნის I ნახევარშიც განაგრძობენ [6, გვ. 27]. ანალოგიური ჯამები აღმოჩენილია ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული შუა საუკუნეების ფენებშიც [5, გვ. 8].

5. ნამოსახლარზე გამოვლინდა ანგობირებულ ზედაპირზე მწვანედ მოჭიქული ჯამის ქიმაწეული პირის ერთი ნატეხი (ტაბ. IX, № 23), მსგავსი ჯამები ხშირად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლებზე. მრავლადაა ისინი აღმოჩენილი ჟინვალის ნაქალაქარზეც [5, გვ. 9].

ამრიგად, მცირერიცხოვანი მოუჭიქავი თუ მოჭიქული კერამიკის მიხედვით თეთრიგზის ნასოფლარზე გათხრილი კომპლექსი XI—XIII საუკუნეებით შეიძლება დავათარიღოთ. ამ თარიღს მხარს უჭერს აგრეთვე ნასახლარზე გამოვლენილი საწნახელიც, რომელიც აღნაგობით იმეორებს არაგვის ხეობის განვითარებული შუა საუკუნეების საწნახლებს.

არაგვის ხეობაში საწნახლების აღმოჩენის ფაქტები სულ უფრო მატულობს*, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დიდ ხვედრით წონაზე.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ჟინვალის ნაქალაქარის სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონში ერთი მხრივ მენესომდე და მეორე მხრივ კართანამდე გაბატონებული ყოფილა ბარის ტიპის მეურნეობა და შესაბამისად ცხოვრების ბარული წესი [7, გვ. 71]. მეურნეობის სხვა დარგებს შორის არაგვის ხეობის საკმაოდ დიდ ნაწილში მევენახეობა-მეღვინეობას ეჭირა საპატიო, ხოლო ზო-

---

* 1989 წ. თეთრიგზის ნასახლარზე კიდევ ერთი საწნეხელი გამოვლინდა.

გან წამყვანი ადგილი [7, გვ. 72]. თეთრიგზის ნასახლარზე აღმოჩენილი ქვევრის ფრაგმენტები და საწნახლები კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ აზრს. ჩანს, თეთრიგზის ნასოფლარი წარმოადგენდა ქალაქ ჟინვალის სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონში შემავალ ერთ-ერთ დასახლებას, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა ჟინვალთან. ნასახლარზე აღმოჩენილი მოუჭიქავი და მოჭიქული კერამიკა ფორმებითა და კეცით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ჟინვალის ნაქალაქარის განვითარებული შუა საუკუნეების კერამიკასთან. ცნობილია, რომ ჟინვალი იმ დროისათვის ხელოსნური წარმოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა [8, გვ. 142]. ეჭვი არაა, კერამიკული ნაწარმის დიდი ნაწილი აქ ჟინვალიდანაა მოხვედრილი. თავის მხრივ, ჟინვალის ახლომდებარე სოფლები, მათ შორის თეთრიგზის ნასოფლარიც, ქალაქისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ძირითადი მომწოდებელი უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ განვითარებულ შუა საუკუნეებში ქალაქ ჟინვალსა და თეთრიგზის სოფელს შორის არსებობდა მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები.

Д. В. МИНДОРАШВИЛИ

СЕЛИЩЕ ТЕТРИГЗА ОКОЛО АНАНУРИ

(по материалам раскопок 1988 г.)

Резюме

Селище Тетригза (Белая дорога) расположено в 0,5 км северо-западнее с. Ананури, на лесистом склоне.

В 1988 г. здесь изучался огражденный каменной стеной жилой комплекс с хозяйственными помещениями (марани, сацнахели). Комплекс построен из рваного известкового камня без раствора. К жилым комнатам пристроены помещения хозяйственного назначения, где была обнаружена винодавильня (сацнахели), марани расположен отдельно.

По немногочисленным керамическим материалам комплекс датируется XI — XIII вв.

Селище Тетригза являлось одним из сельскохозяйственных районов средневекового города Жинвали, с которым имело тесные экономические связи.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Г. Ч. Чиковани и др. Археологическое изучение Арагвского ущелья. — ПАИ, 1984—1985 (1987).

2. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. — მსკა, ტ. I, 1955.

3. რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ლ. წითლანაძე, ზ. წერეთელი... ჟინვალის ექსპედიცია. — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973. წ. — თბ., 1974.

4. გ. რჩეულიშვილი, არაგვის ხეობის საწნახელები, აძ, 1977.

5. მ. მარგველაშვილი, არაგვის ხეობის განვითარებული შუასაუკუნეების თიხის ნაწარმი, თბ., 1990 (ხელნაწერი).

6. მ. მიწიშვილი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში. თბ., 1969.

7. რ. რამიშვილი, ნაქალაქარი ჟინვანი. — ფსაძ, ტ. IV, 1982.

8. მ. მარგველაშვილი, მეთუნეობასთან დაკავშირებული მასალები ჟინვალის ნაქალაქარიდან. — აძ, 1982.

III. სამაროვნები

ბ. ჯორბენაძე

არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან

უკანასკნელ წლებში აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიწის სამუშაოების დროს ხშირად ჩნდება არქეოლოგიური ძეგლები. მათ შორისაა დ. წყნეთში, ს. გლდანში და საგარეჯოს რაიონში შემთხვევით გამოვლენილი სამაროვნები. აღმოჩენის ადგილას გათხრები არ ჩატარებულა, მაგრამ ამ მასალის პუბლიკაცია მიზანშეწონილია, რადგან მეცნიერულ მიმოქცევაში შედის ახალი ძეგლები. ეს იძლევა საშუალებას უფრო სრულად წარმოვაჩინოთ აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეთა ძეგლების არქეოლოგიური რუკა, რაც დიდ დახმარებას გაგვიწევს არქეოლოგიურ ატლასზე მუშაობის დროს*.

I. დ. წყნეთში 1967 წელს, ადგილ შოლტებში, რკინიგზის სამმართველოს № 5 ბაღის ეზოში, მიწის სამუშაოების დროს გამოვლინდა სამი ქვის სამარხი **. სამარხები მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. მათში უკანასკნელი მიცვალებული ესვენა გაშოტილი, ქრისტიანული წესით, ხოლო ადრინდელი ძვლები მიხვეტილი იყო აღმოსავლეთით.

სამარხი № 1. მასში გამოვლინდა 7 ჩონჩხი და შემდეგი ნივთები: (ტაბ. X, 1): საკინძი № 1 — ბრინჯაოსი, ორად გატეხილი, რომლის თავიც მარჯვენა ხელის მტევნის გამოსახულებას წარმოადგენს. თითები ოდნავ მოხრილია და შეერთებული ცერა თითთან. მაჯას ორი რელიეფური რგოლი არტყია. ასეთივე ორი რგოლი აქვს საკინძის ღეროს მაჯაზე — 0,9 სმ-ით დაბლა. საკინძის ღერო ბოლოში წვეტიანია. სიგრძე — 15,2 სმ, ღეროს დმ — 0,2 სმ, მტევნის სიგრძე — 1,5 სმ, სიგანე — 0,5 სმ.

საკინძი № 3—ბრინჯაოსი, მრგვალი პატარა თავით და წვეტიანი ღეროთი. ღერო და თავი ერთიანადაა ჩამოსხმული. სიგრძე — 9,4 სმ. ღეროს დმ — 0,2 სმ.

მშვილდსაკინძი № 5 — ბრინჯაოსი, შემორჩენილია დაბალი რკალის ზედა ნაწილი და მუხლი. მშვილდი ქვემოდან ბრტყელია, ხოლო ზედაპირი მომრგვალებული აქვს. რკალის ზედაპირზე, მუხლთან ახლოს, ამოღარულია

---

* მასალა ჩახატა ნ. თოფურიძემ და კ. არაბულმა, ტაბულები გადაიღო რ. ჩიქოვანმა.

** მასალა 1968 წ. გადმოგვცა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ვ. ართილაყვამ, რომელმაც გაწმინდა შემთხვევით აღმოჩენილი სამარხები. მონაპოვარი ინახება დუშეთის ბაზაში.

1980 წელს წყნეთის სამკერვალო ფაბრიკის ტერიტორიაზე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა გ. ნასიძემ გათხარა ადრეულ შუა საუკუნეების ქვის სამარხები, მეტად საყურადღებო ინვენტარით. მასალა გამოუქვეყნებელია.

ურთიერთგადამკვეთი ორი ხაზი. მუხლში გაყრილია ბრინჯაოს ღერძაკი. მშვილდის სიგანე — 0,5 სმ.

მშვილდსაკინძი № 6 — ბრინჯაოსი, შემორჩენილია მშვილდის შუა ნაწილი, ძირბრტყელი და მომრგვალებული ზედაპირით. რკალის ზედაპირზე ამოღარულია ურთიერთგადამკვეთი ორი ხაზი. მშვილდის სიგანე — 0,5 სმ.

სამარხი № 2. აღმოჩნდა 4 ჩონჩხი და შემდეგი ნივთები (ტაბ. X, 1):

საკინძი № 7 — ნაკლული ღეროთი, მინის მძივის თავით. მძივი მოლურჯოა, დახშული, ოვალური. მასში გაყრილია ბრინჯაოს ღერო, რომელიც თავსა და ბოლოში დამაგრებულია ბრინჯაოს ვარდულებით. მძივის სიგანე — 1 სმ, სიგანე — 0,8 სმ.

ღეროები №№ 8, 9, 11, 12 — რკინისა, დაჟანგული, რომლებიც წარმოადგენდნენ საკინძების ნაწილებს. ერთზე (№ 12) შემორჩენილია ბრინჯაოს ვარდული. ღეროების შემორჩენილი სიგრძე — 2,1—3,3 სმ, ღეროს დმ — 0,3—0,6 სმ.

საკინძი № 15 — ნაკლული ღეროთი, თავი სარდიონის მძივისა. მძივი ოვალური მოყვანილობისაა, რვაწახნაგა და მაგრდება რკინის ღეროზე ბრინჯაოს ვარდულებით, რომლებიც შემორჩენილია თავსა და ბოლოში. მძივის სიგრძე — 1,2 სმ, სიგანე — 0,7 სმ.

საკინძი № 16 — ნაკლული ღეროთი, თავი მინის მძივისა. მძივი დახშულია, ლურჯი, ოვალური მოყვანილობის, რომელიც მაგრდებოდა რკინის ღეროზე ბრინჯაოს ვარდულებით. მძივის სიგრძე — 1,5 სმ, სიგანე — 1,3 სმ.

სამარხი № 3. აღმოჩნდა 5 ჩონჩხი და შემდეგი ნივთები: (ტაბ. X, 1):

საკინძი № 2 — ბრინჯაოსი, რომლის თავიც გამოსახავს ოთხკუთხა მოყვანილობის დაფანჯრულ შენობას*. ღერო მოღუნულია, ბოლოში დავიწროებული. სიგრძე — 14,7 სმ, ღეროს დმ — 0,3 სმ.

საკინძი № 4 — რკინისა, დაჟანგული, ნაკლული ღეროთი და მინის მძივის ოვალური თავით, რომელსაც თავსა და ბოლოში ბრინჯაოს ვარდულები აქვს. მძივი დახშულია და მოლურჯო. შემორჩენილი სიგრძე — 4,6 სმ, ღეროს დმ — 0,3 სმ; მძივის სიგრძე — 0,9 სმ, სიგანე — 0,7 სმ.

საკინძი № 10 — ნაკლული ღეროთი, თავი მარჯნისა, ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის. თავის სიგრძე — 2 სმ, დმ — 0,8 სმ.

საკინძი № 13 — მინის მძივის სანახევროდ შემორჩენილი თავით და რკინის ნაკლული ღეროთი. მძივი დახშულია, მოლურჯო და ღეროზე ბრინჯაოს ვარდულითაა დამაგრებული. შემორჩენილი სიგრძე — 1,3 სმ.

საკინძი № 14 — მსგავსია ზემოაღწერილის (№ 13-ის). შემორჩენილი სიგრძე — 1,8 სმ, ღეროს დმ — 0,3 სმ.

ფირფიტა № 17 — მინისა, არათანაბარი მოყვანილობისა, გამჭვირვალე, თხელი. დმ — 0,7 — 0,9 სმ, სისქე — 0,1 სმ.

ტყავის № 18 — ნაშთი ოდნავ მოღუნული, ნასვრეტებიანი გვერდებით. შემორჩენილი სიგრძე — 4,4 სმ, სიგანე — 5 სმ.

წყნეთის სამივე სამარხში, როგორც მიღებული იყო შუა საუკუნეების საოჯახო სამარხების დაკრძალვის წეს-ჩვეულებებში, უკანასკნელი მიცვალე-

---

* თავი ნაწილობრივ დაიშალა გაწმენდისას.

ბული ესვენა გაშოტილი, ხოლო ადრინდელი ძვლები მიხვეტილია აღმოსავლეთით. ამ ტიპის სამარხებს მოეძებნება მრავალი ანალოგია აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების სამაროვნებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ლიტერატურა [1, გვ. 68].

ინვენტარიდან ყველაზე მრავლადაა წარმოდგენილი საკინძები, რომელთა ნაწილი დაზიანებულია. ისინი თავისი მოყვანილობით ორ ჯგუფად იყოფა. პირველი ჯგუფის საკინძების თავიც და ღეროც ერთი მასალისგან არის დამზადებული, ხოლო მეორე ჯგუფის საკინძების თავი შემკულია სხვა მასალისგან. საკინძების ღეროები დამზადებულია ბრინჯაოსგან ან რკინისგან.

პირველი ჯგუფის პირველი ტიპის საკინძებს მიეკუთვნება საკინძი (ტაბ. X, 1, № 2), რომლის თავი გამოსახავს ოთხკუთხა მოყვანილობის დაფანჯრულ შენობას. ამ ტიპის საკინძები აღმოჩენილია არმაზისხევში [2, გვ. 137], მარტყოფისხევში*, მცხეთის შემოგარენში — ტუიაქოჩორას სამაროვანზე [3, გვ. 161, 166], არაგვის ხეობაში — ჟინვალის სამაროვანზე**, ფიტავში [4, გვ. 113] და ანანურთან თეთრგზაზე***, მაგრანეთში, ქუშანაანთგორის სამაროვანზე [1, გვ. 46, 69—70], ალგეთის ხეობაში—ხოპისის ქედის სამაროვანზე****, ქსნის ხეობაში — ქვემო ალევისა და კორინთის სამაროვნებზე [5, გვ. 62—64, ტაბ. I, VII, XII, XXVI, XXXI], დიდი ლიახვის ხეობაში — სტირფაზის სამაროვანზე [6, გვ. 60, სურ, 35]. აღნიშნული ტიპის საკინძები თანმხლები ინვენტარით თარიღდება VI—VIII საუკუნეებით [7, ტაბ. II, 8, გვ. 127, ტაბ. XL, 27]. საკინძების თავები განსხვავდება ერთმანეთისაგან მოყვანილობით და მათ შორის შეიძლება რამდენიმე ტიპის გამოყოფა. ერთი კი უდავოა, რომ „შენობის“ გამოსახულებიანი საკინძების თავები მოყვანილობით ემსგავსება ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ცალკეულ ელემენტებს.

პირველი ჯგუფის მეორე ტიპის საკინძებს მიეკუთვნება წყნეთის № 1 სამარხში აღმოჩენილი საკინძი „ხელის“ მტევნის გამოსახულებიანი თავით (ტაბ. X, 1, № 1). ამ ტიპის საკინძები ფართოდ იყო გავრცელებული VI—VIII სს. სამარხეულ კომპლექსებში. ისინი აღმოჩენილია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც [1, გვ. 45—46, 70—72].

მესამე ტიპს მიეკუთვნება ბრინჯაოს მთლიანადსხმული საკინძი (ტაბ. X, 1, № 3), რომლის თავი ნახევარსფეროს მოყვანილობისაა. მსგავსი საკინძები აღმოჩენილია მცხეთაში [2, გვ. 137; 9, გვ. 149; 7, ტაბ. II; 8, ტაბ. XLII, 30, 31, XLIII, 55] და მის მიდამოებში [3, გვ. 161, სურ. 637], თრანში — ბაღების სამაროვანზე [1, გვ. 57—58, 72] და ქვემო ალევში [5, ტაბ. XVI, 13, ტაბ. XXIII, 21, ტაბ. XXXI, 22] VI—VII სს. კომპლექსებში.

მეორე ჯგუფში გაერთიანებულია საკინძები, რომელთა თავი შემკულია მინის, სარდიონისა და მარჯნის მძივებით. ისინი ბრინჯაოს ან რკინის ღეროზე ბრინჯაოს ვარდულებით ან რგოლებითაა დამაგრებული თავსა და ბოლოში. აქვე უნდა გაერთიანდეს რკინის ღეროები (ტაბ. X, 1, №№ 8, 9, 11, 12), რომელთა თავები არაა შემორჩენილი.

მძივების მოყვანილობის მიხედვით აღნიშნული საკინძები იყოფა ორ ტიპად.

---

* ცნობა მოგვაწოდა უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ნ. უგრელიძემ.

** ცნობა მოგვაწოდა მეცნიერ თანამშრომელმა ვ. ჩიხლაძემ.

*** ცნობა მოგვაწოდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა რ. რამიშვილმა.

**** ცნობა მოგვაწოდა უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ჯ. ამირანაშვილმა.

პირველი ტიპის საკინძების თავები (ტაბ. X, 1, №№ 4, 7, 13, 14, 15, 16) მრგვალი და ოვალური მოყვანილობისაა. მინის მძივები სადაა, ხოლო სარდიონის — მრავალწახნაგა. ასეთი საკინძები დამახასიათებელია VI—VIII სს. [9, გვ. 153; 7, ტაბ. II; 8, გვ. 128, ტაბ. XLIII; 1, გვ. 44—45, 74; 5, გვ. 66, ტაბ. XXXII; 10, გვ. 119, ტაბ. I].

მეორე ტიპს მიეკუთვნება ერთადერთი საკინძი (ტაბ. X, 1, № 10) მარჯნის თავით, რომელიც ბროწეულის ყვავილის მოყვანილობისაა. მსგავსი საკინძები ფართოდ იყო გავრცელებული და გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში შესწავლილ ადრეულ შუა საუკუნეების თითქმის ყველა სამაროვანზე [9, გვ. 154, ტაბ. I; 7, ტაბ. II; 8 გვ. 86—89, ტაბ. XLIII; 11, გვ. 27, ტაბ. II, 1, გვ. 44—45, 74; 16, გვ. 9, ტაბ. XXVII—XXVIII; 17, გვ. 73, 75].

წყნეთის № 1 სამარხში აღმოჩენილია მშვილდსაკინძის ორი ნატეხი (ტაბ. I, 1, № 5, 6). ერთი ნატეხის (№ 5) შემორჩენილია მუხლი მშვილდის ზედა ნაწილით, რომელზედაც ამოღარულია ურთიერთგადამკვეთი ორი ხაზი. ხოლო მეორე ნატეხის (№ 6) შუა ნაწილია შემორჩენილი, რომლის ზედაპირზე ავრეთვე ორი ხაზია. შესაძლოა ეს ორი ნატეხი ერთი მშვილდსაკინძის ნაწილი იყოს. ანალოგიური მასალების მიხედვით ის უნდა ყოფილიყო ბუდეაბმული, ორწილადი და ჭვინტიანი. მშვილდზე ურთიერთგადამკვეთი ხაზები დაფიქსირებულია სამთავროს VI—VIII სს. მშვილდსაკინძებზე [8, ტაბ. XIX, 10].

გარდა ზემოთ განხილული ინვენტარისა, წყნეთის № 3 სამარხში აღმოჩენილია მინის თხელი გამჭვირვალე ფირფიტა (ტაბ. X, 1, № 17), რომელიც შესაძლოა რაღაც ნივთის ნაწილს წარმოადგენდა.

ამავე სამარხშია გამოვლენილი ტყავის ნაშთი (ტაბ. X, 1, № 18) ოდნავ მოღუნული, ნასვრეტებიანი გვერდებით. ის შესაძლოა დაკავშირებული იყო ჩაცმულობის ატრიბუტთან.

წყნეთში, ადგილ შოლტებში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნის ინვენტარი ანალოგიური მასალით დამახასიათებელია VI—VIII სს., რაც საშუალებას იძლევა აღნიშნული სამაროვანი ამავე პერიოდით დავათარიღოთ. როგორც ჩანს, დაბა წყნეთის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ადრეულ შუა საუკუნეებში. ამას ადასტურებს წყნეთში 1980 წელს გათხრილი სამარხები, რომელთა პუბლიკაცია მოგვცემს უფრო ზუსტ თარიღს. შესაძლოა ისინი თანადროული იყვნენ და ერთი სამაროვნის ნაწილს წარმოადგენდნენ.

დაბა წყნეთისა და მისი შემოგარენის [ნახშირგორა — 11, გვ. 24—33; 12, გვ. 355—356; ბეთანია — 10, გვ. 113—121] სამარხები ინვენტარით ემსგავსება მცხეთის თანადროულ სამაროვნებს. ეს ურთიერთობები მცხეთის საწარმოო ცენტრებთან ხორციელდებოდა იმ უმოკლესი გზებით, რომელიც გადიოდა ვერის და დიღმის ხეობებზე [13, გვ. 63—77; 19, გვ. 35; 31, გვ. 90—103], სადაც აგრეთვე აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების სამარხები.

II. 1964 წელს ს. გლდანში, ადგილ რიყიანში (ახალი დასახლება) ივანე გიორგის ძე ონანაშვილის საკარმიდამოში, მშენებლობის დროს დაინგრა ქვის სამარხები, სადაც აღმოჩნდა ინვენტარი (ტაბ. X, 2)*.

ს ა ყ უ რ ე № 1 — ბრინჯაოსი, ნაკლული, წრიულად მორკალული. მრგვალი, წვრილი ღერო ქვედა ნაწილში დაბრტყელებულია და ორ ადგილას გახ-

---

* მასალა გადმოგვცა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ყოფილმა მძღოლმა, ს. გლდანის მცხოვრებმა ა. ბერიძემ. ინახება არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში.

ვრეტილი. მასში გაყრილია სხვადასხვა ზომის ორი რგოლი, რომელთა ბოლოებზე დამაგრებულია ორ-ორი მძივი. ორი მძივი ბრინჯაოსია, ხოლო თითო — მინისა და სარდიონის. საყურის დმ — 2,4 სმ, ღეროს დმ — 0,2 სმ, მძივის დმ — 0,2 სმ.

საყურე №2 — მსგავსია ზემოაღნიშნულის (№1-ის). აკლია ერთი რგოლი და მძივები. დმ — 2,4 სმ, ღეროს დმ — 0,1 სმ.

საკინძის თავი №3 — მარჯნისა, ბროწეულის ყვავილის მოყვანილობისა, რომელიც დამაგრებული იყო რკინის ნაკლულ ღეროზე ბრინჯაოს ვარდულით. თავის სიგრძე — 2,2 სმ, დმ — 0,8 სმ.

ღერო №4 — რკინისა, ნაკლული, მრგვალი, ოდნავ მოღუნული. დმ — 0,5 სმ.

საკინძის თავი №5 — მარჯნისა, ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის. ღერო არ იყო შემორჩენილი. თავის სიგრძე — 2,2 სმ, დმ — 0,8 სმ.

ღერო №6 — ბრინჯაოსი, ნაკლული, შემორჩენილია ორი ნატეხი, ბოლო წაწვეტებული. დმ — 0,2 სმ.

გლდანში გამოვლენილი სამკაულები იქ აღმოჩენილი სამაროვნის დათარიღების საშუალებას იძლევა.

კოლექციაში წარმოდგენილია ორი საკინძის მარჯნის თავი ბროწეულის ყვავილის მოყვანილობის (ტაბ. X, 2, №3,5). აგრეთვე საკინძის ნაწილი უნდა იყოს ბრინჯაოს ღეროს ორი ნატეხი (ტაბ. X, 2, №6).

საკინძები მარჯნის თავით დამახასიათებელია VI—VIII სს. და გვხვდება ამ პერიოდის სამაროვნებზე [1, გვ. 44—45, 74; 8, გვ. 86—89; 14, გვ. 40—41].

რკინის ღერო (ტაბ. X, 2, №4), რომელიც ოდნავ მოღუნულია, შესაძლოა სამაჯურის ნაწილი იყოს.

რიყიანის სამაროვნის დასათარიღებლად საყურადღებოა ბრინჯაოს ორი საყურე, რომელთა ქვედა ნაწილზე შებმულია მოძრავი ორ-ორი საკიდი ზედწამოცმული მძივებით (ტაბ. X, 2, №1, 2). მსგავსი საყურეები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [7, ტაბ. II], ნახშირგორის სამაროვანზე [11, გვ. 31, ტაბ. II], ქვემო ალევის სამაროვანზე [5, გვ. 100—101, ტაბ. XXXIV] და სხვ., რომლებიც VI—VII სს. თარიღდება.

ზემოთ განხილული მცირერიცხოვანი არქეოლოგიური მასალით გლდანის რიყიანის სამაროვანი VI—VIII სს-ით თარიღდება.

გლდანის სამაროვანი და იქვე მდებარე მისი თანადროული ცხვარიჭამიას სამაროვანი [15, გვ. 159—166] ინვენტარით მჭიდროდ იყო დაკავშირებული მცხეთასთან, რასაც ხელს უწყობდა ადგილმდებარეობა და უმოკლესი გზები.

1965 წელს საგარეჯოს რაიონის ს. კოჭბაანში, ს. რუსიანში და ს. ვერონის ციხის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილ დანგრეულ სამარხებში გამოვლინდა ნივთები, რომლებიც ინახება ს. გომბორის საშუალო სკოლაში*.

III. ს. კოჭბაანში აღმოჩნდა (ტაბ. XI): საკინძი №5 — ბრინჯაოსი, მრგვალი, წვეტიანი ღეროთი და ბრინჯაოსივე დაბრტყელებული თავით. თავს ქვემოთ ღეროს შემოუყვება ორი კვადრატული რგოლი. სიგრძე — 9,4 სმ, ღეროს დმ — 0,2 სმ, თავის დმ — 0,8 სმ.

საკინძი №6 — ბრინჯაოსი, მრგვალი, წვეტიანი ღეროთი და ლურჯი მინის ოვალური ეჭვსწახნაგა თავით, რომელიც ფუძით ეყრდნობა ბრინჯა-

---

* აღნიშნული მასალის შესახებ ცნობა მოგვაწოდა ს. გომბორის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელმა, აწ განსვენებულმა ხ. ციცხვაიამ.

ოს ორ რგოლს. სიგრძე — 9,5 სმ, ღეროს დმ — 0,2 სმ, თავის სიგრძე — 1,5 სმ, სიგანე — 1 სმ.

საკინძი № 7 — ბრინჯაოსი, ზედა ნაწილში გაყრილია წვრილი ღერო და შექმნილია ჯვრის მოყვანილობის თავი, რომლის ბოლოებზე წამოცმულია მინის დახშული მძივები და ბრინჯაოს რგოლები. მრგვალი ღერო ნაკლულია. შემორჩენილი სიგრძე — 3,8 სმ, ღეროს დმ — 0,1 სმ, მძივების დმ — 0,5 სმ, რგოლების დმ — 0,2 სმ.

სამაჯური № 8 — მინისა, ირიზებული, ნაკლული, შავი, გაუმჭვირვალე, წრიულად მორკალული. სადა ღერო არათანაბარი სისქისაა, შეერთებისას დაბრტყელებულია და შემორჩენილია ორი კბილანა. დმ — 8 სმ, ღეროს დმ — 0,5 — 0,7 სმ.

სამაჯური № 9 — მინისა, ირიზებული, ნაკლული, შავი, გაუმჭვირვალე, მრგვალღეროიანი. ღეროს დმ — 0,6 სმ.

სამაჯური № 10 — მინისა, ირიზებული, ნაკლული, შავი გაუმჭვირვალე. მრგვალ ღეროზე შემორჩენილია სამი კბილანა. ღეროს დმ — 0,6 სმ.

სამაჯური № 11 — მინისა, ირიზებული, ნაკლული, ლურჯი, გაუმჭვირვალე, სადა ღერო სამკუთხაგანივკვეთისაა. ღეროს სიგანე — 0,8 სმ.

მძივი № 12 — ძვლისა, მოყვითალო, მოგრძო, ბრტყელი, გვერდებმომრგვალებული. ერთი მხარე ოდნავ განიერი. სიგრძე — 3,3 სმ, სიგანე — 1,8—2 სმ, ნახვრეტის დმ — 0,2 სმ.

მძივი № 13 — მინისა, დახშული, შავი, ინკრუსტირებულია რელიეფურად მინის მოყავისფრო ძაფით. მძივის დმ — 1,6 სმ, ნახვრეტის დმ — 0,6 სმ.

მძივი № 14 — ფაიანსისა, ცისფერი, გამოყოფილი ყუნწით, რომელიც გახვრეტილია. მძივი ქვედა ნაწილში ოდნავ შეჭრილია. მძივის სიგრძე — 1,7 სმ, სიგანე — 1,5 სმ, ნახვრეტის დმ — 0,2 სმ.

მძივი № 15 — ქალცედონისა, მოთეთრო, გამოყოფილი ყუნწით, რომელიც გახვრეტილია. სიგრძე — 1,8 სმ, სიგანე — 1,3 სმ, ნახვრეტის დმ — 0,1 სმ.

მძივი № 16 — მინისა, ცისფერი, გაუმჭვირვალე, მოგრძო, მომრგვალებული. სიგრძე — 1,9 სმ, დმ — 0,4 სმ. ნახვრეტის დმ — 0,2 სმ.

მძივი № 17 — მინისა, ცისფერი, გაუმჭვირვალე, მრგვალი, ზედაპირდაკეჭნილი. დმ — 1,4 სმ, ნახვრეტის დმ — 0,5 სმ.

მძივი № 18 — მსგავსია ზემოაღწერილისა (№ 17), დმ — 1,2 სმ, ნახვრეტის დმ — 0,5 სმ.

ამ ნივთების აღმოჩენის შესახებ უფრო დაწვრილებითი ცნობები არ მოგვეპოვება. მათი შესწავლა საშუალებას იძლევა ინვენტარში გამოიყოს ორი ქრონოლოგიური პერიოდი.

ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება სამი საკინძი. აქედან ერთის თავიც და ღეროც დამზადებულია ერთი მასალისგან (ტაბ. XI, № 5). დაბრტყელებულთავიანი საკინძები აღმოჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს VI—VII სს. სამარხეულ კომპლექსებში: მცხეთა [2, გვ. 137; 9, გვ. 149; 7, ტაბ. II; 8, ტაბ. XLII, 7, 8], ჟინვალი [18, გვ. 62, ტაბ. LXXXVIII], ქვემო ალევი [5. გვ. 62, ტაბ. XXXI] და სხვ.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება ბრინჯაოს საკინძი მინის ოვალური თავით (ტაბ. XI, № 6).

რაც შეეხება საკინძს ჯვრისებრი თავით (ტაბ. XI, № 7), მისი მსგავსი აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანზე [9, გვ. 155], ნაჭალაჭარ ურბნისის სა-

მაროვანზე [20, გვ. 85], ს. რაჭისუბნის სამაროვანზე [21, გვ. 31, ტაბ. IX], მაგრანეთის საცხვრეგორის სამაროვანზე [1, გვ. 53, 74], ქვემო ალევის სამაროვანზე [5, გვ. 71, ტაბ. XXXII], ჟინვალის სამაროვანზე [22, ტაბ. LXXXI] და სხვა, რომლებიც VI—VII სს. თარიღდებიან. ბრინჯაოს საკინძები ჯვრისებური თავით ფართოდ იყო გავრცელებული ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში. ისინი თავისი მოყვანილობით ემსგავსება ქრისტიანულ სიმბოლიკას და როგორც სამარხეული ატრიბუციიდან ჩანს, წარმოადგენდა ქალთა თავსამკაულის ერთ-ერთ ელემენტს.

კოშბაანის კოლექციაში გაერთიანებული ნივთებიდან სამი საკინძი ანალოგიური მასალებით თარიღდება VI—VII სს-ით, რაც იძლევა საშუალებას ამ სოფლის ტერიტორიაზე ვივარაუდოთ ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი.

კოშბაანის კოლექციაში შემავალი მინის ოთხი სამაჯურის ფრაგმენტი (ტაბ. XI, №№ 8, 9, 10, 11) და მძივები მინის, ძვლის, ფაიანსის, ქალცედონიისა (ტაბ. XI, №№ 12, 13, 14, 15, 16, 17, 18) დამახასიათებელია XII—XIV სს. მათი ანალოგიური მასალა მრავლად არის აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სამაროვნებზე [23, გვ. 194; 24, გვ. 140; 25, გვ. 103—107; 26, გვ. 98—115; 27, გვ. 150; 28, გვ. 44—74; 29, გვ. 134—160; 30, გვ. 26—36]. ამ მასალების მიხედვით ირკვევა, რომ ს. კოშბაანის ტერიტორიაზე აგრეთვე სავარაუდებელია განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნის არსებობა.

IV. ს. რუსიანში აღმოჩნდა (ტაბ. XI): საყურე № 1 — ბრინჯაოსი ოვალურად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი, ერთი თავი დავიწროებული. სიგრძე — 1,9 სმ, სიგანე — 1,4 სმ, ღეროს დმ — 0,1 სმ.

სამაჯური № 2 — ბრინჯაოსი, ოვალურად მორკალული, მრგვალღეროიანი, თავგახსნილი. ერთი თავი დავიწროებულია, ხოლო მეორე — ნაკლული. სიგრძე — 5 სმ, სიგანე — 4 სმ, ღეროს დმ — 0,2 სმ.

სამაჯური № 3 — რკინისა, დაჟანგული, ოვალურად მორკალული, თავგახსნილი, ბრტყელღეროიანი, თავებდავიწროებული. ღეროზე გარედან შემორჩენილია ქსოვილის ნაშთი. სიგრძე — 7,4 სმ, სიგანე — 4,9 სმ, ღეროს სიგანე — 0,8 სმ.

V. ს. ვერონის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა (ტაბ. XI): მძივები №№ 4/1, 4/2, 4/3, 4/4, — სარდიონისა. სამი ოვალური, ზედაპირდაბრტყელებული, სხვადასხვა ზომის, მეოთხე — ოთხკუთხა, მსხვილი. მძივების ზომა: სიგრძე — 3,2 სმ, 2,4 სმ, 2,2 სმ, 2,1 სმ; სიგანე — 2, 4 სმ, 1,7 სმ, 1,6 სმ, 1,8 სმ; ნახვრეტის დმ — 0,3 სმ, 0,2 სმ, 0,4 სმ.

ს. რუსიანისა და ს. ვერონის ციხის კოლექციებში შემავალი ნივთები — ბრინჯაოს სამაჯური (№ 2) და საყურე (№ 1), რკინის სამაჯური (№ 3), სარდიონის მძივები (№ 4/1, 4/2, 4/3, 4/4) XII—XIV სს. მიეკუთვნება [25, გვ. 106—107, 124—125; 28, გვ. 44—74; 29, გვ. 130—160]. აღნიშნული ნივთები მიგვანიშნებს ს. რუსიანის და ს. ვერონის ციხის ტერიტორიაზე განვითარებული შუა საუკუნეების სამაროვნების არსებობაზე.

დ. წყნეთში, ს. გლდანში და საგარეჯოს რაიონის ტერიტორიაზე შემთხვევით გამოვლენილი სამარხებიდან მომდინარე არქეოლოგიური მასალები მიეკუთვნება ორ ქრონოლოგიურ პერიოდს: VI—VIII სს. და XII—XIV სს. სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოხერხდა ამ ახლად გამოვლენილი სამაროვ-

ნების ადგილების მოხილვა და სადაზვერვო გათხრების ჩატარება, მაგრამ მათი მეცნიერული პუბლიკაცია მაინც საშური საქმეა. აღნიშნული მასალები ნათლად მეტყველებს, რომ ადრეულ და განვითარებულ შუა საუკუნეებში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ყოფილა ერთიანი ყოფა-კულტურა და ცალკეულ რეგიონებს შორის ჩანს მჭიდრო ურთიერთკავშირები.

В. А. ДЖОРБЕНАДЗЕ

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ МАТЕРИАЛЫ ИЗ МОГИЛЬНИКОВ, СЛУЧАЙНО ОБНАРУЖЕННЫХ В ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Публикуются археологические материалы из могильников, обнаруженных случайно во время земляных работ. К сожалению, археологические исследования на местах находок не удалось провести, но погребальный инвентарь дает возможность датировать вновь обнаруженные могильники.

1. В пос. Цхнети, местечке Шолтеби, во дворе детсада № 5 железнодорожного управления было выявлено три погребения в каменном ящике. На основании бронзовых булавок с головками в виде модели «здания» и кисти человеческой «руки», булавок с сердоликом, коралловой и стеклянными головками и др., могильник датируется VI—VIII вв. (табл. X, 1).

2. В с. Глдани, в местечке Рикиани (новое поселение), в разрушенном каменном ящике обнаружены обломки бронзовых булавок с коралловыми головками, бронзовые серьги и т. д., датируемые VI—VIII вв. (табл. X, 2).

В Сагареджойском районе погребальный инвентарь обнаружен в трех пунктах (табл. XI).

3. В с. Кочбаани его можно отнести к двум хронологическим периодам. Бронзовые булавки датируются VI—VII вв., а стеклянные браслеты и бусы из стекла, кости, фаянса и халцедона—XII—XIV вв.

4. В с. Русиани найдены бронзовый браслет и серьга, а также железный браслет, относимые к XII—XIУ вв.

5. На территории крепости Верона обнаружены сердоликовые бусы, характерные для периода развитого средневековья.

Публикация этих материалов дает возможность более полно представить археологическую карту средневековых памятников Восточной Грузии.

Вновь обнаруженные материалы свидетельствуют об единстве материальной культуры и многообразных взаимоотношениях населения различных регионов Восточной Грузии в период раннего и развитого средневековья.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ბ. ჯორბენაძე, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, IV. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბ., 1982.

2. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. ტ. I. თბ., 1955.

3. ვ. ნიკოლაიშვილი, ტუიაქოჩორას სამაროვანი. — მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978.

4. Р. Рамишвили., В. Джорбенадзе., З. Каландадзе и др. Живальская экспедиция. — ПАИ, 1975 (1978).

5. ნ. აფხაზავა, ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.

6. Р. Х. Гаглоев, Стырфазский могильник. Цхинвали, 1984.

7. ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967.

8. ნ. აფხაზავა, ადრეული შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბ., 1979.

9. ო. ტუეშელაშვილი, სამთავროს ახ. წ. IV—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები. — მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, 1957.

10. ი. კიკვიძე, ლ. ჭილაშვილი, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან, — მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, 1961.

11. ო. ტუეშელაშვილი, არქეოლოგიური დაზვერვები თბილისსა და მის მიდამოებში. — თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, თბ., 1966.

12. ი. გაგოშიძე, ნახშირგორის სამაროვანი. — ქსე, ტ. 7, 1984.

13. ვ. ნიკოლაიშვილი, ვაშლიჯვარის სამაროვანი. — სას, II, 1979.

14. გ. ბოლქვაძე, ადრეული შუასაუკუნეების სამაროვანი დმანისის რაიონიდან. — ძე, № 66, 1984.

15 ნ. აფხაზავა, ადრეული შუა საუკუნეების სამარხები ცხვარიჭამიადან. — მუზეუმის მოამბე, ტ. XXXVII—B, 1984.

16. გ. ლომთათიძე, ქალაქი რუსთავი არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით. — რუსთავი. არქეოლოგიური გათხრები 1946—1965. თბ., 1988.

17. М. М. Иващенко, Руставский могильник.—Рустави. Археологические раскопки 1946—1965. Тб., 1988.

18. Р. М. Рамишвили., В. А. Джорбенадзе., М. Г. Глонти и др. Работы Живальской комплексной археологической экспедиции. — ПАИ, 1981 (1984).

19. Р. М. Абрамишвили., М. Р. Абрамишвили., Н. И. Окропиридзе, Археологические раскопки в Тбилиси. — ПАИ, 1981 (1984).

20. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. თბ., 1964.

21. М. И. Синауридзе, Результаты археологического изучения Болнисского района. Тб., 1977

22. Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Живальская экспедиция. — ПАИ, 1979 (1982).

23. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. — მსკა, ტ. I, 1955.

24. ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი. თბ., 1958.

25. რ. რამიშვილი, ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. I, სიონი. თბ., 1970.

26. რ. დოლაბერიძე, საქართველოს მინის სამაჯურები. — მუზეუმის მოამბე, ტ. XXVIII—B, 1969.

27. მ. ჩხატარაშვილი, შუასაუკუნეთა რუსთავში მინის წარმოების ისტორიისათვის. — ფსაძ, I, 1969.

28. ლ. ჭილაშვილი, ძველი გავაზი. თბ., 1975.

29. ბ. ჯორბენაძე, ჟინვალის ნაქალაქარის სამაროვნის თხრა 1972 წელს. — ჟინვალი. არქეოლოგიური კვლევა-ძიება არაგვის ხეობაში. I, თბ., 1983.

30. ლ. ჭილაშვილი, არეში. თბ., 1991.

31. ვ. ნიკოლაიშვილი, დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, — სას, III, 1985.

ც. ლომიძე

აბანოსხევის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი

აბანოსხევი ანუ ქვემო ბულაჩაური, როგორც დღეს უწოდებენ, მდებარეობს სოფ. ჭოპორტის ჩრდილოეთით 5—6 კილომეტრის დაშორებით, მდ. არაგვის მარცხენა მხარეს, იქ, სადაც აბანოსხევის წყალი მთებიდან გამოდის არაგვისპირა ველზე და უერთდება არაგვს. ეს პატარა ხევი სათავეს იღებს ნოკორნის მთიდან და ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება როგორც ნოკორნის ხევი. სოფელი აბანოსხევი განლაგებულია ხევის ორივე ნაპირზე. იგი წარსულში ადმინისტრაციულად შედიოდა ჩრდ. კუხეთის შემადგენლობაში. ჩრდ. კუხეთი ის რეგიონია, რომელსაც ყოველ ეპოქაში თავისი მდებარეობის გამო უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ეკონომიკური, ისე სტრატეგიულ-პოლიტიკური თვალსაზრისით, რაზეც მეტყველებს არაგვის ხეობის ამ რეგიონის დანგრეული ციხე-კოშკები, ეკლესია-მონასტრები, ნასოფლარები, სამაროვნები.

ჩრდ. კუხეთის ეს პუნქტი იმითაცაა საყურადღებო, რომ აქ უნდა ყოფილიყო ვარზაბაქარის მიერ IV საუკუნეში აშენებული ხიდარის ციხე და ვფიქრობთ, რომ ხიდარი სოფ. აბანოსხევის ძველ სახელწოდებას წარმოადგენდა. წერილობითი ცნობების მიხედვით, ვახუშტი ბატონიშვილი არაგვის პირის და ბაზალეთის აღწერისას ამბობს: „ხოლო კუალად არაგჳს პირს არს ოჯერ-ჯიდა, რომელსა ეწოდა პირველ ჯიდარი, სადაცა აღაშენა ვარზაბაქარ ციხე და უკუჯდა ჯევსა კახეთისასა და არაგჳს პირს. მისაქციელიდამ და ოჯერ-ჯიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი და ოჯერ-ჯიდის ჩდილოთ არს ბოდორნას ჭუაბნი“ [1, გვ. 353].

თვით სახელწოდება ხიდარი, ოხერხიდა უნდა მიუთითებდეს აქ ხიდის მდებარეობას. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღნიშნულ რეგიონში ისტორიულად მნიშვნელოვანი გზები გადიოდა როგორც ერწოში, ახატან-საგურამოზე გავლით, ასევე გორანა-ლაფანაანთკარზე გავლით.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ აქვე მდებარეობს სოფელი მისაქციელი, რომლის სახელწოდებასაც აკად. ნიკო ბერძენიშვილი აქ გამავალი დიდმნიშვნელოვანი მაგისტრალის არსებობას უკავშირებდა [2, გვ. 23], მაშინ აქ მნიშვნელოვანი ხიდის არსებობა ლოგიკურია.

თუ გავითვალისწინებთ მცხეთიდან ჟინვალამდე არაგვის კალაპოტის გაშლილობას, ძნელი წარმოსადგენია სამე ხიდის გამართვა შესაძლებელი ყოფილიყო, გარდა აბანოსხევისა, სადაც მდინარის კალაპოტი დავიწროებულია და გადმოცემის მიხედვითაც ამ ადგილზე ხის ხიდი ყოფილა გამართული.

საყურადღებოა, რომ ამ პუნქტში, არაგვის მარჯვენა მხარეს მდგარა ციხე, რომელიც 50-იან წლებში წილკან-მისაქციელის სარწყავი არხის მშენებლობისას დაუნგრევიათ.

სოფ. აბანოსხევში შემთხვევით არქეოლოგიურ აღმოჩენებს ადგილი ჰქონდა 1946 წ. ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობისას, მშენებლებს დაუნგრევიათ სამარხები. დანგრეული სამარხები და ინვენტარი უნახავს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მაშინდელ სწავლულ მდივანს გ. ლომთათიძეს. შემდგომში იქ მასალები შეისწავლა და გამოაქვეყნა დ. ჭორიძემ, რომელმაც იგი დაათარიღა ძვ. წ. XIII—XII სს. [3]. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძ. რ. რამიშვილი) სოფ. აბანოსხევში კვლევა-ძიება დაიწყო 1977 წლიდან. გამოვლენილია ენეოლითური ხანიდან მოკიდებული თითქმის ყველა პერიოდის ძეგლი [4].

ჩვენი კვლევის საგანია აბანოსხევის ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სამაროვანი, რომელიც მდებარეობს სოფ. აბანოსხევის ჩრდილო-დასავლეთით მდ. არაგვის მარცხენა ნაპირზე წყალსაცავის ზონაში. სამაროვანზე არქეოლოგიური სამუშაოები ჩატარდა 1977 წ. (რაზმის ხელმძ. გ. რჩეულიშვილი) და 1981 წ. (რაზმის ხელმძ. ივ. წიკლაური). 1977 წ. გაიწმინდა 11 სამარხი [4], 1981 წ. — 9 სამარხი [5]. (ტაბ. XII—XIV).

აბანოსხევის სამაროვანზე კულტურულ ფენათა განლაგება შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სამაროვანი, მას მოსდევს ადრებრინჯაოს ხანის კულტურული ფენა. ადრებრინჯაოს მასალა თარიღდება III ათასწლეულის I ნახევრით. შემდეგ ფენაში გამოვლინდა ენეოლითური ხანის მასალა, მიწის პირიდან 3,2 მ სიღრმეზე. იგი თარიღდება ძვ. წ. V—IV ათასწლეულებით.

სამაროვანზე მიკვლეულია სამარხთა სამი ტიპი: ორმოსამარხები, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები და ქვის სამარხები. აღვწერთ რამდენიმე ტიპურ სამარხს.

სამარხი № 8 წარმოადგენდა ორმოსამარხს. მასში დადასტურდა ორი ჩონჩხი. ერთი მიხვეტილი იყო სამარხის სამხრეთ ნაწილში, მთელ სიგრძეზე, მეორე კი დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, მუხლებში ოდნავ მოხრილი. ხელის მტევნები სახესთან ახლოს ეწყო. დამხრობილია ჩრისტიანულად. სამარხეული ორმოს სიგრძე — 1, 45 მ, სიგანე — 0,5 მ, სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 9 მდებარეობდა № 3 თხრილის დასავლეთ ნაწილში. წარმოადგენდა ორმოსამარხს. მასში გამოვლინდა მოზრდილი ადამიანის ჩონჩხი დაკრძალული ჩრისტიანულად, წელს ზემოთ გაშოტილი, მუხლებში კი მოხრილი. სამარხეული ორმოს სიგრძე — 1,6 მ, სიგანე — 0,4 მ. სამარხი უინვენტაროა.

სამარხი № 17 მდებარეობს № 20 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. წარმოადგენს ორმოსამარხს. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა მხარეზე, მოხრილ მდგომარეობაში. თავის ქალა დაზიანებულია. მარჯვენა ხელი გულზე უდევს. მარცხენა ხელის მტევანი კი მარჯვენა ხელის იდაყვთანაა. სამარხი უინვენტაროა (ტაბ. XV).

სამარხი № 20 მდებარეობს № 21 სამარხის ჩრდილო-აღმოსავლეთით. ორმოსამარხია. გამოვლინდა ერთი ინდივიდი, დაკრძალული ჩრისტიანულად, გაშოტილი, გულხელდაკრეფილი, სახით ჩრდილოეთით. სამარხში გამოვლინდა სარდიონისთავიანი საკინძი (ტაბ. XVI).

სამარხი № 6 წარმოადგენდა ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხს. დადასტურდა ერთი ჩონჩხი, დაკრძალული მარცხენა გვერდზე, მუხლებში ოდნავ მოხრილი, ხელები სახესთან ახლოს ჰქონდა მიტანილი. სამარხის აღმოსავლეთ ბოლოში მიხვეტილია მეორე ჩონჩხი. სამარხეული ორმოს სიგრძე —

1,9 მ, სიგანე დას. ბოლოში — 0,96 მ, აღმ. ბოლოში — 0,72 მ. სამარხში ინვენტარი არ აღმოჩენილა (ტაბ. XVIII, 1, 2).

სამარხი № 4 მდებარეობდა № 5 თხრილის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, № 3 სამარხიდან ჩრდ.-დასავლეთით 0,72 მ დაშორებით, წარმოადგენდა ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხს (ტაბ. XIX, 1). დადასტურდა ერთი ჩონჩხი დაკრძალული ქრისტიანულ პოზაში (ტაბ. XIX, 2). სამარხის სიგრძე — 2 მ, სიგანე აღმ. ბოლოში — 9,74 მ, დას. ბოლოში — 0,77 მ. თავის ქალის ქვეშ აღმოჩნდა ბრინჯაოს ორი საკინძი, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

სამარხი № 7 წარმოადგენდა ქვის სამარხს. კედლები შედგებოდა თითო ფილაქვისაგან, ხოლო სახურავი — სამი ფილაქვისაგან (ტაბ. XXIV, 1). სამარხში გამოვლინდა სამი ჩონჩხი. ორი დაკრძალული იყო ქრისტიანულად, ერთმანეთის გვერდით. მესამის ძვლები კი ეყარა სამხრეთით მდებარე ჩონჩხზე მენჯის არეში. სამარხის სიგრძე — 1,85 მ, სიგანე — 0,6 მ, სიმაღლე — 0,5 მ. სამარხში გამოვლინდა ბრინჯაოს 7 საკინძი. ორი ცალი, სარდიონის პირამიდული თავებით, აღმოჩნდა სამხრეთით მდებარე ჩონჩხის მუცლის არეში, ზემოდან დაყრილი მესამე ჩონჩხის ძვლებს შორის. იქვე იყო ერთი თავშემსხვილებული საკინძი, რომელსაც ღეროს ზედა ნაწილში სპირალურად დახვეული აქვს წვრილი ბრინჯაოს მავთული. ამავე ჩონჩხის ბარძაყის ძვლებთან აღმოჩნდა ერთი თავგაყოფილი საკინძი, რომელსაც თავებზე ჩამოცმული აქვს მინის გრძელი მილაკები. ჩრდილოეთით მდებარე ჩონჩხის ყელსა და გულისპირის არეში მიკვლეულ იქნა ორი თავებშემსხვილებული საკინძი, ერთიც — მრგვალთავიანი, მუცლის არეში. სამარხის სიგრძე — 1,85 მ, სიგანე — 0,6 მ, სიმაღლე — 0,5 მ.

სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი

აბანოსხევის სამაროვანზე, აღნაგობის მიხედვით გამოვყავით სამარხთა სამი ტიპი: ორმოსამარხები, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები, ქვის სამარხები.

აბანოსხევის სამაროვანზე 13 **ორმოსამარხი** გამოვლინდა. სამარხები თიხნარში იყო ჩაჭრილი და მიწით იყო ამოვსებული. სამარხები მიწის ზედაპირიდან — 0,5—0,9 მ სიღრმეზე მდებარეობდა. ორმოსამარხები ძირითადად ინდივიდუალურია (№ 9, 11, 2, 12, 13, 16, 17, 20, 23, 24), გვხვდება წყვილადი (№ 8) და საოჯახო სამარხები (№ 10, 19). კოლექტიურ სამარხებში დადასტურდა სამ-სამი ჩონჩხი.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის ოფიციალურ აღიარებამდე ორმოსამარხში გაბატონებული იყო დაკრძალვის წესი — მოხრილ-მოკრუნჩხული პოზა. მიცვალებულს კრძალავდნენ მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე.

შემდგომ პერიოდში მიცვალებულის დაკრძალვის პოზა იცვლება თანდათანობით. ფეხს იკიდებს გულაღმა, გაშოტვით დაკრძალვა, ხდება წარმართული რელიგიების ნელ-ნელა დავიწყება.

აბანოსხევის ორმოსამარხები ქრისტიანულია. მიცვალებულები დაკრძალულია ქრისტიანულ პოზაში, გაშოტილი. ზოგიერთ ორმოსამარხში დაცული იყო დაკრძალვის წინაქრისტიანული წესი (№ 17) მუხლებში ოდნავ მოხრილი (ტაბ.

XV). ამგვარი სამარხები ეკუთვნის იმ გარდამავალ ხანას, როდესაც შემოდის დაკრძალვის ქრისტიანული წესი.

რაც შეეხება დამხრობის საკითხს, გაბატონებული ჩანს თავით დასავლეთით დამხრობა. სამარხებიც დამხრობილია აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მსგავსი ორმოსამარხები შესწავლილია არაგვისპირის [6], ახალი ჟინვალის [7], ჟინვალის [8], სამთავროს [9], კოღოთოს [10] სამაროვნებზე.

აბანოსხევის სამაროვანზე **ქვისფილებით გადახურული 7 სამარხი.** ამგვარი სამარხების მოსაწყობად ნიადაგში ჩაჭრილი ოვალური მოყვანილობის ორმოები გადახურული იყო კლდის ფილებით (ტაბ. XXI, 1; ტაბ. XIX, 1), იშვიათად რიყის ქვით (ტაბ. XXII, 1). სამარხები მიწით იყო ამოვსებული, გადახურულია სამი, ოთხი, ხუთი კლდის ფილით.

სამარხები მიმართულია დასავლეთიდან აღმოსავლეთით. დადასტურდა დაკრძალვის ქრისტიანული წესი. მიცვალებულები იწვნენ გულაღმა, ხელებჩამოშვებული, თავით დასავლეთით, პირისახით აღმოსავლეთით (ტაბ. XVII, 1, 2; ტაბ. XIX, 2). რამდენიმე სამარხში (№ 6, 5, 21) ფიქსირებულია ადრექრისტიანული პოზა (მოხრილი კიდურებით დაკრძალვა) (ტაბ. XX; ტაბ. XXI, 2). სამარხებში დაკრძალული იყო თითო ინდივიდი, ორ სამარხში (№ 6, 25) — ორი მიცვალებული (ტაბ. XVIII, 2; ტაბ. XXII, 2; ტაბ. XXIV, 2).

აღნიშნული ტიპის სამარხები მიჩნეულია ორმოსამარხიდან ქვის სამარხზე გარდამავალ ტიპად. ამაზე ნათლად მეტყველებს ქუშანაანთგორის № 6 სამარხი, რომელსაც სახურავის გარდა თავკედლებიც ქვისა აქვს [11, გვ. 67].

მსგავსი ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები გამოვლენილია ახალი ჟინვალის [7], ჟინვალის [8], ხერთვისის [12], არაგვისპირის [6], მცხეთის [9 გვ. 258], კაშრეთის [13, გვ. 115], მატანის, იალსრის [14, გვ. 117—118], ვაშლაჯვარის [15, გვ. 63—77], ერწოს [11, გვ. 66] ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნებზე.

აბანოსხევის **სამაროვანზე 2 ქვის სამარხია** შესწავლილი (№ 1 და № 7). № 1 სამარხი ტრაქტორის მიერაა დაზიანებული. შემორჩენილია გვერდის კედლები და თავკედელი. № 7 სამარხი სრულადაა შემორჩენილი. გრძივი გვერდითი კედელი ვერტიკალურად ჩადგმული ფილებისაგან შედგებოდა. თავკედლებად თითო ფილა იყო ჩადგმული. ბანური გადახურვა შედგებოდა კლდის რამდენიმე ფილისაგან (ტაბ. XXIV, 1). იატაკი სწორადაა მოტკეპნილი. № 1 სამარხში დადასტურდა ორი, № 7 სამარხში კი სამი არეული ჩონჩხი.

აბანოსხევის ქვის სამარხებს მოეძებნება ანალოგიები ჟინვალის [16, გვ. 96], ახალი ჟინვალის [17, გვ. 66], არაგვისპირის [6], ბანთარეულის [18], სამთავროს [9, გვ. 256], არმაზისხევის [19, გვ. 135, 146], ბეთანიის [20, გვ. 115], ერწოს [11, გვ. 67], წიწამურის [21, გვ. 68—71], მატანის [14, გვ. 118—121], ვაშლაჯვარის [15, გვ. 74—76], ტუიქოჩორას [22, გვ. 157], ალევის [23, გვ. 45] სამაროვნებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აბანოსხევის სამაროვანი ქრისტიანულია, მაგრამ გარკვეული თავისებურება შეინიშნება, მათ შორის დაკრძალვის წესში. აბანოსხევის სამაროვნის № 8, 17, 6, 25 სამარხებში ჩონჩხები ასვენია მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე მოხრილი კიდურებით. ზოგიერთ სამარხში (№ 9, 5) წელს ზემოთ გაშოტილი, მუხლებში კი მოხრილი. ამ ფაქტში ცოცხლადაა ასახული წინაქრისტიანული დაკრძალვის წესის გადმონაშთი, რითაც აბანოსხევის სა-

პაროვანი ემსგავსება ხევში, გიგიასათიბზე [24] გათხრილ სამარხებს, კართანას [25], მთისწინა ზოლის სამაროვნების, ახალი ჟინვალის [7], ჟინვალის [16, გვ. 98] სამარხებს.

საყურადღებოა, რომ ადრეულ შუა საუკუნეთა საწყის ეტაპზე მთისწინა ზოლის სამაროვნებზე (ახალი ჟინვალი, ჟინვალი, იალსრის) დაკრძალვის წარმართული წესი, როგორც ჩანს, იდევნება ჯერ ბარის, შემდეგ მთისწინა ზოლის სამაროვნებიდან, ხოლო მთაში კი დაკრძალვის ეს წესი შემორჩენილი გვაქვს VIII—IX სს-ში. სხვა სურათია ხახმატის სამაროვნებზე, სადაც ველარ ვხედავთ ამ გადმონაშთებს. ეს სურათი ნათლად გვიჩვენებს ქრისტიანული რელიგიის თანდათანობით გავრცელებისა და განმტკიცების პროცესს ბარიდან მთისკენ. ეს პროცესი რომ უწყვეტი იყო, მის დასტურად გამოდგება აბანოსხევის სამაროვანზე დადასტურებული ერთი მეტად ნიშანდობლივი ფაქტი. აქ ერთ-ერთ ჭრილში, ერთმანეთის მახლობლად გაითხარა ოთხი სამარხი (№ 7, 8, 9 და 10), ამათგან № 7 და № 9 დაკრძალვის წესით ქრისტიანულია (დაჭრობის მიხედვით ოთხივე სამარხი ქრისტიანულია), № 8 და № 10 კი — წარმართული (მკვეთრად მოხრილი პოზა). № 10 სამარხი მიწის პირიდან 0,4 მ სიღრმეზე იყო, ხოლო დანარჩენები 1,2 მ სიღრმეზე ერთმანეთის თანაბრად. საყურადღებო იყო, რომ № 7 და № 10 სამარხებს შორის ვერტიკალურად ჭრილში დადასტურდა 0,25—0,3 მ სისქის ღორღიანი, ნარიყი ფენა, რომელიც მაო ერთმანეთისაგან ჰყოფდა. ეს ღორღიანი ნარიყის ფენა აბანოსხევის დინების შედეგად უნდა წარმოქმნილიყო და მდინარის კალაპოტის ხშირი ცვლილების კვალი უნდა იყოს. იგი ზემოდან ადევს № 17 სამარხის სახურავს და დაუზიანებელია, ე. ი. შეიქმნა № 7 სამარხის ფუნქციონირების დასრულების შემდეგ. ხოლო № 10 სამარხი ამ ფენაზე ზემოდან მდებარეობს. აშკარად ჩანს, რომ № 7 სამარხის მოწყობისა და ორი ან სამჯერადი დაკრძალვის შემდეგ აქ წყალს უდენია, რის შედეგადაც შეიქმნა გარკვეული სისქის ნარიყი ფენა, რომელშიც მოუწყვიათ № 10 სამარხი — ესეც ორი ან სამჯერადი დაკრძალვით. დადასტურდა ერთი მოხრილი ჩონჩხი და ორი ჩონჩხის ნაშთი, მიხვეტილი სამარხის დასავლეთ ნაწილში. სამარხი № 7 თანმხლები ინვენტარით (7 ცალი საკინძი) IV—V სს-ით თარიღდება. № 10 სამარხი უინვენტაროა, აშკარაა, რომ დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთით უნდა იყოს დაშორებული პირველისაგან. დაკრძალვის წესის მიხედვით იგი წინაქრისტიანული ხანისაა, თუმცა ქრონოლოგიურად № 7 სამარხზე გვიანდელია და ამდენად ქრისტიანული ხანისაა. წინაქრისტიანული ხანისაა № 17 და № 21 სამარხებიც. გამოდის, რომ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ ამ რეგიონში მოსახლეობის ნაწილში კვლავ ცოცხლობდა წარმართული ტრადიციები.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ სამარხებში თიხისა და ლითონის ჭურჭელი, იარაღ-საჭურველი, მინის ჭურჭელი აღარ გვხვდება. ეს ფაქტი აღინიშნება ადრეული შუა საუკუნეების წარმოდგენილ სამაროვნებზე, სადაც სამარხეულ ინვენტარში ძირითადად დასტურდება ტანსაცმელთან თუ თავსაბურავთან დაკავშირებული სამკაული.

აბანოსხევის სამაროვანი მცირე ინვენტარიანია, მხოლოდ 4 სამარხია ინვენტარიანი. სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია საკინძების სახით. გამოვლენილია 11 საკინძი. ისინი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად.

პირველ ჯგუფში ერთიანდება ისეთი საკინძები, რომლებსაც თავიცა და ღეროც ერთი მასალისაგან აქვთ დამზადებული. ამ ჯგუფის საკინძები განსხვავდება ერთმანეთისაგან თავისი მოყვანილობით.

საკინძი (09—XXXVI—77—63) ბრინჯაოსი მრგვალთავიანი, პატარა ბურთულთავიანია. მთლიანადსხმული, აქვს მრგვალგანივკვეთიანი, წვეროსაკენ თანაბრად შევიწროებული ღერო. სიგრძე — 5,6 სმ, დმ — 0,2 სმ (ტაბ. XXV).

საკინძები (09—XXXVI—77—67, 68) ბრინჯაოსი, შესქელებული, ოვალური წიფლისკვირტისებური თავით, მრგვალგანივკვეთიანი, წვეროსაკენ შევიწროებული ღეროთი. სიგრძე — 5,5 სმ (№ 67), 1 სმ (ტაბ. XXV).

საკინძი (09—XXXVI—77—70) ბრინჯაოსი, მოგრძო მინის მძივით თავშემკული, მრგვალგანივკვეთიანი, წვეროსკენ შევიწროებული ღეროთი, სიგრძე — 55 სმ.

საკინძი (09—XXXVI—77—65) ბრინჯაოსი, მოგრძო შემსხვილებული თავით, მრგვალგანივკვეთიანი, წვეროსკენ შევიწროებული ღეროთი. სიგრძე — 7,1 სმ, (ტაბ. XXV).

საკინძი (09—XXXVI—77—65) ბრინჯაოსი, ლურსმნისებური. სიგრძე — 7,6 სმ (ტაბ. XXV).

აღნიშნული საკინძები გამოვლინდა აბანოსხევის ქვის ფილებით გადახურულ ორმოსამარხსა (№ 4) და ქვის სამარხში (№ 7). მსგავსი მთლიანად სხმული ლურსმნისებური, ოვალური დაკეჭნილთავიანი საკინძები ანალოგიურია ჟინვალის [26], სამთავროს [9] საკინძებისა. მრგვალთავიან საკინძებს ანალოგები მოეძებნება ჟინვალის [26], სამთავროს [9], ტუიაქოჩორას [22], ვაშლაჯვარის [15], ერწოს [11], ალევის [23, გვ. 62] სამაროვნებზე. ზოგადად მსგავსი მთლიანადსხმული საკინძები აღმოსავლეთ საქართველოს და არაგვის ხეობის სამაროვნებზე ჩნდება ახ. წ. IV ს-დან და მას შემდეგ მრავლად გვხვდება IV—V სს-ით დათარიღებულ სამაროვნებზე. გავრცელებულია VI ს. სამთავროს სამარხებში.

წიფლისკვირტისებური საკინძები გვხვდება არაგვის ხეობის IV—V სს-ით დათარიღებულ სამარხებში. მსგავსი საკინძები სამთავროზე IV—V სს-ით თარიღდება, ხოლო შემდეგ საუკუნეებში სავსებით ქრება.

მეორე ჯგუფის საკინძების თავები შემკულია ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი მასალით. ღერო ბრინჯაოსია, მრგვალგანივკვეთიანი, წვეროსაკენ შევიწროებული. ამ ჯგუფში გამოვყავით საკინძთა შემდეგი ტიპები:

საკინძი (09—XXXV—81—48) ბრინჯაოსი, ხასიათდება მრგვალი ღეროთი, წვერმოტეხილი, თავზე წამოგებული აქვს სარდიონის მრგვალი მძივი. საკინძის თავი დამაგრებულია ერთი მხრიდან ბრინჯაოს ვარდულით, მეორე მხრიდან მარგალიტის იოტით (ტაბ. XXV). აღმოჩნდა ორმოსამარხში (№ 20). იგი მსგავსია ჟინვალის [26], თეთრიგზის [27], ბალებიანის [28], სამთავროს [29], ალევის [23] ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნების საკინძებისა. თარიღდება IV—VII ს-ით. საკინძი ბრინჯაოსი (09—XXXV—77—64), რომლის თავი დატოტვილია და თავზე წამოცმული აქვს მილისებური მინის მძივები, მათ ზემოთ თითო მარგალიტი. მსგავსია ჟინვალის [7] (09—XXVI—77—143), ერწოს [11], მატანის [14], სამთავროს [29], ალევის [23] ორტოტა საკინძებისა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჟინვალის, ერწოს, მატანის საკინძებს წამოცმული აქვს მარჯნის მრგვალი მძივები. სამთავროს საკინძი თარიღდება VI ს-ით. საერთოდ ამგვარი საკინძები თარიღდება V—VII სს-ით.

საკინძი ბრინჯაოსი (09—XXXV—81—35), წვერმოტეხილი, შემკული ცალინდრული დახშული მომწვანო ფერის მინის თავით. ამგვარი საკინძები აღმო-

ჩენილია ჟინვალის სამაროვანზე [26], ერწოში [11], ალევში [23] და აღმოსავლეთ საქართველოს ადრეულ შუა საუკუნეების სამაროვნებზე. თარიღდება VI ს-ით.

საკინძები (№ 62, 66) ბრინჯაოსი, შემკული სარდიონის ბიპირამიდული თავით. აღმოჩნდა მთლიანადსხმულ, IV—V სს-ით დათარიღებულ საკინძებთან ერთად № 7 ქვის სამარხში. ანალოგიურია ჟინვალის, სამთავროს, ახალი ჟინვალის, ერწოს, ალევის სამაროვნებზე მოპოვებული საკინძებისა.

სამარხეული ინვენტარის მიხედვით, აბანოსხევის სამაროვანი, როგორც ჩანს, მოქმედებდა IV—VII სს-ში.

აბანოსხევის ადრეულ შუა საუკუნეთა ხანის სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი მსგავსია ჟინვალის, ახალი ჟინვალის სამთავროს, რუსთავის, ერწოს, კახეთისა და სხვა სინქრონული ძეგლებისა.

ამრიგად, აბანოსხევის სამაროვნის შესწავლა და მისი მსგავსება ადრეული შუა საუკუნეების სხვა სამაროვნებთან, საშუალებას გვაძლევს აღვნიშნოთ, რომ IV ს. I ნახევარში ხდება გარდატეხა მიცვალებულთა დაკრძალვის საუკუნეობით მიღებულ წესში. ჩნდება დაკრძალვის ახალი სახე — საოჯახო სამარხები. თუმცა კარგა ხანს შემორჩა სათითაოდ დაკრძალვა. აბანოსხევის სამაროვანზე გვხვდება ინდივიდუალური, წყვილადი და საოჯახო დაკრძალვა. ცვლილება შეიმჩნევა დაკრძალვის წესის ერთ-ერთი ნიშნის — მიცვალებულის მდებარეობის მხრივაც. მიცვალებულები დაკრძალული არიან გულაღმა, გაშოტვით, ქრისტიანულ პოზაში. მხოლოდ რამდენიმე სამარხშია შემორჩენილი დაკრძალვის არქაული წესი.

რაც შეეხება აბანოსხევის სამარხთა ტიპებს, აბანოსხევის სამაროვანზე ყურადღებას იქცევს ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები.

ქვის ფილებიანი სახურავი უკვე სიახლეა და იგი სამართლიანად ითვლება ქვის სამარხებზე გადასვლის წინა საფეხურად. ქვის სამარხები თავისთავად უფრო გაუმჯობესებული ფორმაა. მართალია, ქვის სამარხები საქართველოში ძველი დროიდან იყო ცნობილი, მაგრამ მან საყოველთაოდ გავრცელება ჰპოვა ქრისტიანული რელიგიის გამარჯვების შემდეგ და ახ. წ. IV ს. მასობრივად იკიდებს ფეხს.

აბანოსხევის სამარხები არ გამოირჩევა თავიანთი სოციალური შემადგენლობით. ძირითადად უინვენტარო სამარხებია, მხოლოდ 4 სამარხია მცირე ინვენტარიანი. აბანოსხევის სამაროვანი სამარხთა აღნაგობის, დაკრძალვის წესჩვეულების, სამარხეული ინვენტარის მიხედვით ეკუთვნის ერთ კულტურულ წრეში, რაც უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოსათვისაა დამახასიათებელი.

ზოგადად, აბანოსხევზე შესწავლილი ძეგლებიდან გამომდინარე, მიღებულია დასკვნა, რომ აბანოსხევის მიდამოებში ადამიანის ცხოვრების ნაშთი თიმქმის ყველა პერიოდში უნდა ვივარაუდოთ, რადგან ის წარმოადგენდა მნიშვნელოვან პუნქტს როგორც სტრატეგიულად, ასევე ეკონომიკურ და სამიმოსვლო თვალსაზრისით.

Ц. Ш. ЛОМИДЗЕ

АБАНОСХЕВСКИЙ РАННЕСРЕДНЕВЕКОВЫЙ МОГИЛЬНИК

Резюме

Публикуются материалы, раскопанные в с. Абаносхеви (Арагвское ущелье). На могильнике зафиксировано три типа погребений: грунтовые, грунтовые перекрытые каменными плитами, погребения в каменном ящике. Обряд захоронения христианский, однако в нескольких погребениях сохранена скорченная поза.

Встречаются индивидуальные и семейные погребения. По погребальному инвентарю, представленному бронзовыми булавками, могильник датируется IV-VII вв.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ვ ა ხ უ შ ტ ი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბ., 1973.

2. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში. თბ., 1966.

3. დ. ქ ო რ ი ძ ე, ბულაჩაურში წყალსადენის მშენებლობის დროს 1946 წელს შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები. — მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, 1957.

4. გ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, კ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ი. წ ი კ ლ ა უ რ ი, გ. კ უ წ ა შ ვ ი ლ ი, მ. ღ ლ ო ნ ტ ი. XXXVI უბნის წლიური ანგარიში. 1978, ხელნაწერი, ჯაე არქივი.

5. ივ. წ ი კ ლ ა უ რ ი, ც. ლ ო მ ი ძ ე, XXXVI უბნის წლიური ანგარიში. 1982, ხელნაწერი, ჯაე არქივი.

6. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ირ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ც. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. არაგვისპირის სამაროვანზე მიმდინარე გათხრების წლიური ანგარიშები, ხელნაწერი, ჯაე არქივი.

7. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ჟინვალის II სამაროვანზე 1973 წელს მოპოვებული მასალები. ხელნაწერი, ჯაე არქივი.

8. ვ. ჩ ი ხ ლ ა ძ ე, ც. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, ჟინვალის სამაროვანზე მიმდინარე გათხრების წლიური ანგარიშები. ხელნაწერი ჯაე არქივი.

9. ო. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან. — მუზეუმის მოამბე, ტ. XIX — B, 1956.

10. ძ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან. — მუზეუმის მოამბე, ტ. XXVII—B.

11. ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში, თბ., 1982.

12. გ. რ ჩ ე უ ლ ი შ ვ ი ლ ი, ხერთვისის სამაროვნის 1979—80 წ. წლიური ანგარიში. ხელნაწერი, ჯაე არქივი,

13. ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, კაჭრეთში აღმოჩენილი სამარხი. — მ ს კ ა, ტ. I, 1955.

14. Р. М. Рамишвили. Исследование раннефеодального могильника «Иагсари». — ТКАЭ, 1, Тб., 1969.

15. ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ვაშლჯვარის სამაროვანი. ს ა ს, II, 1979.

16. ვ. ჩ ი ხ ლ ა ძ ე, სამარხთა აღნაგობა და დაკრძალვის წესი ჟინვალის სამაროვანზე. — არქეოლოგიური ძიებანი, თბ., 1977.

17. რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე და სხვ. ჟინვალის ექსპედიცია. — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ. თბ., 1974.

18. ც. ლ ო მ ი ძ ე ჩინთის არქეოლოგიური ძეგლები. 1987, ხელნაწერი, ჯაე არქივი.

19. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ბლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა. I, თბ., 1955.

20. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, ლ. ჰ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი ბეთანიასთან. — მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, 1961.

21. გ. ნ ი ო რ ა ძ ე, მიცვალებულის ჰაერზე დამარხვა, — ენიმკის მოამბე, ტ. V—VI, 1940.

22. ვ. ნიკოლაიშვილი, ტუიაქოჩორას სამაროვანი. — მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბ., 1978.
23. ნ. აფხაზავა, ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბ., 1988.
24. გ. ღამბაშიძე, ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ხევის რაზმის 1972 წლის მუშაობის ანგარიში. ხელნაწერი, ქაე არქივი.
25. გ. რჩეულიშვილი, არაგვის ხეობის მთისა და ბარის ადრე შუა საუკუნეთა სამაროვნების შედარებითი ანალიზი (ქართანასა და ხახმატის მასალების მიხედვით), 1979, ხელნაწერი, ქაე არქივი.
26. ჯ. წიკლაური, საკინძები და მშვილდსაკინძები, ხელნაწერი, ქაე არქივი.
27. ჯ. წიკლაური, თეთრიგზის სამაროვანი. 1984, ხელნაწერი, ქაე არქივი.
28. ჯ. წიკლაური, ბალებიანის სამაროვანი. 1983, ხელნაწერი, ქაე არქივი.
29. ო. ტყეშელაშვილი, სამთავროს ახ. წ. IV—VIII ს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები. — მუზეუმის მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, 1957.

ვ. ჩიხლაძე

ჟინვალის სამაროვნის ყორეკედლიანი სამარხები

ჟინვალის სამაროვანი მდებარეობდა სოფ. ჟინვალში, საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისიდან 67-ე კმ-ზე, მდ. არაგვის მარჯვენა ნაპირზე, მთის ძირობაზე. ამჟამად იგი ჟინვალის ჰიდროკომპლექსის წყალსაცავის ზღვის ფსკერზეა.

1974—85 წლებში არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი და შესწავლილია 558 სამარხი, 37 ქვაყრილი და 8 სამეურნეო დანიშნულების ორმო, რომელთა თარიღი ქ. წ. I—ახ. წ. VIII სს-ით განისაზღვრა.

ჟინვალის სამაროვანი მრავალიარუსიანია, სამარხები სტრატიგრაფიულად ერთმანეთზეა განლაგებული. ზოგ შემთხვევაში ხუთ იარუსადაც კი.

სამაროვანზე დადასტურდა შემდეგი ტიპის სამარხები: I. ორმოსამარხი, II. ქვის სამარხი, III. კატაკომბა და IV. ქვევრსამარხი. სამაროვანზე აღმოჩნდა და შესწავლილია ორმოსამარხის შემდეგი ქვესახეობები: მიწაყრილიანი, ქვამიწაყრილიანი, ხის ძელებით და ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხები. მათ რიგს 1979 წელს შეემატა ახალი სახეობის სამარხი-ნაგებობა (ტაბ. XXXII), რომელსაც ყორეკედლიანი სამარხი ეწოდა. სამაროვანზე ამ ტიპის ექვსი სამარხი გაითხარა.

ჟინვალის სამაროვნისათვის დამახასიათებელი სამარხთა ტიპების მრავალფეროვნება შეიძლება აიხსნას იქ დაკრძალულთა სოციალური ან რელიგიური სხვადასხვაობით. „სავარაუდებელია ისიც, რომ სამარხთა ტიპების მრავალფეროვნება ზოგიერთ ცენტრში გარკვეულად შეიძლება ეთნიკურ სიჭრელესაც ასახავდეს“ (32, გვ. 59—60).

განვიხილოთ 1979 წელს აღმოჩენილი ყორეკედლიანი სამარხები:

სამარხი № 277 აღმოჩნდა მესამე ნაკვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში, მიწის ზედაპირიდან 1 მ სიღრმეზე, დამხრობილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხისათვის ამოუჭრიათ სწორკუთხა ორმო. ზომები: 2,20×1,50×1 მ. ორმოს კედლების გასწვრივ, არათანაბარი ზომის ქვებით ამოშენებული იყო ორრიგა მშრალი წყობა ქვებისა. ყორეკედლის სიმაღლე — 0,65 მ. შესაძლებელია, ყორეკედლიანი სამარხის ყორე უფრო მაღალიც იყო და იგი დააზიანა მომდევნო დროის ორმოსამარხმა (№ 260). სამარხის შიდა ზომებია: 1,45×0,75×0,65 მ; აღმოსავლეთ ნაწილში კამერა ოდნავ შევიწროებული იყო (ტაბ. XXVII).

სამარხი ინდივიდუალური აღმოჩნდა. მიცვალებული დაკრძალული იყო ძლიერ მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. ხელები მუცლის არეში ჰქონდა დაკრეფილი.

მიცვალებულის ჩონჩხი დაზიანებული, გამოფიტული ჩანდა. გამოითქვა ვარაუდი, რომ თავის დროზე ამ ყორეკედელს შესაძლოა ხის ან ქვის გადა-

ხურვა ჰქონდა (თუმცა რაიმე მატერიალური ნაშთი ასეთი ვარაუდის შესამავრებლად არ აღმოჩენილა). სამარხავი კამერა ამოვსებული იყო ნახშირნარევი მიწით. სამარხის კამერის პრეპარაციის დროს აღმოჩნდა გარეული თხის რქა, ხოლო მიცვალებულის ფეხებთან შინაური ცხოველის ძვლები. ექიმ პ. ფირფილაშვილის ვარაუდით, სამარხი 35—40 წ. მამაკაცს ეკუთვნოდა. სამარხში აღმოჩნდა:

1. ქ ო თ ა ნ ი, თ ი ხ ი ს ა (09—X X V—79—377) მოწითალო, პირგადაშლილი, ბრტყელი ბაკოთი, დაბალი ყელით, სფეროსებრი მუცლითა და ბრტყელი ძირით. ყელზე ჭდეული წერტილებისაგან შემდგარი ერთი სარტყელი შემოსდევს, დამზადებულია უხეში მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია სრულად, სიმაღლე — 15 სმ; პირის დმ — 12 სმ, ძირის დმ — 10 სმ, მუცლის დმ —13 სმ, ბაკოს სისქე — 1 სმ, იდგა სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში (ტაბ. X X X, 377).

2 დ ე რ გ ი, თ ი ხ ი ს ა (09—X X V—79—378) მოწითალო, ოდნავ პირგადაშლილი. მომრგვალებული ბაკოთი. გამოყოფილი ყელით, მსხლისებრი მუცლითა და შევიწროებული ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ორი ბრტყელი ყური მიძერწილი აქვს სიმეტრიულად მუცელზე. ტანზე შემორჩენილია წერნაქის კვალი. დამზადებულია სუფთა, სილანარევი თიხისაგან. გამომწვარია სრულად. სიმაღლე — 32 სმ, პირის დმ — 10,5 სმ, ძირის დმ — 17,5 სმ, მუცლის დმ — 26,5 სმ. აღმოჩნდა ჩრ.-დასავლეთ კედელთან, შუბისპირზე (ტაბ. X X X, 38).

3. ჭ უ რ ჭ ე ლ ი მ ი ნ ი ს ა (09—X X V—79—379) ცალყურა, მოიისფრო, აქვს ფართოდ გადაშლილი პირი, ცილინდრული ყელი, ბიკონუსური ტანი და ოდნავ შეზნექილი მომრგვალებული ძირი. დაბრტყელებულღეროიანი ყური მიმაგრებულია ჭურჭლის პირსა და მხარეზე. ყურის ღეროს ფუძე გაგანიერებულია, ხოლო პირთან ლენტისებურადაა მიკეცილი. სიმაღლე — 10,2 სმ, პირის დმ — 6 სმ, ძირის დმ — 4,5 სმ. აღმოჩნდა სახის წინ (ტაბ. X X X, 379).

4. მ ა ხ ვ ი ლ ი რ კ ი ნ ი ს ა (09—X X V—79—383) აკინაკისებრი. ორპირლესული შედგენილი ტარით, კოტა და ვადა ბრინჯაოსია, თვით ტარი კი რკინისა და ეტყობა სამი მანჭვალი. ტარზე გადაკრული ჰქონია ხე და ზედვე გადაუხვევიათ ბრინჯაოს ბრტყელი და თხელი ფირფიტა. სიგრძე — 64 სმ, სიგანე — 6 სმ, პირის სიგრძე — 49 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. X X X, 383).

5. ს ა ტ ე ვ რ ი ს პ ი რ ი რ კ ი ნ ი ს ა, (09—X X V—79—384), აღებისას დაშალა. სიგრძე ყუნწიანად — 28 სმ, სიგანე ვადასთან — 4,5 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. X X X, 384).

6. შ უ ბ ი ს პ ი რ ი რ კ ი ნ ი ს ა (09—X X V—79—382), ფოთლისებრი, ორმხრივ ქედიანი, მასრისკენ გაგანიერებული. მასრაშეკრული. მასრაში ხის ნაშთია შერჩენილი. სიგრძე მასრიანად — 34 სმ; მასრის სიგრძე — 12 სმ, მასრის უდიდესი დმ — 2,5 სმ, მასრის უმცირესი დმ — 1,7 სმ, პირის უდიდესი სიგანე — 5,8 სმ (ტაბ. X X X, 382).

7. დ ა ნ ა რ კ ი ნ ი ს ა (09—X X V—79—381), მოხრილი. დაშლილია. სიგანე დანის პირისა — 4 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. X X X I I I, 381).

8. დანა რკინისა (09—X X V—79—387), ცალპირლესული, ტარი ჩამაგრებულია რქაში. სიგრძე ტარიანად — 34 სმ. აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ კედელთან (ტაბ. X X X I I I, 387).

9. დ ა ნ ა რკინისა (09—XXV—79—391), ნაკლული. აღმოჩნდა მუხლებთან (ტაბ. XXXIII, 391).

10. ნ ა ტ ე ხ ი რკინის დ ა ნ ი ს ა (?), აღმოჩნდა მუხლებთან (XXXIII, 393).

11. უ მ ბ ო ნ ი ვერცხლისა (09—XXV—79—375). იგი წარმოადგენს მრგვალ, ბრტყელ ფირფიტას, რომელიც ცენტრში ამობურცულია და ირგვლივ ორი კონცენტრული სარტყელი შემოსდევს. უმბონის კიდე შემკულია წერტილოვანი ორნამენტით, რომელიც ვარსკვლავის გამოსახულებას ქმნის. ფირფიტა ორ ადგილას არის გახვრეტილი. დმ — 5,8 სმ, ფირფიტის სისქე — 0,01 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. XXXI, 375).

12. უ მ ბ ო ნ ი ვერცხლისა (09—XXV—79—390), ზემოთ აღწერილის მსგავსი დმ — 6 სმ, სისქე 0,01 სმ, აღმოჩნდა სახის წინ (ტაბ. XXXII, 390).

13. ს ა ლ ე ს ი ქ ვ ა (09—XXV—79—380), ოთხწახნაგა, გახვრეტილი, სიგრძე — 9,3 სმ, სისქე — 1,3 სმ, ნახვრეტის დმ — 0,6 სმ; აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. XXXIII, 380).

14. ა ბ ზ ი ნ დ ა ბრინჯაოსი (09—XXV—79—367), ენიანი, ბრტყელი, ნალისებრი, აბზინდა და ენა დამაგრებულია ღერაკზე და თანაბრად აქვთ ღეროები გადმოკეცილი, რომლებზედაც გველის თავების სტილიზებული გამოსახულებაა. დმ — 4,5 სმ, აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. XXXII, 367).

15. ბ რ ი ნ ჯ ა ო ს რ გ ო ლ ე ბ ი 4 ც. (09—XXV—79—364, 365, 366), მრავალგანივკვეთიანი, თავშეკრული, სადა, უდიდესის დმ — 5 სმ, უმცირესის დმ — 4,3 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. XXXII, 364, 365, 366).

16. პ ი ნ ა კ ი ვერცხლისა (09—XXV—79—396), ნახევარსფეროსებრი, სადა კორპუსით და ოდნავ შესქელებული პირ-ბაკოთი. დამზადებულია ლითონის თხელი ფირფიტისაგან. პირის დმ — 18 სმ, სიმაღლე — 4 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში პირქვე ჩამხობილი (ტაბ. XXXI, 396).

17. ყ ე ლ ს ა ბ ა მ ი ვერცხლისა (09—XXV—79—386), წნული ძეწკვით და მედალიონით, მედალიონში ლურჯი მინის სადა თვალია ჩასმული. ყელსაბამის საერთო სიგრძე მედალიონით 43 სმ. წნულის დმ — 0,5 სმ; მედალიონის დმ — 2,7 სმ; აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. XXXI, 386).

18. მ შ ვ ი ლ დ ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი (09—XXV—79—363), მშვილდა ბრტყელია და დაკბილული. იგი წარმოადგენს დრაკონის სტილიზებულ გამოსახულებას. დაკბილულ სამკუთხედებში ჩასმულია სხვადასხვა ფერის პასტა (მინანქარი?). მრგვალგანივკვეთიანი ენა ბუდეში ზის. სიგრძე — 4,7 სმ, სიმაღლე — 2,1 სმ, მშვილდის სიგანე — 1,8 სმ. აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. XXXII, 363).

19. ს ა კ ი ნ ძ ი ბრინჯაოსი (09—XXV—79—385), შედგენილი. სფეროსებრი. მოთვალული თავით და სადა წვეროსაკენ გაწვრილებული ღეროთი. ყელთან ჰქონდა შემსხვილებული ოთხკუთხა ფუძე, რომელზედაც დამაგრებულია ბრინჯაოს თხელი ორნამენტირებული ფირფიტისაგან დამზადებული ორი ნახევარსფეროსაგან შემდგარი ბურთულა-თავი. ბურთულას შიდა სიცარიელე შევსებულია მკვრივი თეთრი ფერის კაოლინური თიხით. ორი ნახევარსფეროს შეერთების ადგილი დაფარული ყოფილა ვერცხლის თხელი, ვიწრო ფირფიტით. სიგრძე — 12,3 სმ, თავის დმ — 2,6 სმ. აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. XXXIII, 385).

20. საკისრე რგოლი (ხატისუღელი), ვერცხლისა (90—XXV—79—388), თავგახსნილი. დამზადებულია ოვალურად მორკალული მსხვილი, სადა ღეროსაგან, რომელიც თავებისაკენ თანდათან მსხვილდება და ქმნის ორ-ორ. დაბალ რგოლსა და სამ-სამ ბურთულას. დმ — 16 სმ. აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. XXXI, 388).

21. საკისრე რგოლი (ხატისუღელი) ბრინჯაოსი (09—XXV—79—389), თავგახსნილი. ზურგი ბრტყელი, ორნამენტირებული აქვს. შემსხვილებული. თავები შემკულია ბურთულებით, რომელთაგან განაპირა ყველაზე მსხვილია და კონუსური მოყვანილობა აქვს. დმ — 12 სმ. აღმოჩნდა მკერდის არეში (ტაბ. XXXII, 389).

22. საყბეური ბრინჯაოსი (09—XXV—79—373), ნაკლული. მგლისა თუ დათვის სტილიზებული გამოსახულებით. სიგრძე — 10 სმ. აღმოჩნდა მკერდის არეში, საკისრე რგოლებთან ერთად (ტაბ. XXXII, 373).

23. ბეჭედი ვერცხლისა (09—XXV—79—392), ფუყე, ნაკეთებია ვერცხლის თხელი ფირფიტისაგან. რგოლი გარედან წიბოვანია, მხრებისაკენ თანდათან განიერდება და თვალბუდის არეში აღწევს მაქსიმალურ სიგანეს. უდიდესი სიგანის არეში გამოყვანილია თვალბუდე, ოდნავ ოვალური მოყვანილობისა, რომელშიც მინის ლურჯი გემაა ჩასმული. ბეჭდის რკალში არსებული სიცარიელე შევსებული ყოფილა მოთეთრო კაოლინური თიხით. რკალის დმ — 2,8 სმ. აღმოჩნდა ხელის ფალანგზე (ტაბ. XXXI, 392).

24. ბეჭდის თვალი მინისა 1 ც. (09—XXV—79—361), მოყავისფრო, ოვალური, ირიზებულია, გემიანი. გემაზე საინტერესო გამოსახულებაა. იგი იტალიკურ ნაწარმს წარმოადგენს. დმ — 1,2 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში (ტაბ. XXXI. 361).

25. მძივები აღმოჩნდა სამარხის მთელ ფართობზე:

მძივები — (09—XXV—79—355), მთის ბროლისა 3 ც. 1 ც ბიკონუსური; 2 ც წვეთისებური საკიდია, ნაწილობრივ შემორჩენილი უხეში ნამუშევარია. დმ — 1,1 სმ (ტაბ. XXXIII, 355).

მძივები (09—XXV—79—366) ჭარვისა 6 ც. 1 ც. მრგვალ-ბრტყელი, დმ — 0,8 სმ. დანარჩენი დაწახნაგებული, გამოფიტულია, სიგრძე — 1,6 სმ, (ტაბ. XXXIII, 366).

მძივები (09—XXV—79—367) მინის 11 ც. 5 ც. ღია მწვანე. ინკრუსტირებულია მოწითალო ფერის პასტის მასის ირიბი ხაზებით. 3 ც. სფეროსებრი, დმ — 0,6 სმ; 1 ც. ამფორისკისებრი, სიგრძე — 1,1 სმ, დმ — 1 სმ. დანარჩენი მოყავისფრო, არათანაბრად მრგვალი (ტაბ. XXXIII, 367).

მძივები (09—XXV—79—83—358) მინისა 5 ც. მოგრძო ირიბად დაწახნაგებული. შეღებილია ძოწისფრად. სიგრძე — 0,9 სმ, დმ — 9,5 სმ (ტაბ. XXXIII, 358).

მძივები (09—XXV—83—359) მინის 140 ც. 135 მოოქრილი, ერთწილადი და ორწილადი, დმ — 0,5 სმ. 5 ც. სარჩულიანი, მოოქრილი სფეროსებრი. 2 ც. პატარა, დმ — 0,8 სმ, 3 ც. დიდი დმ — 1,4 სმ. (ტაბ. XXXIII, 359).

მძივები (09—XXV—83—360) მინისა 61 ც., 23 ც. ლურჯი, 2 ც. ბიკონუსური, დანარჩენი ინკრუსტირებულია თეთრი პასტის მასით. დმ — 0,8 სმ. 38 ც. თეთრი, ინკრუსტირებულია ლურჯი მინის მასით. დმ — 0,8 სმ (ტაბ. XXXIII, 360).

26. მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ლ ი ს ნ ა ტ ე ხ ე ბ ი (09—X X V—79—344), მოყვითალო, წითელი ხაზებით მუცლის არეში.

27. ც ხ ო ვ ე ლ ი ს (გარეული თხის) რქა დაუმუშავებელი, სამარხის ზედაპირზე (ტაბ. X X X I I I, 397).

28. ს ა მ ა ჯ უ რ ი ვერცხლისა (09—X X V—79—371—372), მასიური, თავებგახსნილი, თავებშემსხვილებული, მრგვალგანივკვეთიანი, სადა რკალი ბოლოვდება დრაკონის თავების სტილიზებული გამოსახულებით. დმ — 8,2 სმ, დმ — 7,9 სმ. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მაჯაზე (ტაბ. X X X I, 371, 372).

29. ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი 2 ც. (09—X X V—79—368, 370), მასიური, ოდნავ რკალშეზნექილი, თავებგახსნილი, თავებშემსხვილებული. ოთხკუთხაგანივკვეთიანი რკალი ბოლოვდება დრაკონის თავების სტილიზებული გამოსახულებით. ზურგზე ორ ამოღებულ ხაზს შორის მოთავსებული არე შევსებულია ხორბლის თავთავისებრი ორნამენტით (ტაბ. X X X I I, 368, 370).

ერთი აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მაჯაზე, დმ — 8,9 სმ, მეორე — მარცხენა ხელის მაჯაზე, დმ — 8,4 სმ.

30. ს ა მ ა ჯ უ რ ი ვერცხლისა (09—X X V—79—369). იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან რკალს, რომელსაც თავი და ბოლო მარყუჟისებრად აქვს გადახვეული. დმ — 8,3 სმ, აღმოჩნდა მარცხენა ხელის მაჯაზე (ტაბ. X X X I, 369).

31. ა ბ ზ ი ნ დ ა შ ე ს ა ბ ნ ე ვ ი ბრინჯაოსი (09—X X V—79—374) ბრინჯაოსავე ძეწკვით. იგი წარმოადგენს მასიურ, მრგვალგანივკვეთიან, მრგვალ, თავებგახსნილ რგოლს, რომელსაც თავები შემსხვილებული აქვს კონუსისებურად. ბრტყელგანივკვეთიანი ბრინჯაოს ენა შემსხვილებულ თავებზე გადადის. აბზინდაზე დამაგრებულია ბრინჯაოს ძეწკვი. იგი შედგება ოთხკუთხაგანივკვეთიანი მცირე ზომის 51 თავგახსნილი რგოლისაგან, რომლებიც ერთმანეთშია გაყრილი. აბზინდის დმ — 5,2 სმ, ძეწკვის რგოლის დმ — 0,9 სმ, ძეწკვის სიგრძე — 26 სმ. აღმოჩნდა სახის წინ (ტაბ. X X X I I, 374).

32. შ ე ს ა ბ ნ ე ვ ი ბრინჯაოსი (09—X X V—79—395) ვერძის თავების სტილიზებული გამოსახულებებითა და ბრინჯაოსავე ძეწკვით. იგი შედგება ბრინჯაოს მრგვალი, ჭვირული დისკოსაგან, რომელსაც შუაში ამობურცული ფარაკისებრი რგოლი აქვს. მედალიონი სამი მხრიდან შემკულია ვერძის თავების სტილიზებული გამოსახულებებით. ამათგან ორი განივად მდებარე ქვედა მხრიდან შეიცავს რგოლებს, რომელზედაც გამოდებული ყოფილა რკინის ენა, შემორჩენილია მხოლოდ ფუძის ნაშთი. დამზადებულია ჩამოსხმის წესით. დმ— 3,7 სმ. ძეწკვის სიგრძე — 34 სმ. აღმოჩნდა მუცლის არეში, მახვილის ქვეშ (ტაბ. X X X I I, 395).

სამარხი № 282 გამართული იყო 277-ე სამარხის გვერდით, მისგან 1,5 მ დაშორებით, ჩრდილოეთით, მიწის ზედაპირიდან 0,70 მ სიღრმეზე, დამხრიბილი იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთით. სამარხი გამართული იყო სწორკუთხა ორმოში. ზომები: 1,80×1,40×0,70 მ; ორმოს გასწვრივ შედარებით მცირე ზომის ქვებით იყო ამოშენებული კედლები, ყორეკედლის სიმაღლე — 0,35 მ, კედლის სისქე —0,26 მ. სამარხის სამხრეთი კედელი დაუზიანებიათ ორმოსამარხ 281-ის გამართვის დროს, ხოლო ჩრდილოეთის კედელი — ორმოსამარხ 274-ის გამართვისას. სამარხის შიდა ზომები: 1,60×1×0,35 მ (ტაბ. X X V I I I).

ეს სამარხიც ინდივიდუალური აღმოჩნდა. მიცვალებული დაკრძალული იყო მოხრილი კიდურებით, მარჯვენა გვერდზე, თავით დასავლეთით. ხელები

მუცლის არეში ჰქონდა დაკრეფილი. სამარხი აქაც ამოვსებული იყო ნახშირნარევი მიწით. ძვლოვანი მასალა ცუდად იყო შემონახული. ხელის მტევნების ძვლები არ აღმოჩენილა. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თავის ქალის ნაწილი ჩაშავებული იყო. ლაბორატორიული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ეს ქსოვილის შავი საღებავის ნაშთს წარმოადგენდა. ექიმ პ. ფირფილაშვილის ვარაუდით, ჩონჩხი ეკუთვნოდა 30—35 წლის მამაკაცს. სამარხში აღმოჩნდა:

1. მ ა ხ ვ ი ლ ი რკინისა (09—X X V—79—351), აკინაკისებრი, შედგენილტარიანი, ორპირლესული. ტარი, რომელიც პირთან ერთად ნაჭედ წვრილ ღეროს ქმნის, შედგენილია ბრინჯაოს ნაწილებისაგან, ტარის კოტა წარმოადგენს ოდნავ ოვალურ ბრინჯაოს რგოლს ხვრელიანი ფუძით, რომელიც დაგებულია ტარის წვერზე. ფუძე აგრეთვე ბრინჯაოსია. ტარს შემოკრული ჰქონდა ხე, რომელიც ვადასთან ბრინჯაოს ბრტყელი სალტით ყოფილა დამაგრებული. სიგრძე — 79 სმ, სიგანე ვადაში — 6 სმ; ტარის სიგრძე — 13 სმ, ბრინჯაოს კოტას დმ — 4 სმ. აღმოჩნდა თავის ქალის ქვეშ (ტაბ. X X I X, 351).

2. შ უ ბ ი ს პ ი რ ი რკინისა (99—X X V—79—352) მხრებგანიერი ბრტყელი პირით, მოგრძო, ორმხრივი მაღალი ქედით, მთლიანი მასრით. მასრაში ხის ნაშთია შემორჩენილი. სიგრძე მასრიანად — 36 სმ, მასრის სიგრძე — 13 სმ, სიგანე — 7 სმ. აღმოჩნდა მარცხენა მკლავის ძვალზე (ტაბ, X X I X, 352).

3. დ ა ნ ა რკინისა (09—X X V—79—350) ძვლის ტარით. დაჟანგული და დაშლილია. შემორჩენილია ძვლის ტარი, რომელსაც ჩამოსაკიდათ ბოლო გახვრეტილი აქვს. ძვლის ტარის სიგრძე — 10 სმ, დმ ტარისა — 1,7 სმ, აღმოჩნდა სახის წინ (ტაბ. X X I X, 350).

4. ს ა მ კ ლ ა უ რ ი ვერცხლისა (09—X X V—79—354) მორკალულია ოვალურად. ოვალის ერთი ნახევარი წარმოადგენს თხელ, ვიწრო რომბისებრ ფირფიტას, ხოლო მეორე ნახევარი შექმნილია მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ხვიებისაგან (შესაძლოა ეს იყო სამხედრო ან საერო პირის პატივის აღმნიშვნელი ნიშანი — ინსიგნია). დმ — 12,5 სმ, აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მკლავზე (ტაბ. X X I X, 354).

5. მ ო ნ ე ტ ა ვერცხლისა, 2 ც (09—X X V—79—345, 346), პართული, აღმოჩნდა სამარხის სამხრეთ ნაპირზე. ეკუთვნის არტაბან II-ს.

6. ხ ე ლ ა დ ა თიხისა (09—X X V—79—342), სამტუჩა, ჩალისფერი, დაბალი ყელით, სფეროსებრი მუცლით და ბრტყელი ძირით. ოვალურგანივკვეთიანი ყური მიძერწილი აქვს პირსა და მხარზე. ყურის პირთან შეერთების ადგილას შვერილი აქვს დაძერწილი. დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან. გამომწვარია სრულად. ზედაპირზე შემორჩენილი აქვს წითელი წერნაქის კვალი. სიმაღლე — 17,5 სმ, ძირის დმ — 13 სმ, აღმოჩნდა სამარხის ჩრ.-დასავლეთ კუთხეში აკინაკზე (ტაბ. X X I X, 342).

7. მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი (09—X X V—79—353) ორყურა, იისფერი, აქვს განიერი გადაშლილი მრგვალი პირ-ყელი, ბიკონუსური ტანი და ოდნავ შეზნექილი მრგვალი ძირი. ბრტყელი, შუაში ჩაღარული ორი ყური მიძერწილი აქვს ყელსა და მხარზე და განლაგებულია სიმეტრიულად. პირ-ბაკო შემკული აქვს თეთრი ზოლებით. სიმაღლე — 11,6 სმ. აღმოჩნდა სახის წინ (ტაბ. X X X I I I, 353).

8. ს ა მ ა ჯ უ რ ი ბრინჯაოსი 2 ც. (09—X X V—79—343, 344), მასიური, ოდნავ რკალშეზნექილი, თავებგახსნილი. ოთხკუთხაგანივკვეთიანი თავი ბოლოვდება დრაკონის თავების სტილიზებული გამოსახულებით. ზურგი შემკუ-

ლი აქვს ხორბლის თავთავისებრი ორნამენტით. აღმოჩნდა მარჯვენა ხელის მაჯაზე. დმ — 9,4 სმ, მეორის დმ — 9 სმ (ტაბ. XXIX, 343, 344).

9. ა ბ ზ ი ნ დ ა შესაბნევი ბრინჯაოსი 2 ც. (09—XXV—79—349, 348) ბრინჯაოსავე ძეწკვით. ერთი მასიურია, მრგვალგანივკვეთიანი, ხოლო მეორე — გრეხილ-რკალიანი. ორივე აბზინდას შესაბნევი თავებგახსნილია. თავები შემსხვილებული აქვს კონუსისებურად. ბრინჯაოს ბრტყელი ენა რგოლზე გადადის. აბზინდაზე დამაგრებულია ბრინჯაოს ძეწკვი. იგი წარმოადგენს ოთხკუთხაგანივკვეთიან ოვალურ მცირე ზომის რგოლებს, რომლებიც ერთმანეთშია გაყრილი. ძეწკვი შედგება 58—60 რგოლისაგან. გრეხილრკალიანი აბზინდის დმ — 3,5 სმ, მეორესი — 4,6 სმ; ძეწკვის სიგრძე — 34 სმ. ორივე აღმოჩნდა სახის წინ (ტაბ. XXIX, 348).

10. მ ძ ი ვ ე ბ ი მინისა (09—XXV—79—347) 2 ც. სარჩულიანი, მოოქრილი, სფეროსებრი დმ — 1,5 სმ. აღმოჩნდა ერთი ცალი ფეხებთან, მეორე მუცლის არეში (ტაბ. XXIX, 347).

ყორეკედლიანი სამარხები თავისი აღნაგობის მიხედვით ახალი ტიპია ჟინვალის სამაროვნისათვის. ამ ტიპის სამარხები თანადროულ სამაროვნებზე აღმოსავლეთ საქართველოში ჯერჯერობით არ არის დადასტურებული. დაკრძალვის წესი არქაულია. მიცვალებულები დაკრძალულნი იყვნენ მკვეთრად კიდურებმოკეცილნი, თავით დასავლეთით, ხელები გულმკერდის არეში ჰქონდათ დაწყობილი. ორივე სამარხში დადასტურდა თიხის სამი ჭურჭელი. ერთი დერგი დიდი ზომისაა, შეღებილი, ხოლო ორი მათგანი — სამტუჩა ხელადა და ჭოთანი დაშხადებულია დაბალი ხარისხის მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. 277-ე ყორეკედლიან სამარხში აღმოჩენილი თიხის ორყურა დერგის ზუსტი ანალოგები გვხვდება III—IV სს-ით დათარიღებულ ნასახლარ ფენებში არაგვისპირში [1, გვ. 67], დიღომში [2, გვ. 27] კარსნისხევში [3, გვ. 17, სურ. 72], ზღუდერში [4, გვ. 50, ტაბ. 7]. დიდი კოკა დადასტურებულია ახალი ჟინვალის სამაროვანზე [5, გვ. 66—67] №8 ორმოსამარხში. ურბნისში 189-ე ორმოსამარხში დიდი ზომის ორყურა დოქაა წითლად მოხატული [33, გვ. 7], ხოლო დასავლეთ საქართველოში მოდინახეს სამარხეულ კომპლექსებში უმეტესად დიდი ზომის ჭურჭლები დოქები და ჩაფებია აღმოჩენილი [6, გვ. 43—55, ტაბ. XVIII 1, XXIII]. თვით ჟინვალის სამაროვანზე I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებში გვაქვს დადასტურებული დიდი ზომის შეღებილი ჭურჭლები 265-ე, 313-ე, 587-ე და 574-ე სამარხებიდან, აგრეთვე, ამავე სამაროვნის I—II სს-ით დათარიღებულ ნამოსახლარ ფენებიდან [26, გვ. 22—24, ტაბ. XV—XVII]. წინაქრისტიანული ხანის აღმ. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ნასახლარ ფენებში ყველგან დიდი რაოდენობით გვხვდება 277-ე სამარხში აღმოჩენილის მსგავსი თიხის ჭოთნები, რაც შეეხება 282-ე სამარხში მოპოვებულ სამტუჩა ხელადას, ანალოგიები მოეპოვება ყველა თანადროულ აღმ. საქართველოს სამაროვანსა თუ ნასახლარზე.

მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი. ორივე სამარხში დადასტურებულ იქნა იისფერი მინის მაღალი ხარისხის ჭურჭელი, 2 ც., რომელიც სირიულ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს. მსგავსი ჭურჭელი საქართველოში არ გვხვდება. საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდებში არის უპასპორტო ღია ლურჯი ფერის მინის ჭურჭელი. მცირე ზომისა, ორყურა, რომელიც ფორმით ზუსტი ანალოგია 282-ე სამარხში აღმოჩენილი მინის ჭურჭლისა.

საბრძოლო იარაღი. ორივე სამარხში აღმოჩნდა მახვილი რკინისა ორი, ერთი აკინაკისებრი, სატევრისპირი, შუბისპირები, დანები 5 ც. მათ შორის ერთი მოხრილი, აქვეა სალესი ქვაც.

მსგავსი მახვილები დადასტურებულია კლდეეთში [7, გვ. 131—132, სურ. 26 ა], დიღომში [8, ტაბ. 4312], ბანძაში [9, გვ. 186, ტაბ. IX_{20}], ზემო ავჭალაში [9, გვ. 176], ძევრში [11, გვ. 5], ლიაში [12, გვ. 66—72], ბორში [10], შავიზღვისპირეთში, წებელდის სამაროვანზე [13, ტაბ. V და XV] და ჩრდილოეთ კავკასიაში, სარმატულ ძეგლებზე [14, გვ. 40—41 ტაბ. III].

277-ე სამარხში აღმოჩენილი სატევრის მსგავსი იარაღი გვხვდება არმაზისხევის პირველ (ასპარუგის) და მესამე (ბერსუმა) სამარხებში [15, გვ. 32—58, ტაბ. I და III], ლიაში [12, გვ. 66—72], კლდეეთში [7, ტაბ. XXV ე], მოდინახეში [6, გვ. 43—55, ტაბ. X 1, 2], კავკასიაში [17, ტაბ. V 2,5], აზერბაიჯანში, იარაღის შემცველ ქვევრსამარხებში [16, გვ. 54—62. სურ. 23, 24], ჩრდილოეთ პართიაში, მეშრეპიტახტინის III—IV სს-ით დათარიღებულ ყორღანულ სამარხებში [17, გვ. 66—72], სამხრეთ ურალისპირეთში [18, გვ. 80—86, სურ. 30] და თვით ჟინვალის სამაროვანზე [16, გვ. 25].

ჟინვალის შუბისპირების ანალოგიები აღმოჩენილია ბანძაში II ს-ით დათარიღებულ სამარხში, ჩხოროწყუში, პირველი საუკუნით დათარიღებულ სამარხში [19, გვ. 81, ტაბ. VIII], ბორში I—III სს-ით დათარიღებულ კომპლექსში, ძევრში, II ს-ით დათარიღებულ კომპლექსში, კლდეეთში II ს-ით დათარიღებულ სამარხში, ლიაში I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებში, მოდინახეში IV ს-ით დათარიღებულ სამარხებში, წებელდის სამაროვანზე, ჩრდილოეთ კავკასიაში და სოფ. ულიანოვკაში ძვ. წ. I ს-ის მიჯნით დათარიღებულ სამარხში [20, გვ. 81—89, ტაბ. 39_2]. შუბისპირებიანი სამარხები დადასტურებულია მძივიანამამულებშიც [30, გვ. 5—15, ტაბ. VII].

რკინის დანების უმეტესობა ცუდადაა შემონახული. ყველა დაჟანგულია და დამტვრეულია. ანალოგიური დანები აღმოჩენილია დიღომში. მეომრის III ს-ით დათარიღებულ სამარხში [8, გვ. 98—100, ტაბ. 43_4] 4 ცალი, არმაზისხევში, ასპარუგ ერისთავის II ს-ის სამარხში, კლდეეთში [7, გვ. 144]. მსგავსი იარაღი გვხვდება დასავლეთ საქართველოში, მოდინახეში [6, გვ. 58—59, ტაბ. XX], ლიაში [12, გვ. 66—72], შავიზღვისპირეთში, წებელდის სამაროვანზე [13, გვ. 18], აზერბაიჯანში — იარაღის შემცველ ქვევრსამარხებში [16]. ამ ფორმის დანის პირები გვხვდება სარმატულ შეიარაღებაში [14]. დანები თითქმის ყველა სამარხში დადასტურდა, მძივიანამამულებშიც [30, გვ. 9. ტაბ. XI].

სალეს ქვას ანალოგიები მოეპოვება I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებში. იგი ალბათ აღჭურვილი მეომრისათვის აუცილებელი სათანადო ხელსაწყო იქნებოდა [7, გვ. 144—145. ტაბ. XIX_3].

277-ე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის უმბონების ზუსტ ანალოგიებს ვერ მივაკვლიეთ. ის შეიძლება შევადაროთ კლდეეთის მე-3 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის ფარისებრ ბალთებს, ცხენის სამკერდულებს. მაგრამ ამ უკანასკნელთაგან განსხვავდება იმით, რომ ამ სამკერდულებს გაყრილი აქვთ აბზინდები, რომლითაც მაგრდებოდა ცხენის მოსართავებზე. ჩვენი უმბონები კი საომარ იარაღთან ერთად არის წარმოდგენილი და შესაძლოა, იგი მეომრის სამკერდულებს წარმოადგენდა.

ბრინჯაოს მშვილდსაკინძის (ფიბულის) ანალოგიები სინქრონულ სამაროვნებზე ვერ მოვიძიეთ. იგი რომაულ იმპორტს უნდა წარმოადგენდეს. ვ. კრა-

პოტკინის კლასიფიკაციით, იგი მეოთხე ჯგუფში — ფიგურულ (ცხოველურ სახეებიდან) ფიბულებშია გაერთიანებული [21, გვ. 33—34].

ბრინჯაოს საკინძების მსგავსი საკინძები აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე, სამაროვნებზე ჯვრჯერობით არ არის დადასტურებული. იგი გადმონაშთის სახით უნდა იყოს შემორჩენილი. მსგავსია თრიალეთის მე-17 ყორღანში აღმოჩენილი საკინძისა [22, ტაბ. VIII].

277-ე სამარხში აღმოჩენილი ბეჭდები დამზადებულია ვერცხლის თხელი ფურცლისაგან, თვალბუდეში. ბეჭედშია ამოჭრილი, ღრურკალიანია. მსგავსი ბეჭდები ახ. წ. I ს-ით თარიღდება. ეს ბეჭდები შეიძლება შევადაროთ არმაზისხევისა და კლდეეთის ღრურკალიან ბეჭდებს [23, გვ. 24].

საკისრე რგოლი (ხატისუღელი) დადასტურებულია კლდეეთის მეოთხე სამარხში [7, ტაბ. XIX_5], ზღუდერში [4], წებელდის სამაროვანზე [13, ტაბ. XIII_7].

პინაკები დადასტურებულია არმაზისხევის [15], კლდეეთის [7], ზღუდერისა [4] და მოდინახეს [6] კომპლექსებში.

საყბეური ბრინჯაოსი, მტაცებელი ცხოველის (მგლისა ან დათვის) თავის სტილიზებული გამოსახულებიანი. ანალოგიური მასალები საქართველოს სინქრონულ ძეგლებზე ვერ მოვიძიეთ. იგი შესაძლოა ამულეტად ჰქონდა გამოყენებული.

ვერცხლის სამკლაურის ანალოგიები არც ადრეულ და არც შემდგომი პერიოდის მასალებში არა ჩანს. არმაზისხევის მე-6 სამარხში დადასტურებული ოქროს წყვილი სამკლაური ქალს ეკუთვნოდა [15, გვ. 67], ხოლო ჟინვალის 282 სამარხში აღმოჩენილი სამკლაური ეკუთვნის 30—35 წლის მეომარს, მამაკაცს. ის შეიძლება ამ პიროვნების სამხედრო დაწინაურებაზე მიუთითებდეს.

ორივე სამარხში აღმოჩნდა 3 ტიპის ბრინჯაოს შვიდი სამაჯური.

I ტიპი — 4 ც. ოდნავ რკალშეზნექილი, მასიური, თავებგახსნილი, განივკვეთში ოთკუთხა რკალი ბოლოვდება ცხოველის (დრაკონის) თავების სტილიზებული გამოსახულებით, ხოლო ზურგი შემკული აქვს ხორბლის თავთავისებრი ორნამენტით.

რკალჩაზნექილი და თავებგახსნილი სამაჯურები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ძვ. წ. V—IV საუკუნიდან — ახ. წ. I ს-მდე. უძველეს სამაჯურებს რკალის ჩაზნექილობა მეტად ეტყობა, მოგვიანოებს კი — ზურგი თანდათან უსწორდება. განსხვავება ჩნდება თავების გაფორმებაშიც. უძველესი სამაჯურები გამოსახავს ცხოველის ან ფრინველის თავებს, გვიანდელს კი ბოლოები უბრალოდ აქვს ჩაჭრილი და სამაჯურის ძირითად ღეროსთანაა უფრო შემსხვილებული [24, გვ. 126].

ჟინვალის რკალჩაზნექილი სამაჯურები ანალოგიურია საირხის სამაჯურებისა, რომლებიც ძვ. წ. I ს-ის ბოლოთია დათარიღებული [6, გვ. 126—127, ტაბ. XXXIII_6]. მაგრამ ბ. კუფტინის დაკვირვებით, რკალჩაზნექილი და თავგახსნილი სამაჯურები I ს. გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოში [25, სურ. 55]. თვით ამ სამაროვანზე I—III სს-ით დათარიღებულ კომპლექსებშია დადასტურებული ასეთი სამაჯურები [26, გვ. 18, ტაბ. IX].

II ტიპის სამაჯურები ბრინჯაოსი, 2 ც. თავებგახსნილი, მრგვალგანივკვეთიანი, სადა რკალი ბოლოვდება ცხოველის თავების სტილიზებული გამოსახულებით. მსგავსი სამაჯურები დამზადებული სპილენძის ღეროსაგან მოპოვებულია მცხეთის ქვევრსამარხებში [24, ტაბ. V, 1—2], თალთებზე I—II სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში [27, გვ. 9, ტაბ. IV].

III ტიპი. სამაჯური ბრინჯაოსი, 1 ც. იგი წარმოადგენს მრგვალგანივკვეთიან რკალს, რომელსაც თავი დ ბოლო მარყუჟისებურად აქვს გადახვეული (გადაწნული).

მსგავსი სამაჯურები აღმოჩენილია ბაგინეთის სარკოფაგში [28, გვ. 61], კლდეეთში [7, ტაბ. XIX$_5$], არმაზისხევის IX სამარხში [15, გვ. 98—99], არაგვისპირში [5], ანალოგიური სამაჯური ვერცხლისა აღმოჩენილია ნასტაკისში, № 21 ორმოსამარხში, ძვ. წ. I ს-ით დათარიღებულ კომპლექსში [29, გვ. 109].

ყორეკედლიან სამარხებში დადასტურებულია ბრინჯაოს აბზინდები. შესაბნევები ბრინჯაოსივე ძეწკვით, რომლებიც გულმკერდის არეში აღმოჩნდა. ჩვენი დაკვირვებით, უნდა წარმოადგენდეს მძიმე წამოსასხამის შესაკრავს. რამდენიმე ცალი ასეთივე აბზინდა ძეწკვების გარეშე ამავე სამაროვანზე იქნა დადასტურებული [26, ტაბ. IV], თალთებზე [27, ტაბ. V] და მძივიანამამულების სამაროვანზე [30, ტაბ. VII].

277-ე სამარხში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭვირული, შესაბნევი ვერძის თავების სტილიზებული გამოსახულებებით და ბრინჯაოსივე ძეწკვით. ზუსტი პარალელები ასეთი შესაბნევისა ჩვენთვის უცნობია. იგი შეიძლება შევადაროთ სოხთისა და სტირფაზის შესაბნევებს, რომლებიც II—III სს-ით თარიღდება.

მძივები დადასტურებულ იქნა ორივე სამარხში 226 ც. სხვადასხვა მასალისა და ფორმის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მინის ლურჯხალიანი თეთრი სფეროსებრი მძივები 37 ც., რომელთა ანალოგიები ჩვენთვის საერთოდ უცნობია. ასევე პარალელები ვერ მოვუძებნეთ მინის მოგრძო ირიბად დაწახნაგებულ 5 მძივს, რომლებიც შეღებილია ძოწისფრად. მინის მოოქრულ მძივებს პარალელები ეძებნებათ I—III სს-ით დათარიღებულ კომპლექსში. რაც შეეხება მინის მოოქრულ სარჩულიან მძივებს, მათი პარალელები გვხვდება ამავე სამაროვანზე, I—III სს-ით დათარიღებულ კომპლექსებში [26, ტაბ. XXXV], ნასტაკისში № 4 და 5 ორმოსამარხებში [29, გვ. 125], სამთავროს სამაროვანზე I—III სს-ით დათარიღებულ სამარხებში. რაც შეეხება მინისებრი პასტის ინკრუსტირებულ მძივებს, მათ პარალელები ეძებნებათ I—II სს-ით დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში. ხოლო ქარვის მძივები გვხვდება I—III სს-ით დათარიღებულ სამაროვნებზე.

282-ე სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის ორი მონეტა პართულია. იგი არტაბან II-ს ეკუთვნის (12—38 წწ).

ზემოაღნიშნულ სამარხებში აღმოჩენილი მასალის განხილვის საფუძველზე შესაძლებელია ყორეკედლიანი სამარხეული კომპლექსების თარიღი წინასწარ I—III სს-ით განვსაზღვროთ.

ამ სამარხებში დაკრძალულნი სოციალურად დაწინაურებულ ფენას უნდა მივაკუთვნოთ, რადგანაც „როცა სამაროვნებზე იარაღი სრულებით არ გვხვდება, მდიდრულ მამაკაცთა სამარხებში საბრძოლო იარაღი უხვადაა ჩატანებული“ [31, გვ. 80]. ამაზე უნდა მეტყველებდეს საბრძოლო იარაღი, რომელიც ყორეკედლიან სამარხებში აღმოჩნდა, აგრეთვე ინსიგნია სამკლაური (სამარხი № 282). ყოველივე ზემოთქმული თითქოს საფუძველს გვაძლევს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ყორეკედლიანი სამარხები წარჩინებული მეომრების განსასვენებლად მივიჩნიოთ.

В. В. ЧИХЛАДЗЕ

ПОГРЕБЕНИЯ С ГРУБО ВЫЛОЖЕННЫМИ СТЕНАМИ НА ЖИНВАЛЬСКОМ МОГИЛЬНИКЕ

Резюме

В 1979 году на Жинвальском могильнике были раскопаны два погребения с грубо выложенными стенами (№№ 277 и 282). Они расположены на глубине 0,7—1,00 м от дневной поверхности земли, с ориентацией W—O.

В четырехугольной яме сухой кладкой двумя рядами выложены стены из ровного камня. Оба погребения индивидуальные, особи мужского пола 30—40 лет. Захоронены в скорченной позе, один на левом, второй на правом боку, головой на запад.

Камеры погребений заполнены землей с примесью угля. Во время препарации обнаружен рог дикой козы и кости домашнего скота — остатки тризны.

В погребениях засвидетельствован многочисленный инвентарь: железные мечи типа акинак, наконечники копья, кривые ножи, кинжалы, серебряные умбоны, шейные кольца, бронзовые браслеты, зооморфные бронзовые застежки, фибулы с эмалью, серебряный рукавичник, по всей вероятности, знак отличия личности, глиняные и стеклянные сосуды, бусы разной формы и материала, серебряные монеты Артабана II и т. д.

На основе анализа указанного материала можно заключить, что погребальные комплексы принадлежат т. н. знатным воинам и датируются I — III вв. нашей эры.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. რ. რამიშვილი და სხვა. ჟინვალის ექსპედიცია. — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს. თბ., 1974.

2. რ. აბრამიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ნ. ოქროპირიძე, ა. რამიშვილი, დიდი თბილისის არქეოლოგიური ექსპედიცია. — საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წ. თბ., 1974.

3. მცხეთა. II. თბ., 1978.

4. გ. ნემსაძე ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964—66 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. — საქ. სახ. მუზეუმის არქ. ექსპედიციის ანგარიშები 1965—67 წწ. თბ., 1968.

5. რ. რამიშვილი, ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971—73 წწ. განათხარის მიხედვით. — ჟინვალი I. თბ., 1983.

6. ჯ. ნადირაძე. ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბ., 1975.

7. გ. ლომთათიძე. კლდეეთის სამაროვანი. თბ., 1957.

8. ვ. ნიკოლაიშვილი. ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან. — სას, I, 1978.

9. ს. მაკალათია, 1920—24 წწ. საქართველოში აღმოჩენილი ზოგიერთი ნეკროპოლის დათარიღებისათვის. — მუზეუმის მოამბე, ტ. IV, 1927.

10. გ. ცქიტიშვილი, ბორის ძეგლები. — 1952 (ხელნაბეჭდი).

11. ტ. ჩუბინიშვილი, მივლინების ანგარიში. ქუთაისის ოლქი, თერჯოლის რ-ნი, სოფ. ძევრი. 1952.

12. ლ. წითლანაძე. არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ლიაში. — ძმ., 33, 1973.

13. Г. К. Шамба, Ахаччаруху — древний могильник нагорной Абхазии. Сухуми, 1970.

14. А. М. Хазанов, Очерки военного дела сарматов, М., 1971.

15. მცხეთა, I, თბ., 1955.
16. Г. И. Иоие, Мингечаурские кувшинные погребения с оружием. — КСИИМК. 60, 1955.
17. А. М. Мандельштам. Мешрепитахтийский могильник. — КСИИМК, 128, 1971.
18. К. Ф. Смирнов, Сарматские погребения Южного Приуралья.— КСИИМК, XXII, 1948.
19. Н. Хоштария. Чхороцку. Могильник с трупосожжением (захоронение в урнах) и остатки поселений. — Материалы по истории Грузии и Кавказа, вып. II, Тб., 1941.
20. ვ. თოლორდავა, ანტიკური ხანის სამარხები სოფ. ულიანოვკიდან. — სას, I, 1978.
21. В. В. Крапоткин. Римские импортные изделия в Восточной Европе. — М., 1970.
22. ნ. ჯაფარიძე, ბრინჯაოს ხანის ოქრომჭედლობა საქართველოში, თბ., 1983.
23. ქ. ჯავახიშვილი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბ., 1972.
24. ვ. თოლორდავა, მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის, ძვ. წ. III—I სს. — მსკა, ტ. III, 1963.
25. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды. Т. II, 1950.
26. ვ. ჩიხლაძე, ჟინვალის სამაროვნის ნივთ-სამკაული. — წლიური თემა, 1983, ხელნაწერი. (ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში).
27. ც. რობაქიძე, თალთების სამაროვანი. — ანგარიში. 1982, ხელნაწერი. ინახება დუშეთის ბაზაში.
28. ა. აფაქიძე, ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი, — ძვ. 33, 1973.
29. А. Бохочадзе, Н. Мирианашвили и др. Работы Настакисской археологической экспедиции (М-кий рн.). — ПАИ, 1977 (1980).
30. ნ. მუხიგულაშვილი, ანგარიში. წიფრანისძირში ჩატარებული არქეოლოგიური მუშაობის შესახებ. საველე არქეოლოგიური კომისიისათვის. 1982. (ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში).
31. ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბ., 1964.
32. რ. რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში. თბ., 1979.
33. დ. ქორიძე, ურბნისის სამაროვანზე (XXV უბანი) აღმოჩენილი გვიანანტიკური ხანის ძეგლების პერიოდიზაციისათვის (ხელნაწერი ინახება საქ. სახ. მუზეუმის არქეოლოგიის განყ-ბის არქივში).
34. ვ. ჩიხლაძე, ჟინვალის სამაროვნის თიხისა და მინის ნაწარმი. წლიური თემა, 1982, ხელნაწერი, (ინახება დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაში).

ლ. წითლანაძე, ა. კახიძე, ზ. შატბერაშვილი

გიგიასსათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა)

1966 წლის მაისში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოვიდა ცნობა ყაზბეგის რაიონში შემთხვევითი აღმოჩენების შესახებ. აღმოჩენის ამბავი ინსტიტუტს აცნობა ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა სტეფანე ალიბეგაშვილმა. აღმოჩენის ადგილზე საველეოდ მიავლინეს ინსტიტუტის არქეოლოგთა ჯგუფი: ლ. წითლანაძე (უმც. მეცნ. თანამშრომელი, ხელმძღვანელი), ზ. შატბერაშვილი (ლაბორანტი), ა. კახიძე (ასპირანტი), კ. კვეესი (მხატვარი). სამუშაოებში მონაწილეობდა ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის უმც. მეცნიერი თანამშრომელი გერმანე მირიანაშვილი*.

აღმოჩენის ადგილი მდებარეობდა დარიალის ხეობაში, ყაზბეგიდან 14 კმ-ის მანძილზე, სოფ. ლარსსა და გველეთს შორის. აღნიშნულ ადგილს ადგილობრივი მცხოვრებნი არკას ან გიგიასსათიბს უწოდებენ. მისი ფართობი დაახლოებით 3—4 ჰექტარია. ადრე ტერასა საკმაოდ სწორი და მოზრდილი ყოფილა. მაგრამ დროთა განმავლობაში თერგს ჩამოურეცხავს მისი ციცაბო კალთები და ბოლოს პირი მთლიანად მოურღვევია.

ტერასა სანგრებითაა დასერილი, მისი შემორჩენილი ნაწილი უსწორმასწოროა, ჩამონგრეულ ფლატეზე კარგად ჩანს ბუნებრივი ქანებისა და კულტურული ფენების სტრატიგრაფია. სამარხები მოთავსებულია მოყვითალო, მონაცრისფრო თიხნარში. მის ზემოდან დევს 1,5—2 მ სიმძლავრის ნაცროვანი ფენა. ზედა შრე კლდეების ჩამორეცხვის შედეგად უნდა იყოს წარმოქმნილი ან ხშირი ღვარცოფების მიერ ჩამოტანილი. სამარხების შემცველი კულტურული ფენის სიმძლავრე 1,3—2 მ. ამის ქვევით მოდის მდ. თერგის დონემდე 5—6 მ სისქის ქვიშიანი თუ ქვა-ღორღიანი ფენა, როგორც ჩანს, ტერასისაკენ მიმავალი გზა დაბალ ჭალაზე გადის და შემდეგ ვიწრო, მდინარის მიერ ჩამოჭრილი ბილიკით მიემართება სამარხებისაკენ. ამგვარად, სამაროვანს მისასვლელი ჩამორეცხილი და საკმაოდ ძნელი მისადგომია.

1953 წელს ამავე ადგილებში თერგს დაუნგრევია სამარხების ჯგუფი. აღმოჩენის ადგილზე მიავლინეს ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი არქეოლოგი გ. გობეჯიშვილი. მას სამარხეული ინვენტარის ნაწილი შეუგროვებია და ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გადაუცია [1].

1962 წელს აღნიშნული სამაროვნის მოპირდაპირე მხარეს, მცირე გზისპირა ტერასაზე, გათხრილი იყო ერთი სამარხი, სადაც შეიკრიბა დიდი რაოდენობით კერამიკული მასალა [2, გვ. 76], რაც სამაროვნის მახლობლად (ზემოთ)

---

* გასათხრელი თანხები გაიღო ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა.

ნამოსახლარის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. სამარხეული ინვენტარი VII—VIII სს-ით თარიღდება.

ახლად აღმოჩენილ სამარხებს დასავლეთი მხარე გაუშიშვლებული ჰქონდათ. გ. მირიანაშვილმა, დაბლა მდებარე სამარხებიდან, გაძარცვის საფრთხის თავიდან აცილების მიზნით ამოკრიფა და მუზეუმს ჩააბარა თანმხლები ინვენტარი.

ჩვენმა ჯგუფმა მიზნად დაისახა სამარხების თანმიმდევრობით ზემოდან ქვემოთ გასუფთავება და გამოვლენა, მიწის საფარველის მთლიანად მოხსნა, რომელიც 2,5—3,5 მ სიმაღლის იყო. მუშაობა მეტად რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა (თოვდა), მაგრამ ვიდრე თერგი ადიდდებოდა, საჭირო იყო ზომების მიღება და სამარხეული მასალის გადარჩენა, რადგან წალეკვის საშიშროება არსებობდა.

1,70 მ სიღრმეზე გამოჩნდა პირველი სამარხი, რომელსაც მოჰყვა კიდევ ორი. გასათხრელი ფართობის ჩრდ. ნაწილში სამარხები ქვისაგან იყო ნაშენი, დამხრობილი დასავლეთისაკენ, თითოეულის სიგრძე 2 მ იყო, სიგანე — 90 სმ.

სულ გაითხარა 13 სამარხი. უმეტესი ნაწილი სამაროვნის სამხრეთ ნაწილში, ე. ი. მარცხენა კალთაზე იყო განლაგებული, მაგრამ იქ მიწის საფარველი უფრო სქელი იყო, გასათხრელად გამოყოფილი თანხები საკმაო არ იყო. ერთი მხრიდან გაშიშვლებული სამარხების უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლებოდა. გამოვიყენეთ გადასატანი კიბე, მოვახდინეთ ფოტოფიქსირება და ნივთები ამოვიღეთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ სამაროვნის ეს ნაწილი უფრო მდიდარია მასალებით, ვიდრე ჩრდილო მხარე, სადაც ძირითადად ჩატარდა გათხრითი სამუშაოები.

სამარხი № 1-ის 1/3 ნაწილი იყო დაცული. ფეხებთან ახლო აღმოჩნდა ოდნავ ნაკლული, ფსკერშეწეული მინის სასმისი. ჭურჭელი წაქცეული იყო, შესაძლოა წყლის მოქმედების გამო. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ჩონჩხის მარჯვენა ფეხის არეში იდო (ტაბ. XXXIV, 38).

სამარხი № 2. უფრო მეტად იყო დაზიანებული. იქ აღმოჩნდა პატარა ზომის მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი სამტუჩა ხელადა, რომელიც მიცვალებულის ფეხებთან იდგა. ჩონჩხი ცუდად იყო დაცული, მაგრამ ჩანდა, რომ მიცვალებული გულაღმა ესვენა (ტაბ. XXXIV, № 16).

სამარხი № 3. ამ სამარხის შედარებით დიდი ნაწილი შემოინახა. ჩონჩხის წელის არეში აიკრიფა 6 ბეჭედი, რომელიც, ალბათ, თითებზე ჰქონდა წამოცმული მიცვალებულს, მათგან 5 შავი მინის ბეჭედი, 1 ც. ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედია (ტაბ. XXXIV, № 40), რომელშიც ოთხკუთხა გემაა ჩასმული. გემაზე არაბული წარწერაა ამოჭრილი. იქვე აღმოჩნდა ბრინჯაოს ილარი, საკმაოდ კოხტა ნახელავი (ტაბ. XXXIV, 42).

სამარხი № 4 მთლიანად დაზიანებულია და ინვენტარი არ ახლდა.

სამარხი № 5-ის ინვენტარი ადრე შეაგროვა გ. მირიანაშვილმა. მისი გადმოცემით, ჩონჩხის ფეხებთან იდგა ხელადა, გულაღმა მწოლიარე მიცვალებულის კიდურების არეში აღმოჩნდა შავი მინის ბეჭდები, გულმკერდთან ნაირ-ნაირი მძივები, მათ შორის ყვითელი პასტის თვლიანი მძივები და სხვა (ტაბ. XXXIV, 2, 3, 4, 5, 6, 7).

სამარხი № 6 მამაკაცს უნდა ეკუთვნოდეს, ჩონჩხის წელის არეში აღმოჩნდა ბრინჯაოს აბზინდა (ტაბ. XXXV, 36) და ორი შუბისპირის ფორმის რკინის დანა (ტაბ. XXXV, 37), ფეხებთან — თიხის ჭურჭელი (ტაბ. XXXV, 35).

სამარხი № 7 დაზიანებული აღმოჩნდა, შემორჩენილი ნაწილის სიგრძე 90 სმ იყო, სიგანე — 40 სმ. ჩონჩხი დაშლილიყო. სამარხის კუთხეში, ჩონჩხის მარჯვენა კიდურთან, ჩადგმული იყო ყურიანი ხელადა (ტაბ. XXXV, 34). გულმკერდის არეში აღმოჩნდა ბეჭდები: ერთი ვერცხლის თვალბუდიანი და რამდენიმე მინის ბეჭედი (ბეჭდის თვალი დაკარგულია). მძივები მინისაა, სხვადასხვაგვარი, მდარე ხარისხის. სამარხში აღმოჩნდა კარგად დაცული ვერცხლის ორი არაბული მონეტა, იქვე იყო ორად გატეხილი სამკაული, ლითონის ღერაკისაგან დამზადებული.

№ 7 სამარხის გაწმენდისას, დაახლოებით 80 სმ სიღრმეზე ზედაპირიდან, აღმოჩნდა სამარხი № 8, უინვენტარო, რომელიც სამარხების მეორე ფენას ქმნიდა. № 9 სამარხის შესწავლა არ მოხერხდა. მას მოჰყვა უინვენტარო სამარხები № 10, 11, 12, 13.

ამგვარად, სამაროვანი შედგება ორ სართულად განლაგებული, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამხრობილი ფიქალი ქვის ფილებით შედგენილი სამარხებისაგან. ზედა ფენის სამარხები უინვენტაროა, ქვედა შეიცავს საინტერესო მასალას.

ლითონის ნივთები სამარხებში შედარებით მცირეა, შესაძლოა ამის მიზეზი სველი, ნესტიანი ნიადაგია, რომელიც ლითონს, განსაკუთრებით რკინას, ცუდად ინახავს. გათხრილ სამარხებში აღმოჩნდა 3 ცალი დანის პირი (ნატეხების სახით). ერთი მათგანი ძალზე ფრაგმენტულია და მასზე მსჯელობის საშუალებას არ იძლევა. დანარჩენი ორი (№ 6 სამარხიდან) ყუნწიანია, უტარო, ორმხრივპირალესილი, შუაში ქედიანი. ორივე დანა ქარქაშში იდო, ხის ქარქაში არ შემოინახა. ერთი დანის სიგრძე — 18 სმ, მეორის — 14,5 სმ (ტაბ. XXXV, 37). ასეთი სახის დანები ცნობილია სნოს ხეობაში სოფ. ჯუთაში გათხრილ შუა საუკუნეების სამარხებიდან [3, (6—02)].

ბრინჯაოს აბზინდა, მწვანე პატინით დაფარული (სამარხი № 6, ტაბ. XXXV, 36). იგი ოვალური მოყვანილობისაა, ენიანი, ენა მოძრავია. თვით ბალთა მოგრძო ფორმისაა, ბრტყელი, ერთი ბოლო მომრგვალებული აქვს, მეორე სწორადაა ჩამოჭრილი. ბალთის ნაპირები დაკბილულია. კბილებს თანაბარი მანძილით დაშორებული შტრიხები მიუყვება, რომელიც ბალთის ნაპირებს ამკობს. მისი კიდე შუა ნაწილისაგან ჭდეული ზოლებითაა გამოყოფილი. ბალთა ერთ ადგილზე გამჭოლადაა გახვრეტილი, მეორე სწორ მხარეზე ყური აქვს, რომელშიც რკინის სამაგრებია გაყრილი. პატინიზებულ ზედაპირზე ქსოვილის ანაბეჭდი შეინიშნება, რაც იმის საბუთია, რომ აბზინდა ტყავის ან ქსოვილის სარტყლის ბოლოებს ერთმანეთთან აერთებდა.

ანალოგიური აბზინდები გავრცელებული იყო გვიანანტიკურსა და ადრეულ შუა საუკუნეებში. ურბნისის ნაქალაქარზე დამწვარ ფენაში აღმოჩენილი მსგავსი ფორმის ძვლის აბზინდები VI—VIII სს-ით თარიღდება [4, გვ. 127, სურ. 42, სურ. 67, 72]. მსგავსი აბზინდები ცნობილია სოფ. რუთხას კატაკომბური სამარხებიდან. ვ. კუზნეცოვი მათ ბიზანტიური სტილის ბალთებს უწოდებს და მათ შემოსვლას VI საუკუნეს უკავშირებს [5, გვ. 91], [6; ტაბ. XV, სურ. 7, ტაბ. 111/12].

ბრინჯაოს სამაჯური მრგვალი, გრეხილრკალიანი, ბოლოებმომრგვალებული, ოთხ ნაწილად გატეხილი (ტაბ. XXXV, 33).

გრეხილრკალიანი ფიბულები და სამაჯურები ცენტრალურ კავკასიონზე ძვ. წ. I ათასწლეულის შუახანებიდანაა ცნობილი. მსგავს სამაჯურებს ვხვდებით

ყაზბეგში [7, ტაბ. XIII, სურ. ბ.], აულ დერგაფსში [6, გვ. 105, ტაბ. 111, 31], სოფ. ბალთას კატაკომბურ სამარხებში [6. ტაბ. XV, სურ. 20] და დარიალის ხეობაში 1953 წ. ლარსთან შემთხვევით მოპოვებულ მასალებში.

ბრინჯაოს სამკაულის ნაშთები (ტაბ. XXXIV, 13) წარმოდგენილია ერთმანეთზე თავებგადასული მავთულის რგოლით და სამი ღეროკით, რომლებიც სხივისებურად უკავშირდებოდა მას. ღეროკის ბოლოებზე მძივებია წამოცმული. ეს სამკაული წააგავს მცხეთის, არმაზისხევის სამარხებში მიკვლეულ საყურეებს და არმაზისხევის მდიდრულ სამარხებში აღმოჩენილი საყურეების განვითარებულ სახეს უნდა წარმოადგენდეს.

ილარი, ბრინჯაოსი (სამარხი 3), მწვანე პატინითაა დაფარული (ტაბ. XXXIV, 42). ნივთის ღერო ბოლოსაკენ წვრილდება, პირისა და ღეროს შეერთების ადგილზე ორი ჩაღარული ხაზი დაუყვება. პირი ღეროსთან შედარებით პატარაა, იგი თავისი დანიშნულების მიხედვით სხვადასხვა ვარაუდის საშუალებას იძლევა. მსგავს ნივთებს ანტიკურ ხანაში სტილოსად, საწერ ჩხირად გამოიყენებდნენ, მაგრამ საეჭვოა, რომ აქაც იგივე დანიშნულებით ყოფილიყო გამოყენებული. სავარაუდოა, რომ მას სამედიცინო-ქირურგიული დანიშნულება ჰქონდა [8] (მაგ. ისრის წვერების ამოსაღებად გამოიყენებოდა), უფრო პირსაფარეშო საგანი უნდა ყოფილიყო, მაგ., ილარი, ყურის საჩიჩქნი. არმაზისხევის IX—X ს. სამარხებში გვხვდება ნივთი, რომელიც ერთ მხარეს კოვზით ბოლოვდება, მეორე მხარეს — პაწია შუბით. გამთხრელი არქეოლოგები მას ილარად მიიჩნევენ [7] (ტაბ. XXXIV, 42).

ორი ვერცხლის ბეჭდიდან ორივე თვალბუდიანია. ერთი უფრო პრიმიტიულია, ბუდე და რკალი ერთად აქვს ჩამოსხმული, რკალი თხელი და წაბრტყელებულია, ბუდე დაბალი არასწორი ოვალის ფორმისაა (ტაბ XXXV, 20). მაგავსი ბეჭედი აღმოჩნდა 1953 წ. იქვე სოფ. სიონში შემთხვევით აღმოჩენილ სამარხში. მეორეს ახასიათებს სწორი გეომეტრიული ფორმები, ბუდე სწორი და ოთხკუთხაა, თვალი მაღალია და ზედ არაბული წარწერაა ამოკვეთილი. ბეჭდის დმ — 2,3 სმ, ბუდის ფუძის დმ — 1,3 სმ, სიმაღლე 0,6 სმ. ვემის სიგრძე — 9,8 სმ, სიგანე — 0,6 სმ.

ასეთი სახის ბეჭდები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეც იყო აღმოჩენილი სოფ. სიონში, ზოგიერთის თვალზე წარწერა არის ამოკაწრული, ზოგიერთზე ფრინველის გამოსახულებიანი მინის თვალია ჩადგმული [9, გვ. 40], მსგავსი ბეჭდები ცნობილია ჩრდ. კავკასიაში [6, ტაბ. IV (10), გვ. 105]. არაბული წარწერები დარიალის ხეობაში აღმოჩენილ გემაზე და სიონში აღმოჩენილ ორ გემაზე, ჩვენი თხოვნით, ამოიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ც. კახიანმა. მისი ვარაუდით, სიონში აღმოჩენილ გემებზე საკუთარი სახელებია მოცემული (ერთზე ჰასან იბნ დაიაქ, მეორეზე იბრაჰიმ იბნ ალფადლ), დარიალის ხეობაში აღმოჩენილ გემაზე უნდა იყოს ამოკვეთილი „ითხოვოს ალაჰმა“.

სამარხ № 7-ში აღმოჩნდა ვერცხლის ორი მონეტა, პატარა ზომის, არაბული წარწერით. მონეტები გახვრეტილია, რაც საკიდად მათ გამოყენებაზე უნდა მიუთითებდეს. მონეტები განსასაზღვრავად გადავეცით არქეოლოგიის სექტორის უფროს მეცნიერ თანამშრომელს ი. ჯალაღანიას. მან სათანადო შესწავლის შედეგად გვაცნობა, რომ ხევში აღმოჩენილი ორივე მონეტა ნახევარდირჰემიანია (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ასეთი სულ ორიოდე ცა-

ლია) და მოჭრილია იმ ზარაფხანებში, რომელთა პროდუქცია ჩვენს ტერიტორიაზე ან სრულიად არაა, ან ძალიან მცირერიცხოვანია.

1. არაბული ნახევარდირჰემიანი (წონა 1,13 გ) მოჭრილია ქ. სანაასი 802 წ., ხალიფა რაშიდის დროს (786—809 წწ.). მონეტა საკმაოდ იშვიათია. სპეციალურ ლიტერატურაში მხოლოდ ერთი ამგვარი ეგზემპლარია მოხსენიებული სახ. ერმიტაჟის აღმოსავლეთის მონეტების კოლექციაში [10, გვ. 31. № 499].

2. მეორე არაბული ნახევარდირჰემიანი (წონა 1,58 გ) მოჭრილია ქ. მადინ ბაჭუნაისში 821/22 წ., ხალიფა მამუნის დროს (813—833 წწ.).

არაბთა სახალიფოში VIII—IX სს. მოჭრილი ვერცხლის დირჰემების აღმოჩენა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე საკმაოდ ხშირია, რაც უდავო დადასტურებაა საქართველოსა და სახალიფოს მჭიდრო სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობისა, მაგრამ აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიან ნაწილში მათი აღმოჩენის ერთი შემთხვევაა ცნობილი ჯავის რაიონის სოფ. წოისიდან (VIII ს. არაბული დირჰემი).

აღნიშნულ სამაროვანში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი — ოთხი ხელადა.

ხელადა (№ 6 სამარხიდან) მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი, პირი გაშლილი და ფართო აქვს. ყელი ახვრი, მუცელი ოვალური, ძირი ბრტყელი. პირი და მხარი ერთმანეთთან ბრტყელი ოვალური ყურითაა შეერთებული. ყელს ოდნავ შესამჩნევი ჰდეული ზოლი შემოუყვება. ჭურჭლის ზედაპირი ფოროვანია, რაც თიხის მსხვილმარცვლიანობის მიზეზით უნდა აიხსნას (?). ხელადის სიმაღლე — 17 სმ, მუცლის დმ — 13 სმ, პირის დმ — 8 სმ. ამ ჭურჭლის ფორმა ჩვეულებრივია და ფართოდ გავრცელებულია მთელს კავკასიაში (ტაბ. XXXV, 35).

თიხის ჭურჭელი (სამარხი № 5) (ტაბ. XXXIV, 14). უხეშად, ხელითაა ნაძერწი, მონაცრისფროდ გამომწვარი. ხელადას ფართო გადმოშლილი პირი, მაღალი ყელი, დაბალი ბურთისმაგვარი ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ყურა განივკვეთში ოვალური მოყვანილობისაა. ერთი ბოლო მიძერწილია ყელის შუა ნაწილზე, მეორე — მხარის დასაწყისზე, ყური შემკული უნდა ყოფილიყო კოპისებური შვერილებით. ჭურჭლის ყელსა და მხარს გარშემო ტალღისებური და მოკლე ჰდეული ხაზებით შედგენილი სარტყელი შემოუყვება. ძირის დმ — 6,5 სმ. ფორმითაც და ორნამენტითაც ეს ჭურჭელი თავისებურია, იგი თითქოს შორეულ მსგავსებას იჩენს კუმბულთას შუა საუკუნეების მასალებთან [6, ტაბ. XIX, 112], მაგრამ გაცილებით უფრო უხეშია და თავისებურებებით ხასიათდება. გასაკვირია ის ფაქტი, რომ იგი წააგავს დაფნარის ქვევრსამარხებში აღმოჩენილ ჭურჭელს, რომელსაც ნ. კილურაძე ძვ. წ. IV ს-ით ათარიღებს [11, ტაბ. XIII, 3], მთაში ძველი ფორმები დიდხანს რჩება, ალბათ ამით არის გამოწვეული ეს საოცარი მსგავსება, ან შეიძლება ანტიკური ხანის ჭურჭელი შემორჩა, როგორც ძვირფასი ნივთი ან ხელმეორედ იქნა ჩაყოლებული სამარხში (ტაბ. XXXIV, 14).

ხელადა (სამარხი № 2) (ტაბ. XXXIV, 16) მოშავო-მოწითალოდაა გამომწვარი, სამტუჩიანია, დაბალყელიანი, მრგვალი, ოდნავ წაგრძელებულმუცლიანი, ძირბრტყელი, ტუჩი და მუცელი ბრტყელი ყურითაა შეერთებული, ჭურჭლის სიმაღლე — 13 სმ, ძირის დმ — 6,5 სმ, მუცლის დმ — 10 სმ. ეს ხელადა იმეორებს ანტიკური ხანის ჭურჭლის ფორმებს. ასეთი სახის ხელადები გავრცელებული ჩანს შიდა ქართლში შუა საუკუნეებში, მაგ., ურბნისის ნაქალაქარის ზედა ფენაში VI—VII სს. [4, გვ. 114], თბილისში VI—VIII სს. [12, ტაბ. 19/33, ტაბ. 28, 180, ტაბ.11, 16].

ხელადა (სამარხი № 7) (ტაბ. XXXV, 34). შავადაა გამომწვარი, პირი მრგვალი აქვს, ყელი მაღალი, სწორი, პირისაკენ ოდნავ გაფართოებული, მუცელი დაბალი და შებრტყელებული. მუცელი და მხარი პატარა ზომის ოვალური ყურითაა შეერთებული. ჭურჭლის სიმაღლე — 14 სმ, მუცლის დმ — 14 სმ, პირის დმ — 8 სმ, ყელის სიმაღლე — 6 სმ. მსგავსი ფორმის ჭურჭელი, შეწთხვევით მოპოვებული, ცნობილია სვანეთიდან, სოფ. იფარიდან [13].

ხელადა თავის ფორმით უფრო ალანურ ჭურჭელს წააგავს. ასეთებს ვხვდებით მაგ., ბალთაში [6, ტაბ. XIV, 1], კორწაში [6, XXIV, სურ. 9] და იმეორებს ბაითალჩაპკანში [5, სურ. 3], ბეროზოვოს [5, (3)], ხორხას [5, (3)] V—XII სს. კატაკომბურ სამარხებში აღმოჩენილ ხელადებს.

სამაროვანზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა სხვადასხვა სახის მძივები. ამათგან უმეტესობა მინის ან მინისებური პასტისაა.

2 ც. მთის ბროლის მძივია, წვეთის მოყვანილობის, ბოლოში ოდნავ დაკუთხული, საძაფე ნახვრეტი ორმხრივი დამუშავების შედეგად არის მიღებული, (ტაბ. XXXV, 24). ერთის სიგრძე — 1,2 სმ, სიმსხო — 8 მმ; მეორის სიგრძე — 1 სმ, სიმსხო — 7 მმ, აღმოჩენილია № 7 სამარხში. მთის ბროლის მძივები ცენტრალურ კავკასიონზე გათხრილ სამარხეულ მასალათა შორის ხშირია. მაგ., ჩმის კატაკომბურ სამარხებში [6, ტაბ. XVI, 18], ცარაცში [6, გვ. 125, ტ XII], ლაძში [6, გვ. 128], ძირგვისში [6, გვ. 169], რუთხის ზემო კამერებში, [6, გვ. 175], ყაზბეგში [6, გვ. 245]. თუ გავითვალისწინებთ, რომ მთის ბროლის კრისტალები თერგისა და მისი შენაკადების ხეობებში დიდი რაოდენობით ჩნდება, გასაგები იქნება ასეთი სახის მძივების არსებობა სამარხებში.

მინის მძივები სხვადასხვა, გაირჩევიან ფერით, მოყვანილობით, დამზადების ტექნიკით, ფორმით. მათ შორისაა ანტიკური ხანიდან ფართოდ ცნობილი პატარა ზომის მძივები, ე. წ. იოტები, ყვითელი, ლურჯი, მწვანე (სამარხი № 4).

მ ი ნ ი ს ჭ უ რ ჭ ე ლ ი, ძირშედრეკილი ქილის მოყვანილობისაა (ტაბ. XXXIV, 38). ჭურჭელს ბაკოიანი პირი აქვს, მისი სიმაღლე — 8,5 სმ, დმ — 8 სმ. ასეთი ფორმის სასმისები ჩვენთვის ნაკლებადაა ცნობილი. თუ არ ჩავთვლით მსგავს ჭურჭელს ქ. თბილისიდან [12, გვ. 91, XXVIII, 185]. საერთოდ კი მინის ჭურჭლის სხვადასხვა ნატეხები მრავლადაა აღმოჩენილი დარიალის ციხის ტერიტორიაზე.

შ ა ვ ი მ ი ნ ი ს 20 ცალი ბ ე ჭ ე დ ი (ტაბ. XXXV, 19). ყველა ბეჭდის რკალი მრგვალგანივკვეთიანია, ახლავს დაბალი ოვალური ფარაკი. უფარაკო ბეჭედი მხოლოდ ერთია. მინის ბეჭედი იმ დროს მეტად გავრცელებულ სამკაულს წარმოადგენდა როგორც ამიერ, ისე ჩრდილო კავკასიაში. ჩრდილო კავკასიაში მათ ვხვდებით ალანურ კატაკომბურ სამარხებში, მაგ., ყობანში [6, ტაბ. XVI, 18, 126], ქამუნთაში (მე-5 პერიოდი), ჩმიში, ბალთაში, ხორხში. ზოგ სამარხში 6—8 ცალიც კი არის აღმოჩენილი. ნ. უგრელიძის აზრით, ჩრდ. კავკასიის ცენტრალურ რაიონებს მინით ქართლის საწარმოო კერები ამარაგებდა, იგი შავი მინის ბეჭდების საწარმოო კერად ორბეთს მიიჩნევს, სადაც საწარმოო გადანაყარში 1000-ზე მეტი ბეჭედი იყო აღმოჩენილი [14, გვ. 7]. ჩრდილო კავკასიაში, მიუხედავად მინის ბეჭდების მრავლად აღმოჩენისა, ასეთი საწარმო ცნობილი არ არის.

მსხლის ფორმის მინის მძივები მომწვანო-მოყვითალო ფერის (სამარხი № 4) ლილვიანი ლურჯი ფერის მძივები ოდნავ შესამჩნევი თავისივე ხაზებითაა დაზოლილი (სამარხი № 4).

მ ძ ი ვ ი 63 ცალი მოლურჯო ფერის თეთრად იზირებული, თავ-ბოლო შებრტყელებული. მძივები ერთმანეთისაგან განსხვავდება ზომით. ყველაზე დიდი ცალის დმ — 7 მმ (სამარხი № 4) (ტაბ. XXXIV, 8).

მ ძ ი ვ ი 130 ც. მწვანე, ლურჯი, თეთრი მინისგანაა დამზადებული. მათ შორის რამდენიმე ცილინდრული ფორმისაა, რამდენიმე ბრინჯაოს მავთულზეა წამოცმული (ტაბ. XXXIV, 6).

მოოქრული მძივი (სამარხი № 7), მძივები (2 ც.) მოყვითალო-მოწითალო ფერის. ერთი მათგანი ბრტყელი ოთხწახნაგა მძივია, სიგრძივი ნახვრეტით, ორი კვირისტავის მოყვანილობისაა (სამარხი № 7).

მ ძ ი ვ ი (4 ც.) გვერდდაღარული, ძლიერ ირიზებული. ერთ მათგანს იისფერი გადაჰკრავს (ტაბ. XXXV, 27). საძაფე ნახვრეტი ფართოა (სამარხი № 7). გვერდდაღარული მძივების გავრცელების დიაპაზონი ძალზე დიდია, ადრე ანტიკურ ხანიდან მოყოლებული განვითარებულ შუა საუკუნემდე აღწევს.

მძივები (4 ც.) მუთაქის ფორმის (ტაბ. XXXV, 7), ლურჯი ფერის მინისაგან დამზადებული (მძივების ზომებია 1—1,4 სმ, დმ — 6 მმ). ასეთი სახის მძივები ცენტრალურ კავკასიონზე ძალზე ხშირია. პ. უვაროვა მათ სვეტის მოყვანილობის მძივებს უწოდებს. მათ ვხვდებით ჩმის კატაკომბურ სამარხებში იოტებთან ერთად [6, გვ. 138, 117, 116], ყობანში [6, XXXIII, სურ. 11], ქამუნთაში (მე-5 პერიოდში) [6, გვ. 126, სურ. 110]. ესენი უკვე IV—VI საუკუნეებიდან მოკიდებული, ძალზე გავრცელებულ სამკაულს წარმოადგენს, აღმოჩენილია მათი მსგავსი მოოქრული ცალებიც [15, გვ. 56, სურ. 6,7].

მ ძ ი ვ ე ბ ი (13 ცალი) ბიპირამიდული ფორმის სხვადასხვა ზომის და ფერის (სამარხი № 7) (ტაბ. XXXV, 25).

მძივი წახნაგოვანი, ლურჯი ფერის, ოდნავ ირიზებული, ძალზე გაცვეთილი (სამარხი № 3). ასეთივე მძივები აღმოჩნდა 1953 წელს გადარეცხილ სამარხებში, ყობანის კატაკომბურ სამარხებში [6 ტაბ. XXV, 2]. ისინი ქვის მძივებას მინაბაძს უნდა წარმოადგენდნენ და VI—IX საუკუნიდან შემოვიდნენ ცენტრალურ კავკასიონზე [6, ტაბ. XXV, 2].

მძივები მოოქრული (27 ც). ზოგი მათგანი 3—4-ლილვიანია, ზოგიც — 2-ლილვიანი, 9 ც. პურის მარცვლის მოყვანილობის მონაცრისფრო მინიდან დამზადებული თეთრი პარალელური ზოლებით შემკული მძივია. სიგრძე — 0,5 სმ. არ არის გამორიცხული, რომ იგი მოოქრული იყო (სამარხი № 4), (ტაბ. XXXIV, 9).

მოოქრული მძივები კავკასიაში მრავლადაა აღმოჩენილი, ასეთი სახის მძივები ძვ. წ. III—II სს. იქნა ათვისებული ალექსანდრიაში და ამ ხანიდან მოყოლებული, გვხვდება მეზობელ ქვეყნებშიც. მათი დამზადების ტექნიკა იმ დროიდან შუა საუკუნეებამდე უცვლელია. გამჭვირვალე უფერო მინის საფუძველზე დაიდებოდა ოქროს ფურცელი, შემდეგ მძივი დაიფარებოდა უფერო მინის თხელი ფენით. კავკასიაში მოოქრული მძივების მრავალი სახეობაა, მრგვალი, მოგრძო, ლილვიანი, კვირისტავის ფორმის, მუთაქის ფორმის და სხვა. ვ. დეოპიკი, რომელმაც მოახდინა ჩრდ. კავკასიის მძივების კლასიფიკაცია, აღნიშნავს, რომ VII—IX სს. ამ მძივების რიცხვი ძალზე იზრდება. მაგ., IV—V სს. 6%, ხოლო VIII—IX სს. მათი რიცხვი 40%-ს აღწევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ ადგილობრივ დამზადებას შესაძლებლად არ თვლის და სირიიდან ან ალექსანდრიიდან შემოტანილად მიაჩნია [15, გვ. 57].

აღნიშნულ ძეგლზე საკმაო რაოდენობითაა მოპოვებული ინკრუსტირებული თვლიანი და მოზაიკური მძივები.

მძივი, ყვითელი ფერის, მინისაგან თუ მინისებური პასტისაგან დამზადებული, ლურჯი თვლებით ინკრუსტირებული (ტაბ. XXXIV, 3). თვლებს თეთრი და ლურჯი ზოლები შემოუყვება, ასეთი სახის მძივები საკმაოდ გავრცელებული იყო შავიზღვისპირეთში, ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში და ცენტრალურ კავკასიონზე (ბრილი, ლუგოვო) ჯერ კიდევ ადრე ანტიკურ ხანაში. ვ. დეოპიკი [16, გვ. 223] ასეთ მძივებს რგოლისებურ მძივებს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ისინი მხოლოდ VIII—IX სს. ძეგლებში გვხვდება სამხ. აღმოსავლეთ ევროპაში. მაგ., გვხვდება აღაჩ-კალაში ალანურ აკლდამაში, კუმბულთასა [6, გვ. 223, ტ. XI, 15] და ჭამუნთას [6, გვ. 321] გვიანდელ ფენებში. ამიერკავკასიაში ისინი შუა საუკუნეების რუსთავში [1, გვ. 189, ტაბ. XVIII, 12], ერწოში [18], უჯარმაში [19] საკმაო რაოდენობით არის წარმოდგენილი.

მძივი, ლურჯი ფერის, 1 ც. მას ამკობს თეთრ ბუდეში მჯდომი ლურჯი თვალი. ასეთი სახის მძივები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ. წ. V ს. ვრცელდება ცენტრალურ კავკასიონზე, ყაზბეგში აღმოჩენილია ასეთი მძივი I—II სს. მასალებში [20, გვ. 83, ტაბ. XIV]. მათ ვხვდებით ყობანის კატაკომბურ სამარხებში [6, ტაბ. XV, 7], ბორისოვსკის სამაროვანზე [15, გვ. 57, სურ. 3,3].

მათ შემდეგნაირად ამზადებდნენ. რბილ მძივზე დაიდებოდა ერთიფერი მინის წვეთი და გაიშლებოდა, შემდეგ კიდევ ერთი წვეთი დაიდებოდა და გაიშლებოდა, ამგვარად შეიძლებოდა ორიდან 7—8 წვეთის გაშლა და მრავალფენიანი, თვლიანი მძივის მიღება. ფენიანობა კარგად შეინიშნება, რადგან გარეთა ზოლები გაცილებით უფრო თხელი გამოდიოდა, ვიდრე შიგნითა და რგოლები სწორ გეომეტრიულ რგოლებს არ წარმოქმნიდა [21, ტაბ. XX № 2, გვ. 4—11].

მძივი, ცისფერი მინისებური პასტის, დისკოსებური ფორმის, საკმაოდ დიდი ზომის. იგი შემკულია ლურჯი თვლებით, რომლებიც თეთრ ბუდეში ზის. მძივის დმ — 18 სმ (აღმოჩენილია № 4 სამარხში, ტაბ. XXXIV, 4). მსგავსი ფორმის მძივი აღმოჩენილია კუმბულთაში [6, გვ. 233].

მძივი, ბრტყელი, არასწორი ოთხკუთხედის ფორმის მოზაიკური (ტაბ. XXXIV, სურ. 5). მძივის შუა ნაწილში წითელი პატარა კვადრატია, რომელსაც უკავშირდება ოთხი მომწვანო და ოთხი თეთრი ოთხკუთხედი. ამას შემოუყვება ჯერ ყვითელი ხაზი, შემდეგ წითელი ხაზი, ფონი კი თეთრია. მძივის თითოეული წახნაგის სიგრძე 1 სმ-ია. ასეთ მძივებს „ფილაქნისებურს“ უწოდებენ, აგრეთვე, ხალიჩისებურს, ჭადრაკულს. ისინი აღმოჩენილია დიდი რაოდენობით სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში VI—IX სს. ძეგლებში. ვ. დეოპიკის აზრით, მათი დამზადების ცენტრი აღაჩ-კალაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამის დასასაბუთებელი მასალა მცირე რაოდენობით მოჰყავს [16, გვ. 231]. ცალკეული სახით კვადრატული მძივები აღმოჩენილია ცენტრალურ კავკასიისპირეთში [22]. ამ მძივებს, ზემოთ აღწერილთან შედარებით, ოდნავ განსხვავებული შემკულობა აქვს. შემკობის ასეთი ტექნიკა ჩასახულია ეგვიპტეში პტოლემეოსის ეპოქაში. ფორმებში აწყობდნენ მინის ღეროებს, ისე რომ განივ ჭრილში წარმოიქმნებოდა ხალიჩისებური სახე, შედგენილი სხვადასხვაფერი კვადრატებისაგან, შემდეგ მიღებული ნაჭერი გაიჭიმებოდა. კვადრატების ზომა 0,05-დან 0,1 სმ აღწევს. ადრეულ ძეგლებში ბრტყელთან ერთად მრგვალი ფორმის ასეთი მძივები გვხვდება [15, გვ. 58, 63] დარიალის ხეობაში. აღმოჩენილი მძივის ქრონოლოგიური ამპლიტუდა დიდი უნდა იყოს, IV—IX სს-ის ჩა-

თვლით. ყოველ შემთხვევაში, კავკასიაში და სამხრეთ აღმოსავლეთ რუსეთში შემკობის ასეთი წესი ადრეულ შუა საუკუნეებში გახშირდა.

მძივი (3 ც.), თვლებითა და მოგრძო ზოლებით შემკული. ერთი მათგანი ღოჯის მოყვანილობისაა, თეთრად ირიზებული, მაგრამ ზოგ ადგილას ოქროსფრად გამოიყურება, წელზე ზოლი შემოუყვება (ტაბ. XXXV, 30). მესამე მუქი წითელი ფერის მინისებური პასტის მძივია, წითელგულიანი, მწვანე ხალებით შემკული. მსგავსი ფორმის მძივები აღმოჩნდა ხევში 1953 წლის მონაპოვართა შორის [20, ტაბ. XVIII, სურ. 1]. მათ სახესხვაობას ვხვდებით კუმბულთას, კამუნთას, ბალთას ევიანდელ სამარხებში [6, გვ. 233, სურ. 916].

ვხვდებით სოკოს ფორმის მძივს თუ კილიტს (სამარხი № 7) (ტაბ. XXX), იგი მოკვაგონებს ფასკაუმში [6, გვ. 284, სურ. 916], ყუმბულთას ადრეულ ფენებში მოპოვებულ საკიდებს [6, ტაბ. XIII, სურ. 22].

მძივი ბაფთის ფორმის, მუქი ნაცრისფერი, ირიზებული (სამარხი № 4), შუა ნაწილში რელიეფური ზოლები უვლის გარს. მსგავსი მძივი აღმოჩენილია ალხან-კალაში [23, გვ. 203], აღაჩ-კალაში, სალტოვოს სამაროვნებზე [16, 5, 19, 30].

ნალის მოყვანილობის ნივთი — კირქვისებური მინერალიდან დამზადებული. იგი ორად არის გაყოფილი, შესაძლოა საკიდად გამოიყენებოდა, მაგრამ არ არის გამორიცხული მისი კვირისტავად გამოყენებაც (ტაბ. XXXV, 18).

ამგვარად, ხსენებულ სამაროვანზე მძივების ნაირსახეობა აღმოჩნდა: ქვის, მინის, მინისებური პასტის. მძივების ძირითადი ფორმები ჯერ კიდევ ძვ. წ. მიწურულიდან არის ცნობილი, შემოდის ახალი ფორმებიც. აღსანიშნავია, რომ ქვის მძივების რიცხვი საგრძნობლად კლებულობს, მატულობს მინის მძივები, ვ. დეოპიკი ამ ფაქტს ჩრდილო კავკასიაში VIII—IX სს. მინის წარმოების ადგილობრივი ცენტრების შექმნით ხსნის [16, გვ. 232]. საქართველოში გათხრილ ამ პერიოდის სამარხებში ურბნისში, სიონში, ასევე დიდი რაოდენობით ვხვდებით მინის მძივებს, რომელთა უმეტესი ნაწილი, სავარაუდოა, ადგილობრივ ცენტრებში მზადდებოდა. იმ დროისათვის ქართლის ტერიტორიაზე დადასტურებულია ორბეთის მინის საწარმო [24, გვ. 90].

ხევი არქეოლოგიურად ნაკლებადაა შესწავლილი. ამიტომ მცირე აღმოჩენებსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება. „არკასთან“ აღმოჩენილი სამაროვანი დარიალის ხეობის უძველეს მოსახლეობას მიეკუთვნება. იგი უკავშირდება ჩრდ. კავკასიაში აღმოჩენილ ამ პერიოდის სხვა სამაროვნებს (კუმბულთას, დარგავს, ბალთას, ჩმის). ამავე დროს სამარხეულ ინვენტარში კარგად შეიმჩნევა კავშირი შიდა ქართლთან და ის პოლიტიკური ვითარება, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს კავკასიაში. მონეტები და სხვა ინვენტარი საშუალებას გვაძლევს სამაროვანი IX ს-ით დავათარიღოთ.

სამაროვანი შემდგომი კვლევისათვის, მოგვიანებით, გადაეცა შუა საუკუნეების არქეოლოგიურ განყოფილებას, რომელმაც გათხრების ჩასატარებლად ხევში მიავლინა უმც. მეცნ. თანამშრომელი გ. ღამბაშიძე.

Л. Г. ЦИТЛАНАДЗЕ, А. Ю. КАХИДЗЕ, З. Г. ШАТБЕРАШВИЛИ

МОГИЛЬНИК ГИГИАССАТИБИ

(Дарьяльское ущелье)

Резюме

Публикуется археологический материал, обнаруженный в Дарьяльском ущелье в 1966 г. на правом берегу р. Терек, в 14 км от села Казбеги. Раскопано 13 погребений, расположенных в несколько ярусов. Тип погребений и погребальный инвентарь указывают, что могильник принадлежит представителям местного населения Хеви.

На основании находок арабских монет и другого сопровождающего материала погребения датируются IX веком н. э. По раскопанному материалу хорошо прослеживаются связи населения Дарьяльского ущелья с племенами, проживающими севернее Кавказского хребта, и с Картлийским царством, северными воротами которого являлось ущелье.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. გ. გობეჯიშვილი, 1953 წელს ყაზბეგში მივლინების ანგარიში. ხელნაწერი.

2. ლ. წითლანაძე, შუა კავკასიონის სამხრეთ კალთების ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის ყაზბეგის რაზმის 1962 წლის მუშაობის ძირითადი შედეგები. — სა-მეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. თეზისები. თბ., 1963.

3. П. С. Уварова, Г. И. Радде, Коллекции Кавказского музея — т. V, 1902.

4. ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი. თბილისი, 1964.

5. В. А. Кузнецов. Аланские племена Северного Кавказа. — МИА, № 106, 1962.

6. П. С. Уварова. Могильники Северного Кавказа. 1900.

7. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა, თბილისი, 1955.

8. პ. ფირფილაშვილი. ზოგიერთი ქართული ხალხური საექიმო იარაღი, ხელსწყო და ჭურჭელი, — აკადემიის მოამბე, 1957, ტ. XIX, № 2.

9. ლ. წითლანაძე, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ყაზბეგის რაიონში. 1962, ხელნაწერი.

10. А. Марков. Инвентарный каталог мусульманских монет Императорского Эрмитажа. СПб., 1894.

11. Н. Кигурадзе. Дапнарский могильник. Тбилиси, 1976.

12. ი. გძელიშვილი, ო. ტუშელაშვილი. თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბილისი. 1961.

13. შ. ჩართოლანი. სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში.

14. ნ. უგრელიძე, მინა ძველ საქართველოში. თბილისი, 1961.

15. В. Б. Деопик, Классификация бус Северного Кавказа. — СА, № 3, 1959.

16. В. Б. Деопик. Классификация бус Юго-Восточной Европы VI—IX вв. — СА, № 3, 1961.

17. გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები. — მსკა, I, 1955.

18. რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწოს ველის საველე-დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში, XII არქეოლოგიური სესია, თბილისი, 1964.

19. გ. ლომთათიძე. უჯარმის არქეოლოგიური ექსპედიციის თხრის ანგარიში, 1953.

20. ლ. წითლანაძე, ცენტრალური კავკასიონის მთის მოსახლეობის კულტურა, ჩვ. წ. V—I საუკ. არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ხელნაწერი.

21. G. Eisen, The characteristics of Egu-beds from earliest time to the Present, AFA. 2 სერია 1916.

22. ბაქსანი კოლ 44817, ჩეგემი კოლ. 3837, ნალჩიკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი № 1078, № 1642.

23. В. Б. Виноградов, Сарматы Северо-Восточного Кавказа. Грозный, 1963.

24. ნ. უგრელიძე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბილისი, 1967.

IV. ხელოსნური ნაწარმი

მ. მიქიშვილი

მრავალფერად მოჭიქული კერამიკის გავრცელების საკითხისათვის*

1981 წელს ერთი თვით (10/VII—10/VIII). მიწვეული ვიყავით ბულგარეთში, მელნიკის არქეოლოგიურ ექსპედიციაში.

შუა საუკუნეების ნაქალაქარი მელნიკი მდებარეობს სამხრეთ ბულგარეთში, მდ. სტრუმიცის ხეობაში. ნაქალაქარი განლაგებულია მაღალი მთის პლატოზე. მელნიკში რეგულარული გათხრები წარმოებს 1972 წლიდან.

გავეცანით რა ნაქალაქარზე აღმოჩენილ მასალას, ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ მელნიკში მოპოვებული მრავალფერად მოჭიქული კერამიკა მსგავსია დასავლეთ საქართველოსა და ხერსონესში აღმოჩენილი მრავალფერად მოჭიქული კერამიკისა.

ჩვენს წინაშე დაისვა მნიშვნელოვანი პრობლემა — საიდან და რა გზებით იჭრებოდა ბულგარეთში აღმოსავლური კულტურის ნაკადი — მრავალფერადობის სახით. რათა გავარკვიოთ ეს საკითხი, საჭიროა თანამიმდევრულად განვიხილოთ ქართული, ბულგარული და ხერსონესის მრავალფერად მოჭიქული კერამიკა.

შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა მრავალნაირია. ამჯერად შევეხებით მხოლოდ წითელკეციან მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას.

მრავალფერად მოჭიქულ კერამიკად იგულისხმება: წითელკეციანი ჭურჭელი, რომლის თეთრი ანგობით დაფარულ შიგა თუ გარეპირზე ამოკაწვრით (ე. ი. სგრაფიტოთი) გამოყვანილია ესა თუ ის ორნამენტი ან გამოსახულება. მათ ავსებენ სხვადასხვა ფერის — მწვანე, ყვითელი ჭიქუროვანი საღებავებით, რითაც ორნამენტი მრავალფერადი (პოლიქრომული) ხდება. აგრეთვე იყენებენ ანგობის თეთრ ფერსა და ზოგ შემთხვევაში ღვიძლისფერს, რომელიც დამხმარე ფუნქციას ასრულებს — აცოცხლებს ორნამენტს წერტილებითა და ხაზებით. ჭურჭელი დაფარულია გამჭვირვალე ჭიქურით. ამ სახის ჭურჭელს მრავალფერადს ვუწოდებთ [1, გვ. 33].

აღნიშნული წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი შუა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებშია (შუა აზია, სირია, მესოპოტამია, ეგვიპტე, სპარსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ.) გავრცელებული. მაგრამ იგი სრულიად უცხო არის ბიზანტიისათვის.

წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი აღმოჩენილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში და სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე — ნაქალაქარებში, ნაციხარებზე, ნასოფლარებში და სხვ. ისინი აღმოჩენილია თბილისში: დედაციხეზე, კერამიკულ სახელოსნოში და მის გადანაყარზე, ერეკლე II-ის

---

* აღნიშნული ნაშრომი წაკითხულია „არქეოლოგიურ საუბრებზე", 1982 წლის იანვარში, იბეჭდება შემოკლებით.

სახ. მოედანზე; დმანისში, გუდარეხში, უჯარმაში, რუსთავის ნაქალაქარსა და ნაციხარზე, ნადარბაზევში, ჟინვალში, კვეტერაზე, ბოლნისში, კაზრეთში, თელავში, იყალთოში, გავაზში, ახალქალაქში, ვარძიაში, კასპში, მცხეთაში, ციხისძირში, სოხუმისა და ბაგრატის ციხეებზე, ოჩამჩირეში, ანაკოფიაში, ბათუმში, გონიოში, ფოთში, ნაბადაზე, ჭუთაისში, ვანში და სხვ. საქართველოში აღმოჩენილი წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული კერამიკის არსებობის დრო XII—XIII საუკუნეების პირველი ნახევარია [2, გვ. 25, 27].

აღმოსავლეთ საქართველოში აღმოჩენილი წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული კერამიკა ადგილობრივი ნაწარმია. მაგრამ დასავლეთ საქართველოში, გარდა ადგილობრივისა, გამოიყო ბიზანტიური იმპორტი (სოხუმი, ბათუმი, ჭუთაისი, ვანი, ციხისძირი და სხვ.) და მათი მინაბაძები (XI—XII სს). აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოს მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას თავისებურება ახასიათებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჭურჭელთა უმრავლესობაზე გამოსახული ორნამენტები ივსება ფერადი საღებავებით. დასავლეთ საქართველოს კერამიკაზე ეს წესი ზოგჯერ ირღვევა და მათ მაგივრობას ფერადი ლაქები სწევს. ორივე შემთხვევაში ფერები ერთმანეთს ენაცვლება და ქმნის კონტრასტულ ფერთა გამას [2, გვ. 17—23, ტაბ. II—VII].

იგივე სურათია ხერსონესსა და ბულგარეთში (მელნიკი, ნიკოპოლისი), სადაც აღმოჩენილია ბიზანტიური იმპორტი, მათი მინაბაძები და ადგილობრივ ნაწარმს შორის წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული კერამიკაც. ეს უკანასკნელი იგივე ნიშნების მატარებელია — თეთრი ანგობით დაფარულ შიგაპირზე ორნამენტი ამოკაწვრით არის გამოყვანილი, შევსებულია ფერადი საღებავებით, ზოგჯერ კი — ფერადი ლაქებით. წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი ხერსონესსა და ბულგარეთში (მელნიკი, ნიკოპოლისი) თარიღდება XIII—XIV საუკუნეებით [3, გვ. 183, ტაბ. XV, სურ. 57; გვ. 227, სურ.118; ტაბ. XVII; 5].

საქართველოში აღმოჩენილ წითელკეციან მრავალფერად მოჭიქულ ჭურჭელზე სხვადასხვა ორნამენტისა და გამოსახულებათაგან გავრცელებული და პოპულარულია ფრინველის გამოსახულება, შემდეგ მცენარეული და გეომეტრიული მოტივებისაგან შედგენილი ორნამენტი; სადა გეომეტრიული (ოთხკუთხედები, სამკუთხედები და სხვ).; ქალის, მამაკაცის სახეები, ცხოველის გამოსახულება და სხვ.

ქართული წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჯამებისათვის დამახასიათებელია თეთრი ანგობით დაფარული შიგაპირის სტილიზებული ორნამენტებით შემკობა, რომელსაც ასე უხვად იყენებდნენ ქართულ ხუროთმოძღვრებაში, ოქრომჭედლობაში, ხელნაწერებსა და სხვ. [5, 6, 7, 8, 9, 10].

ქართულ ხელოვნებასთან კერამიკული წარმოების მჭიდრო კავშირი იმის მაუწყებელია, რომ ამ უკანასკნელზე არსებული მოტივები ადგილობრივ ნიადაგზე იყო აღმოცენებული, რის გამოც ისინი მყარი და საფუძვლიანი აღმოჩნდნენ. ვინაიდან ქართული მრავალფერად მოჭიქული კერამიკის წარმოების აღმავლობა შეესატყვისება ქართული ხელოვნების სხვადასხვა დარგების აყვავებას, ბუნებრივია, ეს გარემოება განსაზღვრავს მათი არსებობის თანადროულობას.

ქართველ მეთუნეთა მიერ შემუშავებული და დადგენილი ორნამენტული სახეები სწრაფად და სახეშეუცვლელად ვრცელდებოდა საქართველოს ყველა კუთხეში. ეს გარემოება, ერთი მხრივ, იმ საზოგადოების ერთნაირი გემოვნების (მოდის), ხოლო, მეორე მხრივ, ხელოსანთა მჭიდრო ურთიერთობის

მაუწყებელია. აღსანიშნავია, რომ ამ დროის ხელოსნები გარკვეულ კორპორაციებში (ორგანიზაციებში) ერთიანდებოდნენ და მათ მიერ შემოთავაზებულ და დადგენილ ნორმებს ხელოსნები ემორჩილებოდნენ. საფიქრებელია, რომ ამ გარემოებამაც განაპირობა წითელკეციან მრავალფერად მოჭიქულ ჭურჭელზე გამოსახულ ორნამენტთა ერთიანობა.

წითელკეციან მრავალფერად მოჭიქულ ჯამებზე გამოსახულ ორნამენტთა სიმყარესა და მუდმივობას ალბათ ის გარემოებაც განსაზღვრავდა, რომ კერამიკული წარმოება ორგანულად იყო დაკავშირებული იმ ეპოქის (იმ ხანის) ქართულ სინამდვილესთან. მაგალითად, ლაშა გიორგის მონეტაზე. (1209—1216 წწ). გამოსახულია ისეთივე ოთხი ფოთოლი, რომელსაც ქართველი კერამიკოსები გამოსახავდნენ მრავალფერად მოჭიქულ ჯამებზე.

როგორც დაინახეთ, ქართულ ხელოვნებაში (ხუროთმოძღვრება, ოქრომჭედლობა, ხელნაწერები და სხვ.) გაბატონებული დეკორატიული სტილის ერთ-ერთმა მთავარმა ელემენტმა — მცენარეულმა ორნამენტმა ხელოვნების ამ დარგებიდან ბუნებრივად გაიკაფა გზა გამოყენებით ხელოვნებაში, კერძოდ მხატვრულ კერამიკაში, რაც ცხადყოფს ქართველ მეთუნეთა მაღალ დონეს და ამ დარგის მაღალ განვითარებას.

ბულგარეთის სხვადასხვა რეგიონებში (მელნიკი, ნიკოპოლისი, ტირნოვო, შუმენი და სხვ.) აღმოჩენილი წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული კერამიკის გარკვეული ნაწილი მსგავსებას პოულობს ქართულ მასალასთან.

ბულგარულ ლიტერატურაში ჭურჭლის ამ ტიპს „სგრაფიტო კერამიკას“ უწოდებენ, რაც არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან ეს ტერმინი ცალმხრივია და გამოსახავს, თუ რა ხერხით არის შესრულებული ორნამენტი, ხოლო ამ ნაწარმის ძირითად თვისებას, მრავალფერადობას (პოლიქრომიულობას) არ გულისხმობს. ამდენად, ბულგარული კერამიკის განხილვისას „სგრაფიტო კერამიკას“ მრავალფერად მოჭიქულს ვუწოდებთ.

ბულგარული მრავალფერად მოჭიქული კერამიკის შემკობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ჯამთა შიგაპირის სექტორებად დაყოფა, სადაც გეომეტრიულ და მცენარეულ სახეთა ერთობლივი მოტივია გამოსახული. ამ ორნამენტით შემკულია ნაქალაქარ მელნიკზე აღმოჩენილი მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი: სხვადასხვა ზომის (დიდი, საშუალო და მცირე) ჯამები და ლანგრები დამზადებული დაუდევრად (დაბრეცილებია) და უხეშად. მრავალფერადობა უმრავლეს შემთხვევაში მიღწეულია ფერადი (მწვანე, ყვითელი, ყვითელ-მოყავისფრო) ლაქებით; საღებავები გაღვრილია.

ნაქალაქარ მელნიკზე აღმოჩენილი ამ ტიპის ორნამენტით შემკული ჭურჭელი შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად:

პირველი — როცა ორნამენტი ჯამის გულიდანვე იშლება ბრტყელი (ყვითელი) ხაზებით, ოთხი ფოთლით, სტილიზებული ხითა და სხვ., რითაც ჯამთა შიგაპირი იყოფა, სამ, ოთხ ნაწილად. ორნამენტი დაფერილია მწვანე, ყვითელი, ყვითელ-მოყავისფრო ჰიქუროვანი საღებავებით, ისინი ერთმანეთს ენაცვლებიან. ჯამის თავისუფალი არე შევსებულია მცენარეული ყლორტებით, რომლებიც ერთი ხაზისაგან არიან შედგენილი [4, ტაბ. 3, 16, 17; 13, სურ. 10, 11, 12].

ანალოგიური წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჯამები აღმოჩენილია ტირნოვოში, შუმენში და სხვ. ისინი ემსგავსებიან საქართველოში აღმოჩენილებს გამყოფი ხაზებით, მცენარეული ორნამენტით, მაგრამ განსხვავდებიან შესრულების ყაიდით. და თუ ქართველი ხელოსნებისათვის არსებობდა

ერთი ნიმუში, რომლის მსგავსი მთელ საქართველოშია დამოწმებული, ბულგარეთში არსებობდა აზრი (იდეა) და მას ხელოსნები თავისებურად გადმოგვცემენ [11, გვ. 84, ტაბ. XVIII, 12, ტაბ. XIII, სურ. 13, 19, 6; ტაბ. XIV, სურ. 5, 9, ტაბ. XVIII, სურ. 4].

მეორე — როცა ჯამის გულზე გამოყვანილი კონცენტრული წრეხაზისაგან (მედალიონისაგან) იშლება სხივები, ვარსკვლავი (ექვსქიმიანი) და სხვ. ისინი ჯამის კალთას ყოფენ სამ, ოთხ ან ექვს ნაწილად. აქაც ორნამენტი იფარება ფერადი საღებავებით, ხოლო თავისუფალი არე შევსებულია წრეში ან რკალში ჩასმული მცენარეული ორნამენტით. ასეთი ჯამები აღმოჩენილია ტირნოვოში, შუმენში [11, გვ. 74, სურ. 2; გვ. 80, სურ, 2; გვ. 94, სურ. 2; გვ. 95, სურ. 8, 9; 13, ტაბ. XVI, სურ. 1—6, ტაბ. XVII, სურ. 1,2].

როგორც დავინახეთ, ერთ შემთხვევაში ბულგარელი ხელოსანი ჯამის გულს ამკობს კონცენტრული წრეხაზებით (მედალიონით), რაც ბიზანტიური მოჭიქული კერამიკის აუცილებელი ატრიბუტია. ჩანს, იგი ბულგარეთში დამკვიდრდა ბიზანტიასთან დიდი ხნის ურთიერთობის შედეგად. ამავე დროს თვით ორნამენტი (ოთხი ფოთოლი და სხვ.) ტიპურია საქართველოსათვის, მაგრამ ფერადოვნებით იგი ემსგავსება საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთში, შუა აზიასა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში აღმოჩენილ მასალას, რაც ხაზს უსვამს მის აღმოსავლურობას.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ ბულგარელ ხელოსანთა ნაწარმი ერთდროულად ბიზანტიური და აღმოსავლური კულტურის ნიშნების მატარებელია.

წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული კერამიკის შემკობა ფრინველის — სტილიზებული მტრედების — გამოსახულებით ძალზე გავრცელებული იყო საქართველოში. ისინი გადმოცემული არიან რეალისტურად, პროფილში მარცხენა მხრიდან, მოხდენილი და ამაყი პოზით. ჯამის თავისუფალი არე შევსებულია მცენარეული რტო-ყლორტოვანი ორნამენტით (ტაბ. XL, 1), [14, გვ. 46—50; 1, გვ. 45—46, ტაბ. VIII, XIX; 15, გვ. 48—51, ტაბ, XIII—XVI].

წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჯამები — შემკული ფრინველის გამოსახულებით — აღმოჩენილია ყველა ზემოთ დასახელებულ ძეგლზე. ჯამები ძირითადად ერთნაირია, მაგრამ მათ შორის ყველაზე მაღალხარისხოვანსა და სანიმუშოს თბილისის კერამიკული სახელოსნო უშვებდა, შემდეგ რუსთავი, დმანისი და ა. შ. ჩანს, თბილისის კერამიკული სახელოსნო ტონის მიმცემი იყო. იქ დგებოდა ორნამენტულ სახეთა რეპერტუარი და ვრცელდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. აღნიშნულ ორნამენტებს ყოველი სახელოსნო ხარისხობრივად განსხვავებულს ქმნიდა (ამზადებდა).

საქართველოში აღმოჩენილი წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჯამები, შემკული ფრინველის გამოსახულებით, XII—XIII საუკუნეთა პირველ ნახევარს მიეკუთვნება.

ანალოგიური ფრინველის გამოსახულებით შემკული ჯამები აღმოჩენილია აზერბაიჯანში, სომხეთში, ხერსონესში და სხვ. ასეთივე ჯამები გამოირჩევა ჩვენ მიერ ბულგარეთში შესწავლილ მასალაში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მელნიკის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჯამი, სადაც ფრინველი რეალისტურად არის გამოსახული. ჯამებს შორის შესაძლებელია გამოიყოს ორი ჯგუფი: პირველი — როცა ფრინველი მოიცავს ჯამის მთელ შიგაპირს და თავისუფალი არე შევსებულია სამკუთხედში ჩასმული მცენარეული ორნამენტით. თარიღდება XIII საუკუნით [4, ყდა]. ისინი მსგავსია საქართველოში აღმოჩენილებისა ფრინველის პოზით, გამომეტყველებით, მცენარეული ორნამენტით.

თუ მათ შევადარებთ ხერსონესში აღმოჩენილ ჯამებს, დავინახავთ განსხვავებას — მათი უმრავლესობა ფანტასტიკური ფრინველია და არ ამკობს მცენარეული ყლორტოვანი ორნამენტი, რაც თითქოს აუცილებელი მოტივი იყო ქართველი მეთუნეებისათვის [3, ტაბ. XXXII, XXXIII].

აღნიშნული სახის ჯამები აღმოჩენილია ტირნოვოში. უმრავლესობაზე გამოსახულება რეალისტურადაა შესრულებული. გამოსახულია სხვადასხვა ჯიშის ფრინველი მოძრავი და მეტყველი ფიგურით. მათ სხვა იერი აქვთ, ვიდრე მელნიკის ჯამების ფრინველებს, რაშიც იგრძნობა სხვადასხვა სკოლის ხელწერა.

მეორე — როცა ფრინველი ჯამის გულზე გამოყვანილ მედალიონშია ჩასმული და რეალისტურადაა შესრულებული, ზოგჯერ ძალზე მცირე ზომისაც. ანალოგიური აღმოჩენილია მელნიკში, ტირნოვოში, შუმენში.

როგორც დავინახეთ, ერთ შემთხვევაში ბულგარელი მეთუნე ჯამის გულს ამკობს მედალიონში ჩასმული ფრინველის გამოსახულებით (როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი ბიზანტიური კერამიკისათვის არის დამახასიათებელი), მეორე შემთხვევაში ჯამის შიგაპირზე გამოსახული ფრინველი მსგავსია ქართულ მრავალფერად მოჭიქული კერამიკისა, ხოლო ფერადოვნებით ემსგავსება ამიერკავკასიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების ნაწარმს.

ამდენად, ბულგარელ მეთუნეთა ნაწარმი — მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი ამ შემთხვევაშიც ბიზანტიური და აღმოსავლური ნიშნების მატარებელია.

* * *

ქართულ წითელკეციან მრავალფერად მოჭიქულ კერამიკას ამკობენ აგრეთვე ცხოველთა — კურდღელი, ვეფხვი, მგელი, შველი, აფთარი, ავაზა, ჯიხვი და სხვ. (ტაბ. XL, 2; XLI, 1) გამოსახულებითაც. ესა თუ ის ცხოველი ყოველთვის დაფერილია (შეფერილია) ყვითელი ჭიქუროვანი საღებავით. ხოლო ჯამთა თავისუფალი არე შევსებულია მცენარეული რტო-ყლორტოვანი ან გეომეტრიული ორნამენტით. ცხოველთა სახეები მოძრავი და მეტყველია. ისინი მეტ შემთხვევაში რეალისტურად არიან შესრულებული.

ცხოველთა გამოსახულებით შემკული ჯამები აღმოჩენილია ბულგარეთშიც — მელნიკში, ტირნოვოში, შუმენში და სხვ. უმრავალესობაზე ნახატი რეალისტურადაა შესრულებული; არის ფანტასტიკური ცხოველების გამოსახულებანიც.

ორივე შემთხვევაში ცხოველის ფიგურა მოიცავს ჯამის შიგაპირს და ცარიელი არე შევსებულია მცენარეული ორნამენტით.

საქართველოში წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჯამები შემკულია სადა, გეომეტრიული ორნამენტებით; ყველაზე გავრცელებულია ფერადი (მწვანე, ყვითელი, თეთრი) ოთხკუთხედები. ქართველი ხელოსანი ოთხკუთხედების კომბინაციით რამდენიმე ორნამენტულ სახეს იძლევა: ერთ შემთხვევაში მათი განლაგება ჭადრაკულ მოტივს ქმნის და ამიტომ მათ პირობით „ჭადრაკულს“ ვუწოდებთ, სხვა შემთხვევაში ოთხკუთხედებს პაწია თეთრი რგოლებით (ტაბ. XLI, 2) ან ღვიძლისფერი წერტილებით ამკობენ. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო „ჭადრაკული“ ორნამენტი, რომელიც თითქმის ყველა შუა საუკუ-

ნების ძეგლზეა აღმოჩენილი, მაგრამ ყველაზე დიდი რაოდენობით იგი თბილისის კერამიკულ სახელოსნოში გვხვდება, შემდეგ რუსთავის ნაციხარსა და ნაქალაქარზე, დმანისში, გუდარეხში, თელავში და ა. შ. ისინი თარიღდებიან XII—XIII სს. პირველი ნახევრით [1, ტ. XXXVIII, XXXIX, გვ. 45—46].

„ჭადრაკული“ ორნამენტით ჯამების შემკობა ძალზე გავრცელებული ყოფილა ბულგარეთში, კერძოდ ტირნოვოში, შუმენსა და სხვ. შუმენში იგი აღმოჩენილია დიდი რაოდენობით. მისი თავისებურება ის არის, რომ ოთხკუთხედები ივსება ჭდეებით ან წვრილი ხაზებით თარიღდება XIII—XIV სს-ით [13, გვ. 38, ტაბ. VI].

* * *

როგორც განხილული მასალიდან დავინახეთ, საქართველოსა და ბულგარეთში აღმოჩენილი წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი, შემკული მცენარეული და გეომეტრიული ერთობლივი ორნამენტით, ფრინველის გამოსახულებით, სადა გეომეტრიული და სხვ., ზოგადად ერთმანეთის მსგავსია. ამავე დროს, ყოველი მათგანის ნაწარმისათვის დამახასიათებელია წითელი კეცი, ორნამენტის გამოყვანის ერთი და იგივე ხერხი — ამოკაწვრა და კონტრასტული, კაშკაშა ფერები. სწორედ ამ თვისებების გამო საქართველოსა და ბულგარეთის ნაწარმი ერთი კულტურის წრეში გავაერთიანეთ.

ქართული მრავალფერად მოჭიქული კერამიკა აღმოსავლურ იერს ატარებს. ქართველი ხელოსანი აღმოსავლეთის მდიდარი ფონდიდან იძენს მისთვის საჭირო და სასიამოვნო ელემენტებს (თვისებას) — მაგ., კაშკაშა ფერებს და იყენებს თავის ნაწარმზე. ქართველ ხელოსანთა მიერ დამზადებული მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი არ არის გადატვირთული ორნამენტით. ქართველ მეთუნეს ჰქონდა უდიდესი გრძნობა ზომიერებისა — ეს არის მისი თვისება, ხასიათი, გემოვნება, რაც განაპირობებდა საქართველოში დამზადებული წითელკეციანი მრავალფერად მოჭიქული კერამიკის თავისებურებას და რითაც ქართული ნაწარმი გამოირჩეოდა სხვა მსგავსი ჭურჭლისაგან.

მაშინ, როცა ქართული მრავალფერად მოჭიქული ჭურჭლის წარმოება თავის მაღალ განვითარებას აღწევს, საქართველო დიდსა და ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც გადაჭიმულია „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, შავ და კასპიის ზღვებს შორის. საქართველოს მეთაურობით მთელი ამიერკავკასია არის გაერთიანებული, რასაც კარგად ასახავს დავით აღმაშენებლის მონეტის (1123—1125) წარწერა: „ქრისტე! დავით მეფე, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა“**. საქართველოს ხელთ არის დიდი სახელოსნო და სავაჭრო ცენტრები — სომხეთისა (ანისი, დვინი), რანისა (განძა), შირვანისა (შამახია, ყაბალა). აგრეთვე მრავალი მცირე ქალაქი, მათ სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთთან.

ამიერკავკასიის ერთობა და მისი მჭიდრო ეკონომიკური კავშირი აღმოსავლეთის საწარმოო და სავაჭრო ცენტრებთან ხელს უწყობდა ხელოსნობის

** მონეტა დაცულია ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში, ფონდი № 1956.

სხვადასხვა ნაწარმის, კერძოდ, მრავალფერად მოჭიქული კერამიკის გავრცელებას და განსაზღვრავდა მათ ზოგად მსგავსებას.

მრავალფერადობა, აღმოსავლური კერამიკული ნაწარმის აუცილებელი ნიშანი, იჭრება აღმოსავლეთ საქართველოში, გადადის დასავლეთ საქართველოში და აღწევს შავიზღვისპირეთს. სწორედ ამ დროს (XII—XIII ს. I ნახ.) შავიზღვისპირეთი წარმოადგენდა მისი გავრცელების უკიდურეს ზონას*** [19, გვ. 15—16].

ხოლო შემდეგში (XIII—XIV სს.), როგორც ზემოთ განხილული მასალიდან ჩანს, მრავალფერად მოჭიქული ჭურჭელი ჩნდება ყირიმში (ხერსონესი და სხვ.), ბულგარეთსა და სხვა რეგიონებში, რასაც სხვადასხვა მიზეზი განაპირობებდა.

ცნობილია, რომ ბიზანტია თავისი სიძლიერის ხანაში ბატონობდა შავ ზღვაზე. მას ეკუთვნოდა საზღვაო-სავაჭრო და სატრანზიტო პუნქტები, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და სამხრეთ სანაპიროებთან. ბიზანტიის ერთ-ერთ საექსპორტო საქონელს თეთრკეციანი მოჭიქული კერამიკა წარმოადგენდა. იგი დიდი რაოდენობით აწარმოებდა მას და გაჰქონდა სხვადასხვა ქვეყნებში. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ხანაში ვითარება იცვლება. ბიზანტიამ დაკარგა რა თავისი ძალაუფლება, მისი გავლენა აღნიშნულ ადგილებში შემცირდა. ეს გარემოება კარგად აისახა მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე, მათ შორის მოჭიქულ კერამიკაზედაც. მაგალითად, ბიზანტიის დასუსტების შემდეგ ხერსონესი მისგან ვეღარ ღებულობს ისეთი რაოდენობით თიხის ნაწარმს, მაგრამ ვინაიდან მასზე მოთხოვნილება მაინც არსებობს, ხერსონესში ვითარდება ადგილობრივი კერამიკული წარმოება. ამ პროდუქციის ერთ დიდ ნაწილს მრავალფერად მოჭიქული კერამიკა წარმოადგენდა, რომელიც კეცით, ფერადოვნებით, ორნამენტით და სხვა მსგავსია საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მრავალფერად მოჭიქული ჭურჭლისა [3, ტაბ. 1, სურ. 1—3, ტაბ. 11, სურ. 6, 7, ტაბ. V, VII, XXVI, XXVII, XXIX; XXX].

ანალოგიური ვითარება დასტურდება სამხრეთ და ჩრდილოეთ ბულგარეთში. ბიზანტიის ბატონობის დამხობის შემდეგ (ამ პერიოდს — XII—XIV სს. — ბულგარეთის მეორე მეფობის ხანას უწოდებენ) აღინიშნება ადგილობრივი ხელოსნური წარმოების აღმავლობა და ამ ნაწარმის ერთ დიდ ნაწილს აქაც მრავალფერად მოჭიქული კერამიკა წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ისიც, რომ ბულგარეთის შავი ზღვის სანაპირო რეგიონებში (ვარნა, ნესებრი და სხვ.), სადაც ბიზანტია ჯერ კიდევ ცდილობს შეინარჩუნოს თავისი გავლენა და უფლებები, მრავალფერად მოჭიქული კერამიკა არა ჩანს.

როგორც დავინახეთ, ხერსონესში, სამხრეთ და ჩრდილოეთ ბულგარეთში კერამიკულ წარმოებაში ჩნდება აღმოსავლური კულტურის ნაკადი მრავალფერადობის სახით. საფიქრებელია, რომ მათი გაჩენა ახალი კონტაქტების საფუძველზე მოხდა. ჩვენი ვარაუდით, ეს გავლენა — იდეა მრავალფერადობისა — ხსენებულ რეგიონებში უნდა გაბულიყო დასავლეთ საქართველოდან, ძირითადად ზღვით, არ არის გამორიცხული სახმელეთო გზითაც.

*** შავ ზღვაზე საქართველოს გარკვეული ძალა და უფლება ჰქონდა და მრავალი ბუნებრივი ნავსადგური ეკუთვნოდა — სუჯუკ-კალე, გელენჯიკი, ბიჭვინთა, სოხუმი, ბათუმი, ხოფი, რიწე და სხვა სამხრეთ-აღმოსავლეთით უმნიშვნელოვანესი საზღვაო პუნქტი — ტრაპზონი (თ. ბერაძე, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბ., 1981, გვ. 15—16). საქართველო ამ ნავსადგურებით საზღვაო კავშირს ამყარებდა სხვადასხვა ქვეყნებთან.

М. Н. МИЦИШВИЛИ

К ВОПРОСУ О РАСПРОСТРАНЕНИИ ПОЛИХРОМНОЙ ПОЛИВНОЙ КЕРАМИКИ В XII—XIV ВВ.

Резюме

Полихромная поливная керамика на Ближнем Востоке получила распространение в XII—XIII веках, а в XIII—XIV веках она появляется в Северном и Западном Причерноморье (Херсонесе, Южной Болгарии).

Полихромность, непременный признак восточной поливной керамики, из Восточной Грузии проникает в Западную и достигает Причерноморья Грузии, которое в XII—XIII веках являлось крайней зоной ее радиации. В дальнейшем распространителем данного восточного элемента — идеи полихромности — была Западная Грузия, откуда она попадала в другие страны и регионы (Херсонес, Южную Болгарию), в основном морским путем, хотя не исключено проникновение ее и по суше (через Предкавказье).

Основанием для подобного предположения являются результаты изучения полихромной поливной керамики из Херсонеса и Южной Болгарии, выявившие значительную схожесть ее с керамикой Западной Грузии. Для керамики каждого из этих регионов характерна идентичность черепка, метод нанесения орнамента (сграффити), характер орнамента (растительно-геометрический, геометрический, изображение птиц и др.), полихромность и яркость красок.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА

1. მ. მიწიშვილი, მოჭიქული კერამიკა ძველ საქართველოში (IX—XIII სს.), თბილისი, 1969.

2. მ. მიწიშვილი, ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან. თბილისი, 1976.

3. А. Якобсон, Средневековый Херсонес. — МИА, 17, 1950.

4. Б. Цветков, Художествена керамика от Мелника. София, 1979.

5. ვ. ბერიძე, სავანე „ქართული ხელოვნება“, 1942, № 2.

6. ნ. ალადაშვილი, ნიკორწმინდის რელიეფები. თბილისი, 1957.

7. რ. შმერლინგი, ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი. თბილისი, 1954.

8. გ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა, XIII—XVIII საუკუნეების ალბომი, ისტორიული მიმოხილვა და ანოტაციები. თბილისი, 1957.

9. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი. თბილისი, 1956.

10. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვანის ხელნაწერი ფონდი № 1335.

11. С. Георгиева, Средневековна керамика от Мелника крепост, «Археология». — София, 1980, кн. 2.

12. С. Георгиева, Керамика та от дворца на Царевец, Царевград Търново, Т. 2, София, 1974.

13. В. Антонова, Трапезна глазурна керамиката със сграфито украса (XII—XIV вв.) от средневековна Шумен, Годишник на музента от северна Болгария. — Т. III, — Варна, 1977.

14. მ. მიწიშვილი, თბილისური კერამიკა, „საბჭოთა ხელოვნება“, თბილისი, 1965, № 9.

15. მ. მიწიშვილი მოჭიქული კერამიკის წარმოება შუასაუკუნეების თბილისში (XI—XIII სს.). თბილისი, 1979.

16. დ. კაპანაძე, წარსულის მაცნენი, თბილისი, 1965.

V. ურთიერთობა გარესამყაროსთან

გ. ღამბაშიძე

„არსენდ მ“-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობდა-დერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან

საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიებისას აღმოჩენილია ქართულდამწერლობიანი კერამიკული ნაწარმი (სასუფრე-სამზარეულო-სამარნე-სამშენებლო), რაც ნათლად მეტყველებს საქართველოს მოსახლეობაში ძველი დამწერლობის კარგ ცოდნასა და, საერთოდ, კულტურის მაღალ დონეზე[1].

პალეოგრაფიაში დანიშნულებისდა მიხედვით გამოყოფილი სამი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დამწერლობიდან ერთ-ერთი, ეპიგრაფიკული, იხმარებოდა ქვაზე, ლითონზე და სხვა მასალაზე ასოთა ამოჭრა-ამოკვეთის, გამოქანდაკებისა თუ ჭედვის დროს[2]. წარწერის შესრულების ტექნიკური ხერხებით გაპირობებულ თავისებურებათა გამო, ვფიქრობთ, მიზანშეწონილია კერამიკაზე არსებული წარწერები ეპიგრაფიკის ერთ-ერთ სახეობად — კერამიკულ დამწერლობად გამოიყოს (შდრ. „ლითონური“ დამწერლობას)[3].

კერამიკული დამწერლობისთვის დამახასიათებელია ნედლ თიხაზე ამოღარვით წარწერის შესრულება და იშვიათად, გამოწვის შემდეგ, თიხაზე ასოთა ამოკაწვრა[4]. სამშენებლო კერამიკაზე კი, ჯერ ყალიბში ტექსტისა და ასოთა სარკისებურად, ჩაღრმავებით გამოყვანა, კრამიტის ზედაპირზე რომ პოზიტიური და ნაგებობის სახურავზე წასაკითხად გასარჩევი რელიეფური წარწერა გამოსახულიყო. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ხელოსნის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, ყალიბში გრაფემათა და ზოგჯერ სიტყვათა წაღმად და, აგრეთვე, გადაადგილებითაც ამოჭრა-ამოღარვის შედეგად კრამიტის ზედაპირზე წარწერის ცალკეული ასო, სიტყვა თუ მთელი ტექსტიც უკუღმად და „აღრეულად“ აისახებოდა ხოლმე (იხ. ს. ფშაველის „კოხტა ღვთისმშობელის“[5], ქვემო ჭალის „ჯვარპატიოსანის“[6], შიომღვიმის მონასტრის[7],

---

[1] გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის ყოფა და კულტურა XI-XIII საუკუნეებში (არქეოლოგიური მასალების მიხედვით). საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. — თბილისი, 1979, გვ. 519-520; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ თანამოსაკე საგნები მიწის წიაღიდან. — ძმ., 1984, № 68, გვ. 16—17.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათა — მცოდნეობა, ანუ პალეოგრაფია, მეორე გამოცემა, — თბილისი, 1949, გვ. 108—109.

[3] იქვე, გვ. 109—110.

[4] ჯ. ჯღამაია. სამშენებლო კერამიკა ფეოდალური ხანის საქართველოში. თბილისი, 1980, გვ. 47.

[5] თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, — თბილისი, 1961, გვ. 131—132, სურ. 57.

[6] ჯ. ჯღამაია ,დასახელებული ნაშრომი, — გვ. 48—49, ტაბ. XIV.

[7] იქვე, ტაბ. XV.

არეშის ნაქალაქარის[8], ბრტყელი კრამიტებისა და მსიგხუას ეკლესიის[9] ღარისებრი კრამიტის წარწერები). აქვე აღვნიშნავთ, რომ არსებობს კრამიტებზე წარწერათა სხვა ხერხებით გამოყვანის შემთხვევაშიც ერთ შემთხვევაში ნუსხა-ხუცური წარწერა ს. მატანის ბრტყელ კრამიტზე[10], მართალია, კრამიტის გამოწვამდეა ამოღარული, მაგრამ შევნიშნავთ, რომ იგი არაძირითადია და შენობის სახურავზე დადებული კრამიტის წარწერის ქვემოდან წასაკითხად არ იყო გამიზნული — წარწერა კრამიტის გასწვრივ არის შესრულებული. ძირითადი ასომთავრული წარწერა და ცხოველის გამოსახულება კი რელიეფურად არის ყალიბით გამოყვანილი კრამიტის ქვედა ნაწილში, განივად; მეორე შემთხვევაში გრაფემა კრამიტის გამოწვის შემდეგ არის ამოკაწრული[11], რაც არადამახასიათებელ და შემთხვევით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. არის შემთხვევები აგურებზეც წარწერების არსებობისა (იხ. ფოხორაულების (თელავთან)[12], ოთხთა ეკლესიის[13] (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) სამშენებლო კერამიკა).

აღსანიშნავია, რომ სამშენებლო კერამიკული დამწერლობის ძეგლები უმთავრესად დაზიანებულია და მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვაქვს წარწერის სრული ტექსტი. მათი უმრავლესობა ეკლესიათა აღშენებასა თუ აღდგენასთან დაკავშირებულ პირთა შენდობა-შეწყალება-ცხონების სავედრებელი, მოსახსენებელი შინაარსისაა[14]. წარწერები ძირითადად ასომთავრულითაა შესრულებული. გვაქვს კრამიტებზე წარწერის ნუსხურნარევი ასომთავრულითა (ს. კუპრიანთკარიდან)[15] და ნუსხა-ხუცურით შესრულების შემთხვევები (ს. მატანიდან)[16].

ეპიგრაფიკულისა და დანარჩენგვაროვანი დამწერლობების — „წიგნურისა“ და „მდივანმწიგნობრულისთვის“, მას შემდეგ, რაც ისინი თავიანთი ნიშან-თვისებებით ჩამოყალიბდნენ, დამახასიათებელია ის მოვლენა, რომ, დამწერლობითი ხელოვნების განვითარებასთან ერთად, ერთ დარგში შემუშავებული დამწერლობა სხვა დარგებშიც იქნა გამოყენებული (მაგ., ქვის წარწერათა დამწერლობა — ხელნაწერებში, ლითონური დამწერლობა — ქვის წარწერებში, ხელნაწერთა დამწერლობა — კედლის წარწერებში)[17]. კერამიკული დამწერლობაც, ბუნებრივია, ქართული დამწერლობითი ხელოვნების განვითარების ტენდენციებს ემორჩილებოდა და მისი ზოგადი პალეოგრაფიული ნიშნების

---

8 ლ. ჭილაშვილი, არეშის ნაქალაქარის არქეოლოგიური დაზვერვები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. — თბილისი, 1975, IV, გვ. 89—90, ტაბ. XXI.

9 А. Кацина, Памятники архитектуры в долине Цкуара. Материалы по археологии Абхазии.— თბილისი, 1967, გვ. 72, ტაბ. IX/2.

10 ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, — გვ. 52, ტაბ. XX.

11 გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე, მთაქართლის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმის ნამუშევარი 1964 წელს. — XIX სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი. მოკლე ანგარიშები. — თბილისი, 1965, გვ. 57.

12 ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი. გვ. 48.

13 ქართული წარწერების კორპუსი, I, ლაპიდარული წარწერები,I, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1980, გვ. 287-288.

14 ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 47—56, 93.

15 რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები. — მაცნე, ისტორიის... სერია, 1977, № 4 გვ. 169, სურ. № 3; ბ. ჯორბენაძე, ჟალეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები. — მაცნე, ისტორიის... სერია, 1982, № 4, გვ. 148.

16 ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი. — გვ. 52, ტაბ. XX.

17 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 109—110.

მატარებელია, თუმც წარწერათა შესრულების ტექნიკური ხერხებით გაპირობებული გარკვეული თავისებურებანიც აქვს.

სამშენებლო კერამიკული დამწერლობის ძეგლები, ეკლესიათა სამშენებლო ლაპიდარული წარწერების მსგავსად, ნაგებობათა ორგანული კომპონენტებია, მათი აშენებისა თუ აღდგენა-განახლების დროინდელია და, შესაბამისად, საკუთრივ დამწერლობითი ძეგლის მნიშვნელობასთან ერთად, საყურადღებოა იმ ძეგლთა ისტორიის გასაშუქებლადაც, საიდანაც მომდინარეობენ[18].

*
* *

შუა საუკუნეთა საქართველო-ინგუშეთის ისტორიულ ურთიერთობათა თვალსაჩინოდ გამომხატველი ძეგლის ტყობჲა-ჲერდას ნატაძრალს (ტაბ. XLII) უკავშირდება საყურადღებო ძველქართულდამწერლობიანი სამშენებლო კერამიკა — ბრტყელი და ღარისებრი კრამიტები, რომელთა ნატეხი და მთელი ცალებიც მრავლად აღმოჩნდა 1969—70 წლებში ჩატარებული არქეოლოგიურ-სარესტავრაციო სამუშაოებისას.

ბრტყელი, გვერდებაკეცილი კრამიტი ორი სხვადასხვა ზომის ყალიბშია გამოყვანილი. პირველის ზომებია: სიგრძე — 41 სმ, განი თავში — 30 სმ, განი ბოლოში — 23,5 სმ, აკეცილი გვერდების სიმაღლე — 4,5 სმ. მეორენაირ ყალიბში დამზადებული კრამიტის ზომებია: სიგრძე — 37 სმ, განი თავში — 29 სმ, განი ბოლოში — 22,7 სმ, აკეცილი გვერდების სიმაღლე — 4,5 სმ[19]. ორივე ყალიბში მოჭრილი კრამიტის თიხის განლექვა-დამუშავება-გამოწვა მსგავსია და ერთნაირად ხარისხოვანი.

№ 1 ყალიბში მოჭრილ ბრტყელ კრამიტზე არსებობს ასომთავრულით შესრულებული შემდეგი სამსტრიქონიანი დაქარაგმებული ტექსტი (იხ. ტაბ. XLIII):

1) ⴝ⁻ⵂ ⵚ⁻ⵆⵃ ⵗ⁻ⵓ ⵛ⁻ⵏⵏ
2) ⵆ⁻ⵅⵚⵃ⁾ არ⁻სნ.
3) ⵅ მ

№ 2 ყალიბში მოჭრილ ბრტყელ კრამიტზეც ასომთავრულით შესრულებული შემდეგი სამსტრიქონიანი დაქარაგმებული ტექსტია (იხ. ტაბ. XLIV). ფოტოზე გამოსახული კრამიტის ზედა მარჯვენა მხარე ჩამოტეხილია, მაგრამ

---

18 იგივე მნიშვნელობა აქვს სასუფრე-სამზარეულო-სამარნე კერამიკაზე არსებულ დამწერლობით ძეგლებსაც.

19 ტყობჲა-ჲერდული ბრტყელი კრამიტების ზომებში მცირეოდენი განსხვავება შესაძლოა ეკლესიის სახურავის სხვადასხვა ადგილზე მათი გამოყენებით იყო გაპირობებული. ერთსა და იმავე ძეგლზე სხვადასხვა ზომის კრამიტთა გამოყენება აღნიშნულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში — სამადლო I ერთ-ერთ სათავსოს, რომელიც ელინისტური ხანის სატაძრო ანსამბლს უნდა ეკუთვნოდეს, სახურავზე უხმარიათ სულ ცოტა სამი სხვადასხვა ზომის კალიპტერი და ორი ზომის სოლენი. იხ. ი. გაგოშიძე, სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, IV, 1975, გვ. 60—61; არსებობს შემთხვევაც, ერთსა და იმავე ძეგლზე სხვადასხვა ზომა-მოყვანილობის კრამიტთა არსებობისა, რაც გვიანდელი შეკეთების შედეგი უნდა იყოს. იხ. გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე, შთა ქართლის ექსპედიციის არმაზისხევის რაზმის ნამუშევარი 1964 წ. XIX სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, 1965, გვ. 56.

ათობით აღმოჩენილ სხვა კრამიტთა ფრაგმენტების გათვალისწინებით წარწერის I სტრიქონის ბოლოს Ⴌ (ნ) წაკითხვა უტყუარია:

1) Ⴕ⁻Ⴄ Ⴘ⁻ႣႬ ქ⁻ე შ⁻დნ
2) ႠႰ⁻ႱႬႱ არ⁻სნს
3) .Ⴋ. .მ.

ტყობჟა-ჟერდას ბრტყელი კრამიტების წარწერების ასოთა მოხაზულობაში, პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ასოთა და ქარაგმათა კიდურების ზოგიერთ შემთხვევაში მეტ-ნაკლებად სოლისებრ გაგანიერება, სამკუთხოვნად „დანაკვთა“. ამგვარად არის შემკული № 1 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერის შემდეგი ასოები:

I სტრიქონი:

Ⴕ (ქ)-ს ოთხივე ფრთის; Ⴄ (ე)-ს ბუნისა და მარცხნივ განზიდული ხაზის; Ⴘ (შ)-ს ზედა რკალის; Ⴃ (დ)-ს სარქველის; Ⴌ (ნ)-ს ზედა განივი ხაზისა და ქვედა რკალის მარჯვენა კიდურები; ორივე ქარაგმის კიდურები.

II სტრიქონი:

Ⴀ (ა)-ს სარქველისა და მუცლის რკალის, Ⴐ (რ)-ს ქვედა მარცხენა რკალის, Ⴑ (ს)-ს რკალის, Ⴌ (ნ)-ს ზედა განივი ხაზის, Ⴢ (ჲ)-ს რკალის ზედა კიდური; ქარაგმის ორივე კიდური.

III სტრიქონი:

მ-ს ზედა განივი ხაზის კიდური.

ასევეა შემკული № 2 ყალიბში გამოყვანილი კრამიტის წარწერის შემდეგი ასოები:

I სტრიქონი:

Ⴕ (ქ)-ს ოთხივე ფრთის; Ⴄ (ე)-ს მარცხნივ განზიდული ხაზის; Ⴘ (შ)-ს ზედა რკალის მარცხენა და ქვედა რკალის კიდურები: Ⴃ (დ)-ს სარქველის; Ⴌ (ნ)-ს ზედა განივი ხაზისა და ქვედა რკალის მარჯვენა კიდური; ორივე ქარაგმის კიდურები.

II სტრიქონი:

Ⴀ (ა)-ს სარქველისა და მუცლის რკალის, Ⴐ (რ)-ს ბუნისა და რკალთა კიდურები: ორივე ს-ს რკალის კიდური; Ⴌ (ნ)-ს ზედა განივი ხაზისა და რკალის მარჯვენა კიდური; ქარაგმის ორივე კიდური.

III სტრიქონი:

მ-ს ზედა განივი ხაზის კიდური; მ-ს გვერდებთან არსებული რელიეფური სამკუთხოვანი ნიშნები.

ასოთა კიდურების, ზოგჯერ ასოთა ტანის სხვა ნაწილებისა და ქარაგმათა სამკუთხა ნაკვთებით სოლისებრ გასქელება, „კიდურტყუპწვეტოვნება“ თუ „წასრულობა“ ქართულ ლაპიდარულ დამწერლობაში X ს. II ნახევრიდან[20], X ს. დამლევიდან[21] თუ X—XI სს. მიჯნიდან[22] იწყება, დამახასიათებელია ქა-

---

20 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 31, 33.

21 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის..., გვ. 11; მისივე, მანგლისის ტაძრის წარწერები, თბილისი, 1961, გვ. 31.

22 В. Н. С и л о г а в а, Грузинские лапидарные надписи Западной Грузии X—XVIII вв., как исторический источник. Автореферат на соискание ученой степени канд. исторических наук, თბილისი, 1973, გვ. 13.

რთული დამწერლობის გარკვეული პერიოდისათვის, სახელდობრ, X ს. დაწლევისა და XI ს. I ნახევრისათვის[23] და ძლიერ გავრცელებულია XI ს. I ნახევრის მანძილზე[24].

ასო-ნიშანთა და ჭარაგმათა აღნიშნული წესით „დანაკვთა“-შემკობის მრავალი შემთხვევა იძებნება, აღნიშნულ საუკუნეთა დამწერლობის ძეგლებში (იხ. უდეს ღვთისმშობლის ეკლესიის სტელა X ს.)[25], არადეთის წ[ა] გიორგის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკი (X-XI სს.)[26], ატენის სიონის (X—XI სს.) წარწერები №№ 24[27], 26[28], 28[29]; ალავერდის (XI ს. I ნახ.), მანგლისის (XI ს. I მეოთხედი), სვეტიცხოვლის (XI ს. I მეოთხედი), სამთავისის (1030 წ.)[30], ზედაზნის ეკლესიის კანკელის (X ს. დამლევი)[31], ხირსის წ[ა] სტეფანეს ეკლესიის (XI ს. I ნახ)[32], ჭორეთის ღმრთაების ეკლესიის (1000 წ.)[33], ჭუთაისის ბაგრატის ტაძრის (1001—1008 წწ.)[34] სამშენებლო წარწერა, ნიკორწმიდის ბაგრატ მეფის წარწერა (1010—1014 წწ.)[35], კაცხის ბაგრატ მეფის წარწერა (1010—1014 წწ)[36], სავანის წარწერები (1046 წ.)[37], ანუხვას (XI ს.)[38], ბესლეთის ხიდის (XI ს.)[39], ზემო კრიხის (XI ს.)[40], ინჩხურის (XI ს.)[41], კაცხის ჯვრის ამაღლების გამოსახულების (XI ს.)[42], კაცხის იოჰაბის[43], კაცხის ჯიჯუაისძის (XI ს.)[44], ლაშეს ღვთისმშობლის ეკლესიის (XI ს.)[45], მთისკალთის ეკლესიის (XI ს.)[46], ნიკორწმიდის ქათამ-ვეშაპის გამოსახულების (XI ს.)[47], ნიკორწმიდის (XI ს.)[48], პა-

---

23 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, მანგლისის..., გვ. 31.

24 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის..., გვ. 68; ნ. შოშიაშვილის მიხედვით, XI ს. იგი ტიპურია. იხ. ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 33; ზ. სხირტლაძის მიხედვით, ეს პალეოგრაფიული ნიშანი დამახასიათებელია XI ს., უფრო მისი I ნახევრისათვის. იხ. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესია, — ძმ, № 60, 1982, გვ. 48; ვ. სილოგავას აზრით, მას წამყვანი ადგილი უკავია ქართულ ლაპიდარულ წარწერებში XII ს. II ნახევრამდე. იხ. მისი, დასახ, ნაშრომი, გვ. 13.

25 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 138—139, სურ. 66.

26 იქვე, გვ. 113, სურ. 40.

27 იქვე, გვ. 218—219, სურ. 138.

28 იქვე, გვ. 219, სურ. 140.

29 იქვე, გვ. 220, სურ. 142.

30 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის..., გვ. 11—12, სურ. 5, 6; მისივე, მანგლისის..., სურ. 28.

31 იქვე, გვ. 65—76, სურ. 18—19, 22—33.

32 იქვე, გვ. 148—150, სურ. 63.

33 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX—XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბილისი, 1980, გვ. 37—38.

34 იქვე, გვ. 52—53.

35 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი II.., გვ, 54—55.

36 იქვე, გვ. 55—56.

37 იქვე, გვ. 58—59, 60—63.

38 იქვე, გვ. 64—65.

39 იქვე. გვ. 73.

40 იქვე, გვ. 85.

41 იქვე, გვ. 88.

42 იქვე, გვ. 89—90.

43 იქვე, გვ. 91.

44 იქვე, გვ. 91—92.

45 იქვე, გვ. 92—93.

46 იქვე, გვ. 95—96.

47 იქვე, გვ. 99.

48 იქვე, გვ. 99—101.

ტარა ონის წ~ა ნიკოლოზის ეკლესიის[49], სვიფის წ~ა გიორგის ეკლესიის (XI ს.)[50], ქედისუბნის (XI ს.)[51], ღუმურიშის (XI ს.)[52], წებელდის (XI ს.)[53], ჯრუჭის წ~ა გიორგის ეკლესიის (XI ს.)[54], საყდრის მეორე საკურთხევლისწინა ჯვრის (X ს.)[55], ჩიხარეშის ტრიპტიხის (X ს.)[56], ფაკის ხატის (X ს.)[57], ლაგურკას ღვთისმშობლის ხატის (X ს.)[58], ლაბეჭინას ღვთისმშობლის ხატის (XI ს.)[59], ნაწულის ღვთისმშობლის ხატის[60], მურყმელის ჯვრის (XI ს.)[61], ჩუყულის არქანგელოზ მიქელის (XI ს.)[62], სეტის წ~ა გიორგის (XI ს.)[63], გელათის წ~ა მამას (XI ს.)[64] წარწერა და სხვა.

ტყობდა-ძერდას ტაძრის ბრტყელ კრამიტთა წარწერებში ასოთა და ქარაგმათა კიდურების ზოგიერთ შემთხვევაში სამკუთხოვნად „დანაკვთა“ — ოდნავ შესამჩნევი „ტყუპწვეტოვნება“, „ტყუპწვეტოვანი“ ხელოვნებითი დამწერლობის საწყისი ეტაპის გამომხატველია და კერამიკული დამწერლობის ამ ნიმუშთა X ს. II ნახევრისათვის თუ მიწურულისათვის მიკუთვნებას სრული საფუძველი აქვს.

ტყობდა-ძერდას ტაძრის ბრტყელ კრამიტებზე არსებულ წარწერებში ა ო მ-ს კორპუსის შემკვრელი ხაზი ბუნის მარჯვნივ არ არის გადასული, რაც X ს. ძეგლებში ზოგჯერ დასტურდება[65]. განუსხურება-გამხედრულებისაკენ მიდრეკილი მსგავსი კონფიგურაციის მ გვხვდება X, X—XI სს. მიჯნის ბევრ წერილობით ძეგლში (იხ. მაჩხაანის ეკლესიის (X ს.)[66], კაზრეთის „სათხის“ ეკლესიის X ს. ხელოსნის მოსახსენებელი წარწერა[67], ახალსოფლის ეკლესიის X ს. ბოლო მეოთხედის ბაგრატ III-ისა და გურანდუხტ დედოფლის მოსახსენებელი წარწერა[68], ს. საბუეს წ~ა იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიის აბრაჰამის X ს. მოსახსენებელი წარწერა[69], თრიალეთის ახალქალაქის წ~ა გიორგის ეკლესიის X—XI სს. მიჯნის რატ ერისთავთ-ერისთავის მოსახსენებელი წარწერა[70], „შეპიაკის“ (წალკის რ-ნი) ეკლესიის X—XI სს. მიჯნის ჯარვეჩინის სამშენე-

---

49 იქვე, გვ. 105—107.
50 იქვე, გვ. 109—110.
51 იქვე, გვ. 118.
52 იქვე, გვ. 126.
53 იქვე, გვ. 127.
54 იქვე, გვ. 129—130.
55 Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство. Исследование по истории грузинского средневекового искусства. Иллюстрации. თბილისი, 1959, ილ. № 40.
56 Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ილ. №47.
57 იქვე, ილ. № 52.
58 იქვე, ილ. № 55.
59 იქვე, ილ. № 131.
60 იქვე, ილ. № 138.
61 იქვე, ილ. № 149.
62 იქვე, ილ. № 171.
63 იქვე, ილ. 182.
64 იქვე, ილ. № 201.
65 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 33.
66 იქვე, გვ. 224—226, სურ. 145, 145ა.
67 იქვე, გვ. 255—258, სურ. 160.
68 იქვე, გვ. 258—259, სურ. 161.
69 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 317—318, სურ. 201.
70 იქვე, გვ. 243—244, სურ. 152.

ბლო წარწერა[71], მანგლისის ტაძრის გიორგი მეფის XI ს. პირველი ათეულ-წლების წარწერა[72]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მანგლისის ტაძრის იმავე დროის თევდორე ევჩინის ძის წარწერაში ზოგჯერ ასო მ-ს კორპუსის შემკვრელი ხაზი გადასულია ასოს ბუნის მარჯვნივ, ზოგ შემთხვევაში კი არ არის გადასული[73]; ასევე, ღოდომის ძის თულაძს წარწერაში ერთ შემთხვევაში გადასულია და მეორეში არა[74]. სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის 1030 წ. ვაჩე ყანჩაელის ძის ილარიონის წარწერა[75]; ფიის წ-ა გიორგის ეკლესიის (X ს.) წარწერა[76]; ოქრობაგეთის (შავშეთი, დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) ეკლესიის 934 წ. მამალაჲსძეთა მოსახსენებელი წარწერა[77] და სხვ.). საერთოდ, მიჩნეულია, რომ ასომთავრული გრაფემების გაკუთხოვნება-განუსხურება-გამხედრულებას ადგილი აქვს IX—X სს, ხოლო X-I ს-დან — აღარ[78]. ამრიგად, ტყობჲა-ჲერდას ბრტყელი კრამიტების წარწერების ასო მ მითითებული პერიოდის ქართული დამწერლობისთვის დამახასიათებელი ტენდენციის მატარებელია.

ტყობჲა-ჲერდას ბრტყელ კრამიტთა წარწერების დამახასიათებელ პალეოგრაფიულ ნიშანთაგან აღვნიშნავთ, რომ Ⴑ (ა)-სა და Ⴒ (დ)-ს სარჭველი კორპუსისგან ყელით აქვს გამოყოფილი[79], ასო Ⴇ (ე)-ს გააჩნია ცხვირის მარცხნივ განზიდული ხაზი[80], Ⴐ (რ)-სა[81] და Ⴟ (შ)-ს[82] რკალები გახსნილია. მათ მრავლად ეძებნებათ ანალოგიები აღნიშნული პერიოდის ქართული დამწერლობის ზევით მითითებულ ძეგლებში.

საინტერესოა დაკვირვება ტყობჲა-ჲერდას ბრტყელი კრამიტების წარწერებში სიტყვების გამოყოფისა და განკვეთილობის, თუ, სასვენი ნიშნების ხმარების თვალსაზრისით, რაც გარკვეული ეპოქის მიმანიშნებელია.

როგორც აღინიშნა, ორ სხვადასხვა ყალიბში მოჭრილ ბრტყელ კრამიტებზე არსებული თითქმის იდენტური სამსტრიქონიანი წარწერა ოთხ-ოთხ დაჭარაგმებულსიტყვიანია. ამასთან, I სტრიქონი შედგება ორ-ორი სიტყვისგან, II და III სტრიქონები — თითოსგან. ორივე ყალიბის კრამიტების I სტრიქონის ერთმანეთის გვერდით არსებული დაჭარაგმებული სიტყვები ⴕ-Ⴇ (ქ-ე) და Ⴟ-Ⴣ (შ-დნ) ერთმანეთისგან არც დაშორებულია და არც განკვეთილობის ნიშნით არის გამოყოფილი. განკვეთილობის ნიშანი არ უზის არც II სტრიქონის ერთადერთ სიტყვას — Ⴜⴕ-ⴑⴍⴀ (არ-სნჲ) — Ⴜⴕ-ⴑⴍⴑ (არ-სნს) და არც № 1 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერის III სტრიქონის ერთადერთ ასო მ-ს.

---

71 იქვე, გვ. 236—238, სურ. 148.

72 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, მანგლისის..., გვ. 8, სურ, 3,

73 იქვე, გვ. 12, სურ. 6, 28.

74 იქვე, გვ. 3, სურ. 1, 28.

75 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის..., გვ. 11, სურ. 5.

76 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 271—272.

77 იქვე, გვ. 307, სურ. 191.

78 იქვე, გვ. 237.

79 აღნიშნულია, რომ Ⴒ (დ) X ს. ზოგჯერ უყელოა, ზედა განივი ხაზი წრეზე ზის. იხ. იქვე, გვ. 32.

80 იგი IX ს-დან ჩნდება. იხ. იქვე, გვ. 32.

81 Ⴐ (რ)-ს რკალები V—VIII სს. ძლიერ მოხრილია, IX—X სს. კი გადახსნილია. იხ. იქვე, გვ. 32.

82 Ⴟ (შ)-ს ქვედა წრე ეხსნება V ს-ის II ნახევარშივე, ზედა კი — VII ს-ში. იხ. იქვე, გვ. 32.

სახარების ხანმეტი ტექსტების შესწავლით გაირკვა, რომ განკვეთილობისა და სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI ს. უხმარიათ. არაბთა ბატონობით გამოწვეული კულტურული დაქვეითების შედეგად სასვენი ნიშნების ხმარებას გადაჩვეულან და მხოლოდ განკვეთილობის ნიშნები უხმარიათ[83]. V—VIII სს. წარწერებში განკვეთილობის ნიშნები არ იხმარება და სიტყვებიც არ არის ერთმანეთისგან დაშორებული[84]. IX ს. იწყება სიტყვათა ერთმანეთისგან დაცილება და განკვეთილობის ნიშნად ორწერტილის ხმარება, თუმც ზოგჯერ სიტყვები დაცილებულია განკვეთილობის ნიშნების გარეშე და, პირიქით, განკვეთილობის ნიშნები უზის ერთმანეთისგან დაუცილებელ სიტყვებს[85]. ამავე დროს, IX—X სს. წარწერებში ხშირად სიტყვები ერთმანეთისგან დაუცალკევებელია და არც განკვეთილობის ნიშნებია ნახმარი. საბოლოოდ, სიტყვათა დაშორიშორებაც და განკვეთაც წესად XI ს-დან მკვიდრდება[86]. ამ თვალსაზრისით ტყობდა-ჯერდული ბრტყელი კრამიტების წარწერები IX—X სს. დამახასიათებელი ვითარების გამომხატველია. კრამიტთა წარწერების I სტრიქონში სიტყვები ერთმანეთისგან არ არის დაცილებული და არც განკვეთილობის ნიშნებით გამოყოფილი, მაგრამ, ამავე დროს, მაინც ჩანს სიტყვათა ერთმანეთისგან გამოყოფის ტენდენცია. პირველი სიტყვის — „ქრისტეს“ დაქარაგმებული ასოები (ⴕ᷄ⵂ) (ქ᷄ე) სტრიქონში „ასოთა ვიწროდ დასხმით“-აც და ასოთა „სიგრძე-სივრცით“-აც განირჩევა, მაშინ როცა მეორე სიტყვის — „შეუნდვენ“ დაქარაგმებული ასოები ⵖ᷄ⵆⵀ(შ᷄დნ) უფრო „გაწყობითაც“ არის „დასხმულნი“ სტრიქონში და უფრო დიდრონადაც „ჩამონაკვთილნი“.

რაც შეეხება № 2 ყალიბის წარწერის III სტრიქონის სიტყვის საწყისი ასო მ-ს შუატანის ორსავე მხარეს არსებულ სამკუთხოვან რელიეფურ თითო წერტილს, იმის გათვალისწინებით, რომ განკვეთილობის ნიშნები ტყობდა-ჯერდას კერამიკულ წარწერებში სხვაგან არ არის ნახმარი, ის ნიშნები შეიძლებოდა დეკორატიულ სამკაულად ჩაგვეთვალა, მით უმეტეს, რომ ისინი ასო მ-ს ორივე მხრიდან უზის, რაც კომპოზიციური სიმეტრიულობის დაცვით შეიძლება აიხსნას.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ XI ს., გიორგი მთაწმიდელის შემდეგ, რომელმაც შემოიღო განკვეთილობის ნიშნები, ეფრემ მცირეს მიერ ქართულ მწერლობაში შემოღებულ სასვენ-განკვეთილობის სისტემაში „ერთწერტილი“ „მცირედ სასუენად“ არის მიჩნეული (იმ სისტემით „ორწერტილი — გასაკუთრებულად სიტყვსაჲ“, „სამწერტილი — დიდად სასუენად“, „ექუსწერტილი — სრულიად დასაბოლოებლად და ახლად დასაწყებელად სიტყჳსა“-დ იქნა განსაზღვრული)[87], შესაძლოა, ეს სისტემა, რომელიც „მთელმა განათლებულმა ქართველობამ მიიღო“ (ივ. ჯავახიშვილი), გარკვეულად პრაქტიკაში არსებულ ტრადიციას ემყარებოდა და ამ ვარაუდიდან გამომდინარე, ასო მ-ს გვერდებთან დასმული ერთწერტილები გამოთქმული მოსაზრების პარალელურად, იქნებ «მცირედ სასუენად“ იქნეს მიჩნეული, რომლითაც ასო მ-ს ქვეშ ნაგულისხმევი სიტყვა გამოეყოფა წინმავალ ტექსტს (რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ № 1 ყალიბის წარწერის III სტრიქონის სიტყვის საწყის ასო მ-ს არ აქვს დასმული ანალოგიური წერტილები, იქნებ ეს აიხსნებოდეს იმ წარწერაში, № 2

---

83 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—145.

84 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ, 32.

85 იქვე.

86 იქვე.

87 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144—146.

ყალიბის ტექსტისგან განსხვავებით, მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების განსხვავებული შემთხვევით — იხ. ქვევით).

ტყობდა-ედრდას № 1 ყალიბში მოჭრილ კრამიტზე არსებული წარწერის II სტრიქონში ასო ა (ჲ) 2—3-ჯერ არის დაპატარავებული სხვა გრაფემებთან შედარებით და ჩასმულია წინმდგომ ასო ჩ (ნ)-ს თავხაზსა და ქვედა რკალს შორის არსებულ სივრცეში. მსგავსი შემთხვევები ასოთა დაპატარავებისა და სხვა ასოებში ჩასმისა, რაც, ალბათ, განპირობებული იყო საწერი ადგილის სიმცირითა და დეკორატიულ-კომპოზიციური მოსაზრებითაც, მრავლად გვხვდება ძველი ქართული დამწერლობის ძეგლებში (იხ. ბეთლემის (პალესტინა) ქართული მონასტრის აბა ანტონის VI ს. მოზაიკური წარწერა[88], რუისის ტაძრის გიორგი ეპისკოპოსისა და ტაძრის კონქში არსებული XI ს. I ნახევრის წარწერები[89], მანგლისის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთის სარკმლის თავსართზე არსებული XI ს. I მეოთხედის წარწერა[90], სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთის ფასადის 1030 წ. წარწერა[91], დარკვეთის ეკლესიის დასავლეთის კედლის სამშენებლო და დასავლეთის სარკმლის ზედაზე არსებული XI ს. წარწერები[92], ნიკორწმიდის ტაძრის სამხრეთი კედლის XI ს. წარწერა[93], მესტიის მუზეუმის წ"ა გიორგის XIV—XV სს. ხატის წარწერა[94] და ა. შ.) და ამ მხრივაც ტყობდა-ედრდული შემთხვევა გამონაკლისს არ წარმოადგენს.

№ 1 ყალიბის კერამიკულ წარწერაში საკუთარი სახელი არსენი ჲ-ზე მთავრდება. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც ი-ს ჲ ცვლის. მაგ., საკუთარი სახელის — გიორგის გადმოცემისას გრაფემა ი გადმოცემულია ჲ-თი ჯუმათის (XI ს.), სუჯუნას (XI ს.), ნაკიფარის (XI ს.)[95], იფარის[96], მესტიის მუზეუმის (XIV—XV სს.)[97] წ"ა გიორგის ხატების წარწერებში; არეშის სტელისა (X ს.)[98] და ბაჯითის ეკლესიის წარწერებში (XI ს.)[99]. ჲ-ზე მთავრდება საკუთარი სახელი გაგიკი ხირსის წ"ა სტეფანეს სახელობის ეკლესიის (XI ს. I ნახ.) წარწერაში[100], მიქელი — ატენის სიონის წარწერაში[101]. ჩანგლის ეკლესიის (XI—XII სს. დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) წარწერაში საკუთარი სახელი ეგნატი ბოლოვდება ჲ-ზე[102]. იმავე ძეგლის წარწერებში ი-ს მაგივრად

---

88 ე. მაჭავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი, „მრავალთავი", II, თბილისი, 1973, გვ. 249, ტაბ. I.

89 ძმ, 10—11, 1967, გვ. 26, 37.

90 თ. ბარნაველი, მანგლისის..., გვ. 6—7, სურ. 2.

91 ძმ, 10—11, 1967, გვ. 61.

92 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, გვ. 78—79.

93 იქვე, გვ. 98—99, წარწ. № 90.

94 Г. В. Алибегашвили, Памятники средневековой станковой живописи из верхней Сванетии. Средневековое искусство, Русь, Грузия, М., 1978, с. 167.

95 Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ილ. №№ 151, 156, 184, 229.

96 ვ. ბერიძე, ძველი ქართული ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 66.

97 Г. В. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

98 ქართული წარწერების კორპუსი, I..., გვ. 111.

99 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II..., გვ. 71—72, სურ. 49.

100 თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149—150, სურ. 63.

101 თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბილისი, 1957, გვ. 53, სურ. 30.

102 ვ. სილოგავა, სომხეთის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის შესახებ. — მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1980, № 2, გვ. 154, სტრ. 2.

ჲ იხმარება სხვა შემთხვევებშიც — „გაიღებდჲნ“, „მიეცემოდჲს“[103]; ჲ-თაა გადმოცემული საკუთარი სახელები იესუ, იოვანე, იესე, იუდა და სხვ. კუმურდოს, აბასთუმნის, ოპიზის, ყალა-ბოინის[104], სხიერის (IX—X სს.)[105] წარწერებში; ჲ-ზე მთავრდება სიტყვა „ჯუარჲ“ კაცხის ტაძრისა (1014—1027 წწ.)[106] და ყველის ციხის (დღევანდელი თურქეთის ტერიტორია) ჭვის სვეტის (XI ს.) წარწერებში[107], „არჭიეპისკობოსჲ“ ნინოწმიდის წ~ა ნინოს ეკლესიის საკურთხევლის (X—XI სს.) წარწერაში[108], „[ქორ]ეპისკოპოსჲ“ თორღას ციხის წარწერაში[109]. ი-სა და ჲ-ს ურთიერთშენაცვლების მაგალითები გვხვდება ფიტარეთის ტაძრის (XIII—XIV სს.)[110], ლეკნარის (X—XI სს.), შრომისუბნის (X ს.)[111], არხოტის (1222—1230 წწ.)[112], განძანის (XIV ს. I ნახ.)[113], დმანისის სიონის კარიბჭის (XII ს. დამლევი — XIV ს. დამდეგამდე)[114] წარწერებში და, საერთოდ, ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ი-ს ჲ-თი შეცვლის მრავალი შემთხვევა დასტურდება[115], რაც ახსნილია ჲ-ს ფუნქციის დაქვეითებით[116].

ამრიგად, ტყობჲა-ჲერდულ კერამიკულ წარწერაში ი-ს მაგივრად ჲ-ს ხმარება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის დამახასიათებელი მოვლენის გამოხატულებაა.

---

103 ვ. სილოგავა, დასახ. ნაშრ., გვ. 154. სტრ. 8—9.

104 იქვე. გვ. 154, შენ. 39; ქართული წარწერების კორპუსი, I., გვ, 267—269,

105 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, გვ. 33.

106 იქვე. გვ. 56—57, სურ. 35.

107 ა. ბაქრაძე. ს. ბოლქვაძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბილისი, 1953, გვ. 15—16, წარწ. № 13.

108 თ. ბარნაველი, კახეთის..., გვ. 118—120, სურ. 49.

109 იქვე, გვ. 94.

110 ვ. სილოგავა, სომხეთის..., გვ. 154.

111 ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი, II, გვ. 48—49, წარწ. 28; გვ. 44, წარწ. 21; გვ. 46, წარწ. 24ბ.

112 გ. ოთხმეზური, XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1981, გვ. 74—76, სურ. 4.

113 ვ. ცისკარიშვილი, განძანის წარწერების შესახებ, — აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 6, 1954, გვ. 465—472.

114 ლ. მუსხელიშვილი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა). — კრ.: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 384—389.

115 Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ილ. № 426; ზ. სარჯველაძე. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1975, გვ. 35—45; ი. იმნაიშვილი, სინური მრავალთავი. გამოკვლევა და ლექსიკონი, თბ., 1975, გვ. 15; ა. მარტიროსოვი, ჭილ-ეტრატის იადგარის ორთოგრაფია და ფონეტიკა. ჭილ-ეტრატის იადგარი, გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს ა. შანიძემ, ა. მარტიროსოვმა და ა. ჯიშიაშვილმა. ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1977, გვ. 229—234; თ. ენუქიძე, ტბეთის სულთა მატიანე, თბილისი, 1977, გვ. 16—26; გ. ღამბაშიძე, ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში, საბჭოთა ხელოვნება, თბილისი, 1976, № 3, გვ. 74—75; А. Шанидзе, Новооткрытые надписи в Болгарии, — მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1978, № 3, გვ. 94; ზ. სხირტლაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—49.

აღვნიშნავთ, რომ მოყვანილი მაგალითებით ნათლად ჩანს პ. მურადიანის მოსაზრების მცდარობა, რომ Ი-ს მაგივრად Ѯ-ს ხმარება თითქოს დამახასიათებელია მხოლოდ XIII—XIV სს., რაც ავტორს არგუმენტად მიაჩნია ჩანგლის ეკლესიის წარწერების გვიანი დათარიღებისთვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ვ. სილოგავას მიერ პ. მურადიანის მოსაზრების კრიტიკა, ჩვენი აზრით, საფუძვლიანია. იხ. ვ. სილოგავა. სომხეთის.., გვ. 154.

116 ზ. სარჯველაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 44. არსებობს შემთხვევებიც, როცა Ѯ უადგილოდ არის ნახმარი, მორფოლოგიურადაც უფუნქციოა და მხოლოდ გრაფიკულ სამკაულად არის მიჩნეული — იხ. ა. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრომი, გვ, 234,

ტყობდა-ჯერდას №2 ყალიბში მოჭრილ ერთ-ერთ კრამიტზე[117] (იხ. ტაბ. XLIV) გამოწვამდე ამოღარულია 4 პატარა ოთხკუთხედი, რომლებშიც ჯვრებია ჩაწერილი. ისინი I და II სტრიქონთა შორისაა განლაგებული — სამი მათგანი ერთმანეთის გვერდით არის, მეოთხე კი — შუა გამოსახულების ქვევითაა II სტრიქონის ჭარაგმის თავზე. ამ ნიშანთა შესახებ გარკვევით რაიმეს თქმა ჭირს, მით უმეტეს, რომ ყველა კრამიტზე ისინი არ გვხვდება. საერთოდ, ხელოსნის დამღები შუა საუკუნეთა ქართულ კრამიტებზე იშვიათია[118]. რაიმე ფუნქციაც ტყობდა-ჯერდას კრამიტის დეკორატიულობაში მათ თითქოს არ უნდა გააჩნდეს. შესაძლოა, ისინი მოჭრილი კრამიტის რაოდენობაზე მიუთითებს.

საყურადღებოა ტყობდა-ჯერდული ბრტყელი კრამიტების წარწერათა სინტაქსური თვალსაზრისით შესწავლა, რისთვისაც განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

№1 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერაში მოხსენიებული საკუთარი სახელი არსენი ი ფუძიანია (როგორც აღინიშნა, ტყობდა-ჯერდულ წარწერაში იგი ჲ-ზე მთავრდება). წარწერის ტექსტში არს(ე)ნჲ ირიბ ობიექტს წარმოადგენს და, შესაბამისად, მიცემით ბრუნვაში იგი არს(ე)ნჲს[119] ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი, ტექსტი ამ სიტყვაზე რომ მთავრდებოდეს. ვინაიდან აღნიშნული საკუთარი სახელი არს(ე)ნჲ ფორმით არის გადმოცემული, უნდა ჩავთვალოთ, რომ წინადადება გრძელდება, საკუთარი სახელის შემდეგ მისი მსაზღვრელია, რომელიც წარწერის III სტრიქონის მხოლოასოიანი დაჭარაგმების მ-ს ქვეშ უნდა იყოს ნაგულისხმევი, რაც ქმნის საფუძველს, ასო მ-ს ქვეშ არს(ე)ნჲს წოდება, ხარისხი, თანამდებობა თუ გვარ-სადაურობა ვიგულისხმოთ.

ამრიგად, №1 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერა ჭარაგმების გახსნით და სინტაქსური ანალიზით, ჩვენი აზრით, ასე უნდა იკითხებოდეს: ქ(რისტ)ე შ(ეუნ)დ(ვე)ნ არს(ე)ნჲ მ(...სა).

№2 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერაში მოხსენიებული საკუთარი სახელი ასევე ირიბ ობიექტს წარმოადგენს და ამ შემთხვევაში, იგი მიცემითი ბრუნვის ნიშნით არის წარმოდგენილი — არ(ე)ნ(ჲ)ს (წინა წარწერის მიხედვით, საკუთარი სახელის ფუძეში აქაც ი-ს მაგივრად ჲ-ს ვგულისხმობთ). იმავე ბრუნვაში უნდა იყოს მისი მსაზღვრელი მ-ის ქვეშ ნაგულისხმევი სიტყვაც[120].

---

117 სავ. № ტ-Ჲ-70—60. არქეოლოგიური მასალა ინახება ქ. გროზნის ჩაჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკურ სამხარეთმცოდნეო მუზეუმში.

118 ცნობილია რელიეფური ნიშანი ბრტყელ კრამიტზე შუამთის ეკლესიიდან (XVI ს), რაც ხელოსნის დამღად არის მიჩნეული. იხ. ჯ. ჯ ღ ა მ ა ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 75, ტაბ. XXIV, 1; „რელიეფური ნიშნები“ ყოფილა ს. საყარაულოსთან არსებული ეკლესიის ნანგრევებში და ჟალეთის მთის ეკლესიის თხრისას აღმოჩენილი კრამიტის ნატეხებზე. იხ. ჩ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ერწო-თიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სადაზვერვო მუშაობის შედეგები. — მაცნე, ისტორიის... სერია; ბ. ჯ ო რ ბ ე ნ ა ძ ე, ჟალეთის მთის არქეოლოგიური ძეგლები — მაცნე, ისტორიის... სერია, 1982, № 4, გვ. 147—148.

119 ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში; თბილისი, 1957, გვ. 368.

120 ძველ ქართულ ენაში საკუთარ სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ „თუ საკუთარ სახელს ახლდა დანართი, იბრუნებოდა ორივე (საკუთარი სახელიცა და დანართიც), მაგრამ მერმე და მერმე — მხოლოდ დანართი“. იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 42.

ამრიგად, საკუთარ სახელთა ბრუნვის ისტორიისთვის საყურადღებო ფაქტია, რომ ერთ სახელოსნო ცენტრში ერთსა და იმავე დროს შექმნილი ერთი შინაარსის ორ წარწერაში ერთ შემთხვევაში დანართიანი საკუთარი სახელი არ იბრუნვის (№1 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერა) მეორე შემთხვევაში კი დანართიანი საკუთარი სახელი იბრუნვის (№2 ყალიბში

ამრიგად, ტექსტის სინტაქსური ანალიზით, ქარაგმების გახსნითა და იმ მოსაზრების დაშვებით, რომ № 2 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერის III სტრიქონის მხოლოასოიანად დაქარაგმებული სიტყვის გრაფემა—მ შესაძლოა „მცირედ სასუენობის“ ერთწერტილით არის გამოყოფილი, № 2 ყალიბში მოჭრილი კრამიტის წარწერა ასე უნდა იკითხებოდეს:

ქ(რისტ)ე შ(ეუნ)დ(ვე)ნ არს(ე)ნ(ა)ს, მ(...სა).

ტყობზა-ძერდულ ბრტყელ კრამიტებზე III სტრიქონში გვაქვს სიტყვის მხოლოასოიანი დაქარაგმების შემთხვევა — გამოსახულია ერთადერთი ასო — მ. მიჩნეულია, რომ სიტყვათა დაქარაგმება გამოწვეული იყო წერის სისწრაფით, საწერი მასალის სიძვირით[121], ძნელად დასამუშავებელი საწერი მასალითა თუ წარწერისთვის განკუთვნილი ადგილის სიმცირით[122]. ჩვენს შემთხვევაში, წარწერის ყალიბში შესრულების სიძნელესთან ერთად, ეტყობა, კრამიტის სიბრტყეზე რელიეფურ გრაფემათა განლაგების კომპოზიციურობაც იყო გათვალისწინებული, ვინაიდან სიტყვათა დაქარაგმების სხვა სისტემითაც გრაფემა მ-ის ქვეშ ნაგულისხმევი სიტყვის გადმოცემისათვის ადგილი საკმაოდ იყო. აღსანიშნავია, რომ ტყობზა-ძერდული კრამიტების ყალიბებში წარწერათა გამომყვანი გრაფემებისა და ქარაგმათა ნიშნების კრამიტის სიბრტყეზე განლაგების კომპოზიციურობას დიდ ყურადღებას უთმობს, იგი სიმეტრიულობის დაცვით ხასიათდება. მაგალითად, ეს კარგად ჩანს I სტრიქონში ქარაგმათა განლაგებით — ქარაგმის ნიშანი მეორე სიტყვის — Ⴘ~ႣႬ (შ~დნ) მეორე ასოს Ⴃ (დ)-ს თავზე კი არაა გამოსახული, როგორც მოითხოვდა ამას სამასოიანად დაქარაგმებული სიტყვის დამოუკიდებელი კომპოზიციურობა, არამედ ქარაგმის ნიშანი მეორე ასოს — Ⴃ (დ)-სა და, ნაწილობრივ, მესამე ასოს — Ⴌ (ნ)-ს შორის, მათ თავზეა გამოსახული, რითაც გათვალისწინებულია I სტრიქონის ორივე სიტყვის ერთმანეთზე მიჯრით გამოყვანილი ხუთივე ასოზე ქარაგმათა განლაგების კომპოზიციურობა. ასევე აღსანიშნავია, რომ II სტრიქონის სიტყვის ქარაგმის ნიშანი სიმეტრიულად, სიტყვის შუაში, ასოთა თავზეა გამოსახული. ამავე დროს, იგი კომპოზიციურად I სტრიქონის ქარაგმათა შუაში წარმოსადგენი სამკუთხედის ქვედა წერტილშია გამოსახული. აღსანიშნავია ისიც, რომ III სტრიქონის ერთადერთი ასო — მ, რომელიც ვერტიკალზე მიჯრილია II სტრიქონის ასოებთან, მათ შუაშია და, შესაბამისად, II სტრიქონის ქარაგმის „გავლენა“ მასზეც ვრცელდება. გრაფემათა და ქარაგმათა კომპოზიციური განლაგების საკითხისთვის აღსანიშნავია, აგრეთვე, გრაფემათა და ქარაგმათა თანაბარი დაცილება კრამიტის აკეცილი გვერდებიდან თუ თავბოლოდან და ქარაგმათა დაცილება გრაფემებიდან.

დაქარაგმების სისტემათა შორის ლაკონიზმით ყველაზე გამორჩეული მხოლოასოიანი დაქარგმებისას ვხვდებით მხოლოდ სიტყვის საწყის ასოს, რომლითაც აღინიშნება მთელი სიტყვა. როგორც გარკვეულია, მხოლოასოიანად „რამდენიმე ხშირად სახმარებელი სახელის დაქარაგმება ყოფილა წესად მიღებული“[123].

მოჭრილი კრამიტის წარწერა). ზ. სარჯველაძის მიერ აღნიშნულია, რომ ძველი ქართულის ნორმებით მსაზღვრელ-საზღვრული ყველა ბრუნვაში სრულ ნიშანს ირთავს, ხოლო X საუკუნიდან შეინიშნება ზოგი გადახვევა. იხ. მისი, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984, გვ. 377.

[121] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[122] ც. ჭ ა ნ კ ი ე ვ ი, დაქარაგმება V—X სს. ქართულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში. — პალეოგრაფიული ძიებანი, II, თბილისი, 1969, გვ. 120.

[123] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

ქართულ ხელნაწერ და ეპიგრაფიკულ ძეგლებში საკმაოდ მოიძებნება სიტყვათა მხოლოასოიანად დაჭარაგმების შემთხვევები. ამ სისტემით არის გადმოცემული **საკუთარი სახელები**: მოსე — მ (ჭილ-ეტრატის იადგარი, X ს.)[124], მათე — მ (მათეს სახარების თარგმანება, XI ს. I ნახ.)[125], ლუკა — ლ[126], ქრისტე — ქ (საბუე, IX ს.[127], ზემო სკრა, X ს.[128]), ქართლი — ქ (პარხალი, 973 წ.)[129], გიორგი მეფის სიგელი მღვიმისადმი (1170 წ.)[130], გრიგოლ სურამელის დაწერილი მღვიმისადმი (1247/1250 წწ.)[131], **არსებითი სახელები**:- „უფალო“ — ̃ო (ატენის სიონი[132], სვინაქსარი, 1535 წ.[133] „უფალო“ — ̃ო (საყდრის ქედის ეკლესია, XII ს. ბოლო — XIII ს. დასაწყისი)[134], კათალიკოსი — ̃კ[135], ჰყონდიდელი — ჰ[136], მთავარი მამა — ̃მ[137], მეფე — მ (ოთხთა ეკლესია, დღევანდელი თურქეთის ტერიტორია. X ს. ბოლო ოცწლეული)[138], წილკნელი — ̃წ[139], ქართლისა კათალიკოსი — ქ̃კ (ყაურმის ეკლესია, 1033—1048 წწ.)[140], „სამთავნელმან“ — ̃ს (სამთავისი)[141], ღმერთი — ̃ღ (შიომღვიმე)[142], ერისთავი — ̃ე (თეთრიწყაროს რ-ნი)[143], „ერისთავთ ერისთავისა“ — ე̃ე (ოთხთა ეკლესია X ს. ბოლო)[144], **ზედსართავი**: „წმიდაო“ — ̃წ (შუამთა)[145], „გლახაკი“ — ̃გ (ხირსა, X—XI სს.)[146], „გლახაკმა“ — გ (სამთავისი)[147], „ძლიერი“ — ̃ძ (სამთავისი)[148], **ნაცვალსახელი**: ჩუენი — ჩ (ჭილ-

---

124 ი. აბულაძე, ქართული წერის ნიმუშები, პალეოგრაფიული ალბომი, თბილისი, 1949, გვ. 20/11, ტაბ. 10, გვ. 339.

125 იქვე, გვ. 130/16, ტაბ. 65.

126 იქვე, გვ. 339.

127 ც. ჭანკიევი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.

128 იქვე.

129 იქვე.

130 ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, გვ. 70/114.

131 იქვე, გვ. 125/30.

132 თ. ბარნაველი, ატენის..., გვ. 63.

133 ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 202/11; გვ. 341.

134 ე. ჯაფარიძე, შუასაუკუნეების ერთი ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლი ნაჭალაქარ დმანისის გარეუბანში (საყდრისქედის ეკლესია). — ფსაძ, II, 1974, გვ. 162.

135 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 143.

136 იქვე.

137 იქვე.

138 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 288, სურ. 179.

139 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143, ̃ბ ივ. ჯავახიშვილს ჩვენი სქოლიოს № 135—137, 139 ქვეშ მითითებული აქვს ოპიზისა და შიომღვიმის მონასტრის XI—XII სს. საბუთები.

140 ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური (საანგარიშო მოხსენებები), საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტორიული გეოგრაფია, თბილისი, 1964, გვ. 75.

141 თ. ბარნაველი, კახეთის..., გვ. 151.

142 ჯ. ჯღამაია, რუსთაველის ხანის საქართველოს სამშენებლო კერამიკა, მაცნე, 1968, № 6, გვ. 58, ტაბ. 1/2.

143 ა. ბაქრაძე, ს. ბოლქვაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 29—30, № 33.

144 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 288—289.

145 თ. ბარნაველი, კახეთის.., გვ. 144, № 292,

146 თ. ბარნაველი, კახეთის..., გვ. 149—151.

147 იქვე, გვ. 151.

148 იქვე.

ეტრატის იადგარი)[149], **ზმნა:** „ადიდე“ — **ა** (ოთხთა ეკლესია, X ს. ბოლო რცწლეული)[150], **თანდებული:** გან—ᲂგ (ჭილ-ეტრატის იადგარი, X ს.)[151]; **კავშირი;** რამეთუ — ᲂრ[152], ხოლო — ᲂხ[153], „და“ — ᲂდ (ატენის სიონი, X—XI სს.)[154]; — **დ** საყდრისქედის ეკლესია[155]; **ბრუნვის ნიშანი:** — მან — ᲂმ[156] და სხვა).

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ დაქარაგმებული სიტყვის ამოკითხვა ხშირად სათუოა და მისი წაკითხვა ზოგჯერ მხოლოდ ვარაუდს ემყარება[157]. ეს, პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, მხოლოსოიანად დაქარაგმებული სიტყვის გაშიფრვას შეეხება. წერილობით ძეგლებში არსებით სახელთა მხოლოსოიანი დაქარაგმების მაგალითების მოხილვა გვიჩვენებს, რომ დაქარაგმების ეს წესი ბიბლიური სახელების, საეკლესიო თუ საერო წოდება-თანამდებობათა აღსანიშნავად იხმარებოდა.

ტყობდა-ჲერდულ ბრტყელ კრამიტებზე არსებული მხოლოსოიანი დაქარაგმების ასო **მ**, ჩვენი აზრით, იმავე ხასიათისა უნდა იყოს და „არსენჲ“-ს თანამდებობას, წოდება-ხარისხსა თუ სადაურობას უნდა გამოხატავდეს, მით უმეტეს, რომ № 1 კრამიტის წარწერის ტექსტის სინტაქსური განხილვისას გაირკვა, რომ ასო **მ**-ის ქვეშ საკუთარი სახელის — „არსენჲ-ს მსაზღვრელი სიტყვა უნდა ვივარაუდოთ.

საქართველოში ტაძართა მშენებლები მეფენი, დიდი საერო და საეკლესიო ფეოდალები და ესა თუ ის თემები იყვნენ[158]. ინგუშეთში ქრისტიანული ტაძრის აგება საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ და მისი მშენებლობა სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლებს მივაწეროთ[159].

ტყობდა-ჲერდას ტაძრის სახურავ კრამიტზე არსებულ ქრისტესადმი „არსენჲ“-სთვის შენდობის მავედრებელ მოსახსენებელ წარწერაში, რომელსაც, სამშენებლო-ქტიტორული წარწერის მსგავსად[160], მოსახსენებელ-მემორიალურთან ერთად, ალბათ, იურიდიული შინაარსიც ჰქონდა, ჩვენი აზრით, ეკლესიაზე უფლების მქონე სასულიერო თუ საერო პირის სახელი თუ შეიძლებოდა აღნიშნულიყო.

---

149 ი. აბულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 20/12; ტაბ. 10, გვ. 353.

150 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 287—288.

151 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

152 ც. ჭანკიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

153 იქვე.

154 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 212, სურ. 123.

155 ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ, 162.

156 ც. ჭანკიევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

157 იქვე, გვ. 120. როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, მხოლოსოიანი დაქარაგმების ყველა ასოს ქარაგმის ნიშანი არ გააჩნია, ასე რომ, ტყობდა-ჲერდას კრამიტზე ქარაგმის ნიშნის გარეშე სიტყვის მხოლოსოიანად დაქარაგმება გამონაკლისი არ არის.

158 Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, ტექსტი, თბილისი, 1959, გვ. 587.

159 ტყობდა-ჲერდას არქეოლოგიურ-ხელოვნებისმცოდნეობითი მონაცემებით, ეპიგრაფიკულ ძეგლთა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ჩვენ მიერ გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტაძრის მშენებლები არიან X ს. II ნახევრის მოღვაწენი — საქართველოს კათალიკოსი არსენ II (955—980 წწ.), ეპისკოპოსი გიორგი, კახეთის ხელისუფალნი კვირიკე II (929—976 წწ.). ან დავითი (976—1010 წწ.), ანდა მათი ერისთავები. იხ. Г. Г. Гамбашидзе, К вопросу о культурно-исторических связях средневековой Грузии с народами Северного Кавказа. ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბილისი., 1977, გვ. 9—10, შენ. 22.

160 ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 21.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე და წარწერის X ს. II ნახევრით დათარიღების საფუძველზე, ტყობაა-ჯერდას ტაძრის ბრტყელ კრამიტებზე მხოლოდ ასოიანად დაქარაგმებული სიტყვის საწყის ასო მ-ს ვხსნით, როგორც მამათმთავარს და წარწერებში მოხსენიებული „არსენა მ“ მიგვაჩნია არსენა მამათმთავრად.

შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ ასო — მ თარიღის აღმნიშვნელია. მაშინ მივიღებდით 820 წელს (780+40) XIII მოქცევისა და 1352 წელს (1312+40) XIV მოქცევის მიხედვით, მაგრამ არც პალეოგრაფიული მონაცემები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ იმ საუკუნეებს დავუკავშიროთ ეს წარწერები, არც № 1 კრამიტის წარწერის ენობრივი ანალიზი ქმნის ასეთი ვარაუდის საფუძველს და არც ის, რომ ეპიგრაფიკულსა და ხელნაწერ ძეგლებში ქრონიკონის აღნიშვნის გარეშე არ იძებნება თარიღის აღნიშვნის შემთხვევები[161].

საკითხის ისტორიისათვის აღვნიშნავთ, რომ 1969 წ. ტყობაა-ჯერდას ტაძრის I არქეოლოგიური კამპანიის შემდეგ გამოთქმული ვარაუდი[162] დაამტკიცა 1970 წ. II არქეოლოგიური კამპანიის დროს ტყობაა-ჯერდას ტაძართან აღმოჩენილმა დიდი ღარისებრი კრამიტის ორმა ფრაგმენტმა, რომლებზეც არსებობს ჩვენი საკითხისთვის მნიშვნელოვანი წარწერა.

დიდი ღარისებრი კრამიტის № 1 ფრაგმენტი (იხ. ტაბ. XLV) წარმოადგენს კრამიტის ქვედა მარჯვენა ბოლოს. მასზე ყალიბში გამოყვანილი სიტყვის დამამთავრებელი შემდეგი ასომთავრული ასოებია: ⴡⴂⴗⴑⴝⴝᵀ (თერსსა), № 2 ფრაგმენტი (იხ. ტაბ. XLVI) წარმოადგენს კრამიტის ქვედა ბოლოს, რომელზეც № 1 ფრაგმენტის სიტყვა სრულად არის წარმოდგენილი — ⴓⴓ-ⴢⴓⴂⴗ-ⴑⴝⴝᵀ (მმამთ-ერსსა) (ტაბ. XLVII). ქარაგმათა გახსნით წარწერა ასე შეიძლება წაიკითხოს: მ(ა)მა(თ)მთ(ა){ვ}(ა)რსსა, მ(ა)მა(თ) მთ(ა){ვ}რ(ი)სსა, მ(ა)მა(თ) მთ(ა){ვ}რ(ი)ს(ა)სა, ან მ(ა)მა(თ)მთ(ა){ვ}რ(ი)ს(აჲ)სა.

ეს არის წარწერის დასასრული. სამწუხაროდ, კრამიტის ზედა ნაწილი წარწერის საწყისითურთ ტყობაა-ჯერდას ტაძრის არქეოლოგიური თხრისას არ აღმოჩენილა. უფრო მომცრო ზომის ღარისებრი კრამიტები კი (ტოლმკლავა, ლათინური და გოლგოთიანი ჯვრებით შემკული[163]), რომლებითაც გადახურული

---

161 აღსანიშნავია, რომ მონეტებზე თარიღი ზოგჯერ ქრონიკონის გარეშეა მითითებული (რაც, ალბათ, მონეტათა მცირეზომიანობით არის გამოწვეული). მაგალითად, დემეტრე II ფულზე გამოსახული ასოΦ(ფ)ახსნილია როგორც ქრონიკონი 500—1280 წ. იხ. М. Барата-ев, Нумизматические факты Грузинского царства, СПб, 1844, III, გვ. 158. მ. ბარათაშვილის მიერ გამოთქმული ასეთი ახსნის სისწორე შემდგომმა გამოკვლევებმა დაადასტურეს და იგი გაზიარებულია. იხ. ი. ჯალაღანია, დემეტრე II-ისა და დავით VIII-ის ფულების განძი სოფ. შალაურიდან, — მაცნე, ისტორიის... სერია, 1976, № 2, გვ. 138—144.

162 Г. Г. Гамбашидзе, Полный отчет археологических работ в связи с реставрационными работами в храме «Ткобя-Ерды» и археологическая разведка храма «Албн-Ерды» в 1969 г.
ხელნაწერი, თბილისი, 1970, გვ. 42—43. ინახება რუსეთის არქეოლოგიის ინსტიტუტისა (მოსკოვი) და ჩეჩნეთ-ინგუშეთის რესპუბლიკურ სამხარეთმცოდნეო მუზეუმის (გროზნი) არქივში; მისივე, ინგუშეთის ქრისტიანულ ეკლესიებში („თხაბა-ერდი“ და „ალბი-ერდი“) ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების ანგარიში, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ., თბილისი, 1971, გვ. 105—106.

163 ჯვრიანი კრამიტები სამონასტრო კერამიკული სახელოსნოების პროდუქციად არის მიჩნეული (იხ. ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 85). ამ მიმართებით საყურადღებოა აღინიშნოს, რომ არმაზისხევის ნამონასტრევთან და სვეტიცხოველთანაც აღმოჩენილია ბრტყელი კრამიტები, ზედ რელიეფური სამი ასომთავრული ასოთი ⴕⴗⴍ (ქკი), რაც ახსნილია, როგორც

იყო ტაძრის სახურავის ბრტყელი კრამიტების შეერთების ადგილები, მრავლად იქნა აღმოჩენილი. როგორც ჩანს, იმ დიდრონი ღარისებრი კრამიტებით ტაძრის სახურავის განსაკუთრებული ადგილი (შესაძლოა, ორფერდა სახურავის ქედი) იყო გადახურული.

დიდზომიანი ღარისებრი კრამიტის ფრაგმენტთა წარწერის ასონიშნები კონფიგურაციით ძირითადში ბრტყელი კრამიტების წარწერათა ასოების მსგავსია (სამივე შემთხვევაში ⴁ-ს მუცლის რკალის შემკვრელი ხაზი ბუნის მარჯვნივ არ არის განზიდული; Ⴂ (ა)-ს სარქველსა და მუცელს შორის ყელი აქვს; Ⴇ (ე)-ს გააჩნია ცხვირიდან მარცხნივ განზიდული ხაზი; Ⴐ (რ)-ს, ს-ისა და Ⴂ (ა)-ს რკალები გახსნილია; სიტყვის ბოლო ასო Ⴂ (ა) მისი წინა ასოს Ⴝ-ის რკალის ზევით, ასოს ბუნთან მცირე ზომისადაა ჩასმული, იმ განსხვავებით, რომ მის ასო-ნიშნებს „ტყუპწვეტოვნებისაკენ“ მიდრეკილება ნაკლებ ახასიათებთ. ამასთან, მისი ასო-ნიშნები უფრო მომცრო ზომისანი არიან (რაც კრამიტის ზედაპირზე წარწერის შესაძლო ვრცელტექსტიანობითაც შეიძლება აიხსნას) და ნაკლებ რელიეფურნიც — ღარისებრ ყალიბში ეტყობა ასოთა გამოყვანის სიძნელისა გამო. აღვნიშნავთ, რომ სიტყვას, რომელიც თავისთავად მრავალასოიანია და თან კრამიტის ღარისებურობის გამო კომპოზიციურად გაშლილი, გააჩნია ორი ჭარაგმის ნიშანი. ხაზგასასმელია, რომ დიდი ღარისებრი კრამიტის წარწერის ყალიბში გამომყვანს ორი შეცდომა მოსვლია: 1. დავიწყნია ასო Ⴢ (ვ)-ის-თვის ფეხის გამოყვანა, რის გამოც კრამიტზე ასო Ⴇ (ე) გამოისახა; 2. ყალიბში ასო Ⴐ (რ)-თვის შეცდომით პოზიტიურად ამოუჭრია ქვედა რკალი, შემდეგ შინხვდარა თავის შეცდომას და იგი სარკისებურად გამოუყვანია, რის გამოც კრამიტის ზედაპირზე ასახული გრაფემა Ⴐ (რ)-ს ქვედა ბოლო ორრკალიანია (სამშენებლო კერამიკულ დამწერლობაში წარწერების შემსრულებელთა ხშირი შეცდომების შესახებ ჩვენ ზევით აღვნიშნეთ). აქვე დავძენთ, რომ ბრტყელი და დიდი ღარისებრი კრამიტების მაღალპროფესიულად დამზადება (თიხის განლექვა-დამუშავება, გამოწვის ფერ-ხარისხი), წარწერათა ტექსტობრივი, პალეოგრაფიული და კრამიტთა აღმოჩენის სტრატიგრაფიული მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ ისინი თანადროულია, ერთ სახელოსნო ცენტრში და, შესაძლოა, ერთი ხელოსნის მიერაც არის დამზადებული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტყობდა-ჯერდას კრამიტებზე არსებულ წარწერათა პალეოგრაფიული მონაცემები — მათი კალიგრაფიულობა, ასოთა კიდურების „ხელოვნებითად“ შემკობა, კრამიტის სიბრტყეზე გრაფემათა და ჭარაგმათა კომპოზიციური სიმეტრიულობით განაწილება, წარწერათა გრამატიკული მონაცემები მიუთითებს, რომ წარწერათა კრამიტების ყალიბებში გამომყვანი „კეთილადმწერალი“ ყოფილა, რომელიც ქართულ დამწერლობაში შემუშავებული თუ ჩასახვის პროცესში არსებული ტენდენციების მატარებელია.

ამასთანავე, აღსანიშნავია ტყობდა-ჯერდას ტაძრის სახურავის კრამიტთა დეკორატიულობა — ბრტყელი და დიდი ღარისებრი კრამიტების — წარწერებით, ღარისებრი და ანტეფიქსებისა კი ნაირი ჯვრებითა და ვარდულებით შემკობა, რაც ტყობდა-ჯერდას კრამიტების მაღალპროფესიულ საწარმოში დამზადების მიმანიშნებელია. რაც შეეხება საკითხს კრამიტთა საქართველო-

---

„კათალიკოსი?“ (იხ. გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე, მთა ქართლის.., გვ. 56—57) „ქართლის კათალიკოსი“ (იხ. ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრ., გვ. 55, ტაბ. XXII, 3). გამოთქმულია მოსაზრება, რომ კრამიტის გამოსაწვავი სახელოსნო კათალიკოსისადმი დაქვემდებარებულ წარმოებას ეკუთვნოდა (იხ. გ. ლომთათიძე, ნ. უგრელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 57; ჯ. ჯღამაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 55).

დან ინგუშეთში ექსპორტის თუ საკუთრივ ინგუშეთში დამზადების შესახებ, ამის თაობაზე რაიმეს დაბეჯითებით მტკიცება გაჭირდება. თუმც, ჩაჩან-ინგუშთა საგმირო ეპოსის თქმულებათა მიხედვით, ტყობძა-ჲერდას სამშენებლო ქვებიც ერთ შემთხვევაში „შორეული უცხო ქვეყნებიდან“ (თქმულება „ბარკუმ კანტი“)[164], მეორე შემთხვევაში კი „საქართველოდან“ (თქმულება „ბარახოი კანტი“)[165], არის ჩატანილი. და მაინც, იმის შესაძლებლობაც არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მეთუნეს ინგუშეთშივე შეეძლო დაემზადებინა ტაძრისათვის საჭირო კრამიტი.

როგორც აღინიშნა, ტყობძა-ჲერდას დიდ ღარისებრ კრამიტზე არსებულ წარწერაში ჩვენ „მამათმთავარი“ ამოვიკითხეთ, თუმც უნდა ითქვას, სიტყვის თავდაპირველი ფორმის აღდგენა მაინც გაჭირდება. მამათმთავარი, მამადმთავარი თუ მამამთავარი? იკვის ტაძრის არსენი კათალიკოსის (955—980 წწ.) წარწერაში ეს სიტყვა „მ(ა)მ(ა)დმთავარი“ ფორმითაა გადმოცემული[166]. ასევეა გიორგი მეფის 1170 წ. სიგელში მღვიმისადმი — „მამადმთ(ა)ვარო“[167], 1247/1250 წწ. გრიგოლ სურამელის დაწერილში მღვიმისადმი — „მამადმთავარს“[168]. ჩვენთვის საინტერესო ტერმინი „მამათმთავარნი“ ფორმით არის გადმოცემული იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამება“-ში (VIII ს.)[169], „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ში (X ს.) — მამათმთავრობისაჲ“[170], რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში (1103 წ.)[171], „ისტორიანი და აზმანნი შარავანდედთანი“-ში — „მამათმთავართა“[172], 1249—1260 წწ. მღვიმის კრებულის დაწერილში გრიგოლ სურამელისადმი — „მამათ[მთავართა]“[173], XIII ს. მიწურულის ქაქანას დაწერილში ქვათაჯვისადმი — „მამათმთავართა“[174], XIII ს. „კურთხეცა მირონისა“-ში — მამათმთავარი“ // „მამათ-მთავარი“[175], ბაგრატ მეფის გელათისადმი შეწირულების 1545 წ. სიგელში — „მამათმთავარ“-ო[176], საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დომენტის 1724 წ. საბუთში — „მამათ-მთავარმან“[177], ასევეა დომენტი კათალიკოსის სამწყსოს განწესების 1710 წ. წიგნში[178],

---

164 У. Б. Далгат. Героический эпос чеченцев и ингушей. Исследование и тексты. М., 1972, с. 362.

165 იქვე, გვ 366.

166 Р. Шмерлинг. Купольный храм в Икви, ქართული ხელოვნება. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი, 1971, № 7, გვ. 174.

167 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები IX—XIII სს შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, გვ. 70/114.

168 იქვე, გვ. 127/84.

169 ქართული პროზა, წ. I, თბილისი, 1982, გვ. 143.

170 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 132.

171 ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა, თბილისი, 1978, გვ. 184/26—27; 195/22—24.

172 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 36/12.

173 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 130/4.

174 იქვე, გვ. 194/11.

175 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X—XIX სს). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 49.

176 იქვე, გვ. 189.

177 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 159/23.

178 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 3, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაუროო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 664.

ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის 1749 წ. გუჯარში[179], დავით ბატონიშვილის XVIII—XIX სს. მიჯნის სამართალში — „მამათ-მთავარი“-ა[180], გიორგი მეფის 1211—1212 წწ. ბრძანებაში მღვიმისადმი ეს ტერმინი გადმოცემულია ფორმით — „მამამთავარმან“[181], ასევეა კათალიკოს-პატრიარქის დომენტის XVIII ს. დასაწყისის საბუთშიც[182]. ერეკლე II-ისა და ანტონ I-ის 1749 წ. გუჯარში „მამამთავარი“-ა[183] და სხვ.

ტყობდა-ჯერდული დიდი ღარისებრი კრამიტის წარწერის დაქარაგმებულ სიტყვაზე „მმ˘ამთ˘ერსსა“ დაკვირვება გვიჩვენებს, რომ სიტყვის თანხმოვანთაგან სწორედ ეს ასო (თ ან დ) აკლია, რაც შესაძლოა მიუთითებს, რომ საქმე გვაქვს ამ სიტყვის ფორმა — მამამთავართან (თუმც კრამიტზე ასოთა განლაგების კომპოზიციურობაც უნდა გავითვალისწინოთ — შეიძლება მანაც გამოიწვია სიტყვის შემადგენელ ასოთაგან ასო თ-ს ან დ-ს გამოტოვება).

საერთოდ კი აღვნიშნავთ, რომ ამ სიტყვის მართებული ფორმაა მამათმთავარი (< მამათა-მთავარი. შდრ. მამათა-მამა[184]).

ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით, მამათმთავრად საქართველოს ეკლესიის უზენაესი „საჭეთ-მპყრობელი“ იწოდებოდა. გიორგი მერჩულეს (X ს.) „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ს მიხედვით, „არსენი კათალიკოსმან (არსენ I, დიდი, საფარელი — დაახლ. 830—887 წწ.[185] — გ. ღ.) ... ქართლისა ეკლესიათა ყოველთა სიხარული მიჰფინა, რამეთუ, საყდარი მამათ-მთავრობისაჲ შეამკო სრულიად...“[186]; რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერაში“ (1103 წ.) იკითხება: „...იოანე ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი-კათალიკოსი და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამათმთავარი“[187], „იოანე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ჩუენისა კათოლიკოსისა და ყოვლისა საქართველოჲსა ყოვლად ღირსისა მამათმთავრისა“[188]. გიორგი მეფის სიგელში მღვიმისადმი (1170 წ.) ქართლის კათალიკოსი მამათმთავრადაა წოდებული: „და თქ(უე)ნ, წმიდაო მამადმთ(ა)ვარო ქ(ართლისა) კ(ათალიკო)ზო...“[189], 1247/1250 წწ. დაწერილში გრიგოლ სურამელისა მღვიმისადმი არსენი ქართლის კათალიკოსი მამათმთავრადაა მოხსენიებული: „... ვითა წმიდასა მამადმთავარს ქ(ართლი)სა <კ> {ჳ} (ათალიკო)ზსა არსენის...“[190]; XVIII ს. დასაწყისის საბუთებში კათალიკოს-პატრიარქი დომენტი წოდებულია შემდეგნაირად: „ყოვლისა საქართველოსა დიდმან მამამთავარმან ქართლის კათალიკოზმან პატრიარქმან დომენტი ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ...“[191], სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს

---

179 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 399.

180 სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, თბილისი, 1964, გვ. 161.

181 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 110/5—6.

182 იქვე, გვ. 158/9.

183 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. 2, გვ. 400.

184 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 125/23.

185 ქართული მწერლობა, ლექსიკონი-ცნობარი, წ. I, თბილისი, 1984, გვ. 25.

186 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 132; შდრ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1980, გვ. 153—154: „ეკლესიის სათავეში დგას მამათმთავარი — კათალიკოსი“.

187 ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 184/26—27; შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკვ. II, ტფ., 1929, გვ. 9.

188 ე. გ ა ბ ი ძ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 195/22—24.

189 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 70/113—114.

190 იქვე, გვ. 127/84—85.

191 იქვე, გვ. 158/8—11; იხ. აგრეთვე 159/21—23.

მამათმთავარს — „ესენი არიან ადამ, აბელ, ნოე, აბრაჰამ და მისთანანი. ხოლო აწინდელიცა პატრიარქნი“[192]. XVIII—XIX სს. მიჯნაზე შექმნილი საკოდიფიკაციო ძეგლი „სამართალი ბატონისშვილის დავითისა“ ამ აზრს განმარტებას იძლევა — „პირველი მამათმთავარი, ანუ კათოლიკოზი, იყო მმართებელი და თავი ყოვლისასა საზოგადოდ ეკლესიისა. ხოლო კერძო მმართებელნი იყვნენ ეპისკოპოზნი“[193].

ამასთან ერთად აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ეპისკოპოსებიც მამათმთავრებად არიან წოდებული (ასე, მაგალითად, მეფე არჩილისა და ქართლის კათალიკოს მიქაელის XIII ს. „კურთხევა მირონისა“-ში, მამათმთავრებია: ვალაშკერტელი, ბოლნელი, კარელი, ხარჭაშნელი, ტფილელი, წალკელი, ბანელი, ჭერემ-ქალაქელი, დმანელი, დადაშნელი, გიშელი[194]. ბაგრატ მეფის გელათისადმი შეწირულების 1545 წ. სიგელში გენათელი „მამათმთავარ-ეფიაკოპოზო“-დ იწოდება[195], წილკნის ღმრთისმშობლის სამწყსოს 1669 წ. სიგელში კი ასურელ მამათაგანი — ისე წილკნელიც მამათმთავარია[196].

ამრიგად, ტყობდა-ჯერდულ კერამიკულ წარწერებში მოხსენიებული „არსენდ მ“-ის არსენ მამათმთავრად ახსნის საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ წარწერათა პალეოგრაფიული და ტაძრის არქეოლოგიურ-ხელოვნებათმცოდნეობითი მონაცემები X ს. II ნახ. — X—XI სს. მიჯნისაკენ მიგვითითებენ, მიგვაჩნია, რომ ტყობდა-ჯერდას კრამიტებზე მოხსენიებულია ცნობილი ქართველი საეკლესიო მოღვაწე და ჰაგიოგრაფი, ქართლის კათალიკოსი არსენ II (955—980 წწ.)[197], რომლის სახელთანაც, ჩანს, დაკავშირებულია ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქრისტიანული ტაძრის ტყობდა-ჯერდას აღმშენებლობა.

* * *

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ 1886 წლის ექსპედიციის დროს ცნობილ კავკასიოლოგს ვს. მილლერს ტყობდა-ჯერდას ტაძარში, მარცხენა კედლის ნიშაში უპოვია წითლად გამომწვარი კერამიკული ფილა (განით 6 და სიგრძით 7 გოჯისა, ანუ 26,4 სმ X 30,8 სმ), რომელზეც ორ სტრიქონად არსებულა ზედაში ხუთი, ქვედაში კი ოთხი ქართული ასოს ნარჩენი (იხ. სურ. XLVIII). ვს. მი-

---

192 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზ., ტ. IV$_1$, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ი. აბულაძემ, თბილისი, 1965, გვ. 435.

193 სამართალი ბატონიშვილის დავითისა..., გვ. 161.

194 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 49.

195 იქვე, გვ. 189.

196 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI—XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 559.

197 აღვნიშნავთ, რომ ასევე ქართლის კათალიკოს არსენ II მიჩნეული ~ბ თ. ბარნაველის მიერ იკვის წ~ა გიორგის ეკლესიის დასავლეთის ფასადზე არსებულ წარწერაში მოხსენიებული „მამადმთავარი არსენი“ (იხ. განსვენებული მეცნიერის ~ბ თ. ბარნაველის მიერ ჩვენთვის გადმოცემული ხელნაწერი იკვის ტაძრის აღნიშნულ წარწერასთან დაკავშირებით, რომლის ვარიანტიც რედაქციის სახელით შემდეგში გამოქვეყნდა ~ბ გ. ჩუბინაშვილის მიერ. იხ Р. Ш м е р л и н г, Купольный храм в Икви,..., გვ. 191. იკვის ტაძრის წარწერა არსენ (? — გ. ღ.) კათალიკოსის წარწერად ჰქონდა მიჩნეული ~ბ ი. ჯავახიშვილსაც. იხ, მისი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 38).

ლლერმა გამოაქვეყნა მის მიერ გადაღებული წარწერის ასლი და წარწერის დ. ბაქრაძისეული თარგმანი. დ. ბაქრაძე წარწერას ასე კითხულობდა: „Христосъ, спаси Іоанна-[198].

ვს. მილლერის მიერ აღმოჩენილი წარწერიანი კერამიკული ფილის წარმომავლობა (ტყობუა-ერდის ტაძარი), საგნობრიობა (წითლად გამომწვარი კერამიკული ფილა, მისი ზომები), წარწერის ტექსტობრივ-პალეოგრაფიული მონაცემები ნათლად გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ტყობუა-ერდის ტაძრის № 2 ყალიბში მოჭრილი კრამიტისა და მისი წარწერის ფრაგმენტთან (აღვნიშნავთ, რომ კერამიკული ფილის წარწერის I სტრიქონის ხუთივე ასო თანხვდება კრამიტის წარწერის I სტრიქონის ხუთივე ასოს, იმ მცირე განსხვავებით, რომ მილლერისეული წარწერის ასლში ქარაგმა არ აქვს დასმული ႵႤ (ქე)-ს; წარწერის ასლში ასო Ⴄ (ე)-ს თავხაზის მარცხენა განშტოებას — მორჩი არ აქვს; ქარაგმის ნიშანი ზუსტად აზის ასო Ⴃ (დ)-ს, იგი ასო Ⴌ (ნ)-ზეც უნდა გადადიოდეს. კერამიკული ფილის წარწერის II სტრიქონში: კრამიტისეული II სტრიქონის პირველი ასო არაა (ეტყობა კერამიკული ფილის ჩამოტეხვის გამო); ასლისეული პირველი ასოსგან ზედატანის ფრაგმენტია შემორჩენილი. იგი კრამიტის წარწერის II სტრიქონის მეორე ასოს Ⴐ (რ)-ს ფრაგმენტია; ასლის მეორე ასოსგან გამოხაზულია ასწვრივი ხაზი. იგი სინამდვილეში კრამიტისეული წარწერის II სტრიქონის მესამე ასო ს-საა. მისთვის მარცხენა თავხაზის პუნქტირით აღდგენა და ასო Ⴈ (ი)-ს მიღება არაა სწორი; პუნქტირით გამოსახული ქარაგმა აზის ასო Ⴌ (ნ)-ს. იგი ასო Ⴐ (რ)-სა და ს-ზე უნდა იყოს გამოსახული) და ვს. მილლერის მიერ აღმოჩენილი კერამიკული ფილის წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ.

ქ(რისტ)ე შ(ეუნ)დ(ვე)ნ [ა]რს(ე)ნ(ჲ)ს...

შესაბამისად, ვს. მილლერის ის ვარაუდიც, რომ მის მიერ აღმოჩენილი კერამიკული ფილა ოდესღაც სამარხის კუთვნილება იყო[199], უარსაყოფია.

Г. Г. ГАМБАШИДЗЕ

СТРОИТЕЛЬНО-КЕРАМИЧЕСКАЯ НАДПИСЬ «АРСЕНИ М« ИЗ ХРИСТИАНСКОГО ХРАМА ТКОБЯ-ЕРДА (ИНГУШЕТИ)

Резюме

На основе палеографического, синтаксического анализа и расшифровки надписей, исполненных древнегрузинским церковным заглавным шрифтом «асомтаврули» на плоских и желобчатых черепицах, найденных во время археологического изучения (1969—1970 гг.) храма Ткобя-Ерда, утверждается, что в них упоминается известный грузинский церковный деятель, католикос Арсен II (955—980 гг.).

---

198 Вс. Миллер, Терская область, археологические экскурсии. I, Археологические наблюдения в области чеченцев. — МАК, вып. I, 1888, с. 20—21: рис. 35.

199 იქვე.

ARCHAEOLOGICAL REMAINS OF FEUDAL GEORGIA, VI

Summary

The collected papers of the Department of the Medieval Archaeology of the Centre for Archaeological Studies of the Academy of Sciences of Georgia is dedicated to the memory of the well-known Georgian archaeologist Giorgi Lomtatitze, the 80th birth aniversary of whose was marked in 1994.

The paper of R. Ramishvili and B. Jorbenadze reviews the life and activities of G. Lomtatidze. He was a versatile scientist, but special mention should be made of his contribution to the study of Medieval remains and to the becoming of Georgian medieval archaeology.

The article by P. Pirpilashvili is dedicated to recollections about G. Lomtatidze.

In R. Ramishvili's paper „Some specifications of the development of the medieval towns of Georgia" the author presents his view on some problems of the origin of the Georgian medieval town.

The latest archaeological discoveries of the last decades on the one hand, and the rejection in Georgian historiography of pseudoscientific theory of the Soviet period on the obligatory passage of the slave-owning stage of development by Old World Societies on the other, permit reconsideration of the theory in official publications on the origin and the development of the Georgian medieval town.

By their nature, Georgian towns, which arose in an original geographical, economic and social environment, must have radically differed from Greco-Byzantine medieval towns, that arose in the early Middle Ages on the ruins of classical (slaveowning) ones. There can be no doubt that in Georgia towns and urban life, as well as the feudal system itself originated in the depths of the primitive communal system, and that the economic and social bases of Georgian towns radically differed from their Classical and Near Eastern counterparts.

By incontrovertable archaeological evidence, towns developed dynamically on the territory of Georgia in the first half of the 1st millenniem A. D., reaching the peak of their development in the first centuries of Christianity. According to individual towns, after the 6th century regress is observable in the urban life of the Caucasus. This should be accounted for the complex political and economic processes occurring in the Near East and the Caucasus.

In his paper „The ancient village site of Tetri-gza" D. Mindorashvili presents the materials brought to light during the 1988 excavations of dwelling and economic complexes of the 11th—13th cent. at the Tetri-gza village site, near Ananuri.

B. Jorbenadze's paper "Archaeological materials from the burial-grounds found by chance in Eastern Georgia" deals with the burial inventory from the villages Tsqneti (6th-8th cent.), Gldani (6th-8th cent.), Kochbaani (6th—7th cent. and 12th-14th cent.), Rusiani and from the territory of the Verona fortress (12th-14th cent.).

Tz. Lomidze's paper is devoted to the study of the Abanoskhevi burial-ground (the Aragvi valley) in 4th-7th cent. where three types of burials are attested.

V. Chikhladze's paper „Burials with crudelly built walls at Zhinvali burial ground" deals with the burial complexes of noble warriors dating from 1st—3rd centuries A. D.

In their paper L. Tsitlanadze, A. Kakhidze, Z. Shatberashvili „The Gigias Satibi Burial Ground" publish burial materials of the 9th century A. D. excavated the Dariali Gorge.

M. Mitsishvili's paper „Towards the diffusion of 12th-14th cent. polychrome glazed pottery" studies the routes and the area of diffusion of the indicated pottery.

In his paper „The constructional ceramic inscription „Arseni M" from the Ghristian temple Tkobya-Erda (Ingushetia)" based on palaeographic and syntax analysis and deciphering of the inscriptions written in old Georgian Church capital letters „asomtavruli" on flat and fluted tiles found during the archaeological investigation of the temple in 1969—1970, G. Gambashidze asserts that the inscription refers to the well-known Georgian Church figure Catholicos Arsen II (955—980).

შემოკლებათა განმარტება

აკადემიის მოამბე — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი.
აძ — არქეოლოგიური ძიებანი. ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო სესიების მასალები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
ენიმკის მოამბე — ყოფ. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. ტფილისი.
მაცნე. — ისტორიის სერია. — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. თბილისი.
მსკა — მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი. თბილისი.
მუზეუმის მოამბე — ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. თბილისი,
ყაე — ყინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია.
საკ — საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
სას — საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
სფხის — საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. თბილისი.
ფსაძ — ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. არქეოლოგიური კვლევის ცენტრი. თბილისი.
ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი.
ქც — ქართლის ცხოვრება.
შრომები — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები. თბილისი.
ძმ — ძეგლის მეგობარი. საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება. თბილისი.

ОБЪСНЕНИЕ СОКРАЩЕНИЙ

КСИИМК — Краткие сообщения Института истории материальной культуры бывш. АН СССР. М.—Л.
МАК — Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями императорского Московского археологического общества. Под ред. П. С. Уваровой. М.
МИА — Материалы и исследования по археологии бывш. СССР. М.
ПАИ — Полевые археологические исследования. Центр археологических исследований Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили. Тбилиси.
СА — Советская археология. М.

ტაბულების აღწერილობა

ტაბ. I. 1. მცხეთა, დიდი მცხეთის სიტუაციური გეგმა.
2. თბილისი, დედაციხის გენგეგმა.
3. ურბნისი, გენგეგმა.
4. ურბნისის გალავნის კედლის რეკონსტრუქციის ცდა და ერთ-ერთი კოშკის გენგეგმა.
5. უჯარმის ციხის გენგეგმა.
6. ჰერემის შიდაციხის გეგმა.
7. მთაჭართლის ციხის განათხარის გენგეგმა.
8. ხერთვისის ციხე.

ტაბ. II. 1. რუსთავის ციხის გენგეგმა.
2. უფლისციხის გენგეგმა.
3. უფლისციხის კლდეში ნაკვეთი ერთ-ერთი კომპლექსი.
4. ციხისძირის (ქობულეთის რაიონი) გენგეგმა.
5. ბოჭორმის ციხის გენგეგმა.
6. კოხტას ციხე.

ტაბ. III. 1. ნოქალაქევი, გენგეგმა.
2. ნოქალაქევის კარიბჭე.
3.—5. ნოქალაქევის კოშკები.
6. ვარდციხე. გენგეგმა.
7. ბიჭვინთის გენგეგმა.
8. ბიჭვინთის ეკლესიების გეგმა.
9. ბიჭვინთის კოშკი, გეგმა.
10. მაჭის ციხე, გენგეგმა.
11. მაჭის ციხე, ჭრილი.

ტაბ. IV. 1. ანანური, თეთრიგზის ნასოფლარის კომპლექსი. 2. I სათავსო,

ტაბ. V. 1. I—II სათავსო. 2. II სათავსო,

ტაბ. VI, 1. III სათავსო, 2. საწნახელის ფსკერი.

ტაბ. VII, 1. საწნახელის ტკბილის დასაგროვებელი აუზი. 2. IV სათავსო.

ტაბ. VIII—IX. კომპლექსის გათხრებისას აღმოჩენილი კერამიკული ნაწარმი.

ტაბ. X. 1. სამარხეული ინვენტარი დ. წყნეთიდან.
2. სამარხეული ინვენტარი ს. გლდანიდან.

ტაბ. XI. სამარხეული ინვენტარი ს. კოჰბაანიდან, ს. რუსიანიდან და ს. ვერონის ციხის ტერიტორიიდან.

ტაბ. XII. სურ. 1, 2. აბანოსხევის სამაროვნის საერთო ხედი.

ტაბ. XIII. სურ. 1, 2. აბანოსხევის სამაროვნის ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხები და ორმოსამარხები.

ტაბ. XIV. სურ. 1, 2. აბანოსხევის სამაროვნის გეგმები და ჭრილები,

ტაბ. XV, ორმოსამარხი № 17 პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XVI. ორმოსამარხი № 20 პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XVII. სურ. 1. ორმოსამარხი № 16 პრეპარაციის შემდეგ.
სურ. 2. ორმოსამარხი № 23 პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XVIII. სურ. 1. ქვისფილებით გადახურული № 6 ორმოსამარხის გადახურვა,
სურ. 2. სამარხი № 6 ჩონჩხი პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XIX. სურ. 1. ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხი № 4 გახსნამდე,
სურ. 2. სამარხი № 4 ჩონჩხი პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XX, ქვისფილებით გადახურული ორმოსამარხი № 21 პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XXI. სურ, 1. ქვისფილებით გადახურული სამარხი № 5 პრეპარაციამდე.
სურ. 2. სამარხი № 5 პრეპარაციის შემდეგ.

ტაბ. XXII. სურ. 1. რიყის ქვით გადახურული სამარხი № 2 პრეპარაციამდე.
სურ, 2. სამარხი № 2 პრეპარაციის შემდეგ.
ტაბ. XXIII. სამარხი № 25, 19 და № 2 (ადრებრინჯაოს ხანის სამარხი).
ტაბ. XXIV. სურ. 1. ქვისსამარხი № 7 პრეპარაციამდე,
სურ. 2, სამარხი № 25 პრეპარაციის შემდეგ.
ტაბ. XXV. სამარხეული ინვენტარი.
ტაბ. XXVI. ჟინვალის სამაროვანი. ყორეკედლიანი სამარხები № 277 და № 282 და ორმო-სამარხი № 281.
ტაბ. XXVII. ყორეკედლიანი სამარხი № 277 პრეპარაციის შემდეგ.
ტაბ. XXVIII. ყორეკედლიანი სამარხი № 282 პრეპარაციის შემდეგ.
ტაბ. XXIX. ყორეკედლიანი სამარხი № 282-ის ინვენტარი.
ტაბ. XXX—XXXIII. ყორეკედლიანი სამარხი № 277-ის ინვენტარი.
ტაბ. XXXIV. გიგიასსათიბის სამაროვანი. სურ. 1, 2, 3, 4, 5, მძივები სამარხებიდან.
სურ. № 38. მინის ჭურჭელი № 1 სამარხიდან.
სურ. № 16 ხელადა № 2 სამარხიდან.
სურ. № 42, ილარი № 3 სამარხიდან.
სურ. № 41. მძივები № 3 სამარხიდან,
სურ. № 40. მინის ბეჭედი № 3 სამარხიდან.
სურ. № 6, 7, 8, 9, 10, 11 მძივები № 4 სამარხიდან.
სურ. № 13. საყურის ნატეხები № 4 სამარხიდან.
სურ. № 14. ხელადა № 4 სამარხიდან.
ტაბ. XXXV. სურ. 36, სარტყლის აბზინდა.
სურ. 35. თიხის ხელადა.
სურ. 37. რკინის დანები სამარხი № 6-დან.
სურ. 17—34. მასალები № 7 სამარხიდან:
№ 17 მძივი.
№ 18. საკიდი.
№ 19. მინის ბეჭდები.
№ 20. ბეჭედი ვერცხლის თვალბუდიანი.
№ 21. ბიკონუსური მძივი.
№ 22, კოჭის ფორმის მძივი.
№ 22ა. მძივები.
№ 23. მონეტა.
№ 24. მძივები.
№ 33. სამაჯური ბრინჯაოსი.
№ 34. ხელადა თიხის.
ტაბ. XXXVI—XXXVII. გიგიასსათიბის სამაროვნის გეგმა.
ტაბ. XXXVIII. 1. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული ოთხი ფოთლით და გეომეტრიულ სახეებში მოთავსებული ყლორტებით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 2886.
2. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული სამკუთხედებით და რტო-ყლორტებიანი ორნამენტით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 2903.
ტაბ. XXXIX. 1. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული რადიალური ხაზებით და გეომეტრიულ სახეებში ჩასმული რტო-ყლორტოვანი ორნამენტით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 2594.
2. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული გეომეტრიული სახეებითა და რტო-ყლორტოვანი ორნამენტით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 2933.
ტაბ. XL 1. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული ფრინველის გამოსახულებით და რტო-ყლორტოვანი ორნამენტით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54; 2741.
2. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული ცხოველის გამოსახულებით და რტო-ყლორტოვანი ორნამენტით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 2905.
ტაბ. XLI. 1. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული ცხოველების გამოსახულებით. თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 1872.
2. ჯამი, მრავალფერად მოჭიქული, შემკული გეომეტრიული ორნამენტით (ოთხკუთხედები შუაში რგოლებით). თბილისის კერამიკული სახელოსნო, № 1—54: 2895.
ტაბ. XLII. ტყობია-ბერდას ტაძარი (ინგუშეთი). ხედი დასავლეთიდან. 1980 წ.

ОПИСАНИЕ ТАБЛИЦ

Табл. I. 1. Мцхета, ситуационный план.
2. Тбилиси, генплан главной крепости.
3. Урбниси, генплан.
4. Урбниси, реконструированная стена ограды и план одной башни.
5. Уджармская крепость, генплан.
6. Череми, план дворцов во внутренней части городища.
7. Мтакартлийская крепость, генплан раскопанной территории.
8. Хертвисская крепость.

Табл. II. 1. Рустави, генплан крепости.
2. Уплисцихе, генплан.
3. План и разрез высеченного в скале типичного комплекса.
4. Цихисдзири (Кобулетский район), генплан.
5. Бочормская крепость, генплан.
6. Крепость Кохтас-цихе.

Табл. III. 1. Нокалакеви, генплан.
2. Нокалакеви, главные ворота города.
3—5. Башни в нижней части городища Нокалакеви.
6. Вардцихе, генплан.
7. Бичвинта, генплан.
8. План церквей в Бичвинта.
9. План башни в Бичвинта.
10. Крепость Мачис-цихе, генплан.
11. Крепость Мачис-цихе, разрез.

Табл. IV. 1. Ананури, комплекс селища Тетри-гза. 2. Помещение № 1.

Табл. V. 1. Помещения I и II. 2. Помещение II.

Табл. VI. 1. Помещение III. 2. Фрагмент винодавильни.

Табл. VII. 1. Фрагмент винодавильни. 2. Помещение IV.

Табл. VIII—IX. Керамический материал из комплекса.

Табл. X. 1. Погребальный инвентарь из пос. Цхнети.
2. Погребальный инвентарь из с. Глдани.

Табл. XI. Погребальный инвентарь из с. Кочбаани, с. Русиани и территории крепости с. Верона.

Табл. XII. 1,2. Общие виды могильника Абаносхеви.

Табл. XIII. 1,2. Грунтовые погребения и грунтовые погребения покрытые каменными плитами.

Табл. XIV. 1,2. План и разрезы могильника Абаносхеви.

Табл. XV. Грунтовое погребение № 17 после препарации.

Табл. XVI. Грунтовое погребение № 20 после препарации.

Табл. XVII. 1.Грунтовое погребение № 16 после препарации.
2. Грунтовое погребение № 23 после препарации.

Табл. XVIII. 1. Перекрытие грунтового погребения перекрытое каменными плитами. (№ 6).
2. Погребение № 6, костяк после препарации.

Табл. XIX. 1. Грунтовое погребение перекрытое каменными плитами (№ 4) до препарации.

ტაბ. XLIII. № 1 ყალიბის ბრტყელი კრამიტი და მასზე არსებული წარწერა ტყობია-ძერდას ტაძრიდან.
ტაბ. XLIV. № 2 ყალიბის ბრტყელი კრამიტი და მასზე არსებული წარწერა ტყობია-ძერდას ტაძრიდან.
ტაბ. XLV. ღარისებრი კრამიტის № 1 ფრაგმენტი წარწერით ტყობია-ძერდას ტაძრიდან.
ტაბ. XLVI. ღარისებრი კრამიტის № 2 ფრაგმენტი წარწერით ტყობია-ძერდას ტაძრიდან.
ტაბ. XLVII. ღარისებრი კრამიტის წარწერის ასლი.
ტაბ. XLVIII. ვს. მილლერისეული კერამიკული ფილის წარწერა ტყობია-ძერდას ტაძრიდან,

2. Погребение № 4, костяк после препарации.

Табл. XX. Грунтовое погребение перекрытое каменными плитами (№ 21) после препарации.

Табл. XXI. 1. Перекрытое каменными плитами погребение № 5, до препарации.
2. Погребение № 5 после препарации.

Табл. XXII. 1. Перекрытое булыжником погребение № 2 до препарации.
2. Погребение № 2 после препарации.

Табл. XXIII. Зарисовка погребений №№ 25, 19 и 2 (могильника раннебронзового периода).

Табл. XXIV 1. Каменноящичное погребение № 7 до препарации.
2. Погребение № 25 после препарации.

Табл. XXV. Погребальный инвентарь.

Табл. XXVI. Жинвальский могильник. Погребения с грубо выложенными стенами № 277 и № 282 и грунтовое погребение № 281

Табл. XXVII. Погребение с грубо выложенными стенами № 277, после препарации.

Табл. XXVIII. Погребение с грубо выложенными стенами № 282 после препарации.

Табл. XXIX. Инвентарь погребения с грубо выложенными стенами № 282.

Табл. XXX—XXXIII. Инвентарь погребения № 277.

Табл. XXXIV. Могильник Гигиас-сатиби, 1, 2, 3, 4, 5—бусы из погребений. Рис. 38—стеклянный сосуд из погребения № 3. Рис. № 16 — кувшин из погребения № 2. Рис. № 42 — уховертка из погребения № 3. Рис. 41 — бусы из погребения № 3.Рис. 40—стеклянное кольцо из погребения № 3. Рис. 6, 7, 8, 9, 10, 11—бусы из погребения № 4. Рис. 13—фрагменты серьги из погребения № 4. Рис. № 14—кувшин из погребения № 4.

Табл. XXXV. Рис. 36 — бронзовая поясная пряжка. Рис. 35 — глиняный кувшин.
Рис. 37—ножи железные из погребения № 6.
Рис. 17—34 — археологические материалы из погребения № 7.
Рис. 17—бусы.
Рис. 18 — подвеска. Рис. 19 — кольцо из стекла.
Рис. 20 — кольцо серебряное с глазком.
Рис. № 21 — биконическая буса.
22—22а — бусы.
23 — монета.
24 — бусы.
33 — браслет бронзовый.
34 — кувшин глиняный.

Табл. XXXVI—XXXVII. План могильника Гигиас-сатиби.

Табл. XXXVIII. 1. Чаша, полихромная, с крестообразным орнаментов в виде лепестков. Украшена четырехугольниками и ветвистым орнаментом. ТКМ, 1—54:2886.
2. Чаша, полихромная с крестообразно расположенными треугольниками с ветвистым убранством. Украшена кружками с лиственным орнаментом. ТКМ, 1—54:2903.

Табл. XXXIX. 1. Фрагмент полихромной чаши с крестообразным орнаментом в виде радиальных полос. Украшена треугольниками с ветвистым орнаментом. ТКМ, 1—54:2594.
2. Чаша полихромная, с ветвистым и геометрическим орнаментом. ТКМ, 1—54:2933.

Табл. XL. 1. Чаша полихромная с изображением птицы. ТКМ, 1—54:2741.
2. Чаша полихромная с изображением животного (барса). ТКМ, 1—54:2905.

Табл. XLI. 1. Чаша полихромная с изображением животного (тигра). ТКМ, 1—54:1872.
2. Фрагмент полихромной чаши с геометрическим орнаментом. ТКМ, 1—54:2895.

Табл. XL II. Храм Ткобя-Ерда (Ингушети), вид с запада, 1980 г.

Табл. XLIII. Плоская черепица № 1 и надпись на ней из храма Ткобя-Ерда.
Табл. XLIV. Плоская черепица № 2 и надпись на ней из храма Ткобя-Ерда.
Табл. XLV. Фрагмент № 1 желобчатой черепицы и надпись на ней из храма Ткобя-Ерда.
Табл. XLVI. Фрагмент № 2 желобчатой черепицы и надпись на ней из храма Ткобя-Ерда.
Табл. XLVII. Копия надписи желобчатой черепицы.
Табл. XLVIII. Надпись с керамической плиты из храма Ткобя-Ерда по Вс. Миллеру.

ცხრილები

ТАБЛИЦЫ


8


7


6


4




5


3


1


2


5


6


3


4


2


1





1



2



1



2



1



2



1



2



29



26



33



18



19



39



20



10



40



15



16



41





4



17


32
13
30
27
11
31
42
5
12
21
6
8
14
36
28
37
38
22
2
35
28
25
1
23
9
24
3
34


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
0 1 2 3


1
2
3
4
5
6
0 1 2


1
2
3
4/1
4/2
1/3
1/4
5
6
7
8
9
10
11
12
13
14
15
16
17
18
0 1 2 3



1



2



1



2


თხრილი №1
ჭრილი 2-2
2
2
09-XXXVI-77
გეგმა
0 1 2 3 4
თხრილი №3
თხრილი №2
ჭრილი 1-1

1


09-XXXVI-81
1:100
№27
№12
№28
№15
№14
№26
№18
№19
№16
№17
№13
№20
№21
№23
№24
№25
№22
1
1
ჭრილი 1-1
1:100
0.00
12
28
13
16
17
20
21

2



XVI





1



2



1



2



1



2


21



1



2



1



2

09-XXXVI-81
სამარხი №25
1:20



09-XXXVI-81
სამარხი №2
(ადრე ბრინჯაოს ხანის სამარხი)
1:20



სამარხი №19
09-XXXVI-81
1:20





1



2


65
69
70
63
68
67
66
62
64
48
35
0 1 2








348
343
344
347
354
342
350
351
352
0 5 cm
0 5 10 15 cm



00-XXV-79 [illegible] 377


372
371
374
382
386
368
392
396
361


368
365
370
373
374
375
369
389
385
0
5 cm
367
364
336
365


381
356
391
387
393
397
365
358
359
376
344
380
383
0
5 Bm



1



2



38



42



16



41



40



6



9 10 11



12



7



13



14



5



8



4 3



36



35



37



20 19



17 18



26 25



24



27



29



21



22



30



28



22



23

34



31



32



33



1



2



1



2



1



2





2

XLII



XLIII



XLIV



XLV





XLVI



XLVII

XLVIII

„Христосъ, спаси

Іоанна“.

Рис. 35. Надпись на плитѣ въ церкви Тхаба-ерды.

სარჩევი — ОГЛАВЛЕНИЕ

რ. რამიშვილი, ბ. ჯორბენაძე — გიორგი ლომთათიძე 3
პ. ფირფილაშვილი — სიტყვა ამაგდარ არქეოლოგზე 7

I. ნაქალაქარები — ГОРОДИЩА

რ. რამიშვილი — ზოგიერთი მოსაზრება საქართველოს ფეოდალური ქალაქის გენეზისთან დაკავშირებით არქეოლოგიური მასალების მიხედვით 11
Р.М. Рамишвили — Некоторые особенности развития средневековых городов Грузии (Резюме) 30

II. ნასოფლარები — СЕЛИЩА

დ. მინდორაშვილი — თეთრიგზის ნასოფლარი ანანურთან 34
Д.В. Миндорашвили — Селище Тетригза около Ананури (Резюме) 39

III. სამაროვნები — МОГИЛЬНИКИ

ბ. ჯორბენაძე — არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან 40
В.А. Джорбенадзе — Археологические материалы из могильников, случайно обнаруженных в Восточной Грузии (Резюме) 47
ც. ლომიძე — აბანოსხევის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი 49
Ц.Ш. Ломидзе — Абаносхевский раннесредневековый могильник (Резюме) 56
ვ. ჩიხლაძე — ჟინვალის სამაროვნის ყორეკედლიანი სამარხები 58
В.В. Чихладзе — Погребения с грубо выложенными стенами на Жинвальском могильнике (Резюме) 68
ლ. წითლანაძე, ა. კახიძე, ზ. შატბერაშვილი — გიგიასსათიბის სამაროვანი (დარიალის ხეობა) 70
Л.Г. Цитланадзе, А.Ю. Кахидзе, З.Г. Шатберашвили — Могильник Гигиассатиби (Дарьяльское ущелье) (Резюме) 79

IV. ხელოსნური ნაწარმი — РЕМЕСЛЕННЫЕ ИЗДЕЛИЯ

მ. მიწიშვილი — მრავალფერად მოჭიქული კერამიკის გავრცელების საკითხისათვის 81
М.Н. Мицишвили — К вопросу о распространении полихромной поливной керамики в XII—XIV вв. (Резюме) 88

V. ურთიერთობა გარესამყაროსთან — ВЗАИМООТНОШЕНИЕ С ВНЕШНИМ МИРОМ

გ. ღამბაშიძე — „არსენი მ“-ის სამშენებლო კერამიკული წარწერა ტყობა-ერდას (ინგუშეთი) ქრისტიანული ტაძრიდან 89
Г.Г. Гамбашидзе — Строительно-керамическая надпись "Арсени М" из христианского храма Ткобя-Ерда (Ингушети) (Резюме) 108

Archaeological remains of feudal Georgia, VI (Summary) 109
შემოკლებათა განმარტება — Объяснение сокращений 111
ტაბულების აღწერილობა — Описание таблиц 112, 115
ტაბულები — Таблицы 119

გამომცემლობის რედაქტორები: გ. ბოკუჩავა, ი. გველესიანი
მხატვარი ლ. ლომთათიძე
ტექრედაქტორი ნ. ოკუჯავა
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი

გადაეცა წარმოებას 22.9.97; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.5.98; ქაღალდის ზომა 70X1081/16; ბეჭდვა მაღალი. გარნიტურა ვენური; პირობით საბეჭდი თაბახი 14.70; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,40.
ტირაჟი 200; შეკვეთა №405.

ფასი სახელშეკრულებო

საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბილისი, 380060, დ. გამრეკელის ქ. 19
Производственно-издательское объединение "Мецниереба", Тбилиси, 380060, ул. Д. Гамрекели 19

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ
ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ
VI
Тбилиси
"Мецниереба"
1998

ფეოდალური საქართველოს
არქეოლოგიური ძეგლები
VI
თბილისი
„მეცნიერება"
1998